




N43 (333) 26/X- 1/VI 2006
ფასი 60 ლ

სვ

„გზის“ ჩველები უნდა

რას ეძებს ზურა ნაბაღის წარსული...

„ნაჩინარი“
ქართველი
ჟურნალისტი,
რომელმაც
გასაუბრებლად
შესვლინას
ფეხზე არ
გაიხადა



უსამსახუროდ დარჩენილი ნამყვანი

რატომ დაამსხვრია
ხათვალე „სტერვამ“

უოუბიზნესის
„მამა“ ხატია
სიჭინავას
სიყვარული
გამოუტყდა

1168
2006

39

„...ჩაინიკას
სოლი გე
მოვატყუებინა“

ქუთაისელი
„შარახვებია“ და
კვლსტუხინანი ხუმარა




„ჯაოგარელა“
ერთი დედას
18 წლის უმცროს
მიანონ



„კლინებების 40 პროცენტში
ჩემი საყვარელი იყო...“

ასდენილი ნაბვრა



**გკითხველის
ოცნებებს
გკითხველები
ასრულებენ!**



კვირის პალიტრა
შემკვირველი გუნდი

ყველა
სიასლა

**თქვენ შეგიძლიათ, ინაბრით და ნაბვრა აიხდინოთ!
თქვენ შეგიძლიათ, ნაბვრა აუხდინოთ ადაშიანებს!**

ამისთვის კი საჭიროა, მონაწილეობა მიიღოთ
„კვირის პალიტრისა“ და „ყველა სიასლის“
ერთობლივ ახალ პროექტში

„ასდენილი ნაბვრა“

რუსეთიდან დეპორტირებულები



„ვერაფრით წარმომედგინა, უბრალო ხალხი ასე თუ გაბოროტდებოდა. დეპორტი რომ არ გაეკეთებინათ, იქ გაჩერებას აზრი მაინც აღარ ჰქონდა, რადგან რუსი ხალხისგან იმხელა მიზღს ვგრძნობდი, ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი. ქუჩაში გვეუბნებოდნენ: ამდენი წელი ჩვენ გატყვევით და თურმე, რა უმადურები ყოფილხართო“.

6

რატომ ცდებიან მძიმეები ღიაგნობის დასმისას?



„ოპერაციის დროს მხედველობის ნერვი დამიზიანდა. მარჯვნივ და მარცხნივ გახედვის დროს, საგნებს ბუნდოვნად, თითქმის ვერ ვხედავდი“.

12

მოგეგარლზე „გადაკიდებული“ გენიაკი



„დღეს კაცებს სულ სხვა საზომით ვზომავ. მაშინ მთავარი იყო ის, რომ ჩემი რჩეული „კრასავიკი“ ყოფილიყო, დღეს კი ყურადღებას ვაქცევ მათ ინტელექტს, ხასიათს და ა.შ.“

57

წინელი ქართველი, როგლისთვისაც წინური – „წინურია“



„ჩემთვის წინური – ნამდვილი „წინურია“. ნაღდი ქართველი ვარ და ვერც ვერავინ გამეჯიბრება საქართველოს სიყვარულში“.

60



№43 (333)
26 ოქტომბერი
- 1 ნოემბერი,
2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები

- „ჯომბარი 4“ ანუ პოლიტიკალური შოუ 3
- ერთი კითხვა 4
- დეპორტირებულები

რუსეთიდან დეპორტირებული

- ქართული დანიის ამბავი 6

უსმოური პრესა

- „აბსოლუტური ხელისუფლება
აბსოლუტურად რყვნის“ 7
- ქრეანლისტის როლი

დამბარებული სათვალე, უსამსახუროდ დარჩენილი

- „სტარა“ და გამაღვანებელი სიყვარული 8

სახე

- ქუთაისელი „მარხეზი“,
ქორის ნაშვლად მოკლული ყვავი
და „შაბათის შოუს“ პალსტრინიანი ხეობა 10

პრობლემა

- ოქრასიის შედეგად,
ინვალიდად ქცეული პაციენტის ბივილი 12

ფსევტი

- „სინის ქალიშვილი“, ბრილიანტისლივობიანი
ბლუზა და საპარტოლო დანაშაული,
ბრაზი გოლინიის მემკვიდრე 14

მკითხველის თვალით

- „ზურა ან ბანკირი, ან მაღაზიანის ქალი აქვს“... 16

რეალური

- შაბი.GE პარალელურ სამყაროში 17

ფსევტი

- „ვიქასოს ბიჭის“ 32-ე ნახევრი
და დანაშაული დანაშაული... იუმორი 20

კოლეგა

- ქართული ქრეანისტი, რომელმაც
ბასავეთან შესვლისას ფსევტი არ გაიხადა... 22
- გზავნილები 24

პოსტა

- კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს
პირადი მხოვრება კეთილმოწყობელი აქვს 28
- ქრეანული

რეალური დამიღობილის რეაგია

- ბელეგო 30
- „ჯომბარულა“ ეთოპ დედის
18 წლის შავი პიანო... 33
- სტილისტი

„რეალური“ სტილისტი

- და სექსუალური პარკინილოვა 34
- ბიომ-პუტი 36
- რომანი

ზაზა ვარდა

- ველური ნაბლის ხეივანი (გაბრეკლება) 38
- ბაქარი
- მინდა მამა იონა მინდალი 42

- **ღიმილენაი**
- უშიშარი ქართველის სახა
- მიქაელაქის მსოვრების ღებალევი... 43
- **ჯანვრთალოვა** 44
- **საქითსაჲი ქალაგისთჲის**
- ✓ **პოვადა — ელვაგანგაროგის სიგოლო** 46
- ✓ **როგორ გამოვიხსნოთ მამაქაჲის**
- გუნევა ნაოქავის მიხედვით** 47
- **ასაარაჲი**
- ოთარ მარსეალაქის მანსი
- ღიღ ფანგურთჲი** 48
- **ქართული ღებაქივი**
- გოგა მანეალიქა.
- თათრი სიქვილი (გაგრქალევა)** 50
- **პარსკვალევი**
- ქიჲ უინსლავი:
- „როღასა განქორწინევის პროსანი მთელი
- მსოფლიოს თვალნინ მიგინარეოგს,
- ჯოჯონეთურ გემოსდას გაღისარ!“ 54
- **თინიჯარული პოგევი**
- „პატარა გიჲს ველოღეოლი,
- ვიღას ახმანი რომ მოვაღვა“... 57
- **იმიგრანეი**
- ხაო ზუნე! ანე ჩინელი ქართველი,
- როგლისთჲისას ჩინარი — „ჩინარი“ 60
- **გამოქითსა** 63
- **გომოღვარი მოსიქა** 64
- **პოროსკოვი**
- ქვირის (26 ოქტომბერი — 1 ნოემბერი)
- ასტროლოგიური პროგნოზი** 66
- **მიღვარავს მიღვა**
- ✓ „ღიქარეულელი“ აქლავედა 67
- ✓ **ღუნის არაგოსი: „არ გაღავღევი!“** 68
- **ავტო** 69
- **განსი**
- ნიღქანი თუ ფლიგარი?** 70
- **სქანოღლი** 71
- **...ღა გოღოს** 72

„რეპოლუნიონარი“ სტილისტი და სექსუალური პარსენოლოგა

„ჩემი ამრით, სულაც არ არის საჭირო სალონში ხშირად სიარული. შესაძლებელია, ქალი შინ იჯდეს და სხვებზე კარგად გამოიყურებოდეს. მთავარია, მან თავის მოვლის მეთოდები იცოდეს და კარგი გემოვნება ჰქონდეს“.



34

საშა მიქელაქის მსოვრების ღებალევი და სინანულით ნათქვამი სიტყვები


„იგი განმორჩილი, გამზღარი, ჩია კაცი იყო, გარეგნობით, შეიძლება ითქვას, რომ ცნობილ იაპონელ კინორეჟისორს — აკირა კუროსავას წააგავდა, რაზეც ხშირად ხუმრობდნენ. საშა ძიას სიმართლის პირში თქმა უყვარდა. დაუნდობელი იყო“.



43

„როღასა განქორწინევის პროგნოზი მიგინარეოგს, ჯოჯონეთურ გემოსდას გაღისარ!“

„არა! სიცრუის კომენტირება შეუძლებელია! ჩვენს განქორწინებაში მხოლოდ მე დამადანაშაულეს, ჯიმი კი უცოდველ მსხვერპლად შერაცხეს. უფრო მეტიც — პრესა წერდა, რომ მე არაფრის მაქნისი, უყურადღებო დედა ვარ“.



54

თეთრი სიკვდილი



— ნაცემი ხომ არა ხარ?
 — ნაცემი?! — გიომ გააფთრებული მგერა ესროლა მამაკაცს, რომელიც მისი ცემის დროს, ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარი, მშვიდად ეწეოდა სიგარეტს.
 — ჰო, ნაცემი, — გაიმეორა მამაკაცმა.

— არა... არავის ვუცემივარ და თავსაც შესანიშნავად ვგრძნობ, — გიომ გაჭირვებით ჩააბრუნა უკან ყელში მომდგარი ბურთი და მამაკაცს თვალი აარიდა.

50

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჲი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გაგოღის კვირაჲი პრთხელ, სუთშაბათოგით გაცემთ „კვირის პალიტრის“ ღამატევა

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასლის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მოაღვილევი: ლალი ფაცია, ლიკა ქეჯაია
 მენეჲერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49

ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvispalitra.com

„ტეობარია-4“ ანუ პოლიცრეაქციური შოუ ქართულად



ცნობილი ქართველი სახალხო მთქმელის ლექს-სე-ნის თქმისა არ იყოს, „ეს ცხოვრება არის დიდი თამა-ში, ეს ცხოვრება არის დიდი შოუ“...

დიახ, შოუ, რომელშიც მონაწილეობს ყველა, მიუხე-დავად ასაკისა, სქესისა და საერთოდ, ყველაფრისა. შოუ კი, რაც უფრო ახლოს იქნება სინამდვილესთან ანუ რეალობასთან, მით უფრო მომგებიანია. პოდა, ჩვენს ტელევიზიებსაც მეტი რა უნდათ, აავსეს ეთერი ათასგვარი რეალითი-შოუთი. მაგალითად, ის შოუ მომწონს ძალიან, მუსიკალურ არხზე რომ გადის, — „რეალური“ — აირჩევენ რომელიმე მომღერალს და მის ცხოვრებას დეტალურად გიჩვენებენ, მთელი ერთი თვის განმავლობაში: რით ცხოვრობს, სად ცხოვრობს, ვისთან ერთად ცხოვრობს, როგორ ჭამს, თუ შუბს როგორ რეცხავს, ხვრინავს თუ არა და ა.შ. ისე, მართლა საჭირო შოუა: ხომ უნდა იცოდეს ხალხმა, ის მომღერალი, სცენაზე რომ არ უქნია ღმერთს, იქნება, ოჯახში მაინც ვარგა?!

თუმცა მაყურებლის განსაკუთრებული მონონებით ის რეალური შოუები სარგებლობს, რომლებშიც მონაწ-

იანობი აბანავე, რაღა „რუსთავი 2“-ის და „ნოა-ნოას“ სააბაზანოში უშვებ საბანაოდ!..

თუმცა, მოდი, ნუ ვიქნებით ზედმეტად დანვრილ-მანებული კრიტიკოსები და ამ შოუების არსს გლო-ბალურად შევხედოთ, რამხელა „დიდაქტიკა და ალე-გორიაა“ ჩადებული თითოეულ პროექტში: დიდაქტიკა იმიტომ, რომ ბავშვი — თუნდაც 17 წლიდან რომ მონაწილეობს ამ შოუში, სწავლობს შრომას, ადრე გაღვიძებას, კონკურენტულ გარემოში ბრძოლას და საკუთარი თავის დამკვიდრებას საზოგადოებაში (კაი მეთოდია, თქვენ ნუ მომიკვდებით); ალეგორია კი იმი-ტომ, რომ იგავ-არაკებისა არ იყოს, ამ რეალურ შოუებ-ში მონაწილეობენ რიგითი ადამიანები და იგულისხმე-ბიან პოლიტიკოსები. ოღონდ, პოლიტიკოსებმა არ იციან, რომ ყველა კუთხეში ვიდეოკამერაა დამონტაჟებული, თორემ იმ კაცს ხომ არ დაუჯდებოდა ხინკლის და 20 ათასი დოლარის ფასად მთელი პოლიტიკური წარ-სულ-მომავალი?!

ეს პარლამენტი ხომ ერთი-ერთზე რეალური შოუა: იქაც არიან ხალხის ფავორიტები და ზურგშექცეულე-ბი, „მდიდრები და ღარიბებიც“ და „ამტანი“ ოპოზიციონერებიც, რომ-ლებიც „ბარმენჯერზე“ და უმრავ-ლესობაზე განაწყენებულები მიდიან ტელეკამერებთან და გულს იოხებენ. „პლუს-მინუს“ შეხვედრებს რაც შე-ეხება, ეს ხომ ყოველ მეორე დღეს იმართება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ოღონდ, აქ მინუსებს და პლუსებს ერთმანეთის მიერ წარმოდ-გენილ კანონპროექტებს უწერენ და მინუს-კანდიდატები სულ უმცირესო-ბის წევრები არიან... თუ ძალიან განირჩეს ვინმე, დეპუტატის უფლება-მოსილებადაც ართმევენ და „ბარიდანაც“ აგდებენ. ერ-თადერთი განსხვავება ისაა, რომ „ჯეობარი“ საკუ-თარი სურვილით რომ დატოვო, 5.000 ლარი უნდა გადაიხადო, პარლამენტში კი პირიქითაა: ნასვლაზე არანაირი სანქცია არაა, პარლამენტში მოსვლა ჯდება ძვირი...

რას იზამ, ყველა რეალური შოუ თამაშია, თითოეულ თამაშს კი თავისი წესები აქვს; ითამაშეთ, რა გენალვ-ლებათ!..

P.S. ორი მეზობლის დიალოგი:

— გამარჯობა, რაღა დაგიმალო და, ცუდი ამბავი მაქვს შენთვის.

— რა მოხდა ასეთი?!

— რა და, შენი გოგო ვნახე გუშინ ტელევიზორში, ვიდაცა დაუყარალებია, უცემია, სულ გაუძარცვავს და დაიჭირებს...

— უჰ, შენ გაგისკდა გული, როგორც მე გამიხეთქე! მე კიდევ შემეშინდა, ვიფიქრე, „ჯეობარში“ ხომ არ მონაწილეობს-მეთქი?!

პროპოკატორი



იღებები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ამარცხებენ, ლანძღავენ, აგინებენ (თუ საჭიროა, სცემენ კიდევც) და ა.შ. — უფრო ცხოვრებისეულია და იმიტომ. მაგალითად, რე-ალური შოუ „ამტანი“ — არ შეეფერება ეს შოუ ხალხ-ის მდგომარეობას?! ან „მდიდრები და ღარიბები“: ნახეთ, რა კარგადაა მოფიქრებული და ზედგამოჭ-რილი ეს სახელწოდება ვაკელებსა და გლდანელებზე...

იყო, განა არ იყო ქართულ ტელერეალობაში უფრო სერიოზული და სოლიდური რეალური შოუც, რომელიც მონაწილეთა ინტელექტსა და ბიზნესსალოზე იყო დამ-ყარებული და გამარჯვებული მაღალ თანამდებობასაც მიიღებდა ერთ-ერთ უმსხვილეს ბანკში, მაგრამ ვის რაში აინტერესებს შენი რეალური შოუ, თუ მინიმუმ ძუძუ არ გამოაჩინე „ლაივში“...

პოდა, რადგან ტელევიზია მაყურებლის მონაა და ხალხის გემოვნებასა და ცნობისმოყვარეობას უნდა ემ-სახურებოდეს, ა, ბატონო, ჯეობარი-1-2-3 და კიდევ „ჯეო ბარე ორიც“ იქნება... აბსოლუტურად გასაგებია მონაწილეთა მშობლების პრეტენზიები შოუს ორგანი-ზატორების მიმართ. მათი ქალიშვილების (?) ქალური ღირსების ეთერში ჩვენების გამო — ცენზურა მაინც დაადეთ „იმ“ ადგილებზეო... მაგრამ მეორეცაა: თუ ცენზურა გინდა, სახლში გააჩერე და საკუთარ სააბა-

„მინს საბარკაო პოლიტიკას გააკრიტიკებს, მოლაპარაკების სახელი არ ასცდება“ ...

— როგორ შეაფასებთ სხდომათა დარბაზში ოპოზიციის დაბრუნებას და რამდენად რეალურია, თქვენი აზრით, არასახელისუფლებო პარტიების მომძლავრების შანსი?

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

— ოპოზიცია ცდილობს, რომ იტყვიან, სახე შეინარჩუნოს და შეცდომა გამოასწოროს. ნებისმიერ ბოიკოტს მაშინ აქვს აზრი, როდესაც ის შედეგზე გათვლილი. ოპოზიციამ არჩევნები წააგო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათი პოლიტიკური ნაბიჯები სწორად არ იყო გათვლილი. პარლამენტის წევრისთვის მთავარი — საპარლამენტო ტრიბუნაა. ოპოზიციამ იფიქრა, რომ ამ დანაკლისის შევსება პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით მოახერხებდა, მაგრამ შეცდა. მათ არჩევნებისთვის გაერთიანებაც კი ვერ მოახერხეს. „ტროას ცხენის“ როლი სალომე ზურაბიშვილმა იტვირთა. მან მიიჩნია, რომ ლოიალური ოპოზიციის იმიჯს შეიქმნიდა, ხელისუფლება მის მიმართ გულისხმიერებას გამოიჩინდა და ამით წარმატების შანსი მიეცემოდა, მაგრამ თავდაცვ ნააგო და ოპოზიციის ბოიკოტიც, არჩევნებთან დაკავშირებით, ჩაიშალა. ეს ყველაფერი მიგვაჩვენებს იმაზე, რომ საქართველოში ძალზე სუსტი ოპოზიციაა. დღეს ხელისუფლება გამარჯვებას ზეიმობს, სხვა პარტიებს კი, დასკვნების გამოტანის უამრავი უდგათ. ვნახოთ, როგორ მიიღებს ოპოზიცია ახალ გამოწვევას, თუნდაც — რუსეთთან მიმართებაში. სამშობლო საფრთხეშია, ოპოზიცია დუმს, ხელისუფლება კი, ერთიანი ფრონტით გამოდის. საგარეო პოლიტიკის კრიტიკა ვინმემ რომ გაბედოს, მოლაპარაკების სტატუსი არ ასცდება. ოპოზიციას ცეცხლივით ეშინია ამის. ეს არ არის ჯანსაღი მდგომარეობა. ერაც-ისა და ირანის საკითხში „დემოკრატიები“ ბუმს უპირისპირდებიან, მაგრამ ამის გამო „ინკვიზიცია“ არავისთვის მოუწყვიათ... დღევანდელ ოპოზიციას კიდევ აქვს შანსი, ძალთა გადანაწილებითა და სწორი დასკვნებით, მძიმე სიტუაციიდან გამოვიდეს. როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებას ის არ სჭირდება. არადა, ქვეყნისთვის ძლიერი ოპოზიციის არსებობა აუცილებელია. ■

„დსთ-ში საქართველოს ადგილი არ არის“

— რამდენად გონივრულია ოპოზიციის მოთხოვნა, დღევანდელ ვითარებაში დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ, როცა თანამეგობრობის სამიტზე პუტინი-საკაშვილის შეხვედრა იგეგმება?

ლავოტი ბარკინი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:

— მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრაზე იმედების დამყარება, დიდი გულუბრყვილობაა. დსთ-ის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტს შეურაცხყოფას მიაყენებენ, რუსეთი და მისი მოკავშირეები კიდევ ერთხელ მოახდენენ საქართველოს დისკრედიტაციას. ჩვენს ინტერესებში არ შედის რუსეთთან კონფრონტაცია, თუმცა ენის მოჩლეკით ლაპარაკიც სრულიად მიუღებელია. ამიტომ, დსთ-ში საქართველოს დარჩენა უაზრობაა. ჩვენ მივმართეთ სააკაშვილს მოთხოვნით — დაავალოს მთავრობას, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გა-

მოსასვლელად აუცილებელი სამუშაოს ჩატარება. 2000 წელს რუსეთის ფედერაციამ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის შემოიღო სავიზო რეჟიმი. 2005 წელს დაიწყო ეკონომიკური სანქციები, კრემლის ანტიქართული კამპანია გადაიზარდა ანტიქართულ ისტერიის და ქსენოფობიის მიმართ. რუსეთის ტერიტორიაზე 300-მდე ქართველი ადამიანი დააპატიმრეს, ყოველგვარი ბრალდების გარეშე. რუსეთიდან ჩვენი მოქალაქეების დეპორტაცია მიმდინარეობს, ღირსების დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ფორმებით. აღარაფერს ვამბობ დსთ-ის ეგიდით კონფლიქტის ზონებში მყოფ ენ. „სამშვიდობოებზე“, რომელთაც ქართველთა შევიწროებისა და ფიზიკური ანგარიშსწორების გარდა, არაფერი გაუკეთებიათ. ასეთ პირობებში, საღად მოაზროვნე ხელისუფლება დსთ-ში აღარ დარჩებოდა. თუ სააკაშვილი ჩვენს მოთხოვნას გაითვალისწინებს, სამიტზე მოსალოდნელ შეურაცხყოფას თავიდან აიცილებს. ■

„ინტენსიური მოლაპარაკებები იმედს გვაძლავს, რომ ენერგეტიკული კრიზისი არ გვემუქრება“



— ენერგეტიკული კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ხელისუფლება ანარმოებს აქტიურ მოლაპარაკებას ირანთან. როგორც ვარაუდობენ, 1000 კუბმეტრ აირის საფასური 360 დოლარამდე შეიძლება გაიზარდოს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ასეთი პერსპექტივა?

თეიმურ გოჩიტაშვილი, ეკონომიკური ექსპერტი:

— რთული მოლაპარაკებები გველოდება. თუმცა, მდგომარეობა გამოუვალი არ არის. ენერგეტიკის სამინისტრო ანარმოებს მოლაპარაკებებს სამხრეთკავკასიური მილსადენის ოპერატორ კომპანია „ბიპისთან“ და თითქმის გადანყვებილია, რომ წელსვე 300

მლნ კუბმეტრ აირს მივიღებთ. წელს ამაზე მეტი არ დაგეგმრება, რადგან კონტრაქტით, „გაზპრომის“ ახალ წლამდე შეუფრთხებლად მოგვანვდის აირს. უარეს შემთხვევაში, შესაძლებელია, 2007 წლიდან რუსეთმა საქართველოს გაზის მოწოდებაზე საერთოდ უარი უთხრას. მაგრამ უფრო რეალური, „გაზპრომის“ მხრიდან გაზის საფასურის მომატებაა, თუმცა 1000 კუბმეტრის ფასი 170 დოლარს არ გადააჭარბებს. რაც შეეხება ალტერნატიულ წყაროებს, — აზერბაიჯანიდან შემოტანილი თხევადი აირი საქართველოს მოთხოვნებს სრულად ვერ დააკმაყოფილებს. თუ გაზის მოწოდებაზე დაკმაყოფილება, ეს თხევად აირს უფრო მეტად გააძვირებს: აზერბაიჯანიდან იმპორტირებული ერთი ტონა თხევადი აირის საბაჟო ღირებულება — 216, ხოლო თურქმენუსთან — 360 დოლარია. ამას ემატება ტრანსპორტირების ხარჯებიც. ირანთან დაწყებული მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, გაზის ტარიფი შესაძლებელია, მნიშვნელოვნად არ შეიცვალოს. საერთო ჯამში, ასეთი ინტენსიური მოლაპარაკებები იმედს გვაძლავს, რომ ენერგეტიკული კრიზისი არ გვემუქრება. ■

„ლარის კურსი ხელოვნურია, ფასები კი უფრო გაიზარდა“

— ექსპერტთა ვარაუდით, ინფლაციური პროცესები გაგრძელდება და ორ-სამ თვეში პროდუქტების შესაძენად, 3-ჯერ მეტი თანხა დაგვჭირდება, ვიდრე დღეს...

ზინა ხუბაშვილი, ეკონომიკური ექსპერტი:

— ქვეყანაში ინფლაციის მასშტაბი ძალზე დიდია. 2005 წლის ივლისამდე, ინფლაციის დონე ოფიციალურად, 14,5%-ს ფარგლებში დაფიქსირდა, რამაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხარე რეაქცია გამოიწვია. ექსპერტთა შეფასებით კი, ის 20%-ზე მეტს აღწევდა. დღეს სტატისტიკა მთავრობის სრული კონტროლის ქვეშაა. სამწუხაროდ, ხელისუფლების მიერ დაშვებული მრავალი შეცდომის პირველი მსხვერპლი, როგორც ყოველთვის ხდება, ამჟღავნებს, სოციალურად ყველაზე დაუცველი ადამიანები გახდებიან. რამდენიმე თვეში პენსიონერებს ისევ 45-ლარიანი პენსია ექნებათ, იმავე პროდუქტების შესაძენად

კი, რასაც დღეს ყიდულობენ, შესაძლებელია, სამჯერ მეტი თანხა დასჭირდეს. ინფლაციური პროცესების მიუხედავად, ლარის კურსი სტაბილურობას ინარჩუნებს. ლარის კურსის ხელოვნურობის გამო, როგორც თვით ლარი, ასევე ყველა სხვა სავალუტო ერთეული მსყიდველუნარიანობას კარგავს და გაუზარებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად, მოსახლეობა უძლურია, ფულადი დანაზოგები დაიცავს. მნიშვნელობა არა აქვს — დოლარი გვეყენება, ლარი თუ ევრო, — ვიდრე კურსი ხელოვნურია, ყველანაირი ფულის ერთეულის მსყიდველუნარიანობა ერთნაირად დიკლავს. უახლოეს მომავალში, ოპტიმიზმის საფუძველი არ არსებობს. ინფლაციური პროცესების შეჩერება ალბათ, ვერ მოხერხდება, რადგან ასეთი პრობლემების მოკლე ვადებში გადაჭრა უბრალოდ, შეუძლებელია. ახლა ბევრი რამ იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად ძლიერი აღმოჩნდება ჩვენი საზოგადოება, რომ ასეთ მძიმე პირობებს გაუძლოს. ■

„სააკაშვილი პუტინის ბრძანებებს ასრულებს“

— კონდოლიზა რაისისა და პუტინის შეხვედრას სხვადასხვაგვარი შეფასება მიეცა. თქვენი აზრით, როგორ აისახება მათი დიალოგი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე და უნდა გაემგზავროს თუ არა სააკაშვილი დსთ-ის სამიტზე?

ნოდარ ნათაძე, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი:

— ფაქტია, რომ დღეს ამერიკას რუსეთზე მეტი ძალა აქვს და უპირატესობაც მის მხარეზეა. თუ მას ეს ხელს აძლევს, მაშინ რუსეთს შეეწინააღმდეგება კი არა, ამიერკავკასიაში ერთ გოჯსაც არ დაუთმობს. მოსკოვში ეს ყველამ მშვენივრად იცის. მაგრამ როგორ განვითარდება მოვლენები, ეს ძნელი სათქმელია, რადგან პრობლემა ქვეყნის შიგნით არსებობს. ის, რაც სასწრაფოდ გასაკეთებელია, — თუნდაც, დსთ-დან გამოსვლა და ოფიციალურად იმის აღიარება, რომ რუსეთი გვეომიება, — ჭიანჭურდება. დსთ-ის სამიტზეც, სააკაშვილთან შეხვედრაზე პუტინი იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ მისთვის

ბრძანებების გაცემას ჩათვლის საჭიროდ. როგორც წესი, ჩვენი პრეზიდენტი მის განკარგულებებს ზედმინეფით ასრულებს: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან არ გამოვიდა, რუსეთის სამვიდობო მანდატი ჩვენმა პარლამენტმა კი გააუქმა, მაგრამ ამ გადანაცვლების შესასრულებლად, თითო თითზე არ დაუკრავს; რუსებზეა გაყიდული მასშტაბური და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები... ასე პირნათლად პუტინის ბრძანებებს მოსკოვშიც კი არ ასრულებენ. პუტინი ამით ქულებს იწერს. რუსეთიდან ქართველების გამოდევნა კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება და თანაც — უფრო შეურაცხყოფელი ფორმით. ქართველი ერის მოძულე რუსი, ამით აღფრთოვანებულია და რა მიზეზით უნდა თქვას პუტინმა საკუთარი ხალხის კმაყოფილებაზე უარი?! ჭკუათამყოფელი ადამიანები სააკაშვილს მალე ეტყვიან — როგორც მოსვლით გაგვახარე, ისე წასვლით გაგვახარეო. მან ვერც საგარეო პოლიტიკა აანყო და არც ქვეყნის შიგნით ივარგა. ■


„ეს ხელისუფლების უზურპასიონის მხდელობაა“

— ბოლო პერიოდში ჩატარებულმა თითქმის ყველა არჩევნებმა ცხადყო, რომ „ნაცმოძრაობას“ ყველა მაღალი რეიტინგი აქვს. რატომ მიიჩნევენ ოპოზიცია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები სააკაშვილმა მხოლოდ არჩევნებში გამარჯვების მისაღწევად მოიფიქრა?

მამუკა აპატიძაძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:

— შესაძლებელია, „ნაცმოძრაობამ“ არჩევნები მოიგო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სახელისუფლებო პარტია და მისი ლიდერი კარგავენ საზოგადოების ნდობას და მათი რეიტინგი რეგრესს განიცდის. ამდენად, პრეზიდენტს უნდა, რომ საარჩევნო კოდექსით, მატერიალურ-ფინანსური თუ ადმინისტრაციული რესურსების სრული მობილიზაციით, ერთიანად ჩაატაროს საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები, რადგან ახლო მომავალში მათი გამარჯვება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ახლა უკვე სააკაშვილმა დაიწყო საკუთარ ტყავზე კონსტიტუციის მორგება. მან ქვეყანაში ხშირი არჩევნების ჩატარება დაგმო. არჩევნები კი, სხვა არაფერია, თუ არა დემოკრატიის ხარისხის მაჩვენებელი. ეს ხელისუფლების უზურპაციის მცდელობაა. არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნების დამთხვევა არ ხდება. ქვეყნის მმართველობის ყველა შტოს ხელისუფლებაში ყოფნის ვადას განსაზღვრავს კანონი და პრეზიდენტის მიერ საკუთარი სურვილით ვადის გადანეწვადმონევა ამ კანონის დარღვევას ნიშნავს. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ქვეყნისთვის ამ ურთულეს ვითარებაში, პრეზიდენტი მხოლოდ საკუთარი თავისა და პარტიის გადარჩენაზე ფიქრობს. ამის მაგალითი საქართველოს უახლოეს ისტორიაში მრავლად მოიძებნება. ქვეყანა ჭაობში იძირება, პრეზიდენტი კი არაადეკვატურ ინიციატივებზე ლაპარაკობს. ჩემი აზრით, გაეროს რეზოლუცია, ასობით დემორტირებული ადამიანი, ცხინვალის რეფერენდუმი და იმის შესაძლებლობა, რომ რუსეთმა კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობა აღიაროს, — ეს ყველაფერი უნდა იყოს განხილვის საგანი და არა „თურქმენიზაციისკენ“ სწრაფვა. ■

„აბიტურიენტი 2005“ ბთავაზობთ მოზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.



22 და 29 ოქტომბერს 13.00 საათზე ლია კარის დღეს ატარებს თეიმურაზ ტორონჯაძე

თფოცფბღწ ზყწსუთმი ჩუღქაბფტუდ-ღწტოგდეფტემ მამჭ-ქფაუქფემლში ქუსტყ ვწღეწკშმ ღფკაგდ-ფქუქშლგდმ გტშმუქთმუქუმთ ზყწაუთწკშმყ ქშთა ზულშტში ღყ 31 შმ თფბ შმ თფკაყ ეუღაქ „,-,-№.-!:-ყ .;:-,“-№,-,-?“

რუსეთიდან დევორბირებული ქართველი დევნილის ახალი

„რუსმა დარმადეგმა წამალი არ მომცა – იმპორტი აერძალეს და შეიძლება, „ჩემს ხალხს“ დასჭირდესო“

საბჭოთა წყობილების დაშლის შემდეგ, ლუკმაპურის საშოვნელად, საქართველოდან რუსეთში მილიონზე მეტი ადამიანი წავიდა. უმრავლესობამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, ნაწილი კი, წლების განმავლობაში იქ არალეგალურად ცხოვრობდა. მცირეწლოვანი ქართველები, რომელთა მშობლებმაც უკეთესი ცხოვრებისთვის რუსეთს მიაშურეს, მშობლიურ ენაზე თითქმის ვერ ლაპარაკობენ. სამშობლოში დაბრუნებულ ბავშვებს ისევე, როგორც მათ მშობლებს, ცხოვრების დაწყება თავიდან მოუწევთ.

ლალი პაპასკირი

მარინა ფუტხარაძე, რუსეთიდან დევორბირებული:

— მოსკოვში დაახლოებით 10 წელი ვცხოვრობდი და ვმუშაობდი. რუს ხალხთან ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა და ვერასდროს ვიფიქრებდი, თუ ასე ეზიზღებოდათ ქართველი ვიყავი. მართალია, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ... ვერაფრით წარმომედგინა, უბრალო ხალხი ასე თუ გაბოროტდებოდა. დევორტი რომ არ გავკეთებინათ, იქ გაჩერებას აზრი მაინც აღარ ჰქონდა, რადგან რუსი ხალხისგან იმხელა ზიზღს ვგრძობდი, ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლიოდი. იცით, მართლა გაცივებული ვარ, იქ ყველა დარწმუნებულია, რომ რუსეთმა საქართველოს იმდენი სიკეთე გაუკეთა, მთელი არსებობის მანძილზე მათი მადლიერები უნდა ვიყოთ. ქუჩაში გვეუბნებოდნენ: ამდენი წელი ჩვენ გაქმევდით და თურმე, რა უმადურები ყოფილხართო.

— თქვენ პასუხი როგორ იყო?

— თავიდან შევეცადე მათთვის ამესხნა, რომ აფხაზეთი რუსული პოლიტიკის მიზეზით დევკარგეთ, მაგრამ იცით, რა მიპასუხეს? — აფხაზეთის დეკარგვა დესპოტ სტალინს დააბრალეთო. უბრალო გამყიდველების აზრს კი არ გუუბნებთ, მასწავლებლების მსჯელობითა და პოზიციით დავრჩით გაცივებულნი — შიტლერის ფაშიზმისგან ჩვენ გისხნითო. ერთმა ქართველმა ამის მთქმელს უთხრა: მეორე მსოფლიო ომში, პროცენტული მაჩვენებლით ყველაზე მეტი — ქართველი დაიღუპაო. არ დაუფერეს... ის ადამიანებიც, ვინც ქართველებს დევორტაციის წინააღმდეგი იყვნენ, ქართულ პოლიტიკას არ ამართლებდნენ. უბრალოდ, ეთნიკური ნიშნით ხალხის ქვეყნიდან გაქევებას ამართლებდნენ. დღემდე ძალიან ბევრს სჯერა, რომ საქართველო საბჭოთა რუსეთის ისტორიული ნაწილი იყო და იქიდან გამოსვლა არაკანონიერად მოხდა...

— მაინც, რაში გამოიხატებოდა მათი აგრესია, ყველაფერი ერთაშად შეიცვალა?

— იცით, ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც რუსეთის მთავრობამ ადგილობრივ ბაზარზე ქართული პროდუქტები აკრძალა. მასსოვს, მაშინ ხალხი შეიძლება ითქვას, შოკში იყო — როგორ გვწამლავდით ამდენ ადამიანს, ჩვენს ხალხს თავი დავანებოთ, აქ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს, თურმე, საკუთარი ხალხიც არ ედარდებოდათო. ქართული აქცენტით მოლაპარაკეს თუ შეამ-

ჩნევდნენ, ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მას საყვედურობდა.


— რამდენადაც ვიცო, თქვენ აფხაზეთიდან პირდაპირ რუსეთში არ გადასულხართ...

— არა, დევნილობის რვა თვე ზუგდიდში, ფაიფურის ქარხანაში გავატარეთ, იქ ვცხოვრობდით. გაეროსა და „ნითელი ვვრის“ წყალობით მშვიდობა არ ვიყავით და არც გვცვიოდა, კარ-ფანჯრებიც გამოცვალეს, მაგრამ სუფსისიანი ბავშვი მყავდა და მისთვის წამლები რომ მეყიდა, სახლიდან წამოღებული ყველა ნივთი გაცივდე. გარდა ამისა, 13 ადამიანი (აქედან 4 ღრმად მოხუცი), ორ ოთახში, აუტანელი სიტუაციაში ვცხოვრობდით. ვერ ჩემი მეუღლე წავიდა მოსკოვში, სადაც ნაცნობები ჰყავდა და მათთან ერთად სურსათის მაღაზია გახსნა. ცოტა ხანში, ჩვენც დავეკრე და სამივე შეიღთან ერთად გავმგზავრე.

— როგორ შეგვეთ იქაურობას?

— ძალიან გამოიჭირდა. არც აქ მქონდა აბარტამენტები, მაგრამ მოსკოვში ერთოთახიან სარდაფში, სადაც ყოველთვის ციოდა, წყალი ჩამოდიოდა და საშინელი ნესტი იყო — 150 დოლარს ვიხდიდით.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ წამლის ფული არ გქონდათ. რამდენადაც ვიცო, დევნილებისთვის ჰუმანიტარული დახმარება მედიკამენტების დარგებასაც ითვალისწინებდა...



საქართველოში არც სახლი მქონდა, არც კარი, თუ არ ჩავთვლით, სოხუმში დარჩენილ ცარიელ კედლებს (მარინა ფუტხარაძე შეიღებთან ერთად)

— კი, მაგრამ ის წამლები, რაც ჩვენ გვეჭირებოდა, ძალიან ძვირი ღირდა და ამ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული... მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, პრობლემებმა იმატა — უმცროს ბავშვს მოსკოვის წყალმა აწყინა და საშინელი ალერგია მისცა. თვეში ერთხელ კრუნჩხვებში ვარდებოდა. დღემდე ცუდად ვხდები, როცა ვისხენებ, მოსკოვში ჩასვლის პირველ დღეებში რაც გადავიტანეთ. ოღონდ ბავშვებს არ მომივებოდათ და მთელი დღე, ჩაისა და პურზე ვიყავი. მასსოვს, ერთხელ მეზობელმა რუსმა კარტოფილი და კატლეტი შემომიტანა. სხვათა შორის, მას საქართველო ძალიან უყვარდა.

— ჩვენს ქვეყანაში ნამყოფი იყო?

— არა, ნამყოფი არ იყო, მაგრამ წლების განმავლობაში უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და ვაჟა, ილია, ავაკი, გალაკტიონი, გამსახურდია და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეები მისთვის უყვარდნენ არ იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, შეიღიშვლებს „ვეფხისტყაოსანს“ ასწავლიდა. პირველ წელს, როცა ბავშვი სკოლაში გავეშვი, წიგნები და სასკოლო ნივთები მან გვიყიდა.

— წლების შემდეგ, ალბათ თქვენ მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა...

— დიახ. ბავშვები სკოლაში დამყავდა, მეც დავენიყე მუშაობა... საქართველოში არც სახლი მქონდა, არც კარი, თუ არ ჩავთვლით, სოხუმში დარჩენილ ცარიელ კედლებს.

— როგორც ვიცო, აფხაზეთში დაბრუნების სურვილი არა გქვიათ...

— ასეა, მაგრამ ძალიან მინდა, იქ ჩემი შვილები დაბრუნდნენ. მამაჩემი სოხუმში ქართული სკოლის დირექტორი იყო, საკუთარ სახლში გამოამწყვდიეს ნადირივით და დანვეს. ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ვნახე... ნებისმიერი დევნილი აფხაზეთში გატარებულ წლებს უსასღეროდ დიდი, ტკივილნარევი სიყვარულით იგონებს. საქართველოში დაბრუნება ამიტომაც გამოიჭირდა. თვითმფრინავიდან ჩამოსულს, თავი სხვა სამყაროში მეგონა... ყველაფერი ხელახლა მომაგონდა და ყველა აბოლები, რომელიც ამ ხნის განმავლობაში დევკარგე, თვალწინ დამიდგა. აფხაზეთში მამაჩემის საფლავიც კი არ მეგულება, სადაც შეიძლება ვიტყვიო და გული მოვიოხო. გვეითებით, რისთვის დავბრუნდე იქ? რა თქმაობისა, რომ ყოველდღე იმ სახლის კედლებს ვუყურო, სადაც მამაჩემი დაიფერფლა?..

— შვილებმა ქართული იციან?

— კი, ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ აქ მაინც, ყველაფრის სწავლა თავიდან მოუწევთ.

— რუსეთის მოქალაქეობის მიღება არ გიცდებათ?

— ეს არც ისე ადვილია. ყველაზე კარგი გამოსავალია, თუ ვინმესთან ფიქტიურად იქორწინებ, მაგრამ ალბათ გსმენიათ, რომ არც ისე იშვიათად, ეს ხელმოწერა ქართველი ქალებისთვის სავალალოდ სრულდება

— რუს მანდილოსნებს რაღაც მაგნიტურნი დასა აქვთ.

— როგორც ვიცი, ქართველთა უმრავლესობა თავს ვაჭრობით ირჩენს...

— კი, დიდი ნაწილი ქუჩაში დგას. უფრო მეტიც, შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მინახავს ქართველები, რომლებსაც დამის გასათევი ბინა არა აქვთ და პირდაპირ ვაგზლის სკამებზე იძინებენ. თავიდან ვამბობდი, ასეთ ძალღელურ ყოფას არ ერჩივნათ, საქართველოში დარჩენილიყვნენ, სოფელში მინა დაეშუშავენინათ, ცხელი საჭმელი მაინც ექნებოდათ-მეთქი...

— და აზრი რამ შეგაცვლევინათ?

— იცით, ჩვენი ხალხის დიდმა ნაწილმა იქ ცხოვრება ასე დაიწყო და დღეს, მილიონებს ატრიალებენ. ერთი ჩემი ნათესავი მოსკოვში რომ ჩამოვიდა, წელიწად-ნახევარი ავტოსადგურში შავ მუშად, მტვირთავად მუშაობდა. დამე მოსაცდელში ეძინა, მაგრამ დღეს, მოსკოვში უზარმაზარი საკონდიტრო მაღაზია აქვს.

— გამოასახლების საშიშროება არ ეშუქრება?

— ჯერჯერობით არა, მაღალჩინოსნებთან მეგობრობს და რუსეთის მოქალაქეობაც მიღებული აქვს.

— თუმცა რამდენიმე ისეთ ადამიანსაც შეეხო დეპორტი, ვისაც ადგილობრივი მოქალაქეობა მიღებული ჰქონდა.

— ვიცი, მაგრამ ჯერჯერობით, მას არ შეეხება.

— თქვენ რატომ ვერ მიიღეთ მოქალაქეობა?

— ჩემი შვილის გადაშევიდი, ამის თავი არ მქონდა. ვფიქრობ და ვერაფრით ვხვდები, რა შეიძლება საქართველოში გავაკეთო, რომ ოჯახი ვარჩინო. ისევ რუსეთში ნასწავლი ხელობა თუ წამადგება — საცხოვრებელი ვიმუშავე. მილიონებს არ ვატრიალებდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ჩემი შვილი დღეს ცოცხალი არ მყოლოდობდა. იმ წამლებს, რასაც რუსეთში ვყიდულობდი, აქ ვერ ვიყიდდი.

— რუსეთში ანტიქართული ისტერია რომ ჩანყნარდეს, იქ საცხოვრებლად დაბრუნდებით?

— ალბათ, არა. მესხიერებიდან არ ამომეშლება ის დღე, როცა ბავშვს სპაზმი დაეწყო. ნაწლის საყიდლად აფთიაქში შევვარდი და როდესაც ფარმაცევტმა ქართული აქცენტი შემატყო, ძალიან მშვიდი ტონით მითხრა: მედიკამენტს ვერ მოგცემო.

— რატომ?

— ამ წამლის იმპორტი კარგა ხანს არ იქნება და შეიძლება, ჩემს ხალხს დასჭირდესო. ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ ვნახე, ვინმეს რომ მოეყოლა, ალბათ, არც დაეუფერებდი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ აფთიაქში, რიგში მდგომი ხალხი გაბრაზდა და აყვირდა: ჰიტლერის გზას მიჰყვებითო. ერთმა ვიტრინის მინაც კი ჩამოსვრია. წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსებმა თონეს ქართული წარწერა — „თონის პური“ ჩამოასხიეს და აზრა ჩემ თვალწინ დანვს... იქ რომ დავბრუნდე, ეს ნიშნავს, რომ ჩემმა შვილებმა ქართული ფესვები საბოლოოდ უნდა დაკარგონ, სხვაგვარად რუს თანატოლებთან ურთიერთობას ვერ შეძლებენ.

„გასოღუსუჟი ხელისუფლება გასოღუსუჟად ჩქვნი“

ალბათ, სწორედ ეს არის ძირითადი აზრი იტალიურ L'Espresso-ში ამ დღეებში გამოქვეყნებული სტატიისა, რომლის ავტორიც რუსეთის ხელისუფლების „აბსოლუტური გარყვინის“ დეტალებსაც კი განსაკუთრებული გულმოდგინებით განიხილავს. თუმცა, მე პირადად, აღნიშნული პუბლიკაცია მხოლოდ ჩვენს გააგებულ დიდ მეზობელზე მცირეოდენი „რევეანის“ მიზნით ნამდვილად არ მომიხშია. ვფიქრობ, ის შეიძლება, იმ სარკვედ იქცეს, რომელში ჩახედვა და ფრთად სამწუხარო პარალელების გაგვებაც, ადრე თუ გვიან, ჩვენც მოგვინევს. როგორც ჩანს, აბსოლუტურ ხელისუფლებას გამოწვევები არ უყვარს და ამიტომაც, ყველგან და ყველას თითქმის ერთნაირად — ანუ აბსოლუტურად რყვინს...



და კიდევ ერთი მიზეზი, რომელმაც განაპირობა იტალიელი ჟურნალისტის წერილისადმი ჩვენი ყურადღების მიპყრობა: ამ სტატიის ავტორი ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის უახლოესი მომავლის პროგნოზირებას ცდილობს და ბუნებრივია, მოცემული ანალიზი ჩვენთვისაც ძალზე საგულისხმოა.

რუსულან ლეპანიკა პუტინი – რუსეთის მამა და მარჯნალი (?!.) (L'Espresso იტალია)

მკვლევრობები. კორუფცია. მავია. ყველა მტერი ციხეში ზის. მთელი ძალაუფლება ცენტრალიზებულია და მიუხედავად ამისა, რუსეთს მაინც უყვარს თავისი მეფე, რომელიც ასეთი პოპულარობით ადრე არასდროს სარგებლობდა. ისმის კითხვა — რატომ?

...ვიტია ბოგარევი ნამდვილად შორს წავა: ის ჯერ მხოლოდ 13 წლისაა, მაგრამ უკვე მიხვდა, თუ მთელი არა, მისი სამყარო მაინც — ანუ ვლადიმირ პუტინის რუსეთი — როგორაა მოწყობილი. ვიტის ნახატზე (ლაპარაკია „ექსპრეს-გაზეტას“ მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე — „ბავშვები ხატავენ პუტინს“) გამოსახული, სუპერმენის კოსტიუმში გამოწყობილი პრეზიდენტი მოსკოვის თავზე დაფრინავს (უკანა პლანზე კრემლი ირეკლება) და როგორც უმწეო კატის კნუტის, ისე დიდადი დედარუსეთის გადასარჩენად, ერთნაირად მზადაა... ვიტის ნახატის გვერდით, მოსწავლეთა კიდევ 300 ნამუშევარს მოუყრია თავი. ეს ნახატები ხალხის წარმოსახვაში ჩაბეჭდილი, კრემლის მთავარი „ნაჩაღნიკის“ იკონოგრაფიულ სახეთა სრულ ნაკრებს წარმოადგენს. პუტინი — მოთხილამურე, ჩოგბურთელი, სახელმწიფო მოღვაწე, მექანიკოსი, პარაშუტისტი, მფრინავ-გამანადგურებელი; პუტინი ტყეში, სადაც მას საყვარელი შავი ლაბრა-

დორი კონი ახლავს თან და მშვიდობის მტრედები დასტრიალებენ თავს; პუტინი — „კაბეებს“ ავგენტი, რომელიც ჯაშუშს იპყრობს; პუტინი — პრეზიდენტი, რომელიც ნარკოტიკებს, დანაშაულსა და კორუფციას ძიუდოს იღეთებით ებრკვის; პუტინი ქალიშვილებთან — მარიასა და კატერინასთან ერთად; მეუღლე ლუდმილას წინაშე მუხლმოყრილი და ხელში



ყვავილების დიდი თაიგულით... და პუტინი — კოსმოსშიც კი, სკაფანდრით და ძალთან ერთად, რომელიც ლავკას სრული ასლია: მიუხედავად იმისა, რომ რუსული „შატლი“ — „ბურანი“ ცაში ერთი კოსმონავტის ასაყვანადაც კი ძალზე მძიმე აღმოჩნდა და ახლა მდინარე მოსკოვის ნაპირს „ამშვენებს“, რუსული კოსმოსური სიდიადის შესახებ შექმნილი მითი რუსებს მაინც ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი.

გაგრძელება 62-ე გვერდზე

ლალი შახია

კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა სამმართველოს უფროსს დავით ოქტაშვილს მე და ხატია სიჭინავა სამინისტროში ზუსტად მაშინ ვენციეთ, როდესაც ამ დანესე-ბულებაში შესვენება იყო. ბატონმა დათომ ჩვენ გამო მეგობრები მიატოვა, ბუფეტში ჩასვლაზე უარ თქვა და შესვენებისთვის განკუთვნილი დრო ჩვენ დაგვიტოვა...

ქართული — ხატია სიჭინავა
რუსული — ლალი შახია

— დათო, დიდი ხანია, არ მინახავს და შენთან ქორაობა არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. რა ხდება ახალი?

— მეც კარგა ხანია, არ მინახავს, ჩემკენ მშვიდობაა. შენკენ?

— მე „სტერეოდან“ წამოვედი. აღარ ვარ ამ ტელეარხის წამყვანი.

— რატომ?

— გადაწყვიტე, რომ გაგიზარდო, დრო აღარ არის? კულტურის სამინისტროში რა რეფორმები მიმდინარეობს? რა ღონისძიებებს გეგმავთ?

— რასაც ამ შემოდგომაზე ვგეგმავთ და რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ეს არის სუბსიდიების ანაზღაურების საკითხი. „ხელოვნების ხელოვანთა თვისი“, რომელიც ფილარმონიის დარბაზში 17, 18, 19 ნოემბერს გაიმართება. ალბათ იცი, რომ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტადაც ამირჩიეს და მინდა, რომ აღნიშნულ კონცერტებზე შემოსული თანხა იმ ხელოვანთ მოხმარდეს, ვისაც მართლა უჭირთ. ამ აქციაზე შენც გეპატივები.

— დიდი მადლობა. დათო, მშვენივრად გამოიყურები და მაგარ ფორმაში ხარ.

— გმადლობ.

— სამსახურში გენციეთ. ახლა შენს კაბინეტში ვიმყოფებით და ვიტყვი, რომ ის არაჩვეულებრივად გაქვს მოწყობილი. კედლებიც მზარულ ფერშია შეღებილი.

— ჩემი გემოვნებით მოვანწყვე.

— მწვანე ფრად რატომ გაქვს კედლები შეღებილი, იმიტომ, რომ მწვანე ნერვებს ამშვიდებს?

— კი, დღევანდელ ცხოვრებას ბევრი სანერვიულო ახლავს თან და ზოგჯერ საჭიროა, გაუფრთხილდე და დაზოგო საკუთარი ნერვები.

— მგონი, ნერვული სისტემა არც ისე „აშლილი“ გაქვს, არა?

— მართალია, ნონასნორობიდან ადრე უფრო ხშირად გამოვდიოდი. ახლა — ნაკლებად, რადგან „ორი ყურის“ პრინციპით დავინწყე ცხოვრება...

— ქართულ შოუბიზნესში რა ხდება?

— გული მტკივა იმაზე, რომ ეს სფერო



ღაბბჰრატანი სოტჰანი, უსასახრომე ღარჩინი „სტარჰა“ და გაბჰლავნაბუანი სოჰრატანი

საქართველოში წინ ვეღარ მიინევს, თითქოს ერთ ადგილზე გაიყინა. სამწუხაროა, რომ ბოლო დროს შოუბიზნესის ზოგიერთი წარმომადგენელი გაუგებარ სიტუაციაშიც აღმოჩნდა: ის, რაც თემურ თათარაშვილის შემთხვევაში მოხდა, ჩემთვის ნამდვილი შოკი იყო. ეს ამბავი გულს მწყვეტს. ამავე დროს, მახარებს ის, რომ სოფო ხალვაშის სახით, ახალი ვარსკვლავი გამოჩნდა. ნიჭიერი გოგონაა, კარგი ადამიანია, მას სერიოზული გეგმები აქვს...

— კულტურის სამინისტრო მას ხელს შეუწყობს?

— დიახ, სამინისტრომ სოფოზე შეფობა აიღო და ამას მომავალი წლიდან ყველა დაინახავს. სახელმწიფომ საკუთარ თავზე აიღო მის შემდგომ შემოქმედებით გაზრდა-განვითარებაზე ზრუნვა. ის გაისად „ვეროვიზიანზე“ გამოვა...

— სოფოს მართლა კარგი მონაცემები აქვს, გეთანხმები.

— იცი, რა, მან სიმღერაც იცის და პიროვნული თვისებებითაც გამოირჩევა. ასეთი შერწყმა დღეს იშვიათობაა: თან მღეროდე და თან, კარგი ადამიანი იყო...

— მაინტერესებს, არაპროფესიონალი მომღერლებისთვის თუ მოიცლით და თუ მოხდება ამ სფეროში რაიმე „გაფილტვა“? ყველას სცნაზე დგომა ხომ არ შეიძლება? იქნებ, ლიცენზია მოსთხოვოთ მათ და ყველა კლიბი ტელევიზიით არ გავიდეს?..

— კულტურის სამინისტრო საავტორო უფლებების დაცვის თემაზე პარლამენტში საკითხის დასმას აპირებს. შეურაცხყოფა, როდესაც ამა თუ იმ კომპოზიტორის ან მომღერლის სიმღერას ვიღაც აიღებს და ხელაღებით ჩანერს. მერე ეს სიმღერა კაცს ან რესტორანში გესმის ან რომელიღაც ბაზრობაზე. ეს დაუშვებელია. ბიძინა კვერნაძისგან, ნანი

ბრეგვაძისგან მსმენია — როდესაც ვინმე მათ სიმღერას სადმე გამოიყენებდა, მათ შესაბამის თანხას უხდიდა.

— ახლა რასაც ამბობ, ეს სხვა პრობლემაა. მე სხვა რამ გკითხვ: საქართველოში ყველა მღერის, განურჩევლად იმისა, ეყრდნობა თუ არა სიმღერა. როდის მოელება ბოლო იმას, რომ ყველა არ იდგეს სცენაზე?

— ამაში მათ არც ბეჭდურმა და არც ელექტრონულმა მედიამ არ უნდა შეუწყოს ხელი. ისინი როდესაც ხედავენ, რომ ტელევიზიაში მათ კლიპებს უჩვენებენ, ჟურნალებში მათი ინტერვიუები იბეჭდება და რადიოში ისმის მათი ნამღერი, უჩნდებათ ამბიცია და ფიქრობენ, რომ უკვე ვარსკვლავები არიან.

— მგონი, ქართველების დაავადებაა, რომ ყველას ვარსკვლავობა უნდა. ესე იგი შეზღუდვა არ არსებობს და ვისაც უნდა, მღერის.

— ამ დღეებში ფილარმონიაში, „ჯეოსტარზე“ გახლდით მისული. სანამ კონკურსი დაინტყობდა, ეკრანზე კლიბი გაუმეტეს გვიჩვენეს კადრები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო შესარჩევი ტურები. როდესაც ეს კადრები ვნახე, შემრცხვა: ერთ-ერთი კონკურსანტი „ჯეოსტარის“ შესარჩევი ტურზე მივიდა იმისთვის, რომ ემღერა „სამი დალიე“... უიური გაგიჟდა. მგონი, ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს გემოვნება არა აქვს.

— აქ, კედლებზე არაჩვეულებრივი ფოტოები გაქვს გაკრული. ისინი სხვადასხვა დროსაა გადაღებული და არაერთი ცნობილი ადამიანი გომწვენებს გვერდსაი, ალა პუგაჩოვსაც ქებდავ.

— ალა პუგაჩოვა ის ქალბატონია, რომელიც ცოტა ხნის წინ რუსეთის ერთ-ერთი არხით გამოვიდა და თქვა — ქართველებს ვერასდროს დააჩოქებთ, ეს არის ერი, რომელსაც

საკუთარი თავმოყვარეობა აქვს; საქართველოში ბევრი მეგობარი მყავს და მათ ყოველთვის დავეუჭერ მხარს, რასაც მათ მიმართ სჩადის-ართ, ეს ნამდვილი საშინელებააო. მე, ნანი ბრეგვაძემ, ბუბა კიკაბიძემ დაფურცკეთ და ამ სიტყვებისთვის მადლობა გადავუხადეთ.

— იოსებ კობახიძეს კარგი გამოხატვა შექონდა.

— კი. მაგრამ მანამდე აღამ თქვა სათქმელი. რუსეთში არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენთან მართლა მეგობრობენ, უყვართ საქართველო...

— ესე იგი, ქართველი ვარსკვლავები რუსეთში საერთოდ ვეღარ მიიღებ?

— როგორც ვიცი, ბუბა კიკაბიძემ იქ წასვლაზე უარი თქვა... იცი, კიდევ რისი თქმა მინდოდა?... 21 ნოემბერს ფილარმონიის წინ, რუსუდან სემისკვერაძის ვარსკვლავი იხსნება.

— რა კარგია ესე იგი, ძალიან საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობ.

— დიხ და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კულტურის სამინისტროს ყველა თანამშრომელს, იმისთვის, რომ აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

ქრნალიტი – ღათო ოპიჰაჟილი რესპონდენტი – ხატია სიჰინავა

— ხატია, ჩემო კარგო, ძალიან მიყვარხარ. საუბრის დასაწყისში მითხარო, რომ „სტერეოზე“ აღარ მუშაობ. იქედან წამოსვლის მიზეზს არ გამანდობ?

— მიზეზი ერთია: „სტერეოში“ ჩემი თავი კარგა ხანია, ამოწურულა. მაგრამ ამ არხის მიმართ „მშობლიური“ განცდა მქონდა და თავს ვერ ვანებებდი. ახლა მივხვდი, რომ დროა, უფრო მაღალ საფეხურზე ვიფიქრო და შესაბამისად, გადავინაცვლო კიდევ.

— ძალიან კარგი გადაწყვეტულა ბაა. კონკრეტულად რა გვამბობ გაქვს?

— საკუთარი ტოქსოუ მინდა გავაყვითო. პროექტი უკვე დაწერილი მაქვს, სადაც ჩამოყალიბებულია, თუ რა მინდა. ვფიქრობ, პროექტი ტელევიზიებს შევთავაზებო. ცნობილი რუსული პროგრამების — Пусть говорят და Принцип Домино-ს საინტერესო შერწყამა. მას მე და სალომე გოგიაშვილი წავიყვანთ და ერქმევა — „ილაპარაკონ“...

— მგონი, ნებისმიერი ტელევიზიისთვის, სადაც კი მიხვალ და მუშაობას დაიწყებ, მონაპოვარი იქნები, სადაც არ უნდა წახვიდე არ დაიკარგები.

— ეგ არ ვიცი (იცინის) ისე, ძალიან მინდა, ამ პროექტით „რუსთავი 2“ დაინტერესდეს, რადგან ძალიან მომწონს ამ ტელევიზიის მუშაობის პრინციპი. იქ გუნდური მუშაობა იცინა.

— გეთანხმები. ხატია, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?

— გათხოვებას ვერ ვეფერებით არ ვაპირებ.

— რას ამბობ? ამბობენ, თხოვ

დებო და მე მიმაღავე?! ისე გპირდები, რომ შენს ქორწილში სპეციალურად შენთვის, ინდურ ცეკვას შევასრულებ.

— (იცინიან) თხოვდებო, ამბობენ? ისე, მაინტერესებს — ნეტავ, ვის მივყვები, იქნებ ვინმემ მითხრას?..

— ვიცი, რომ თავყანისმცემლები უხვად გყავს. ახლაც სამინისტროში რომ შემოსვდი, უამრავმა მამაკაცმა გამოგაყვალა თვალს.

— მეც შევნიშნე... ისე, კულტურის სამინისტროშივე ხომ არ მომეგვარებინა ჩემი პირადი ცხოვრება (იცინის)?..

— არც ეგ არის პრობლემა. თუმცა, შენი გემოვნების ამბავი რომ ვიცი, იშვიათად რომ ვინმე მოგეწონოს. რაიმე პროექტ-ლონისძიება ერთად ხომ არ გავგეჟებინა?

— რა მაგარი იქნებოდა! თქვათ, უხარისხო მუსიკის წინააღმდეგ დავირაზხოთ.

— კარგი მოდი, დავამტვროთ, გავანადგუროთ უხარისხო, ულიცენზო კასეტები და ყველანაირი პროდუქცია, რომელიც ახალგაზრდების გემოვნების დამახინჯებას უწყობს ხელს.

— არ არის პრობლემა. რაც დამტვრევასა და გაფუჭებას იმსახურებს, არ დაგზარდება და ამ საქმეში სიამოვნებით გვერდში დაგიდგები.

— იცი, ამას რატომ გეუბნები? ისევე როგორც მე, შენც განუხებს ეს პრობლემა, ის, რომ უგემოვნო მუსიკას დიდი დოზით ვუსმენთ. სუბიშვილების კონცერტთან დაკავშირებით, „ასა ფართის“ დისკო დამჭირდა. წავედი ბაზრობაზე და ვიყიდე 25 ლარი გადავიხადე. ეს იყო ანსამბლთან შეუთანხმებლად გამოშვებული კასეტა. თან, რაც მთავარია, კასეტა

არ ჩაირთო. დიდუბის ბაზრობაზე რომ შეხვიდე, რას არ იყიდი?! ყველაფერი ფალსიფიცირებული და გაყალბებულია. ისე, ჩემო ხატია, სათვალე რატომ მოიხსენი, ძალიან მომწონდა სათვალეში, გინდებოდა.

— სიყალბე „დავამსვრიე“, მოვიხსენი სათვალე.

— „სტერეოს“ იმიჯიც „დაამსვრიე“?

— არა, სათვალის მოხსნა „სტერეოს“ იმიჯის დამსვრევას არ ნიშნავს. უბრალოდ, მინდა, ყველას დავანახო, რომ ელამი არა ვარ, რადგან ჩემზე ამბობდნენ — ელამიაო. სათვალის მოხსნითა და დამტვრევით, ტელე-იმიჯი შევცვალე და არა რეალური. „სტერეოსა“ ჩემში მინაგანად ზის.

— ბოროტი ხარ?

— „ბოროტისა“ და „სტერეოს“ ერთმანეთთან გაიგივება არ შეიძლება. „სტერეოს“ ის არის, როდესაც ადამიანს პირში სათქმელს ეუბნები და უკან არასდროს იხევ. რატომღაც დღეს სიმართლის თქმას ბევრი ერიდება, ერთმანეთს ელაუქუებიან...

— ხატია, რაკილა „სტერეოს“ იმიჯს ისევე ინარჩუნებ, მოდი, მითხარო — „ფეიბარ-3“-ის მონაწილე გოგონებზე რას ფიქრობ? მათზეც ამბობენ „სტერეოები“ არიანო.

— უბრუნდებო, უხეშობისა და „სტერეოსის“ ერთმანეთთან არევა არ შეიძლება. სამწუხაროდ, ვერ ვუყურებ ამ პროექტს, სულ ორჯერ შევავლე თვალი. იმ გოგონების სახელებიც არ ვიცი. ამიტომ ვერ გეტყვი, რომელი იყო, მაგრამ ვილაცა ბიჭს ზემოდან რომ ევჯდა, ეს ვნახე. ეს გახლდათ პირველი კადრი, რომელიც „ფეიბარ-3“-ში ვიხილე. თავისუფლებაც მესმის, უკომპლექსოა, მაგრამ ნუ დაგავინყდებათ, სად ვცხოვრობთ. პირველსავე დღეს, ასეთი გახსნილი და გაშიშვლებული სცენები პირადად ჩემთვის მიუღებელი იყო.


— მიმარჩია, რომ I და II „ფეიბარ“ უფრო მისაღები იყო, ვიდრე ეს — ბოლო. შეიძლება, ვერ ახალი დანყებულა და იმიტომ არის ასეთი გაუგებარი სიტუაცია. თუმცა, არ დავმაღავ და ვიტყვი, რომ იქ ჩემი ორი ფაფორიტი მყავს. ყველას ვურჩევ დანყარდე, რადგან ვერ ვერ მივხვდი, ვინ ვინ არის და ვის რა უნდა.

— მე მივხვდი, ბიჭებს რა უნდათ — რომ კარგი ტიპები იყვნენ და ასეთებდა გამოჩნდნენ; გოგონებს კი, „რაშები“ აქვთ არეული, ამისგან შოკში ვარ. ვფიქრობ, ბიჭებს უფრო გაუადვილებათ თამაში, ვიდრე გოგონებს...

— იქ სათამაშოდ თუ შეტეოდლი?

— რა თანხაც არ უნდა მომცენ, ჩაკეტული სივრცეში უცნობ ადამიანებთან ერთად ვერ ვიცხოვრებ.

— ხატია, ძალიან მიყვარხარ. — მადლობა.



შენს ქორწილში სპეციალურად შენთვის, ინდურ ცეკვას შევასრულებ...

ქუთაისელი „შარახეზია“, ქორის ნაცვლად მოკლული ყვავი და „შაბათის შოუს“ პალსტუხიანი ხუმარა „ჩაინიქას ცოლი მე მოვატაცებინე“ ...

ბევრს ის ფილოლოგი ან ჟურნალისტი ჰგონია, რადგან გამართულად და სწორად წერს, კალამიც უჭირს და გონებაც: თუმცა, ის არც ფილოლოგია და არც ჟურნალისტი. არც მეტი, არც ნაკლები — ინჟინერ-მექანიკოსია, ქუთაისის „გეპეის“ გამოშვება. დამთავრებული აქვს აზნე-სატრანსპორტო, სამშენებლო და საგზაო მანქანების და მონყობილობების ფაკულტეტი. არადა, ამ პროფესიის კაცი (როგორც ჩვენი ვართა — „შაბათის შოუს“ საინფორმაციო ბლოკის წამყვანი — იგივე აპოლო მარგველაშვილი), ძალიან სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას. მაგრამ რად გინდა?! საკუთარი პროფესიის მიმართ ლტოლვა არასდროს ჰქონია. სადიბლომო შრომაზეც იმდენი უნვალაია, ერთი „კატკოკი“ ძლივს დაუპროექტებია, რომელიც მისი ვარაუდით, თუ ამუშავდა, ხუთ მუშას მაინც მოკლავს და ბრიგადირს დაასახირებს... ამიტომ ვართემ გადაწყვიტა, ისევ სიცილით „მოკლას“ ხალხი და იუმორს „ჩაეხუტა“... დიდი ხანია, ის გოგინას გუნდის აქტიური წევრია.

ლალი შახია

— როგორც ჩანს, პროფესია შეცდომით აგიჩვენია რატომ?

— ქუთაისში სულ ორი ინსტიტუტი იყო: ერთი — აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური და მეორე — „გეპეი“. თუ ცოდნა გქონდა და ფული — არა, „გეპეიში“ ხვდებოდი. ინსტიტუტში პირველივე კურსიდან „კავენიშ“ შემიტყუა და ყველაფერი იქიდან დაიწყე. „მოვიწამლე“. წლების განმავლობაში „კავენიში“ ვთამაშობდი. საქართველოს „კავენიშის“ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლდით იმერეთსა და მთელ დასავლეთ საქართველოში. რეგიონებში ვაწყობდი შეჯიბრებებს და გამარჯვებული გუნდები თბილისში ჩამომყავდა. ჩვენს გუნდს, რომელშიც ვთამაშობდი, „შარახეზიები“ ერქვა. 1998 წელს, საქართველოს ჩემპიონები გახდით. მეთათე ჩემპიონატზე ვეტერანებმა ვითამაშეთ და ჩვენი სახელწოდება ნიკა არაბიძის თაობას გადავეცით — ახლა „პიკასოს ბიჭები“ რომ არიან, მათ. 1999 წელს არსზე შემოქმედებით გაერთიანება „კავკასიაში“ მიგვიწვიეს. იქ ორი წლის განმავლობაში საინფორმაციო-პაროდიულ პროგრამა „მაცნეს“ ვამზადებდით, ავტორები ჩვენ ვიყავით. მე წამყვანი გახლდით... ამის შემდეგ პრესაში გადავინაცვლე, საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავე.

— შენ ჟურნალ „გზასთან“ თანამშრომლობდი.

— დიას. მართალია. რამდენად უცნაურიც არ უნდა იყოს, „დიდების ზღაპარშიც“ ვმუშაობდი. საწყალი ობოლა ციმაკურიძე რომ დაიღუპა, მისი თოჯინები, რომელთაც ამოვანებდა, „დაობლდნენ“ და „დამუხვდნენ“. ჰოდა, მის ნაცვლად, მე მიმინვიეს, ვახა თარგამაძის თოჯინას და კიდევ სხვებსაც ვამოვანებდი.

— ავთო, ყოველთვის გულახდილი ხარ?

— რა თქმა უნდა! სიმართლის თქმა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენს გუნდში ყველაზე უფროსი მე ვარ, მაგრამ არც ამის გამო გამჭირვებია ბიჭებთან ურთიერთობა.

— მაინც რამდენი წლის ხარ, თავს ასე რატომ იბერებ?

— 40-ის.

— არ გეტყობა და ნუ იტყვი...



მეუღლესთან ერთად

— (იცინის) დასამალი რა არის?!

— რამდენი ხანია, რაც გოგინას გუნდში სცენარისტად მუშაობ?

— „ლამის შოუ“ რომ დაიწყე, დათო გოგინაიშვილი, მე და კობა ბარათელს (ჩაინიკას) დაგვიკავშირდა და თანამშრომლობა შემოგვთავაზა. მაშინ პრესაში ვმუშაობდი, სამსახურებს ასე უცბად ვერ მივატოვებდი, ამიტომ, თავიდან შტატგარეშედ დავინწყე „ლამის შოუსში“ მუშაობა. 2 კვირაში ერთხელ მივდიოდი და დაახლოებით 50 ხუმრობა მიმქონდა. ჩაინიკაც ქუთაისიდან ჩამოდიოდა ხოლმე. მერე, ნელ-ნელა გავთავისუფლდი სხვა სამსახურებიდან და შოუსში მთლიანად ჩავერთე.

— აქამდე რატომ არ ჩნდებოდი ეკრანზე — მაშინ, როცა თითქმის

ყველა სცენარისტი „შაბათის შოუსა“ თუ „ცოცხალი შოუს“ სახე გახდა?

— პირველობაში არ ჩამომართვათ და მინდა ვთქვა, რომ დათომ ძლიერი გუნდი შეკრა. სად არ მიმუშავია და თანამშრომლებთან ისე, როგორც დათო გოგინაიშვილი მუშაობს, არავის უმუშავია. არ ვიცი, შეიძლება ეს ამერიკული მენეჯმენტის შედეგია. მას სწორად და კარგად აქვს ყველაფერი გათვლილი. მშვიდ, წყნარ გარემოში იქმნება შოუები... როცა კადრს მიღმა ვმუშაობდი და ეკრანზე არ ვჩანდი, თავი დათრგუნვილად არასდროს მიგრძნია. მერე რა, თუ ჩემს მეგობრებს თაყვანისმცემლები თვალსა და ხელს შუა უჩნდებოდათ ან პოპულარობის გამო, ვთქვით, რომელიმე მათგანს პატრული, ჩემგან განსხვავებით, 20-ლარიან ჯარიმას არ უწერდა. არასდროს მქონია ამბიცია, რომ ვინმეს ქუჩაში აუცილებლად ვეცნე.

— დღეს „შაბათის შოუსში“ საინფორმაციო ბლოკი მიგყავს. რატომ გადაწყვიტეთ ასე?

— ჯერ კიდევ შარშან, „შაბათის შოუს“ მუშაობისას გაჩნდა იდეა — ერთ სკეტჩად გაგვეკეთებინა კლასიკური საინფორმაციო ფორმატის (ჩართვით, სტუმრით, რეპორტაჟით, სპორტული თუ კულტურული მიმოხილვით) გამოშვება. როდესაც ვანი გადავასხიშვილი „ლამის შოუს“ წამყვანად გადავიდა, ჩავთვალეთ, რომ „შაბათის შოუსში“ უკვე დრო იყო, მაყურებლისთვის ჩვენი ჩანაფიქრი შეგვეთავაზებინა. მერე იქვე გადაწყვიტა — ვართემ ნაიყვანოსო.

— ვართე ვინ დაგარქვა?

— რაც თავი მახსოვს, ვართეს მექსიან. სრულიად პატარას, როგორც ჩანს, ავთო ვერ მიტყვამს და ვართე წამომცდენია. ასე რომ, თვითონ დავარქვი საკუთარ თავს ვართე. მერე სკოლაშიც, ინსტიტუტშიც და ყველგან ასე მიცნობდნენ.

— მე ეს შენი იუმორისტული ფსევდონიმი მეგონა.

— არა, ეს იმიჯის ნაწილი არ არის (იცინის).

— როგორია იუმორისტულ-საინფორმაციო გამოშვების წამყვანობა?

— დიდი პასუხისმგებლობაა. უკვე ორი წელია, „შაბათის შოუს“ მიდის ჩვენს ეთერში და მასზე მაღალი რეიტინგი ცნობილ პოლიტიკოსებსაც კი არა აქვთ, ეს გამოკითხვებმა აჩვენა. ასეთ გადაცემაში ჩემი გამოჩენა ადვილი არ იყო, თან, „შაბათის შოუს“ სხვა მონაწილეებზე ასაკით უფროსი ვარ, შეცდომა არ მეპატიება. მაგრამ ეს ბლოკი „შაბათის შოუსში“ მოულოდნელად არ გასულა. ივლისიდან დავწყვეთ მასზე მუშაობა, საცდელი გადაცემებიც გვექონდა, ბევრი ვიფიქრეთ და შესაბამისად, კარგი ფილტრიც გაიარა, რომ მეტად დახვეწილიყო. ასე რომ, წამყვანობა გადასარეგია (იცინის).

— შენ „შაბათის შოუს“ ყველაზე სერიოზული გამომეტყველების მქონე ხუმარა ხარ. როგორ ახერხებ ამას?

— ჩემი იუმორის გარეგნული სახე სერიოზულია. სხვათა შორის, ეს იუმორის კლასიკური ფორმაა. რადგან ტიპური საინფორმაციო გამოშვების გამარჯება გადაწყვიტეთ, მეც სერიოზული წამყვანი ვარ. კარგია: ღიმილის გარეშე აცხადებ — სელმა ჰაიევი კვლავ დედოფლისწყაროშია...

ლაშა



გიორგი

მერე ნანამ აუხსნა: საინფორმაციო გადაცემის წამყვანი იქნებაო... სხვათა შორის, ლაშამ ცოტა ხნის წინ ბითის იდეა მომანოდა, რომელიც გადაცემის ხუმრობა გახდა. გოგინაიშვილმა დაფაზე „ლაშა“ დაწერა და ხელფასიც გამოუწერა. ლაშამ კი ამაზე ასეთი კომენტარი გააკეთა: ახლა, ფაქტობრივად, „ლაშის შოუში“ ვმუშაობო...

— თვითონ რაზე გეცინება?

— იუმორზე. ცრემლებამდე შემიძლია ვიხარხარო...

— ვანო ჯავახიშვილისა და მიშა ანდლულაძის პერსონაჟებზე გეცინება?

— რა თქმა უნდა! როგორ შეიძლება, საცოდავ გურამზე ან გაიოზ არტამანიძეზე არ გაცეცინოს?! მიშა ანდლულაძემ ქართულ იუმორისტულ სივრცეში არარსებული ქალის სახე შექმნა, რომელიც ძალიან საყვარელია, თუმცა, ნაწული ძალიან ცუდი ქალია... მიშას ქალის ქცევის ისეთი მომენტები აქვს დაჭერილი, რომ გაგიკვირდება...

— თუმცა ბევრიგან მსმენია, რომ ის, რასაც „შაბათის შოუს“ ბიჭები გვთავაზობენ, მასობრივ მაყურებელზეა გათვლილი, „კომერციული იუმორია“ და ის იუმორის მწვერვალი არ არის. არადა, ვინც ამას ამბობს, შესაძლოა, „შაბათის შოუს“ პერსონაჟთა ფრაზებითა და ტერმინებით მეტყველებდეს.

— არავინ იცის, რა არის იუმორის მწვერვალი. იუმორი ბუნებისგან ბოძებული ნიჭია, მაგრამ აუცილებელია, შენს თავზე ბევრი იმუშაო. როგორც გუთანი ილესება ხვით, ისე იუმორიც იხვეწება მუშაობის პროცესში. მით უმეტეს, თუ პროფესიად გაქვს ქცეული ხალხის გაცინება, რაც საქართველოში ძალიან ძნელია. იუმორი ჩემთვის სიცოცხლე, ჰაერი, ცხოვრება, მეგობრები და ბევრი კარგი რამ არის. იუმორით ვცხოვრობ და ვსულდგმულობ.

— ეს შენი მეუღლისთვის ადვილი ასატანია?

— კი, რადგან მეუღლე „კავეენზე“ გავიცანი. 1988 წელს ვითამაშე პირველად

„კავეენში“. ის მონინალმდევე გუნდის წევრი იყო. მაშინ წესი იყო — „კავეენის“ თამაში მონინალმდევე გუნდებს შორის ჩხუბით უნდა დამთავრებულიყო და ასეც მოხდა. მაგრამ თ თვეში, მე და ნანა დავკორინდით. ჩემს მეუღლეს კარგად ესმის ჩემი და ჩემი საქმისაც. მე რომ სხვა სამსახური გამომიჩნდეს, სადაც ხუთჯერ დიდი ხელფასი მექნება, ვიდრე დღეს მაქვს, დარწმუნებული ვარ, დისკომფორტი მასაც ექნება, რადგან იცის, რომ იუმორის გარეშე სულიერად გამოიჭირდება.

— ესე იგი, თქვენ შორის ნამდვილი სიყვარულია, არა?

— კი. როცა ოჯახი შევქმენით, მე 21 წლის ვიყავი, ნანა — 19-ის. ჩემი უფროსი შვილი გიორგი 17 წლის არის, პირველი კურსის სტუდენტია, უმცროსი — ლაშა, 12 წლის გახლავთ.

— როგორც თინეიჯერებს შეეფერებათ, ისინი ხომ არ გაკრიტიკებენ?

— ამ საინფორმაციო გამოშვებაზე მუშაობა რომ დავინწყეთ, ეს ამბავი ჩემი მეუღლის გარდა, სახლში არავინ იცოდა. ბოლოს ყველაფერი რომ გადაწყდა და გადაცემაში ჩემი სკეტჩი უნდა ჩამჯდარიყო, პირველ ჩანერაზე ნანამ პიჯაკი და შარვალი დამიუთოვა. ლაშას უკითხავს — მამამ ტანსაცმელი რატომ წაიღო? — „შაბათის შოუში“ ჩაწერა აქვსო. — აუ, ახლა იქ უნდა ილაბუცოს, ეს მას არ შეეფერება. იცოდე, მე სკოლაში აღარ წავალო...

— ვანო ჯავახიშვილმა „ლაშის შოუში“ რომ გადაინაცვლა, ამაზე რას გეცხვია?

— ვიმსჯელებ და ერთხმად გადავწყვიტეთ... დათოს იმდენი საქმე უგროვებოდა, რომ „ლაშის შოუს“ წაყვანას ვეღარ სწვებოდა. მან ამ ყველაფრის კოორდინირება არჩია. აგვისნა — ჩვენი მომავალი საქმიანობისთვის, მე თუ წამყვანი აღარ ვიქნები, უკეთესი იქნებაო. ისე, ეს მისგან მოულოდნელი განცხადება იყო. მერე გაჩნდა „ლაშის შოუს“ წამყვანის ახალი კანდიდატურა. ის „შაბათის შოუს“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და ხალხისთვის საყვარელი პერსონაჟია.

ვფიქრობდით, რომ გაამართლებდა. ასეც მოხდა.

— ის მოკლე კოსტიუმი, რომელიც შოუს დროს აცვია, ძალიან უხდება...

— მას სამზოლიანი „ადიდასის“ სპორტული სამოსიც უხდებაოდა. ძალიან საყვარელი ადამიანია, მაგარი კაცია. მე მჯერა მისი!

— ვართუ, რაზე ბრაზდები?

— ვერ ვიტან უწესრიგობას, არაპუნქტუალურობას.

— ზოდიაქოს ნიშნით მერწყული ხომ არ ხარ?

— არა — კირჩხიბი, 14 ივლისს ვარ დაბადებული, ვაჟა-ფშაველასა და ნოდარ დუმბაძის დაბადების დღეს.

— მაშინ, ბუნება გეყვარება.

— ძალიან. ქუთაისში რომ ვცხოვრობდი, 14 ივლისს, მეგობრებთან ერთად, ბაღდათის გზაზე მუხნარში გავდიოდი. იქ ერთი ტყე მქონდა ამოჩემებული, სადაც ჩემს დაბადებას აღვნიშნავდით ხოლმე. ვწვავდით მწვადებს და ვმხიარულობდით. ბიჭები მეხუმრებოდნენ — სანამ ამ ტყეს არ გადაწვავ, ვერ მოისვენებო.

— თევზაობა და ნადირობაც გიყვარს?

— მიყვარს. ვინ იცის, რამდენი ღამე გამითენებია მდინარის პირას — თევზის მოლოდინში, წვიმამიც დავევლებულვარ, რომ თევზი დამეჭირა. ბუნებაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

— ნანადირეზე რას გეცხვია?

— რაც მომიკლავს, ეს არის ერთი ყვავი...

— იმედი მაქვს, თეთრი არ იყო.

— არა, არა (იცინის)... სოფელი მაქვს ოფჩაში, ბაღდათის რაიონში, სადაც მეზობლები წუწუნებდნენ — ქორი გყავს შემოჩენილი, წინილი და დედა-



ვართუ მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად

საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს? ამ ორგანიზაციაში არსებული მონაცემებით მატულობს თუ არა ექიმთა მიერ დაშვებული შეცდომების რიცხვი? რა არის ამის მთავარი მიზეზი — ექიმთა არაპროფესიონალიზმი თუ თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურის ნაკლებობა? რატომ გამწვავდა მცდარი დიაგნოზისა თუ მკურნალობის პრობლემა ბოლო დროს? ამ კითხვებზე სააგენტოს ხელმძღვანელი **ზინა თვალაშვილი** გვპასუხობს:

— სააგენტოს დანიშნულებაა კონტროლი გაუწიოს ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობას. კონკრეტული დარღვევის შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული მოგვმართავს საჩივრით, შუამდგომლობით შევდივართ სასამართლოში. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოთხოვნას, ჩვენი სპეციალისტები საქმის შესწავლას იწყებენ. ჩვენ ვსწავლობთ დოკუმენტაციას, იმას, თუ რამდენად სწორი იყო ჩატარებული მკურნალობის კურსი, დაცულობა თუ არა სახელმწიფო სტანდარტი. შემდეგ, ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია განსახილველად გადაეცემა სერტიფიკატის მომნიჭებელ საბჭოს. საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე მსჯელობს სასამართლო და გამოაქვს დასკვნა: ექიმის მიერ ჩადენილი ქმედება უყურადღებობის შედეგს წარმოადგენს, შეცდომას თუ დანაშაულს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია. ჩვენი სამსახური 2004 წლის 1-ელი ოქტომბრიდან ფუნქციონირებს. ამ ხნის მანძილზე, არაერთი საქმე შევისწავლეთ.

— როგორია სტატისტიკა? მატულობს თუ არა ექიმთა მიერ დაშვებულ შეცდომათა რიცხვი?

— სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მატულობს. 2004 წლის (1-ელი ოქტომბრიდან 31 დეკემბრამდე) გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 28 შემთხვევა. 2005 წლის სერტიფიკატის მომნიჭებელი საბჭოს წინაშე დაისვა 228 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. აქედან სერტიფიკატი გაუუქმდა 8 ექიმს, შეუჩერდა 18-ს და წერილობითი გაფრთხილება მიიღო 159-მა ექიმმა. 2006 წლის 20 სექტემბრის მონაცემებით, საბჭომ განიხილა 212 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი. აქედან 3 ექიმს სერტიფიკატი გაუუქმდა, 50-ს შეუჩერდა, ხოლო 139-მა

მიიღო წერილობითი გაფრთხილება. ლაპარაკია ისეთ მძიმე შემთხვევებზეც, როდესაც ექიმის დაუდევრობას პაციენტის გარდაცვალება მოჰყვა. პაციენტ კახა კარბელაშვილის საქმის გამო ე.წ. „მიხაილის საავადმყოფოს“ 4 ექიმს შეუჩერდა სერტიფიკატის მოქმედება, ხოლო 30-ზე მეტმა თანამშრომელმა მიიღო წერილობითი გაფრთხილება. საქმის შესწავლის დროს სერიოზული დარღვევები აღმოვაჩინეთ... კანონით, თუ ექიმი წლის განმავლობაში 3-ჯერ მიიღებს წერილობით გაფრთხილებას, შემდეგ შემთხვევაზე საბჭო განიხილავს მისი სერტიფიკატის შეჩერების საკითხს — გააჩნია დარღვევის ხარისხს და დარღვევით გამოწვეულ შედეგს.

— ცნობილია, რომ რამდენიმე ექიმი სასჯელს იხდის ჩადენილი დანაშაულის გამო.

— 3 ექიმი სასჯელს იხდის, ხოლო 5-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. თითოეული მათგანის დანაშაული მძიმეა. ენახთო, რა განაჩენს გამოიტანს სასამართლო.

— რა მიზეზით ხდება უფრო ხშირად მცდარი დიაგნოზის დასმა — ექიმის არაპროფესიონალიზმის თუ სათანადო აპარატურის არქონის გამო? და კიდევ — ყველა-სათვის ცნობილია, რომ არის შემთხვევები, როდესაც პაციენტს სხვადასხვა კლინიკაში სხვადასხვა დიაგნოზს უსვამენ.

— ბოლო წლებში საქართველოში უახლესი აპარატურა შემოვიდა — როგორც სახელმწიფო საავადმყოფოებში, ასევე კერძო კლინიკებში, მაგრამ აპარატურით მალაქვალისფერი ექიმი უნდა სარგებლობდეს. პრობლემა, რომელიც ასეთი აქტუალური გახდა, მე ვფიქრობ, განათლების სისტემიდან მოდის: ბოლო დროს ძალიან გაიოლდა სტუდენტობა, ისეთ ბაზაზე იხსნებოდა ინსტიტუტები, სადაც მალაქვალისფერი სპეციალისტის და მით უმეტეს, ექიმის აღზრდა, საეჭვო იყო. სამედიცინო სწავლის დროს, თუ სტუდენტმა ავადმყოფი არ ნახა, პრაქტიკა არ გაიარა, შეუძლებელია, მის გან პროფესიონალი ჩამოყალიბდეს, რაც არ უნდა ნიჭიერი და მონადირე იყოს (თუმცა, არსებობენ გამოწვევის შემთხვევებიც) მედიცინაში შეცდომებს ბოლომდე ვერ აღმოვფხვრით იმიტომ, რომ არ



არის ზუსტი მეცნიერება. ერთი და იმავე სიმპტომებით რამდენიმე დაავადება იწყება. მცდარი დიაგნოზის დასმა ძალზე ბევრი ფაქტორით არის განპირობებული.

— თქვენ ეს პრობლემა განათლების სისტემას დაუკავშირეთ. როგორ ფიქრობთ — დღეს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოფენ მაღალკვალიფიციურ კადრებს?

— იმედია. ექიმს სჭირდება არა მარტო დიპლომი, არამედ სერტიფიკატიც. სერტიფიკატის მისაღებად, მან გამოცდა უნდა ჩააბაროს. სამწუხაროა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ გამოცდებზე ჩვენ ძალიან ცუდ შედეგებს ვიღებთ. მაგალითად, ერთ-ერთმა მოქმედმა ექიმმა მხოლოდ 11 ქულა დააგროვა: ეს იმას ნიშნავს, რომ დასმული 2000 კითხვიდან მხოლოდ 22-ზე შეძლო სწორი პასუხის გაცემა. გვქონდა შემთხვევა, როცა 18 სწორ პასუხზე მეტი ვერ გაუციათ და ა.შ. საბოლოოდ, ჩაჭრილ და დაბალქულიან ექიმთა ძალზე დიდი რაოდენობა დაგროვდა. სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიკატის არმქონე ექიმის მუშაობა დანაშაულის ტოლფასია. უკანონო საქმიანობის პირველად გამოვლენის შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულება 1.000 ლარით ჯარიმდება, მეორე შემთხვევაზე — 2.000-ით, ხოლო მესამედ — 3.000 ლარით. შემდეგ, უკვე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგება. ჩვენ სერტიფიკატის გაყალბების შემთხვევებიც გამოგვივლენია და არც ერთი დარღვევა რეაგირების გარეშე არ დაგვიტოვებია.

რეაგირება თავისთავად, აუცილებელია. მცდარი ქმედება და მით უმეტეს — დანაშაული, რომლის შედეგადაც ადამიანის ჯანმრთელობა შეირყა ან, კიდევ უარესი, სიცოცხლე შეენირა, — სათანადოდ უნდა შეფასდეს. მაგრამ მთავარია, რაც შეიძლება ნაკლები მსგავსი შემთხვევა მოხდეს. საამისოდ კი, უნდა ჩამოყალიბდეს სისტემა, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს არა მარტო სუბიექტურ, არამედ ობიექტურ სამედიცინო შეცდომათა რიცხვს და გამოორიცხავს ექიმის დანაშაულებრივ ქმედებას.





ლევ გოლიცინი

ლელა ჩიყაშვილი

ლევ გოლიცინს, ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ და პროგრესულად მოაზროვნე რუს თავადს ქართველი ქალი ჰყავდა ცოლად, რომელსაც ხერხეულიძევას გვართ იცნობდნენ. ამგვარად არუსულედნენ რუსეთის იმპერიაში ქართულ გვარებს. შეიძლება სწორედ ქართველი მოყვრების დამსახურება იყო, რომ ლევ გოლიცინმა ყირიმში, თავის თვალუწვდეველ მამულში იშვიათი ჯიშის ზვრები გააშენა და პირველმა, რუსეთის იმპერიაში, მეღვინეობას მოჰკიდა ხელი. ამ უმდიდრეს მემბ-



ირინა ტრუბეცკაია

„სინის ძალიშვიდი“, ზირიანისლიცხიანი ზღუზა

და საქართველოში დახანჯული, ზღუზი პოლიტიკის შემკვირვე

მუღეს თვით იმპერატორიც კი სტუმრობდა და განცვიფრებული რჩებოდა მისი ფუფუნებით. საბჭოთა ქარცეცხლში გამოვლილმა, უკიდურეს სიღატაკში ჩავარდნილმა მისმა შთამომავლებმა საქართველოს შეაფარეს თავი და აქაურ სიტუაციის ნაზიარებთ სხვაგან ნასვლაზე აღარც უფიქრობათ.

ბევრი თბილისელი პირადად იცნობდა ლევ გოლიცინის შვილიშვილებს — ირინა და მარინა ტრუბეცკაიებს. ეს ინტელიგენტი, ტანჯული ქალბატონები მესსიერებაში ინახავდნენ პაპის თვალუწვდეველ მამულს ყირიმის ნახევარკუნძულზე, ლევ გოლიცინის დაარსებულ ქალაქს, სახელად „ნოვი სვეტს“. ახსოვდათ იმპერატორის სტუმრობა „ნოვი სვეტში“, საგანგებო მიღებები, ლხინი... ტექნიკის უკანასკნელი სიახლეებით აღჭურვილი ლვინის ქარხნები, ძვირფასი ფერწერული ტილოების კოლექცია, რომელიც ლევ ნიკოლოზის ძემ მუზეუმის დასაარსებლად ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადასცა მთავრობას. კოლექციის დიდი ნაწილი დაიკარგა. ამ ქალბატონებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი გვარი ივანე მრისხანის დროიდან მოდიოდა და ცამეტ ფაფახს ითვლიდა — ხელმწიფე ფაფახით აჯილდოებდა დამსახურებისათვის. ცამეტი ფაფახის ფლობა იშვიათი და დიდი პატივი იყო გვარისათვის.

რუსუდან ქუთათელაძე:

— ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობდი მარინა ნიკოლაევნა ტრუბეცკაიას — ლევ გოლიცინის შვილიშვილს. მოსწავლე ვიყავი, ის რომ ციხიდან გამოვიდა. დედაქალაქში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. ჯერ ლიკანში დასახლდა, შემდეგ — თბილისში, ოღონდ ჩანერის უფლების გარეშე. ციხეში მხოლოდ თავადური წარმომავლობის გამო ჩასვეს. რევოლუცია რომ მოხდა, თავადი გოლიცინი ახალგარდაცვლილი იყო. მისი საფლავიც კი დაარბიეს. ნათესავეებმა ემიგრაციაში წასვლა დააპირეს. მარინაც მიდიოდა, მაგრამ ბოლო წუთს მობრუნდა, იქნებ იმიტომ, რომ საყვარელი მეუღლის — ალექსანდრე ლლონტის (დაპატიმრებული იყო) ბედი არ იცოდა. ყირიმში რომ გასაქანი არ მისცეს, საქართველოში ჩამოვიდა, მაგრამ რევოლუციურმა ძალადობამ საქართველოც მოიცვა და მარინა ტრუბეცკაია ციხეში მოხვდა. გათავისუფლების შემდეგ სამსახურში ვინ მიიღებდა. მიუხედავად იმისა, რომ პრო-

ფესია არ ჰქონდა, უაღრესად განათლებული იყო. იცოდა გერმანული, ფრანგული ენები, ისტორია, ხელოვნება. შინამოსამსახურედ მუშაობდა. ხშირად სტუმრობდა ჩვენთან. უკვე ასაკოვანი იყო, ხელში ქსოვილის ჩანთა ეჭირა, რუსები „კატომკას“ რომ ეძახიან, ისეთი. ასეთი ჩანთა მხოლოდ მანანალას თუ დაჰქონდა... ჩანთაში მუდამ უნიკალური წიგნები ელაგა — არ ვიცი, სად შოულობდა. რუსული ლიტერატურის უნიკალური



იმ დროს დამაბატიმრეს, როცა ირინა და მარინა ტრუბეცკაიები ციხეში ისხდნენ

ნიმუშები მან გამაცნო. რომ არა ქალბატონი მარინა, ვერასოდეს გავიცნობდი პოეტ ანდრეი ჟემჩუჟნიკოვს, დმიტრი მერუჟკოვსკის... მან წამაკითხა აკრძალული წიგნები... მგონი, იმ გროშებით, რომელსაც სულის გასატანად სიმწრით შოულობდა, წიგნებს ყიდულობდა. სხვა ძვირფასეულობა მისთვის არც არსებობდა... ერთხელ მიაბო, — ჩვენთან რომ ჩამოვიდა დედოფალი, ძალიან სადად ეცვაო. ვკითხე, მაინც რა ეცვა-მეთქი? შავი ხავერდის ბლუზა, რომელიც ექვსი დიდი, ბრილიანტის ლილით იკვრებოდაო. გამეღიმა, — ბრილიანტებით განწყობილი ბლუზა რაღა სადა და უბრალოა-მეთქი? არა, ნამდვილად სადად და უბრალოდ ეცვაო. ბრილიანტის საყურეები მეც მქონდა და მხოლოდ იმიტომ მიყვარდა, ბალახზე რომ დავანყობდი, მზეზე ელვარებდა. ბრილიანტს სხვა რა ღირებულება აქვსო?! ერთხელ ჩემმა მეუღლემ ამბავი მოიტანა — მოსკოვთან ახლოს, აგარაკ უზკოეზე ხანძარი გაჩენილაო. მარინა ნიკოლაევნა ძალიან შეწუხდა. თურმე ეს

მარინა გრუბეცკაია



აგარაკი მამამისის მამული ყოფილა და ბავშვობაში იქ ისვენებდა ხოლმე. შემდეგ უზკოე საბჭოთა აკადემიკოსების დასასვენებელი სახლი იყო. როგორღაც მოხდა, დიდების საუბარში ჩავერიე. მარინა ნიკოლაევნამ შენიშვნა მომცა: — **Когда орлы говорят, пчелы молчат.** მერე დასძინა — ჩემი ნათქვამი არ გეგონოს, პაპაჩემი ამბობდა ასეო. საბჭოთა მთავრობამ ირინა ნიკოლაევნა ტრუბეცკაიაც არ დაინდო, ისიც დასავით ჯერ დააპატიმრეს, მერე კი გადაასახლეს. ათი წელი იყო ციმბირში. დაბრუნებულს არ ჰქონდა დიდ ქალაქში ცხოვრების უფლება. ზაგორსკში ცხოვრობდა და ბიბლიოთეკაში მუშაობდა. ხელფასი 50 მანეთი და 50 კაპიკი ჰქონდა. თავი იმით გაჰქონდა, რომ დისერტაციებს ასწორებდა სტილისტურად. დიდი დამსახურება მიუძღვის ქართველი ერის წინაშე — ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ თარგმნა ფრანგულად... ძალიან უჭირდა, ფაქტობრივად, შიმშილობდა. ამბობდნენ, მძიმე ხასიათი ჰქონდაო. ექნებოდა, იმდენი ტანჯვა გამოიარა.

თინათინ თუშალიაშვილი იგონებდა:

— იმ დროს დამაპატიმრეს, როცა ირინა და მარინა ტრუბეცკაიები ციხეში ისხდნენ. 1942 წლის შეთქმულთა ცნობილი საქმის გამო ამიყვანეს — სტუდენტებს სამშობლოს დალატი დაგვაბრალეს... საკანში ექვსი ქალი ვიყავით. ერთ-ერთმა მითხრა, — ირინა ტრუბეცკაია ვარო. დეკაბრისტების ჩამომავლობისა ხომ არა ბრძანდებით-მეთქი? — ვარო. არ იყო ძალიან მაღალი, მორიდებული და ნალღლიანი თვალები ჰქონდა. ფანჯრებს გარედან თუნუქის ფურცლები ჰქონდა ჩამოფარებული და საკანში ნახევრად ბნელოდა. საღამოობით ირინა მივიდოდა ფანჯარასთან და ლოცულობდა. გავიფიქრე, — დედაჩემმა რომ იცოდეს, ასეთი ადამიანის გვერდით მოგხვდის, რა გახარებული იქნება-მეთქი! ინ-

ტელექტუალური პიროვნებები კვალს ტოვებენ ხოლმე საკნის მკვიდრთა სულში. ჩვენ მოვიფიქრეთ გასართობი. დავასახელებდით ასოს და იმ ასოზე უნდა ჩამოგვეთვალა ქალაქები ან მწერლები... ირინა ტრუბეცკაია ცოცხალი ენციკლოპედია იყო. ძალიან დავახლოვდით. ჩემამდე იმ სა-

კანში სომეხი კომპოზიტორის, სპენდიაროვის ქალიშვილი იჯდა, შემდეგ — არქიტექტორ ქურდიანის ცოლი, გერმანელი ლუცი ქურდიანი. ირინა ტრუბეცკაია მათ ხშირად იგონებდა სიყვარულით. ერთი ქალი დონბასიდან იყო, ჩვენზე ორი წლით უფროსი. როცა ირინა წაიყვანეს, ჩემი თავი იმ ქალს ჩააბარა. როცა ვინმეს ლამით იძახებდნენ, ველავდით, ვლოცულობდით. ერთი მალრაძის ქალი იყო, გამოძახების დროს ტირილს იწყებდა, ტირილით მიდიოდა და ბრუნდებოდა. სახე აწითლებული ჰქონდა. გამოძიებული მას სახეში ურტყამდა. ათი დღე გრძელდებოდა სამხედრო ტრიბუნალი. საკანში რომ დაგვაბრუნეს, იქ უკვე მარინა ნიკოლაევნა ტრუბეცკაია დამხვდა, ირინას და. ვუთხარი, ირინასთან ერთად ვიჯექიმეთქი. იმ დღიდან დაგვეგობრდით. შემოდგომა დადგა. აცივდა. მე კი მსუბუქად მეცვა. მარინას ორი ხალათი ჰქონდა — ლურჯი და წითელი. ხან ერთს მაცმევდა, ხან — მეორეს. „ციხის ქალიშვილს“ მეძახდა. მეუბნებოდა, მინდა, შენაირი იყოს ჩემი ქალიშვილი. რამდენიმე დღის შემდეგ 33 კაცი ნაგვიყვანეს და გამოგვიცხადეს განაჩენი. სამ ჯგუფად ვიყავით დაყოფილნი...



მარინა გრუბეცკაიას ქალიშვილი გაგაინა (გაბა) დღონტი თბილისში ცხოვრობდა

ვფიქრობდით, ყოველი ჯგუფის მეთაურს ალბათ დახვრეტას მიუსჯიან-თქო. 17 დახვრიტეს. ბევრს 5-10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. სამნი გაგვათავისუფლეს. ამის შემდეგ კიდევ დავრჩი ციხეში. მარინა მეუბნებოდა: იცოდე, თანამშრომლობას შემოგთავაზებენ და არ დათანხმდებო. ეს გმირობის ტოლფასი იყო. დამაბარა: ჩემი გვილი ნახე, უთხარი, საქართველოდან არ წავიდესო. ერთხელ საკნის კარი გაიღო და ირინა შემოვიდა. დები ერთმანეთს გადაეხვივნენ. საოცრად ამაღლევბელი იყო მათი შეხვედრა. საშინლად იტანჯებოდნენ, ოღონდ არასოდეს დაიჩივლებდნენ. ვცდილობდი, დავეზარებოდი. ყოველ ხელფასზე მარინა ნიკოლაევნას 10 მანეთს ვაძლევდი.

ისიც მელოდა ხოლმე. ირინა ნიკოლაევნას წერილში ჩავუდებდი 10 მანეთს და ზაგორსკში ვუგზავნიდი. ...ერთ დღესაც მარინა ნიკოლაევნასთან წასვლა დამიგვიანდა. ეტყობა, მელოდა, გარეთ გამოვიდა და... სატვირთო მანქანა დაეჯახა... მუხათგვერდშია დაკრძალული. მჯერა — ნათელში ამყოფებს მის სულს უფალი.

რუსუდან შუთათიალაძე:

— მარინა ტრუბეცკაიას ქალიშვილი ტატინა (ტატა) დღონტი თბილისში ცხოვრობდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დაიწყო, სამედიცინო ფაკულტეტის

პირველი კურსიდან მედდად წაიყვანეს. 4 წელი იყო ფრონტზე... რუს ქირურგს გაჰყვა ცოლად. განათლებული, ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ სვამდა. ამის გამო ოჯახი დაენგრათ. სტალინი რომ გარდაიცვალა, ტატინა საქართველოში დაბრუნდა. დედაჩემის, მარგო თუშალიაშვილის დახმარებით, სამსახური იშოვა. მეგობრობდა ქართველებთან, ჰყავდა თყვანისმცემლებიც, ოღონდ არ გათხოვილა. 90-იან წლებში ისე გაუჭირდა ცხოვრება, ლუკმაპური ენატრებოდა. ამასობაში „ნოვი სვეტიდან“ მოძებნეს, როგორც ერთადერთი, გადარჩენილი მემკვიდრე დიდი ლეე გოლიცინისა, პენსია შესთავაზეს. ძალიან უმძიმდა წასვლა, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა. ის კი თქვა: საქართველოს გარეშე ვერ ვიცოცხლებო. მართლაც ძალიან მაღე გარდაიცვალა. სულითა და ხორციტ მშვენიერი პიროვნება იყო.

P.S. დრო შეიცვალა... იმპერიიდან თავდაღნულ საქართველოს რა არ წამოაძახეს, რა არ დააბრალეს რუსეთის ყველაზე ბნელი ნაწილის წარმომადგენლებმა... თითქოს ჩხირი ჩხირზე არ დაედოს, ისე გადაუსვს ხაზი ქართველების მონაწილეობას მათსავე ქვეყნის მშენებლობაში და იმ საგანძურის გადარჩენაშიც კი, რომლითაც დღეს თავს ინონებენ... ის ადამიანებიც, რომლებიც თავის დროზე „წითელმა“ ხელისუფლებამ განირა და შეავინროვა, საქართველომ შეიფარა. მათ აქ, ჩვენთან დაივანეს და პოვეს მეორე (თუ პირველი) სამშობლო...



გოლიცინის დიდი სახლი

„ზურა ან ბანკირია, ან პლანიაზის ქსანი აქვს“...

ჩვენი ონლაინ-რომანის გმირებმა დიდი ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიეს. მკითხველები მთელი გულსიყვრით ადევნებენ თვალს მათი ურთიერთობის განვითარებას და წვეილს რჩევებსაც აძლევენ. ჩვენ კი გადავწყვიტეთ, რომ მათი გამოზამაურებები გამოვაქვეყნოთ.

მარი ჯაფარიძე

„რატომღაც მეგონა, ნატალის და ზურას რომანი დამთავრდა-მეთქი, მაგრამ ამ ნომერში ამბის გაგრძელება რომ ვნახე, ძალიან გამიხარდა. იმედი, ერთბაშის გაუფრთხილდებიან. მეც მსგავსი სიყვარულის მსხვერპლი ვარ, ცოლიანი მამაკაცი მიყვარს...“

„ძალიან კი ასაიდუმლოებთ ზურას ვინაობას, მაგრამ იოლი მისახვედრია, რომ ის ან ბანკირია, ან მალაზიების ქსელი აქვს, რადგან დანარჩენ დანევებულბებს სხვა ქალაქებში ფილიალები თითქმის არა აქვთ. რას იტყვი, გამოვიცანი? მედეა“.

„აუ, რა მაგარი გმირები არიან ზურა და ნატალი! ვგიჟდები მათზე. მოუთმენლად ველი ხოლმე შემდეგ სუთმბათს, რომ მათი ამბის გაგრძელება შევიტყუო“.

„ნატალი, რომ იცოდე, როგორ შემაყვარე თავი... ზურას კი მინდა ვუთხრა, რომ ძალიან ცუდად მოიქცა, როცა ნატალის უღალატა. მინდა გავმართლო, მაგრამ... ზოგჯერ მართლა მგონია, რომ მას პანდორა მხოლოდ სექსისთვის სჭირდება. ზურა, ნატალის მოტყუება არ გამოგადგება. ის მეძავი არ არის... ორივე ძალიან მიყვარხართ და ბედნიერებას გისურვებთ“.

„ჯერ ნამდვილად ბალი ვარ საიმიხოდ, რომ ნატალისა და ზურას პრობლემები გავიგო, მაგრამ შორიდან, უცხო თვალი ყველაფერს ამჩნევს. ისინი აუცილებლად ბედნიერები იქნებიან... ორივე უფროსი მეგობრებივით შევიყვარე. მე, „მე“ არ ვიყო, თუ ნატა, სონა, ზურა და მარი (ჩვენი ჟურნალისტი) არ გავიცნო. მეც მინდა მათი ბავშვის ნათლიობააა“.

„ზურასა და ნატალის ფანი ვარ... თუ მათ ერთმანეთი უყვართ, მე ორივე მიყვარს. მსგავსი ამბავი მეც გადაიხდა თავს, მაგრამ სამწუხაროდ, არ გამიმართლა“.

„ზურა და ნატალი, მართლა გულით მინდა თქვენი ბედნიერება. ნატალი, შეურიგდი რა, ძალიან გთხოვ, ვილაც კახის გამო ნუ დაკარგავ ზურას. ბუზი“.

„მარი, შენ მე მომკლავ... როგორ დაძაბულ სიტუაციებში იცი ხოლმე თხრობის შეჩერება? ახლა შემდეგ სუთმბათს უნდა ვლოდო? ხომ არ გინდა, მომიყვე, რა მოხდება შემდეგ? ისე, მაგარი საყვარლები არიან. ორივეს ბედნიერებას უსურვებ. ანა“.

„პანდორასა და ზურას ამბავი ძალიან მომწონს და მაინტერესებს. ბოლო ნომერს რომ ვკითხულობდი, ლამის გული გამიჩერდა. ვკვდები, ისე მაინტერესებს, როგორ გაგრძელდება მათი ურთიერთობა“.

„ნატალი, ძალიან კარგი ხარ. მიყვარხარ უზომოდ. ზურაც კარგი ტიპია, მაგრამ რომ



გიღალატა, მასზე ძალიან გავბრაზდი. ცოტა ხანს აწრუნუნე და მერე აუცილებლად შეურიგდი. ახლავ არ შეურიგდე, თორემ ჭკუას ვერ ისწავლის. შენი გულმემატიკარი ვარ. მარიკო“.

„გამარჯობა, ზურა. ძალიან ცუდად მოიქცე, როცა ნატალის უღალატე. ისე მინდოდა, რომ კარგად ყოფილიყავით, შენ კი ყველაფერი გააფუჭე. ცოდვა არ არის?“

„ნატალი, ვიცი, ძალიან ნერვიულობ, მაგრამ ზურას ვერ ვამტყუნებ. კაცი რომ ვიყო, ალბათ მეც მასე მოვიქცეოდი. რატომ ეთამაშები? მასთან ურთიერთობა თუ გინდა, გადაწყვიტე და ნურც მას „დააჭამ“ ნერვებს და ნურც შენ დაიტანჯავ თავს. ხომ გიყვარს? ჰოდა, სწორად მსჯელობს სონა, მას მაინც დაუჯერე, ჩვენი თუ არ გჯერა“.

„ბავშვობაში მე და ნატალი ერთმანეთს ვიცნობდით. ის ძალზე ილბლიანი ადამიანია. ჭკვიანი გოგონა იყო. წლებია, არ მინახავს და ახლა სურათითაც ვერ ვიციანი. მისი ამბავი მეცნო, რომელსაც თავისი ბავშვობის შესახებ ჰყვებოდა და მივხვდი, რომ ის იყო. ნატა, მე სოფიო ვარ, გახსოვს, კარუსელზე რომ ვისხედით და ახალი კაბა რომ ჩამოიშვა? ალბათ, აღარ გახსოვარ. ჩემო კარგო, ნარმატებებს გისურვებ! გკოცნი“.

„მე ნატალის გულშემატიკარი ვარ და ძალიან მინდა, რომ ბედნიერი იყოს. ალბათ წინასწარ იცის, რომ ბევრი წინააღმდეგობა შესვდება, მაგრამ ძლიერი გოგო ჩანს და ყველაფერს მოერევა. ნატალი, კარგი ხარ“.

„ზურა ერთი ჩვეულებრივი მამრია, რომელსაც ერთგულეა არად უღირს. ნატალის ესეენა, ამაღამ ჩემთან დარჩიო, მაგრამ უარი რომ მიიღო, ადგა და მეძავი ჩაიწინა ლოგინში. ნუთუ, მისთვის სულერთი იყო, ვისთან დანებობდა იმ ღამით?.. ნატალის კი ვეტყვი, რომ მეტს არც უნდა მოელოდეს მისგან“.

„ვიცი, რომ ჩემი ქმარი მსგავს სიტუაციაში გახლავთ, რადგან ჩვენ კომპიუტერი შინ გვაქვს და მთელი ღამები მასთან ზის. კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე ვიარე და მასში კარგად გავერკვიე. მერე, როცა ის კომპიუტერთან იჯდა ხოლმე, ოთახში განგებ შევედიოდი,

ვითომ საქმე მქონდა და ცალი თვალით ვუყურებდი, რას აკეთებდა. მას ჰგონდა, რომ მე არც კი ვუკარები ინტერნეტს. ის რომ სამსახურშია, მე მივუჯდები ხოლმე და მასთან „ჭჩითაობ“. რა იცის, ვის ელაპარაკება? მოკლედ, ჩემი ქმარი ჩემზე პატარა ბიჭივითაა შეყვარებული და შეხვედრას მთხოვს. მე კი ამის მეშინია, რადგან შესაძლოა, ძალიან დიდი ტრავმა მივაყენო. უკვე იმასაც მეუბნება, რომ როდესაც შემვდება, თუ მოვეწონები, ცოლს გამორდება და მე მომიყვანს ცოლად... მოკლედ, არ ვიცი, როგორ გამოვძვრე სიტუაციიდან. ნატალი ფსიქოლოგია პროფესიით, თანაც, ამ სფეროში დიდი გამოცდილება აქვს მიღებული და იქნებ, რჩევა მომცეს? თვითონ მას კი ნარმატებას ვუსურვებ!“

„გამარჯობა, ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ პანდორა გავიცნო. მას საიტზე ველაპარაკებოდი. როგორც ჩანს, მანამდე, ვიდრე ზურას გაიცნობდა. მერე კი დაიკარგა და ჩემს მესიჯებზე პასუხებს არ მწერდა. ძალიან ვნანობ, რომ მისი მოხიბვლა ვერ მოვასწარი. ნატალი, მე არ გიღალატებდი!“

„უკვე 50 წელს გადაცილებული ქალი ვარ და მსგავსი ამბავი არ მსმენია. შევიღობო, რად იტანჯავთ თავს? ადამიანი თავს სადაც კარგად გრძნობს, იქ უნდა იყოს. ასეთი ცხოვრება ორივესთვის სატანჯველი იქნება. თქვენ გრძნობს მსხვერპლი გახდებით. მესამე მსხვერპლი კი ზურას ცოლი იქნება. ხალხნო, გაიგეთ, რომ ერთხელ ვცოცხლობთ და თუკი ამ ერთი ცხოვრების დროს ნამდვილი სიყვარულის პოვნას მოასწრებთ, ხელიდან არ უნდა გაუშვათ, რადგან ადამიანთა უმეტესობა ისე ამთავრებს სიცოცხლეს, რომ სიყვარულის ხეცვლას ვერ ასწრებს. ცხოვრება ხომ წამია, ბოლო სიყვარულით გავლილი წამი, კარგად დახარჯული სიცოცხლე... ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანია. 34 წლის დავექვრივდი და 40 წლის ასაკში მენვიას სიყვარული. ისეთი სიყვარული, რომ შევის ტერფიდან თმის ძირამდე შემძრა და უფსმარყია, მაგრამ მასზე უარი ვთქვი, რადგან უკვე დიდი შეილები მყავდა და ვერ გაგებდე მათთვის მეთქვა — მამინაცვალი უნდა მოგიყვანოთ-მეთქი. ახლა ორივე უცხოეთში ცხოვრობს, უფროსს უკვე წელიწადია, არც დაურეკავს და მის ამბებს უმცროსი ვაჟისგან ვიგებ, რომელიც 2-3 თვეში ერთხელ მეკონტაქტება... მე კი მარტოდმარტო „მივთარევე“ ამ ცხოვრებას და გული მწყდება, რომ საკუთარი თავისთვის არ ვიცხოვრებ. კარგად, ჩემო ნატალი და ჩემო ზურა. გაუფრთხილდით ერთმანეთს და უარს ნუ იტყვით ბედნიერებაზე. მამაკით, რომ დრო ნაგართვით“.

პრეპარატი **ფინსი** გაძლევთ უნიკალურ შანსს

ფსორიაზი
მგზავს ენათ საუკუნოვან გამაწმენდლებას!
ნეიროდერმიტი
სეპორა
იპოვანა იკითხეთ

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ავიალახა უფაქტური, არაპორმოწარმული მაღაზიოს საშუალებით

სხელი ხაზი: 39 66 03

არ დამიმტვრიოთ, ჩემი არ არისო...

პანდორა: როგორ არ მახსოვს, ის დრო მენატრება... დღეს ჩვენი დედიკოების სასაფლაოზე ვიყავი...

სონა: ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა... დედაჩემის საფლაოზე ალბათ ვარდებს მიიტანდი, დედამენის საფლაოზე — მინდვრის ყვავილებს...

პანდორა: ჰო... შენი ფეხმძიმობის ამბავი არ ვიცოდი, თორემ მოვუყვებოდი...

სონა: :))) არა უშავს, სხვა დროს მოუყევი... ახლა კი მე მომიყევი, რა ხდება ახალი, სად დაიკარგე წუხელ? ვინერვიულე. მითხარი: კარზე აკაკუნებენო და გაქარი... რა ხდებოდა, მომიყევი...

პანდორა: ჰოოო...

სონა: რა ჰოო, მომიყევი, გადავირიე, ისე მაინტერესებს. ხომ იცი, ჩემი ნერვიულობა არ შეიძლება...

პანდორა: აუუუ, რა გაგიძლებს ახლა შენ? უნდა ისპეკულანტო შენი ფეხმძიმობით, არა?

სონა: :))) მოჰყევი, გოგო!

პანდორა: ჰოოოდა... კაკუნით რომ გავიცოდი, ძალიან გამიკვირდა — ვინ უნდა ყოფილიყო ასე გვიან? გავიჭყიტე და რას ვხედავ? ზურა დგას, პირდაპირ „გლაზოკში“ იყურება და პირი ყურებადმდე აქვს გახეული. ვიკითხე: ვინ არის-მეთქი? მიპასუხა: სპეკულანტი ვარ, ტანისამოსი მაქვს გასაყიდად და ხომ არ მოიზომებდითო? — არა-მეთქი...

სონა: ისე, ჩვენში დარჩეს და მაგარი კარგი ტიპია ეგ ზურა. საინტერესო ადამიანია... ისეთ რაღაცებს „ჩითავს“, რომ მაგაჟდება. გუშინ მთელი დღე იმაზე ვფიქრობდი, რამ მოაფიქრა, პატრულს რომ დააჭერინა შენი თავი? სხვა ჩვეულებრივად მოიქცეოდა, „მარშრუტკას“ თვითონ გააჩერებდა და ჩამოგვამდა... მაგასთან არ მოიწყენ... მერე?

პანდორა: ხმადაბლა მითხრა: ნატალი, კარი გამოიღო. უარი ვუთხარი... რამდენჯერმე წყნარად მთხოვა, მაგრამ ვუთხნებოდი: ჩანთა კართან დატოვა და წადი, შენი ნახვა არ მინდა-მეთქი. რომ ვერ შემასმინა, სადარბაზოში მთელი ხმით დაიყვირა: ნატალი, მიყვარხარ! კარი გააღეო...

სონა: ვაი, სირცხვილო! მეზობლები გააღვიძა?

პანდორა: ალბათ... იძულებული გავხდი, შემომეშვა, თორემ არ გაჩუმდებოდა და მთელ უბანს შეყრიდა. კარი რომ გავაღე, მასზე ლამის ჩემი სიმაღლის ვარდების თაიგული ყოფილა მიყუდებული, რომელიც ჩემს ფეხებთან დაეცა. ულამაზესი ყვავილებია, თანაც, იმდენი... მოპატივისთვის არც დაუცდია. ყვავილები აიღო, მომანოდა, შემოვიდა და პირდაპირ „ზალისკენ“ წავიდა. დივანზე დაჯდა და ტელევიზორის პულტი მოიმარჯვა. ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყო და დილით სამსახურში წასული ქმარი შინ დაბრუნდა. გადაწყვიტე, ყურადღება არ მიმიქცია და ისე მოვეცეულიყავი, თითქოს იქ არც იყო. მაღალი საყვავილე გამოვიტანე, თაიგული დავშალე და სათითაოდ, ძალიან ნელა ჩავაღაგე წყალში. შემდეგ ისე კომპიუტერს მივუჯექი და შენთვის მესიჯის წერა დავიწყე. მოულოდნელად, სავარძლიანად შემომპარუნა, სახელურებს ხელებით დაეყრდნო და სახე ისე ახლოს მომიტანა,

რომ სუნთქვა შევაჩერე. კარგა ხანს ვუყურეთ ერთმანეთს თვალებში. მერე თავზე მაკოცა, წელში გაიმართა და ჩემი თავი მუცელზე მიიხუტა. ცრემლები გადმომცვივდა. მან კი თვალები დამიკოცნა და თან, მეჩურჩულებოდა: ეს უკანასკნელი გულის ტკივილი იქნება ჩემგან, დამიჯერე, ძალიან ვნანობ, რომ ასე მოხდა, დაივიწყე ყველაფერი და შემირიგდო...

სონა: რა თქმა უნდა, შეურიგდი...

პანდორა: შევურიგდი...

სონა: და ნავიდა?

პანდორა: არა, დილაღე აქ იყო. ცოტა რომ დავმშვიდდი, მერე ყავა შევთავაზე. ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ. მე დივანზე ვიჯექი, ის კი ნამოწლილი იყო და თავი

პანდორა: მისთვის არაფერი დამიძალებია. ჩემთან ურთიერთობის სურვილი თავად გამოთქვა. თუ ასე უნდა, ისიც უნდა იცოდეს, რომ გარკვეული ვალდებულებები დავეისრება...

სონა: მისგან მხოლოდ სიტბო და ალერსი უნდა გინდოდეს... ფულს მე არ მოგაკლებ, არაფერს გაგიჭირვებ...

პანდორა: სონა, ხომ იცი, რომ მე არასდროს ვყოფილვარ ფულზე და ბრწყინვალა ნივთებზე შეყვარებული. საკმარისი შემოსავალი მაქვს, შენც მესმარები. მან კი თავის ოჯახს მიხედოს... თითქოს მენყინა, ეს რომ მითხარი...

სონა: არა, ჩემო საყვარელო, ნუ გენყინება... მე თუ არ გითხარი, სხვა ვინ

თვალები დამიკოცნა და თან, მეჩურჩულებოდა: ეს უკანასკნელი გულის ტკივილი იქნება ჩემგან, დამიჯერე...

დივანის სახელურზე ედო... მას ძალიან ლამაზი, შავი, მოკლედ შეჭრილი და ტალღოვანი თმა აქვს, მთლიანად უკან ივარცხნის. მე თმაზე ვფერებოდი, ის ხელისგულებს მიკოცნიდა.

სონა: მარტო ხელისგულებს? ვერ დავიჯერებ...

პანდორა: რა თქმა უნდა, არა. მეფერებოდა, მკოცნიდა... მისი თვალები ბრწყინვალა... თუმცა, ამის იქით არ წავსულვართ, რადგან ეს ჩემი სახლი იყო და არ მივეცი უფლება, რომ ჩვენი პირველი ურთიერთობა აქ ყოფილიყო.

სონა: კიდევ რომ გილაღატო, არ გეშინია?

პანდორა: იცი, რააა? ჩვენ ძალიან ბევრი ვილაპარაკეთ, თითქმის ყველა საკითხს შევეხეთ... ბევრი რამ გაირკვა... თუ ამის შემდეგ ის ჩემს ლალატს კიდევ გადაწყვეტს, მაშინ მასთან ურთიერთობას აზრი არა აქვს... დილის 7 საათზე ნავიდა სახლში... შევთანხმდით, რომ უახლოეს დღეებში ერთი კვირით გავთავისუფლდებოთ სამსახურიდან და სადმე წავალთ.

სონა: ძალიან კარგი. იმეღია, ახალ ამბებს არ გამომაპარებ...

პანდორა: იცი, მისი შვილი ასთმით ყოფილა ავად. ძალიან განიცდის ამ ამბავს. მითხრა: თუ ოდნავ რამეზე განერვიულდა, სპაზმებისგან იხრჩობაო. ძალიან შემეცოდა.

სონა: გოგოა?

პანდორა: კი, გოგოა, სალომე ჰქვია. ცოლს — ხათუნა.

სონა: ცოლზე ეჭვიანობ?

პანდორა: კი... თუმცა, თვითონ მიმტკიცებს, რომ მათ შორის ყველაფერი დამთავრებულია და მხოლოდ შვილის გამო ცხოვრობენ ერთად, მაგრამ ვერ ვიჯერებ... ეჭვიანობ... ჯერ აქ არ არიან, მაგრამ ერთ კვირაში ჩამოვლენ და ალბათ, მერე უფრო ვინერვიულებ...

სონა: შენ თავიდანვე იცოდი, რომ მას ოჯახი ჰქონდა. ამ აზრს მეგუებოდა უნდა იყო. ნატალი, იცოდე, რომ შენ ბევრი რაღაცის უფლება არა გაქვს... მას ზედმეტს ნუ მოსთხოვ.

გეტყვის? უბრალოდ, რჩევა მოგეცი, თორემ კარგად გიცნობ და ვიცი, რისი გამკეთებელიც ხარ... კარგი, ახლა წადი და დაიძინე. ცოდო ხარ, წუხელაც არ გიძინია...

პანდორა: კარგი, სონა, კარგად...

სონა: მგონი, ნაწყენი დარჩი. ნატალი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ?

პანდორა: ვიცი, მეც მიყვარხარ. ნაწყენი არ ვარ საყვარელო, ბევრს კოცნი და თავს გაუფრთხილდი. მე კი ახლა ზურას დაველაპარაკები, თუ არ დაიძინა, რა თქმა უნდა...

02:20

პანდორა: ჩემო ვნებათაღელვავ, აქ ხარ? ზურა: კი, აქ ვარ და გელი... მორჩით ქორაობას?

პანდორა: კი...

ზურა: ხომ ვიცი, წუხანდელ ამბებს გაარჩევდი... საინტერესოა, თუ უთხარი, რომ გკოცნიდი და შენც თვალებდახუჭული მხედდებოდი? მითხარი: ხომ გინდოდა ჩემთან?

პანდორა: კი...

ზურა: შენ მე გამაგიჟებ! ასეთი არაფერი მინახავს — მიზეზი არ გელევა, რომ ჩემს მკლავზე დაიძინებოდა უარი თქვა, თან გაიძახა, შენთან მინდაო...

პანდორა: მომისმინე, ჩემო კარგო, როცა შენთან მოვედი, ადგილი უკვე დაკავებული დამხვდა...

ზურა: ის დროებით იყო დაკავებული... გეტყვა და ნაშში გაგითავისუფლებდი...

პანდორა: ასეთი ადგილი რაში მჭირდებოდა?

ზურა: კარგი, ჰო, ისევე არ გაბრაზდე, ვხუმრობ... ერთი რამე დაიმახსოვრე: ანუ, ასე ტყუილად აღარ მოვალ შენთან...

პანდორა: ტყუილად რატომ? ჩემი ჩანთა ხომ მომიტანე?

ზურა: მერე, რატომ ხარ ასეთი უმაღური? შუალაშისას შენი გულისთვის შევწუხდი, ჩანთა მოგიტანე, რომელიც სხვათა შორის, მე მატარებინე ბათუმიდან და შენ კი კოცნის ანაბარად დამტოვე? არ გრცხვინა? და კიდევ ერთი რამ: რაც

მეტს გამანვალზე, მით მეტჯერ გილალატებ... წავალ და სხვისი კალთის ქვეშ მოვქებნი თავშესაფარს...

პანდორა: რაც გინდა, ის ქენი... შენს სინდისზე იყო...

ზურა: ახლა დიდი ინტერესით მოვისმენდი ბაჩოს ამბის გავრცელებას.

პანდორა: მე და ბაჩო ციხის საკანში ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით. ჩემს თავსაც არ ვუმჯღავნებდი, რომ ეს ადამიანი მიყვარდა. მასთან თავი ისე მეჭირა, ვითომც აქ არაფერიყო, მაგრამ ჩემს გულში რა ხდებოდა, მხოლოდ მე ვიცოდი... მიყვარდა კაცი, რომელსაც დღეს თუ არა, ხვალ მაინც სამუდამო პატიმრობას მიუსჯიდნენ. მე კი მისგან ჩვენება უნდა მიმელო და განაჩენსაც ამის საფუძველზე გამოუტანდნენ... უბნის ბიჭებთან მისი პირველი შეხლა-შემოსლა რითიც დამთავრდა, უკვე იცი. იმის შემდეგ, რაც მან თავი ჩააბარა, გულში ჩაიდო ის, რომ აუცილებლად ამოვლო მათგან იმაზე მეტი ფული, ვიდრე თვითონ გადაიხსნა. ამიტომ, თავად მოძებნა ერთ-ერთი მათგანი და ხარაშოსთან დააბარა, რომ თამაში უნდოდა. ითამაშა და გაცილებით დიდი თანხა წააგო, ვიდრე პირველად. მეორედ ველარ გაბედა მამამისისთვის მოეპარა ფული და გადაწყვიტა, თავანის ჩასაბარებლად სხვა გზა მოეძებნა. მას უბნელმა ბიჭმა შესთავაზა: ვიცი, ფული წააგე. გვითხარი, მამაშენს ფული სად აქვს შენახული და როდის იქნება ბინა ცარიელი, მაყუთს გამოვიტანთ, საქმეც დამთავრებული იქნება და თავანიც გასტუმრებულ იქნება... ბაჩომ მუშტი ისეთი ძალით მოუქნია ყბაში, რომ იმ ბიჭს კბილები ჩამოსცივდა. მერე კი ისე დაუნდობლად სცემა, რომ თვეების განმავლობაში საავადმყოფოში იწვა. მათ უბანში ერთი ძველი ქურდი ცხოვრობდა, რომელსაც გასანას ეძახდნენ. ის უკვე საკმაოდ ასა-

ნელდა, უზარმაზარ გალავანს მიადგა, რომელიც ქურდის სახლს გარს ერტყა და გარშემო შემოუარა. ერთ ადგილზე ნახა ისეთი ადგილი, სადაც ფეხის მოკიდება შეიძლებოდა, ბევრი იწვალა და როგორც იქნა, ლობზე აძვრა, მაგრამ ჩამოსტომის დროს ფეხი იტყინა. კარგა ხანს ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა და ტუჩებს იკვნეტდა, რომ ხმამალა არ დაებლავლა. ბოლოს, როგორც იქნა, წამოდგა და კოჭლობით გაემართა სახლისკენ. კარს ფრთხილად მიანწვა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. ახლა სახლს შემოუარა კოჭლობით. თან ტკივილისგან იმანჭებოდა. ერთადერთი ფანჯარა დახვდა ღია. ფრთხილად გადაძვრა და ჩაბნელებულ ოთახში, ტელევიზორის წინ წამოწოლილ გასანას დაადგა, რომელიც წამებში წამოხტა და სანამ ბაჩო აზრზე მოვიდოდა, იატაკზე დააგდო, თავზე იარაღი მიადო და უთხრა: ძაღლის ლეკვო, აქ რა გინდა? ხმაურზე ქურდი შემოვარდა და სინათლე აანთო. ბაჩო იცნო და გასანას უთხრა:

— უფროსო, დღეს ეს ბიჭი სამჯერ მოვიდა, შენი ნახვა მიწადავ, მე გავაგდე და ალბათ, ლობიდან შემოიპარაო...

გასანამ იარაღი ქამარში გაიჩრჭო და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია. ქურთმა ბაჩო წამოაყენა. ის იქვე მდგომ მაგიდას ხელით დაეყრდნო და ცალი ფეხი ჰაერში გააჩერა.

— ფეხი იტყინე? — ჰკითხა მზრუნველად გასანამ. ბაჩომ თავი დაუქნია.

— შენ ტყუილად არ გადადებდი თავს. რა საქმე გაქვს ისეთი, რომ ჩემი ნახვა ასე გინდოდა? — გასანამ ხელი შეაშველა და სკამამდე მიიყვანა — შენ დავითის ბიჭი არა ხარ? რა გაგჭირვებია, ბიჭო? — იცნო საბოლოოდ და ქურდს დაავალა, რომ მისი ნაღრმობი ფეხისთვის მიეხედა. ბაჩომ ყველაფერი დანვრილებით უამბო.

— მოსაკლავი ხარ — გამოცრა კბილებ-

აილე, თავანი გაისტუმრე, საქმეზე მერე ვილაპარაკოთ.

ამ სიტყვებით ფული ჯიბეში ჩაუტენა და ჭიშკრამდე მიაცილა. ბაჩომ თავანი დათქმულ დროზე ჩააბარა. მისი ფეხის მკურნალობას რამდენიმე კვირა დასჭირდა. როდესაც ფეხზე გამართულად გაიარა, ისევ მიადგა გასანას ჭიშკარს. ამჯერად, ქურთმა დაუბრკოლებლად გაატარა. გასანა სახლის გვერდით მიდგომულ ფანჯარაში რაღაცას ჩხირკვდებოდა. ბაჩოს დანახვაზე თვალები გაუწნათდა.

- აბა, როგორ ხარ, ვაჟკაციო?
— უკვე კარგად.
— კარგია, რომ ჩემთან სტუმრობა გადაწყვიტე. ცოტას მომეხმარებები.
— რა უნდა გავაკეთოთ?
— სახლის უკან მარწყვი მაქვს დარგული და ის უნდა დაგვკრიფოთ. საღამოს ბირკა (ასე ეძახდა ქურდს) მურაბას მოხარშავს.

— ცოლი რატომ არა გყავთ? — ნამოსცდა ბაჩოს და მერე იწანა.

— 40 წელი ციხეში მაქვს გატარებული. რომელი ცოლი აიტანდა ასეთ ქმარს? არც ერთი ქალი სანდო არ არის, 1-2 წელი გიერთგულეებს, მერე კი აუცილებლად გილალატებს, თანაც, აუცილებლად შენს მტერს ჩაუწვება ლოცინში... მოლალატე ცოლის ყოლას, სულ რომ არ გყავდეს, ის ჯობია... თუ ისეთ ცხოვრებას აირჩევ, როგორც მე გავიარე, იმასაც უნდა შეეგუო, რომ ბოლოს, ბირკას იმედად დარჩები და მისი მოხარშული მურაბა უნდა ჭამო.

— არც შეიძლება გყავთ? — იკითხა გასანას გულახდილობით გათამამებულმა ბაჩომ.

— შეიძლება მყავს. ის რუსეთში ცხოვრობს. დედა რუსი ჰყავს. მის ჯიბეში წავიდა და ქართველის არაფერი სცხია. ბოლოს, 12 წლის წინ ვნახე.

— საქმეზე რა ვქნათ? — შეცვალა საუბრის თემა ბაჩომ.

— საქმე მოიცდის. წამოდი, მარწყვი დაგვკრიფოთ, ის ვერ მოიცდის — დღეს თუ არ დაგვკრიფეთ, ხვალისთვის უკვე გაფუჭდება.

მარწყვი სახლის უკან, საკმაოდ მოზრდილ მონაკვეთზე გაემუწებინათ. ორივე ჩუმად კრეფდა და თავისას ფიქრობდა. ვინ იცის, რაზე ფიქრობდა გასანა, ბაჩო კი მომავალ საქმეზე ფიქრმა გაიტაცა და უნებლიეთ წამოსცდა:

— ბანკი გავიტანოთ? — გასანამ ხმამალა გადაიხარხარა — „ა ტი პტიცა ვისოკოგო პოლიოტა“... ასე იოლი გგონია ბანკის გატანა? ჯერ სხვა საქმე მოვსინჯოთ. პლენანოვზე ერთი ღარიბი ოჯახი ცხოვრობს. ახლა პურის ფულს ძლივს შოულობენ, მაგრამ სახლი წინაპრების მიერ დატოვებული ანტიკვარებით აქვთ სავსე. თითო ნივთი უზარმაზარი თანხა ღირს. ამ საქმეს მარტო ნაღვ ვაჟაკს თუ ვანდობ. იქ არც ტყვია უნდა გავარდეს და არც სისხლი დაიღვაროს. მოჰკიდებ ხელს?

ბაჩომ გაოცებულმა შეხედა და მოზრდილი მარწყვი, რომელიც თვალში მოუვიდა და შესაქმელად უნდოდა, პირთან ველარ მიიტანა.

საინტერესოა, თუ უთხარი, რომ გკოცნიდი და შენც თვალებდახუჭული მნებდებოდი?

კოვანი იყო, მაგრამ საქმეების გასარჩევად მასთან ხშირად ადიოდნენ. გასანა გამარჯობას არავის ამაღლიდა, მაგრამ უბნის მცხოვრებლებთან ახლო ურთიერთობა არ ჰქონდა. გასანა კერძო სახლში მარტო ცხოვრობდა, მხოლოდ ერთი ქურთი მოსამსახურე კაცი ჰყავდა, რომელიც უზარმაზარი, მოხეული ტიპი იყო. მისი ნებართვის გარეშე, გასანას სახლს ჩიტიც კი ვერ გადაუფრენდა. ბაჩომ გადაწყვიტა, ქურდთან მისულიყო და რჩევა ეკითხა ან ეთხოვა, რომ რაიმე საქმეზე გაეშვა... ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, მუხლები აუკანკალდა. ქურთმა არ შეუშვა — გასანა ისვენებს და ვერ შევანუხებო. საღამოს კვლავ მიადგა, მაგრამ მასთან ვერც ამჯერად შეაღწია. მიხვდა, რომ ასაკის გამო, მას ქურთი არასერიოზულ ადამიანად აღიქვამდა. გადაწყვიტა, დალაშქრებისთვის დაეცადა და გასანა მაინც ენახა. კარგად რომ დაბ-

ში გასანამ — მამაშენს ფული როგორ მოჰპარე? საკუთარ მშობელს ასე როგორ მოექცევი? მილიონიც რომ ჰქონდეს, კაპიციც კი არ უნდა მოჰპარო... სხვას მოჰპარე, მშობელს რას ერჩი? როგორც მიხვდი, შენ საქმეზე გინდა წასვლა და მოპარული ფულით გასურს თავანის ჩაბარებაო. გასანა მეორე ოთახში გავიდა, ფულის დასტა გამოიტანა და ბაჩოს უთხრა: არ ხარ შენ გასაფუჭებელი ბიჭი. აბა, ფული და გაისტუმრე ვალი. ნუ იტყვი, რომ მე მოგეცი. თან პირობა მომეცი, რომ აღარ ითამაშებო. ბაჩომ ჯიქურ შეხედა თვალბეში და თავი ჯიუტად გააქნია.

— სამათხოვროდ არ მოვსულვარ, ამ ფულს არ ავიღებ, საქმე მომეცი და მასწავლე — ის საქმე როგორ გავაკეთო...

— როდის უნდა მიიტანო ფული? — ზეგ.

— მაგ ფეხით ვერაფერს გააკეთებ, რადგან არ იშლი, ვალად მოგცემ. ფული



გახსოვთ, ალბათ, კარგა ხნის წინ ქუთაისთან ახლოს, სათაფლიის ნაკრძალში სპელოლოგმა პეტრე ჭაბუკიანმა დინოზავრის ნაკვალევი რომ აღმოაჩინა. ბატონმა პეტრემ, თურმე, მაშინვე „ივარაუდა“, რომ სწორედ ეს „იმერელი“ დინოზავრი იყო მსოფლიოში გაბნეული დინოზავრების დიდი წინაპარი: ახლა აღმა-დაღმა დაბორილებენ ამისი შვილები და შინისკენ გზას ვეღარ პოულობენო, — ამბობდა გულდანწყვეთი.

ქუთაისელმა კაცმა, ტელერეჟისორმა ირაკლი ჯგოშვილმა გადანყვიტა, ქართველების წარმოსახვაში გაეცოცხლებინა და „უკვდავეყო“ სათაფლიაში „მოსიერნი“ დინოზავრი: ჩააცვა გამისეული ჩოხა, დაასურა 50-60-იანი წლების ქუთაისელების განუყრელი ქუდი — ენ. აეროდრომი (ეს კუბი ახურავს ბუბა კაკაბიძეს ფილმში „მიმინო“) და ხალხური და ქალაქური იუმორის ფესტივალის „ოუმორის ქალაქი — ქუთაისი 2006“ — სიმბოლოდ აქცია.

ირაკლი ჯგოშვილი, ფესტივალის დირექტორი: — ამ ქალაქში იუმორის ფესტივალის ჩატარებაზე რამდენიმე თაობის ქუთაისელები ოცნებობდნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს. დღეს, როცა რეგიონებს დღესასწაულები შემოაკლდა, მინდა, ჩემს ქალაქში გამოცოცხლდეს კულტურული ცხოვრება. ქუთაისელი ვარ და კარგად ვიცი, რომ ამ ქალაქის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იუმორია. ქუთაისის კულტურის სამსახურთან ერთად ორგანიზებული და მასშტაბური გაგზავნით ეს იუმორი და ფესტივალად ვაქციეთ. ამიერდან, დღესასწაული აუცილებლად ტრადიციული იქნება — ეს, უპირველესად, ჩემს ქუთაისს ნაადგება.

„ახალგაომცხვარი“ ვალოდია ჭინქარაძე, იმერელი დინოზავრის დაბრუნება, „კიკასოს ბიჭის“ 32-ე ნახტომი და დაუეინყარი დღეები... იუმორში

ირმა ხარშილაძე

ფესტივალში ძირითადად, არაბროფესიონალები მონაწილეობდნენ. მათ წარმოადგინეს საესტრადო ჟანრები — მონოლოგი, ფელეტონი, პაროდია, იმიტაცია; ხალხური შემოქმედების ნიმუშები — კაფია, შაირი; ფოტომოყვარულებმა — ნამუშევრები თემაზე „გაუჩერებელი წამი იუმორში“; კინომოყვარულებმა — კინოკურიოზები; მხატვარ-კარიკატურისტებმა — თავიანთი ნახატები. ქალაქში წრიული მარშრუტით მოძრაობდნენ ავტობუსები, სადაც ამსვლელებს მაშინვე თვალში ხვდებოდათ ნახატი — ანეკდოტები ქუთაისის კოლორიტის, ან განსვენებული ანზორ დემეტრაძის — ბიძინაძის კოლექციიდან. ფესტივალის „ეპიცენტრი“ კი, თეთრი ხიდი გახლდათ, სადაც „პიკასოს ბიჭის“ ქანდაკება გაიხსნა.

ირაკლი ჯგოშვილი:

— ჩემს მეგობარს, ქუთაისელ მხატვარ-დინოზავრ მერაბ ქაჯაიას დაებადა ამ ქანდაკების შექმნის იდეა: ბრინჯაოში, ნატურალურ ზომებში, ჩამოსასხა ფილმის — „არაჩვეულებრივი გამოფენა“ — პერსონაჟი „პიკასოს ბიჭი“. ეს ბიჭი დავსვით თეთრი ხიდზე, ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც მისი „ორიგინალი“ — ფილმის გმირი ხტება რიონში, ფრანგული (!) სიტყვებით: „ლამპრედუზო, მედუზო!“ — ანუ „მოვდივარ, მედუზავ!“

რაზო ჭივიჭილი:

— ქუთაისი ყოველთვის გამოირჩეოდა

არა უბრალო ხუმრობით, ლაბაჟით, არამედ ნამდვილი იუმორით. ჩვენი ტელევიზიები ასეთ იუმორს აუფასურებენ. ადრე საბჭოთა ხელისუფლების არსებობა ხელს უწყობდა ამ იუმორის დახვეწას: საუბრობდნენ ორანზოვანად, იმერულ იუმორს ქუთაისელი ებრაელების იუმორიც (ებრაელებს გენში აქვთ იუმორის ნიჭი) უერთდებოდა და დღეს, თანამედროვე თბილისში რომ იუმორით ლაპარაკობენ და შაყირობენ, სწორედ იმ შერწყმული იუმორიდან მოდის. ამიტომ არის ქუთაისი გამორჩეული ქალაქი.

- ბუში რა იყო ჩამოსული, რატო არ დავაბატიეთ ქუთაისში, რესტორანში?
- მაგი სადაც დადის, ყველგან ბინ-ლადენის რაკეტა დასდევს და ქუთაისს კიდო დაქცევა და დამსობა უნდა?!

— რატომ გახდა აუცილებელი იუმორის „თავმოკრა“ ფესტივალზე?

— აუცილებელია, იმიტომ, რომ დუხჭირი ცხოვრება, დაღვრემილი სახეები მომრავლდა. სიცილი და ღიმილი არ უნდა გვენატრებოდეს, რაღაც უნდა მოხდეს, შეიცვალოს უკეთესობისკენ. ქუთაისში ჩატარებული ფესტივალი დასაწყისი იყო, თუმცა იქ მარტო იუმორი არ ყოფილა, ბევრი ღონისძიება ჩატარდა. ახლა, რომ ამბობენ, რა მოვუხერხოთ ქუთაისსო, — რა უნდა



ამ ნახტომებისთვის მაშინ კირიჩენკოს, თურმე, 283 მანეთი გადაუხადეს

მოუხერხონ? რომ იკლავენ თავს ტურიზმის განვითარებაზე ლაპარაკით, მარტო მღვიმეა ქუთაისის გარშემო იმდენი, ერთი დინოზავრი რომ „დაგვათ“ იქ, ტურისტების ნაკადი არ გამოილევს.

— ამ შავშინებთ დინოზავრი?

— კი, როგორ არა, განსაკუთრებით ღამით... უნდა აღდგეს გეგუთის ციხე-დარბაზი თავისი ნაკრძალით, სანადირო ადგილებით. ფულიანი კაცისთვის ერთ რამედ ეღირება ღამის გათევა მოჩვენებებით სასვე ოთახში, სადაც თამარ მეფე ათევედა ღამეს!..

ამ ფესტივალთ პირველი ნაბიჯი გადაიდგა...

— ქუთაისის გაცოცხლების?

— რა თქმა უნდა. თუნდაც, „პიკასოს ბიჭის“ ქანდაკების დადგმა რად ღირს?! ამასაც კურიოზები ახლდა თან. დოდო აბაშიძის შვილს — ზაზას და ლორთქიას — გურამ ლორთქიფანიძეს უნდა გაეხსნათ ქანდაკება...

ირაკლი ჯგოშვილი:

— ფილმის — „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ერთი ეპიზოდი უნდა გაცოცხლებინათ: დადგებოდნენ ქანდაკების გვერდით ისე, როგორც 40 წლის წინ დოდო აბაშიძე და ლორთქია იდგნენ, დაიხურავდნენ ქულებს და, ფილმში ერთ-ერთი პატარა ბიჭი რომ იყო 31-ჯერ გადამხტარი იმ ადგილიდან — ვლადიმერ კირიჩენკოს (ამ ნახტომებისთვის მაშინ კირიჩენკოს, თურმე, 283 მანეთი გადაუხადეს. — ავტ.), — „ლამპრედუზო, მედუზოს!“ შეძახილით მოხდიდა მათ თავიდან ქულებს და 32-ე ნახტომს შეასრულებდა თეთრი ხიდიდან რიონში.

რაზო ჭივიჭილი:

— მოკლედ, ამ ორს უნდა გაეთამაშებინა ძველი სცენა, მაგრამ რად გინდა? — ვანში

გაუფლიათ და იქ ჩარჩენილან: უქეფიათ... მერე კი დაწყდათ გული, გახსნას რომ ვერ ჩამოუსწრეს.

ირაკლი ჯაოშვილი:

— ვანში ჩასულ კაცს ვინ გამოუშვებდა უპურმარილოდ? მაგრამ ასე თუ ისე, ეპიზოდი მათ გარეშე გაცოცხლდა.

იუმორის ფესტივალი გელათის 900 წლისთვისადმი მიძღვნილი კულტურული პროგრამის ნაწილი გახდა. სხვათა შორის, ამ დღეებში გაიხსნა დები იმხნელების ძეგლიც ქუთაისის ცენტრალური ბაღის კიდესთან ახლოს.

რეზო ჭივიჭიანი:

— კურორტი იყო ესეც: ჩამოვიდა თამარ იმხნელის 82 წლის ქალიშვილი, ქალბატონი ჯანიკო გორთამაშვილი, ამლერეს იქვე გაგიჟდა ხალხი, ძალიან მიაშაგავსეს დედას და დეიდებს. მთელი ქალაქი ამაზე ლაპარაკობდა და ერთი

- ჯაჯუ!
- რა იყო, ზალიკო?
- შენ ჩემი მეზობელი ნაზიკო ხო იცი?
- კი, რა იყო?
- რა და, სადარბაზოსთან დახვდნენ და ათმა კაცმა გააუბატიურა. რად გინდა? მაინც ნაზიკოს იჭირავენ!
- კი, მარა რატო?
- შეათე შეშთაკვდა.

კადრი არ აჩვენა არც ერთმა ტელევიზიამ... სამაგიეროდ, მე ზინდი ხშირად, მილოცავდნენ — ქუთაისის საპატიო მოქალაქე გამხდარხარო! 10 წლის წინ დამასახელეს საპატიო მოქალაქედ, ახლა ნანი ბრეგვაძეს მიანიჭეს ეს წოდება და ეტყობა, ავერითე ჟურნალისტებს ერთმანეთში მე და ნანი...

— იმ დღეებში თეთრ ხიდზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, ისიც თქვეს, ამდენი ხალხი ფილმის გადაღებების მერე არ ახსოვს თეთრ ხიდსო. ბევრ ძველ მეგობარს შეხვდებოდი, ბევრს იოხუნჯვდით...

— კი, რასაკვირველია. ასეთი რამეც მოხდა: ქანდაკების გახსნის შემდეგ დავინახე, რომ ვიღაც კაცი ექაჩება ოტია იოსელიანს, წაყვანა უნდა სადღაც. ოტიამ მანიშნა, შენც წამოდიო. მე, ოტიას მხარდასაჭერად, მწერალ გიზო თავაძეს ვუთხარი, შენც წამოდი-მეთქი.

— არ იცოდით, სად მიჰყვებოდით?

— მივხვდი, საქეფოდ მივდიოდით. იქვე დუქანი იყო, „ცისფერყანწელები“ (ისე, რა უფლება აქვთ „ცისფერყანწელებს“ რომ არქემევენ დუქნებს და სახინკლებს?..) და იქ შევედით. ოტია გავაჩერე და ვუთხარი: უხერხულად არ გამოვიდეს ამ კაცთან ჩვენ რომ მოგვევებით, ვინ არის-მეთქი? როგორ თუ ვინ არის, შენ არ იცნობო? — მკითხა ოტიამ. — საიდან უნდა ვიცნობდე-მეთქი?.. — მე შენი მეგობარი მგონია და იმიტომ წამოვედიო, — გაოცდა ოტია. ახლა გიზოს ვკითხე, თუ იცნობ ამ კაცს-მეთქი? — იმანაც იუარა... მოკლედ, რაღას ვიზამდით, შევედით დუქანში. ამ უცხო

კაცს, რომელიც საბოლოოდ ქუთაისელი კბილის ექიმი აღმოჩნდა, ზღაპრული პურმარილი გაეშალა. ამ დროს მოვარდა ერთი ახლობელი: სად ხართ, კაცო? ქალაქის მერი გეძებთ, უთქვენოდ სუფრასთან არ სხდებიანო. არ გინდა ახლა, ადგე იქიდან?..

- ის კაციც წაგეყვანათ...
- რაფერ წამოვიყვანდი?..
- არ გამოგსვლიათ კარგად ბატონო რეზო.

— თვითონ გამოგვიყვანა ამ მდგომარეობიდან: თქვენ არ ინერვიულოთ, ახლობლებს დაფურცავ და წამში შევკრებ აქ — გაგიჟდებიან სისარულითო. იმ ხალხსაც ეშველა და ჩვენც.

— ბატონო რეზო, თქვენ გადა-მტარხარო თეთრი ხიდიდან?

— „პიკასოს ბიჭი“ რომ სტება იქიდან — არა?.. მე აბანოს თავიდან ვსტებოდი, ეგ უფრო ძნელი იყო. ხიდის ზემოთ იყო ეს



ირაკლი ჯაოშვილი:

— მე მართალია, არ მოვსწრებოვარ, მაგრამ მამაჩემის თაობისგან, ბატონი რეზოს თაობისგან ვიცი, რომ ხიდის ამ ადგილას ჩამოსხდებოდნენ პატარა ბიჭები და, ასე ვთქვათ, მცირე „აფერას“ სწადიოდნენ: ხანდაზმული ადამიანები რომ გაივილიდნენ, სისოვდნენ — მომეშველეთ მოაჯირზე უნდა დავდგე, გადახტომა მინდაო. ხელს მოხვევდნენ ამ ხანდაზმულებს, რომლებსაც აუცილებლად ცილინდრები ესურათ, წამში მოხდიდნენ თავიდან ცილინდრს და წყალში ხტებოდნენ — ანუ ეს ყველაფერიც იუმორს უკავშირდებოდა. გადმოხტომის ტრადიცია კიდევ, 13-14 წლის ბიჭების დასაგაყვაცებელი იყო: ვინც შიშს დასძლევდა და ხიდიდან გადახტებოდა, კაციც ის იყო. ქუთაისის კოლორიტი ვაჟა ჭყონია მიყვებოდა: დაახლოებით 14 წლის ვიყავი, საგანგებოდ გამოვიპარე სკოლიდან, რომ ხიდიდან გადავმტარიყავი; ხიდის მოაჯირზე რომ დავდევი, შემეშინდა და შევყოვნდი; უეცრად — ხიდისთავში მამაჩემი დავინახე, ჩემკენ მოდიოდა. ვიფიქრე, თუ შემამჩნია, მიხვდება, გაკვეთილები რომ გავაცდინე და ერთ ამბავს ამიტებს-მეთქი; ამ ფიქრით შეპყრობილი, კი არ გადავხტი ხიდიდან, შიშისგან გადავვარდი და ასე „მოვინათლე“ „დავაუკაცების ამბავშიო“.

— იმპროვიზაციები თუ იყო ფესტივალის დღეებში?

— იმპროვიზაცია არ იყო ის, რომ ლორთქიას და ზაზა აბაშიძის ნაცვლად, ქუთაისის მერმა — გიგა ჩოგოვაძემ და „მამა“ პიკასომ — მერაბ ქავაიამ დაიხურეს ცილინდრები და სწორედ მათ მოხადა უკვე გაზრდილმა „პიკასოს ბიჭმა“ ქუდები წყალში გადახტომისას?.. იმპროვიზებული იყო ქუთაისის ნიღბების თეატრის მსახიობების ალუმეც ქალაქის ქუჩებში. საერთოდ, რაც გავეთა ფესტივალისთვის: ემბლემა — დინოზავრი თავისი სამოსით, საფესტივალო სიმღერის — „იუმორის ქალაქი“ კლიბი (სიმღერის ავტორი — ვოვა მაჩიტაძე, არანჟირების ავტორი — ზურა მახინიაშვილი, შემსრულებელი — ქუთაისის სატირისა და იუმორის თეატრის ბენდი გიზო კაკაურიძის ხელმძღვანელობით), რადიო „ძველი ქალაქის“ რეპორტაჟები და ა.შ. — ყველაფერში მეგობრები მიხმარებოდნენ დიდი ენთუზიაზმით და ასევე დიდი სიყვარულით. ეს ფესტივალი თითქოს იყო სასინჯი ქვა, რომელიც კარგად ავაგორეთ და მომავალში აუცილებლად გაამრავლებს „იუმორის დინოზავრებს“.

ქუთაისური ანეკდოტი

აბანო. იქ ვინც ავიდოდა გადმოსახტომად, უკან აღარ ჩამოუშვებდნენ — სირცხვილი იყო. თან ზაფხულში სტებოდი, როცა რიონის დონე იკლებდა. გადმოსახტომი ადგილიდან რიონი არ ჩანს, მხოლოდ ქვებს ხედავ. ზუსტად ერთ კონკრეტულ ადგილას უნდა დაგეგდა ფეხი და გეკუპა. რომ ასტებოდი, მხოლოდ მაშინ — ჰერში დაინახავდი რიონს!..

— ჰერში ხომ ვეღარ შეიცვლიდით ტრანეჭორიას რომ ასცდენოდით რიონს?

— ნაცადი იყო. ხომ გითხარით, რომ კონკრეტულ ადგილას თუ დაარტყამდი ფეხს, რიონს ვერაფრით ასცდებოდი.

— ფესტივალის დროს ბატონ რეზო ჩხვიჭიანს უთქვამს, აქვე ვცხროვოვოდი, თეთრ ხიდიდან, მაგრამ არასდროს გადავმტარე რიონში, ახლა კი სიამოვნებით გადავსტებოდიო.

— ახლა თავის დახრჩობას თუ აპირებს, არ ვიცი და ისე გადახტომი მაგი არ არის...

— საერთოდ, რატომ იქცა ტრადიციად თეთრი ხიდიდან გადახტომა?



რეზო ჭივიჭიანი მეუღლესთან ერთად

qarTveli Jurnalisti, romelmac basaevTan Sesvlisas fexze ar gaixada...

„იმ ღამეს ჩეჩნები ხინკლითა და ჩაით გაგვიმასპინძლდნენ“...

ლელა წინუა წლების მანძილზე ტელეჟურნალისტი გახლდათ. თავიდან I არხზე მუშაობდა, შემდეგ — ტელეკომპანია „იმედში“. მას ერთერთი ტელევიზიიდან ახლაც აქვს შემოთავაზება და შესაძლოა, როგორც თავად ამბობს, „დიდ ავაციას“ დაუბრუნდეს. კამერამ და მიკროფონმა შეჩვევა იცის და თქვენ წარმოიდგინეთ, ორივე მენატრებაო... მის ჟურნალისტურ პრაქტიკაში ბევრი საინტერესო რამ ყოფილა, თუმცა ყველაზე მძაფრი შეგრძნებები მაინც ჩეჩნეთში მოგზაურობას უკავშირდება. ეს იყო 1996 წლის ნოემბერში, როდესაც ის ომის შემდგომ ჩეჩნეთს ეწვია. მას შემდეგ 10 წელი გავიდა, მაგრამ მეგობრები სუბრობით მაინც „ნაჩენარ ქალს“ ეძახიან...



ლალი შახია

ლელა წინუა:

— ჩეჩნეთში რომ მოხვდით, მაშინ I არხზე ვმუშაობდით. 19 წლის გახლდით. ერთხელაც, პროგრამა „დღის“ ხელმძღვანელმა — ნინო გველესიანმა გამოგვიცხადა, რომ ჩეჩნეთში მიდიოდა. მეც წამოვალ-მეთქი, ვუთხარი. არა, ერთი ჟურნალისტი უნდა წავიდეს და მე მივდივარო. მაგრამ იმავე საღამოს რეჟისორმა დამირეკა და შემეპყობინა — ნინო წასვლა გადაფიქრა, რაკილა შენ გქონდა ამის სურვილი, ხომ არ წახვიდდიო? — კი-მეთქი, — მივუგე. იმ პერიოდში ჩეჩნეთში მეორე ომი ახალი დასრულებული იყო, მიმდინარეობდა მზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, მაშინ მასხადოვი, ბასაევი, იანდარბიევი, ყველანი საპრეზიდენტო კანდიდატები იყვნენ, თუმცა პარტიზანული ომებიც გრძელდებოდა. როგორც ომის დროს ხდება ხოლმე — მთელი ჩეჩნეთი დანაღმული გახლდათ. აი, ასეთ სიტუაციაში ვაპირებდი ცხელ წერტილში წასვლას. რეჟისორმა ისიც მითხრა — ახლავე უნდა წახვიდეთო. გაუთარე ჩემს მეგობარს, საჭირო ნივთები ავიღე და მე, რეჟისორი გია გოგიაშვილი და ოპერატორი კახა ბუხრაშვილი ჩეჩნეთში გავემგზავრეთ.

— იცოდით, რამდენი ხნით მიდით?

— სამი დღით. ამაზე მეტხანს იქ დარჩენა აკრძალული გვქონდა. ჩავსხედით მანქანაში და ვლადიკავკაზის გავლით, გროზნოსკენ გავემგზავრეთ. ძალიან ვფრთხილობდით, რადგან საშიში იყო იმ გზაზე გავლა: ქართველები რომ ვიყავით, ვლადიკავკაზში, შეიძლება, ამას ჩვენთვის საფრთხე შეექმნა. მანქანის ფარებიც არ უნდა აგვეთხო... მაგრამ განცდებში ვიყავით, მაგრამ ღვთის წყალობით, საშიშროებები თავი ავარიდეთ.

— ჩეჩნეთში სად დაბინავდით, ვისთან მიხვედით?

— თავიდან სადაც მივედით, კომისარიატი იყო. იქ ოფიციალური საშვები გამოგვინერეს და დაცვაც გამოგვიყვეს, რომელიც მთელი დღეების მანძილზე, რა თქმა უნდა, სულ თან ვერ დაგვყვებოდა. ვეცადეთ, მთელი ჩეჩნეთი დაგვეთვალერებინა. არ დაგვიტოვებია სოფელი, მიყრუებული კუთხე-კუთხულობი კი. ისე მოხდა,

რომ სამის ნაცვლად, 12 დღე დავჩრით.

— თქვენი ხელმძღვანელისგან რა დავალება გქონდათ?

— ვინაიდან ომი ახალი დამთავრებული იყო, უნდა აგვესახა იქაური მდგომარეობა ანუ ომის შემდგომ რა სიტუაცია იყო ჩეჩნეთში. სხვათა შორის, ჩვენ პირველი ქართველები ვიყავით, ვინც იმ სიტუაციაში იქ ჩავედით. მოგეხსენებათ, ჩეჩნეთი აფხაზეთის ომში როგორი აქტიური მებრძოლები იყვნენ. ამიტომ, საქართველოსა და ჩეჩნეთს შორის გამწვავებული ურთიერთობა იყო. რომ ჩავედით, ბასაევთან შეხვედრა მოვითხოვეთ. ის არ გვხვდებოდა. ინტერვიუ რაღაც მიზეზებით რამდენჯერმე გადაგვიდეს. თურმე ამ ხნის განმავლობაში ბასაევის დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდით, ამიტომაც გაგრძელდა ჩეჩნეთში ჩვენი ყოფნა 12 დღე: არ გვინდოდა ისე წამოვსულიყავით იქიდან, რომ მასთან ინტერვიუ არ ჩავგვეწერა.

— ჩეჩნეთში 12-დღიანი ვოიაჟის შემდეგ რას მიხვდით?

— რომ ჩეჩნები არც ისეთი საშიში არიან. ყოველ შემთხვევაში, ბასაევი ჩვენთან შესახვედრად როგორც კი ოთახში შემოვიდა, თქვა — მაღლობა თქვენ, რომ შესარიგებლად პირველი ნაბიჯი ქართველებმა, თუნდაც ამ შეხვედრით, გადმოგვითო. მისი პირველი ფრაზა ეს იყო.

— იქნებ გაიხსენო, როგორი იყო ეს შეხვედრა?

— შეხვედრა ზაკაევის სახლში შედგა. სამოთახიანი ბინა საცხე იყო იარაღით. როგორ იარაღს არ ნახავდით იქ? — მთელი არსენალი გახლდათ... მოგეხსენებათ, მუსლიმანური ტრადიციის მიხედვით, სახლში შესვლისას ფეხზე გახდა აუცილებელია, თუ

სტუმარი ამას არ აკეთებს, მასპინძლებს მიანიშნავს, რომ ის მათ ტრადიციას შეურაცხყოფს და მის მიმართ ცუდად განწყობიან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ციკოდი, იმ სახლში შესვლისას ფეხსაცმელი მაინც არ გავიხადე. ჯერ ერთი, საშინლად ციოდა.

— სახლში შესულეხს ფეხზე გახდისკენ მასპინძლებმა მოგინოდეს?

— დიას და მათი მოთხოვნა არ შევასრულე. როდესაც ბასაევთან პირისპირ აღმოვჩნდი, მან ფეხზე შემომხედა. ცოტათი შეშინდა, თან მომერიდა, გავნითლდი, მაგრამ საბედნიეროდ, ამაზე მას საგანგებოდ ყურადღება აღარ გაუმახვილებია. მაგრამ მისი მზერა, სიტყვებზე მეტს ნიშნავდა.

— როგორ წარმოადგინა შამილ ბასაევი საკუთარი თავი და როგორი რესპონდენტი იყო?

— მშვიდი, სიტყვაძვირი. რომ ლაპარაკობდა, თვალბში არ მიყურებდა. საერთოდ, კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, რუსულად ელაპარაკა. ვთხოვე — მე ჩეჩნური არ ვიცი და იქნებ ჩემს კითხვებს რუსულად უპასუხოთ-მეთქი. დამთანხმდა და აღნიშნა, რომ ომის შემდეგ ეს იქნებოდა მისი უკანასკნელი ინტერვიუ რუსულ ენაზე მიცემული ქართველი ჟურნალისტისთვის.

— დიალოგის დრო განაზღვრული გქონდათ?

— არა. ღამის 3 საათი იყო, როცა შეხვედით და 8 საათზე, გამთენიისას წამოვედით იქიდან. ოთახში, სადაც ვიმყოფებოდით, მასთან ერთად ყველა ცნობილი საველე მეთაურიც იყო, მათ შორის —



შამილ ბასაევთან და მასპინძელ ჩეჩნეთან ერთად

ხუნკარ ფაშა ისრაფილოვი, აბუ ბაქარ მუდაევი. ეს უკანასკნელი მოგვიანებით, „ნორდ-ოსტის“ გახმაურებულ ამბებთან იყო დაკავშირებული. აფხაზეთის ომში, ვინც კი ჩეჩენი მებრძოლი იყო, ყველანი იმ ლამეს იქ, ბასაევის გვერდით იმყოფებოდნენ. ჩვენ ინტერვიუ თითოეული მათგანისგან ავიღეთ.

რა საკითხებზე ქაუბრე შამილ ბასაევს?

— მან თქვა — ქართველები გვიყვარსო. ჩვენთან ქართველი მეომრები რუსების წინააღმდეგ იბრძოდნენო. სწორედ იმ დღეებში, 12 ქართველს „ლირსების ორდენი“ გადასცა, ოღონდ — მათი გვარები არ გაამხილა. მან მითხრა — თქვენ დამოუკიდებლები ხართ, მაგრამ არა თავისუფლებიო. თქვენი პრეზიდენტი (ედუარდ შევარდნაძე ჰყავდა მხედველობაში), ისევ და ისევ რუსეთის მიერ ხელდასხმული ადამიანია, ამიტომ მას ვერ ვენდობითო. შემდეგ, ზვიად გამსახურდიაზე გადაიტანა საუბარი, მის მიმართ პატივისცემას გამოხატავდა. მის საფლავზე დაცვაში ერთერთი თავისი მებრძოლი ჰყავდა დაყენებული. სხვათა შორის, იქ რომ მივედით, იმ მებრძოლსაც დაველაპარაკეთ. ისიც საოცარი სიყვარულითა და პატივისცემით ლაპარაკობდა ზვიად გამსახურდიაზე. საფლავის მოსახაზლებლად რომ მივედით, გვითხრეს, რომ წინააღმდეგ იქ ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია იყო ნამყოფი.

საფლავი როგორ გამოიყურებოდა?

— იმის გამო, რომ მას ჭურვი ჰქონდა მოხვედრილი, საფლავის სვეტს უთხვე მონგრეოდა. მასზე ამოტვიფრული იყო სიტყვები: „ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, ეკლანი გზა — ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1939-1993 წ.წ.“ ვნახეთ სახლი, სადაც ის ცხოვრობდა, რომელიც დაცხრილი იყო და დანადგომული იყო. ერთი სართული შემოვიარეთ, თუმცა არავინ გვაძლევდა იმის გარანტიას, რომ არ აფეთქდებოდით.

შიშის განცდა არ გქონდა?

— სულიერად ისეთი ამაღლებული განწყობილება მქონდა, რომ იმ წუთებში ნალმზე არ მიფიქრია. შიშის განცდა მერე მოვიდა, როდესაც თბილისში ჩამოვედით და მასალა „გადავზარაშეთ“. მ-საათიანი ფირი ჩამოვიტანეთ. მთელი ჩეჩენთი გადაღებული და ჩანერილი გვექონდა.

თუ ბასაევთან ინტერვიუს მიფურუნდებით და დეტალებს გავიხსენებთ, კიდევ რისი მოყოლა შეგიძლია?

— ბასაევი თავს იმართლებდა აფხაზეთის ომში ქართველების წინააღმდეგ მონაწილედ.



მევიად გამსახურდიას საფლავთან

ილეობის გამო. თუმცა, ბოდიში არ მოუხდიან... მერე აფხაზეთის თემიდან „თურქ-მესხებზე“ გადავიდა. შევარდნაძესთან დაგვაბარა, გადაეცით — ეს ხალხი რომ გადაასახლეს და სადღაც გადაყარეს, თავის მიწა-წყალზე დააბრუნოსო. ის პატარა ერის წინააღმდეგ განხორციელებული გენოციდის წინააღმდეგი იყო. რუსულ-ჩეჩენური ურთიერთობების გარდა, ჩეჩენების ეროვნულ ღირსებებზეც ვილაპარაკეთ. მან თქვა, რომ ჩეჩენები ერთსულელები არიან თავიანთი ქვეყნის დაცვისას. მოგიყვია, ფირზეც ჰქონდა გადაღებული და გვანახავ, როგორ ხვრეტდა მათ, ვინც რუსებს ინფორმაციას მიანდებდა, იქნებოდა ეს 5 წლის ბიჭი თუ 50-60 წლის ადამიანი... ამის საილუსტრაციოდ ვნახეთ, საკუთარი მშობლების თვალწინ 16 წლის ბიჭის დახვრეტის სცენა. მას რუსებისთვის რაღაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიუწოდებია. ბასაევის ბრძანებით, ეს კახტუა გაამრავლეს იმისთვის, რომ ჩეჩენებს შეეძინათ, ენახათ და სცოდნოდათ, როგორ არ უნდა მოქცეულიყვნენ.

სტუმარმასპინძლობის მხრივ როგორ გამოიჩინეს თავი?

— სტუმარს რომ პატივის სცემენ, ეს ფაქტია. ბასაევმა იმ ლამეს მოაყვანინა ქართველი ქალი, რათა ჩვენთვის ხინკალი გაეკეთებინა. გაგვიმასპინძლდნენ აგრეთვე ტრადიციული ჩაით. სხვათა შორის, ჩვენი იქ ყოფნის დროს ალკოჰოლის მიღება აკრძალული იყო. საკუთარი თვლით ვნახეთ და ფირზეც აღვებჭდეთ თუ როგორ დაცხრილეს არყის ბოთლები მაღაზიაში. ჯოხის 40 დაკვრით სჯიდნენ ადამიანს, ვინც ერთ ჭიქას მაინც დალევდა, ეს კანონი იყო. სტუმარმასპინძლობის ტრადიციის საოცარი დაცვით, ჩვენი მასპინძელიც გამოირჩეოდა. კარგი ჩეჩენი კაცი იყო. ქართულიც კარგად იცოდა. მას უზარმაზარი, გალავნიანი სახლი ჰქონდა. ერთი სართული მინის ზემოთ იყო, ორი კი — მინის ქვეშ... ბასაევთან დამშვიდობებისას, სამახსოვო სურათებზე გადავიღეთ. მას ტანსაცმელზე ამოქარგული ჰქონდა თავი-

სი სახელი, რომელსაც მგლის ფორმა ჰქონდა. ისე ყველგან ქალაქში რომ დავედიოდი, მგლის სურათები იყო გამოკრული. ბასაევის ბეჭედზეც მგელი იყო გამოხატული... მან ჩემს ბლოკნოტში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „Принуждение к миру лучшее средство для достижения независимости“, — რომელსაც თავისი ბეჭედი დაუსვა. ნორმალურად დაგვმორდა და გვითხრა: დადევით წინ, ქართველებო! სულ ბოლოს, ისიც კი გაგვიხილა, თუ რატომ არ გვცვდებოდა 12 დღის განმავლობაში. გვითხრა — მე არ ვიცოდი, ვინ იყავითო.

ჩეჩენთი შემოვიარეთო, აღნიშნე რა ნახეთ სოფლებში?

— მართლაც მიყრუებულ სოფლებში ვიყავით. მაგალითად, სოფელ ბაშუტში რომ შევედით (მას რუსები ორეხოვოს ეძახიან) იქ არავინ იყო. სოფელი დაცლილი დაგვხვდა. გარშემო დამტვრეული ტანკები იდგა, იარაღიც ეყარა. გვირჩევდნენ, მანქანაში ჩავმსხდარიყავით და ფეხი გარეთ არ გადაგვედგა, რადგან გარანტიას ვერ გვაძლევდნენ, რომ ნალმებზე არ აფეთქდებოდით. არ დავემორჩილეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწვევდით. ტყეში რაღაც უზარმაზარი საგანი გამოჩნდა, ეს ბომბიო, გვითხრეს. — როდის აფეთქდება-მეთქი? — ვიკითხე. — არავინ იცის, შეიძლება ეს საშინელება ახლაც მოხდესო. ამ საუბარში ვიყავით, რომ აფეთქების ხმა გაისმა — ტყეში ერთი ბომბი მართლა აფეთქდა. საშინელი ხმა ჰქონდა. იქაურობას უეცრად ცვეცილიც მოედო. ნამებში გამოვასწარი... გზად ერთი ქოხი შეგვხვდა. შიგნით რომ შევედით, ვნახეთ, თუ როგორ ამარებდნენ ქალები ტალახისა და თივის რაღაც ნაზავით გაბზარულ კედლებს. აბა, კაცები ჯარში არიანო... — გვითხრეს... სხვათა შორის, მეომარი ქალებიც ვნახეთ და ისეთებიც, ვინც მხოლოდ სახლში ისხდნენ და გარეთ გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ.

გარეგნობით, რუსს ჰგავებარ. ამის გამო პრობლემა ხომ არ შექმნია?

— როგორც კი ჩავედით, იმ დღეს, სადაც საშვი მივიღეთ, ჩემთან ორი ბიჭი მოვიდა. მკითხეს — Ты русская? არა-მეთქი. — ვუპასუხე. ამ დროს, ერთ-ერთი მებრძოლი მომიასლოვდა, რომელმაც უკვე იცოდა, რომ საქართველოდან ვიყავით, იმ ბიჭებს უთხრა, თავი დაანებეთო. მერე მანვე გვერდით გამიყვანა და ლაპარაკი დამიწყო. პასუხს არ ვცემდი. შემდეგ ჩვენს ოპერატორთან გადაინაცვლა და მას ჰკითხა — ამ გოგოს რა ჰქვია? კახას ეგონა, მის სახელს ეკითხებოდა და მიუთხო — კახაო. იმ ბიჭმა „კახათი“ მომმართა. აფუსხენი, რომ კახა კი არა, ლელა ვარ-მეთქი. — სად ცხოვრობო? — თბილისში-მეთქი. — მისამართი და ტელეფონის ნომერი მითხარიო. როგორც შემდეგ გაირკვა, თურმე მოვეწონე. ის რომ ხელით შემხებოდა, ჩეჩენური ნესით, მის დანიშნულად ჩავითვლებოდი და 100 ცხვარი უნდა მოეყვანა ჩემთვის. ასე გადავურჩი ჩეჩენთში დარჩენას... მერე, მასხადოვთან რომ ვიყავით მისული ინტერვიუზე, იმ ბიჭს იქაც მოვკარი თვალი. მგონი, მის დაცვაში მუშაობდა...



მასხადოვის მისაღებაში ჩეჩენ მებრძოლებთან ერთად

ინფორმაციულ-მედიასფეროში
კოლაჟი

ეონა ღვალის
უბის წიგნაკიდან:

1. ნარბილი ნახნავი კორდია.
2. სამსჭვალე და ლურსმანი სინონიმე-ბია.
3. საეკლესიო საგალობელთა წიგნს „დავითნი“ ჰქვია.
4. მარიხი პლანეტა მარსის ქართული სახელწოდებაა.
5. გეოგრაფიულად ერთგვაროვან დიდ სივრცეს მასივი ჰქვია.
6. მაჩქათელა ძუძუმწოვარი ცხოველია ლამურისებრთა ოჯახისა.



7. ლუკმაპურის მონატრებულ ღარიბ ადამიანს გუდამშიერს ეძახიან.

8. ვან გოგის — „ავტოპორტრეტი ჩიბუხით“ კერძო პირის საკუთრებაა.

9. ფურს ერთიდან ორ-სამ წლამდე (პირველი ხბოს მოგებაამდე) დეკეული ჰქვია.

10. გენეა ძველი ებრაული სიტყვაა და ჯოჯოხეთს, ჯოჯოხეთის ცეცხლს ნიშნავს.

11. არსებობს ჰოლანდიური ანდაზა: „ღმერთმა შექმნა სამყარო, ჰოლანდიელებმა კი — ჰოლანდია“.

12. ამერიკიდან კარტოფილის შემოსვლამდე აზერბაიჯანელი მზარეულები კერძში ნაბლს ხმარობდნენ.

13. მთელი პლანეტის მასშტაბით ადამიანები 100 მილიონ ზვიგენს კლავენ წელს იტანენ. ძალზე ძვირად ფასობს ამ მტაცებლის ფარფლები.

14. აშშ-ის მცხოვრებლები 300 ენაზე ლაპარაკობენ. ყოველი მერვე ამერიკელი-სათვის ინგლისური მშობლიური ენა არ არის.

15. უტყეო მხარეებში მსხვილფეხა, რქოსანი პირუტყვის ნაკვალს კვერებად, ბრიკეტებად ახმობენ და სანვავად იყენებენ. ასეთ ნაშადას წივას ეძახიან.

16. 1792 წელს ჯეიმს სმიტის გამოგონებამ ძირითად მტკვალა ფეხსაცმლის წარმოება და რაც მთავარია, მკვეთრად გაზარდა მათი რეალიზაცია. ამ ადამიანმა ფეხსაცმლის ზომები გამოიგონა.

17. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ლონდონის ტაურის ხიდის ქვეშ გაფრენა ინგლისელ მფრინავთა საყვარელ საქმიანობად იქცა.

18. ილმენის მთებში აღმოჩენილი მსოფლიოში ყველაზე დიდი ამაზონიტის კრისტალი თავდაპირველად შეუმჩნეველი დარჩა მემასტეებისთვის. მთელი შახტა კრისტალს შიგნით გადაიოდა.

19. ვეფხვი საქართველოში არ ბინადრობს, მაგრამ ერთხელ, XV საუკუნის დამლევეს, სოფელ ახმეტის მახლობლად მოკლეს, მეორედ 1922 წელს, თბილისის მახლობლად, სოფელ ლელობთან.

20. გენია, იურისტი, ელექტრონი, გრა-



უმთბვევა „მარშრუტაში“ და ბედნიერების 7 წესი...

მარი ჯაფარიძე

თუ იღბალი გნყლობს, შეგიძლია თქვა, რომ ყველაფერი კარგადაა. იღბლიან ადამიანს იმას ეძახიან, ვისაც ცხოვრება საათიერთ აქვს აწყობილი. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგი იღბლიანობას, დიდი ქონების ხელში ჩაგდებას ეძახის, ზოგი — საყვარელ ადამიანთან კავშირს, ზოგი კი — კარგ ჯანმრთელობას... ვინაიდან რამდენიმე ძალზე საინტერესო ამბავი მაქვს მოსაყოლო, ბევრი მსჯელობით თავს არ შეგანწყენთ და პირდაპირ მთავარზე გადავალ.

პირველი რესპონდენტი უცხოეთში წასული მამაკაცი გახლავთ, რომელიც უღბლობას უჩივის. მან ელფოსტით საკმაოდ უჩვეულო ამბავი მომიყვა. როდესაც წაიკითხავთ, მიხვდებით, რომ მას დანა და კალამი ერთნაირად უჭირს...

ლობიო

„მართლაც, იღბალი უნდა ყველაფერს... დავიწყებ იმით, რომ ქართველთა ემიგრირების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, მოგესხნებათ, ფიზიკური გადარჩენა. ერთი მარტივი გარემოების გადარჩენა, უცხოეთში სამსუხაროდ, ვერ გადარჩები. ეს გახლავთ, როგორც დიადი მარქსი იტყოდა: შრომა! შრომამ შექმნა ადამიანი. ჩვენც უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი და საკუთარი

ნატერფალი ვამჩნიოთ ცოდვილ მიწას (ეს ისეთივე მარტივი, მაგრამ ამოუხსნელი განტოლებაა, როგორც ქათმისა და კვერცხის თეორემა, რომელიც უთუოდ შორს წაგვიყვანს). ჩვენი ემიგრანტი მამულიშვილებიც მიდიან, მიჰყვებიან სასტიკი ცხოვრების ვიწრო ბილიკებს და ქმნიან საარსებო მინიმუმს. ბედისწერამ ისე ისურვა, რომ დროებით მეც ერთ-ერთი მათგანი გახვდი. მაგრამ საქმე რთულდება, რადგან ველად გაჭრილი ვერ იშრომებ. დიდი ბედენა ვერ იქნები ვერც შენთვის, ვერც ოჯახისთვის და ვერც სამშობლოს წადაგები. საჭიროა სამსახური! აი, ყველაზე სუსტი და მტკიცეული წერტილი თერგ თუ სხვა წყალდალეულთა ყოფიერებაში, რადგან ჩვენი მსგავსი, განვითარებადი თუ განუვითარებელი ქვეყნების წყალობით, ემიგრანტ, შრომას მოწყურებულ ახალგაზრდათა ისეთი ნაკადი აწყდება განვითარებულ ქვეყნებს, რომ დამამცირებელი, წელში გამწყვეტი, „გროშებზე“ მუშაობაც ზოგიერთს სანატრელი უხდება (კონკურენციის გამო) და რეალურად, უფრო ბნელ ჩიხში ექცევა. გამოსავლის პოვნა კი, მარტივად რომ ვთქვათ, რთულია. სწორედ ამ გაჭირვებამ შეიყვანა ახალემიგრირებულები, გამოუცდელი, უმუშევარი ჩვენი გმირი (ანუ მე) ერთ-ერთი ეგზოტიკური, აზიური რესტორნის შიგან და გზაკვალი აუბნია. ოოო... სანახაობა მართლაც თვალწარმტაცი იყო. უზარმაზარი სივრცე, უამრავი ხალხი, მრავალი ფერი და სურნელი ურთიერთში ირეოდა. ყოველივემ თავს რეტი დაასხა,

მაგრამ ის რა ქართველია, თუ დაბრკოლება ვერ გადალახა და მანაც, რამდენიმე წუთში და გაუგებარ ვითარებაში, თავი მენეჯერის პირისპირ ამოყო თავი.

— აქ საიდან გაჩნდით, ვინ შემოგიშვათ?! — გაუკვირდა უკანასკნელს.

— ჭელოუ! — წარმოთქვა აულელევებელი სახით და, ბავშვი ბაგა-ბაღში, ზემის მსვლელობის დროს, საახალწლო ლექსის მხატვრული კითხვისას, პანტომიმის მოძრაობებს რომ იყენებს, სწორედ ისე, მკლავთა რხევით განაგრძო: — ძალზე სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! მე შეფ-მზარეული ვარ, დიდი გამოცდილებითა და გარდაუვალი პერსპექტივით. ღონდონში ახალჩამოსულმა, რიგ რესტორნებში დღემდე მუშაობა მაინც მოვახერხე და გარკვეული გამოცდილება აქაც შევიძინე და დავაგროვე, მაგრამ გავიგე რა თქვენი არაჩვეულებრივი რესტორნის არსებობის შესახებ, სულმა წამძლია და აქეთ გამოვეშურე. უფრო იმიტომ, რომ ხილვით დავმტკბარიყავი და ასევე ჩემი ხელი, გული და სამსახური შემომეთავაზებინა. მიხდა, თქვენს რესტორანს შევნირო ჩემი სიბრძნე და იმპროვიზაციული ნიჭი ანუ ყოველივე, რაც აქამდე შემიძენია და დამიგროვებია. ჩვენნაირი ხალხი ურთიერთს უნდა იცნობდეს და უფროსი ილდებოდეს! — დაასრულა სულმოუთქმელად, საზეიმო ვითარებაში, ხელბეგამლილმა, წინასწარ გაზეპირებული, ათასჯერ გამეორებული ფრაზები, რომელთაგან 100% სიცრუე იყო და აქამდე არც უფიქრია, რესტორანს თუ სამზარეულოც ჰქონდა, მაგრამ ისეთი არტისტიზმით, თავდაჯერებით წარმოთქვა ყოველივე, რომ ეჭვი თავადაც არ შეპარვია სიმართლეში.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იგივე დაატყდა თავს მისტერ იქს-მენეჯერსაც, რომელსაც გაგონილისგან იმოდენა ფრთანი ესხა, მინას ვერ გრძნობდა ფერხითი და ჰაერში ფარფატებდა. სულ დაავინყდა, რომ თითქმის იგივე მონოლოგი, ოღონდ — შესაკრებთა გადანაცვლებით, ჯამში 1000-ჯერ მოუსმენია უმუშევართაგან. — ოქეი, ჩემო მეგობარო, ვიცნობდეთ ერთმანეთს, კაციც შენ ყოფილხარ, ჩაიცივი და დღეს ტესტის სახით, ერთ დღეს იმუშავებ, თუ მოგვენონე, დაგასაქმებთ. ახლა კი

— პიკის საათი გვაქვს, ძალიან მაღალი წრის სტუმრები მივიღეთ და დახმარება გვჭირდება... შეუერთდი მომავალ კოლეგებს, სასწრაფოდ ბოსტნეულის სალათა გააკეთეო, — თქვა და „ობრაზიდან“ გამოსვლაც ვერ მოასწრო ჩვენმა გმირმა, რომ ასე, ხელბეგამლილსვე წაავლეს ქეჩოში ხელი და უზარმაზარი სამზარეულოსკენ წააცუნცულეს. კარი გაიღო და ოთახში შიშით შეყო ჯერ ცხვირი, შემდეგ — თავი. იქ კი უამრავი თეთრხალათიანი ირეოდა და საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებას უფრო წაავადა, ვიდრე „ქითჩენს“? კოლეგებო, იცნობდეთ, ეს ბრგე მამრი თქვენი ახალი შეფ-მზარეულია, შეფთა შეფი, ლეგენდარული... მმმ... მისტერ ბინი (სახელიც სახელდახელოდ შეურჩიეს: ბინი ხომ ლობიოს ნიშნავს). ახლა თქვენ წინაშე სასწაული მოხდება... შეიქმნება ბოსტნეულის სალათი. უყურეთ და ისწავლეთ!!! მისი გამოცდილება თქვენ უთუოდ წაგადგებათ, — სიამაყით გადახედა მისტერ ლობიოს — დაიწყეო და სასწრაფოდ, ძალიან მაღალი წრის სტუმრებისაკენ გაეშურა. მთელი „სტაფი“ გაცეცხილ შესცქეროდა მას და სასწაულს ელოდა... ჩვენი გმირი ნელი და ურითმო, თუმც გაბედული ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას, გადაათვალიერა, დიდი დანა აიღო (ერთადერთი, რაც საჭირო „ინსტრუმენტებიდან“ იცნო) და ირგვლივ მიმოიხედა. ერთმანეთს გადახედა მთელმა „სტაფმაც“, რამეს ხომ არ გვიპირებსო? მაგრამ ჩვენი გმირი სულ სხვა ფიქრს მოეცვა: ბოსტნეულისო?.. გადაავლო თვალი... არა, რაღაც უნდა ვქნა! პომიდორი თვალში მოუვიდა, დაჭრა და მოზრდილ ტაშტში ჩაყარა. კიტრი ინ-



ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის ნიგნაკიდან:

ცია, კომენტარია, სკაფანდრი და ლენცეტი — ასეთი სახელები ერქვათ საბჭოთა კავშირში ზოგიერთ მოქალაქეებს.

21. უცხოეთში სმირია შემთხვევები, როდესაც სასამართლო დამნაშავეს პატიმრობის იმდენ წელიწადს უსჯის, რამდენსაც პატიმარი ვერასდროს იცოცხლებს. ალბათ მხოლოდ იურისტებმა იციან, თუ რა განსხვავებაა სამუდამო პატიმრობასა და მაგალითისთვის, ალაბამელ დიუელ ვილჰელმ დევისისთვის მისჯილ 10 ათას წელიწადს შორის, რომელსაც იგი ბოლომდე ვერაწირად ვერ მოიხდის. ვერც ტალიანდელი ჩამოი თხიასო მოახერხ-



ებს სასჯელის ბოლომდე მოხდას — მოსამართლემ მას 141 078 წელი მიუსაჯა. ბოლო ხანს ესპანელი გაბრიელო გრანდოსი „აპირებდა“ ამ რეკორდის მოხსნას — მოსამართლე მას 384 912 წლის პატიმრობით ემუქრებოდა.

22. ახლო წარსულში ამერიკელ პენსიონერებს პენსია გაუზარდეს, რის შედეგადაც მათი ჯანმრთელობა ერთბაშად გაუარესდა. არა, ქეიფი და გრიალი ნაღდად არ დაუნყიბათ. უბრალოდ მთავრობამ ვერ გაითვალისწინა, რომ ამის შედეგად პენსიონერთა შემოსავალმა იმ ზღვარს გადააბიჯა, რომლის ზევით მათ უფასო სამედიცინო მომსახურება აღარ ეკუთვნოდათ.

23. მილუოკის აეროპორტის თანამშრომლები ასაფრენი ზოლიდან ფრინველების დასაფრთხობად აეროდრომის მახლობლად ვისკიში დამბალ ხორბალს ყრიან და მიზანსაც აღწევენ: მთვრალი თოლიების გამყივანი ყვირილი აფრთხობს მათ თანამოქმედებს.

24. პითაგორას მონაფე რომ გამხდარიყო, ყმანვილი კაცის ვალდებული იყო სუთი წლის განმავლობაში არ წარმოეთქვა არც ერთი სისულელე, არ გაეცა არც ერთი საიდუმლო, არავისთვის მიეყენებინა შეურაცყოფა, არავისათვის დაეცინა და გამოეჯავრებინა. ეს პირობა რომ შეესრულებინათ, მონაფეობის კანდიდატები 5 წლის განმავლობაში საერთოდ დუმდნენ.

25. ფრანგი ზოოფსიქოლოგი დოდე ამტკიცებს, რომ პუდელის მეპატრონენი ძუნწები არიან, ნაგაზის მფლობელებს არ გააჩნიათ იუმორის გრძნობა, ტაქსების მეპატრონეები დისულგოვანი არიან, დოგის პატრონები — მამაცი, ხოლო ვისაც ფოქსტერიერი ჰყავს, უბრალოდ კარგი ადამიანია. როდესაც ფრანგ ზოოფსიქოლოგს ნაგაზის ერთ-ერთმა მფლობელმა სასამართლოში უჩივლა, დოდე ერთი ფრაზით შეძლო თავის დაცვა: „აი, ხომ ხედავთ!...“.

გლისელებს უყვართ! ესეც დაეჭრა (უბასუხო კითხვებს უსვამდა საკუთარ თავს)? პარალელურად, ცალი თვლით გარემოს ათვალეერებდა, მეორით კი, უახლოეს კარს ეძებდა. გონებაში ბნელი და ნათელი ფიქრნი ურთიერთს ენაცვლებოდა, თუმც, ქმედებას განაგრძობდა. მწვანილი, ხახვი და... ჰმ... უუ-უუუი... ეს სალათა ხომ ადრეც გამიკეთებია (ერთიანად გაეხსნა გონება)! მარილი, პილპილი მოაყარა (ახალი აღმოჩენით გათამამებულმა). კოლეგებო, აბა, სალათა მთავარი ატრიბუტის გარეშე ვის გაუგონია?! — დაარიგა გაცემული მოსწავლეები, რომელთაც მსგავსი მართლაც არაფერი გაეგონათ და არასოდეს ენახათ. ეს გახლავთ ძმარი! — და სწორედ მაშინ, ბოლომდე კომპლექსებ-მოსხნილი, გალაღებული, უკვე დამაგვირგვინებელ აკორდამდე მისული, მის ქმნილებაზე მთავარი ატრიბუტის მოსხმას რომ აპირებდა, იგრძნო მხარზე ხელის შეხება, რომელმაც ბეჭი დასწვა და სალათის მაგივრად, თავადვე დაიძმარა... უკანმიუხედავად წარმოესახა იქს-მენეჯერის ჰაბიტუსი. კბილებიდან ძნელად გამოცრილი სიტყვები კი, ყურებზე „დაეკიდა“: ახლა მანდ გაჩერდი, ძმარი დადე და შემობრუნდი, შე მართლა ლობიო!..“

შემდეგი ამბავი სამყაროსავით ძველ მოვლენაზე — ქმრის მიერ ჩადენილ ლალატზე მოგვითხრობს. მანამდე კი ერთ ანექდოტს მოგიყვებით:

ადაში გვიან დაბრუნდა შინ. ევამ ეჭვიანობის სცენა გაუმართა.

— ქალო, ხომ არ გაგიჟდი?! ვისთან უნდა შელალატა? ჩვენ ხომ დედაამინაზე მარტონი ვართ!

ევა დამშვიდდა და დასაძინებლად დაწვნენ. ღამით ადამი იმან გამოაღვიძა, რომ ევა გვერდებზე ხელებს უფათურებდა.

— რას აკეთებ? — ჰკითხა გაოცებით.

— ნეკნებს ვითვლი...“

უიღბლო ნინო

„მე რომ იღბალი მქონოდა, ჩემი ქმრის ცოლი არ გავხდებოდი... უკვე 18 წლის ოჯახი გვაქვს. 4-ჯერ მომიტაცა ამ აუტანელმა კაცმა. პირველად რომ მომიტაცა, მშობლებმა მალე გაიგეს და გზიდან მომპარუნეს. მაშინ 18 წლის ვიყავი. მეორედ ერთი წლის შემდეგ მომიტაცა და მშობლებს ბებიაამისის სახლიდან უკან გამოგყვავი. მესამედ, რამდენიმე თვის შემდეგ და გამოვექეცი. მერე ბებიაჩემი სულ თან დამყვებოდა, მაგრამ მის გვერდით მყოფი, მაინც მომიტაცა. მე ისევ არ მიწოდდა მასთან გაჩერება, მაგრამ დედაჩემმა მითხრა — კაცს თუ ასე უყვარხარ, მასთან ბედნიერი იქნებიო, — და დავრჩი. მეტი არ იქნა ჩემი მტერი!.. ღამის შემაბურდა ხელში და ჭკუა ვერ ისწავლა.“

თავიდან ვტყუვდებოდი და არც ვეჭვიანობდი. მერე ერთმა მეზობლის ქალმა ამიხილა თვალი და უკვე უჭირდა ჩემი მოტყუება, მაგრამ მაინც „პროფესიონალია“: ისე გაძვრება, რომ ვერ გაიგებ. ქალის ჭაჭანება რომ არსად იყოს, ეგ მაინც მოძებნის. ამას წინათ, მისი მეგობრის დედის გასვენებაში ვიყავით, რაიონში. ჩვენი მანქანით რამდენიმე მისმა თანამშრომელმა იმგზავრა. დანარჩენი თანამშრომლები ნაქირავები „მარშრუტკით“ ნამოვიდნენ. უკან რომ დავბრუნდით, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, გზად რესტორანში შევიარეთ. ჩემი ქმარი კი სადღაც დაიკარგა. მის მოსაძებნად წავედი და ერთ-ერთ თანამშრომელ ქალთან, რომელიც „მარშრუტკით“ მგზავრობდა, მოფარებულ ადგილას წავასწარი. ისეთი ამბავი ავტყეხე, ყველა თავზე დავაყენე... მე რომ იღბალი მქონდეს, ასეთი ქმარი შემხვებოდა?! ძლივს შემირიგა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის. უიღბლო ნინო.“

ბაღში ერთი ბიჭუნა ეკითხება მეორეს:

- სენ ლამდენი ჭლიშ ხალ?
- მგონი, ოთხიშ, — გაფარჩხა 4 თითი მეორემ.
- ქალებში ჭასვლა გინდა?
- ალა, — თავი გააქნია პატარამ
- მაშინ, სამის კოფილქალ!..

„ნაგლი“ სასიძო

„მთელი 2 წელი მიყვარდა ერთი გოგო. გადამიყვანა ჭკუიდან და გადავწყვიტე, დავქორწინებულყავი. ვეახლე სიმამრს და ქალიშვილის ხელი ვთხოვე. ბევრი ფიქრის შემდეგ, როგორც იქნა, თანხმობა მივიღე და ქორწილის დღეც დავთქვი. მეორე დღეს გავიცანი ჩემი საცოლის დაქალი, რომლის შესახებაც მხოლოდ გაგონილი მქონდა, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე არ ვიცნობდი. დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, თუ რატომ არ მაცნობდა ლიკა დაქალს: უღამაზესი გოგო იყო და ერთი ნახვით მომხიბლა. ჩემი იღბალი რა ვთქვი-მეთქი! — გავიფიქრე და ბედს შევურიგდი. მაგრამ მისი მშვენიერება მოსვენებას არ მამძლევდა. ის თითქმის ყოველდღე

ჩვენთან ერთად იყო. რადგან ქორწილი უკვე დანიშნული გვექონდა, ჩემმა საცოლემ იფიქრა, რომ საფრთხე აღარ ელოდა. არც ის იყო ჩემ მიმართ გულგრილი, როგორც შევატყვე. ხელიდან არ უშვებდა შანსს, რომ არ გამხახუნებოდა, თუ მოკლე კაბა ეცვა, საჯდომი



არ მოეშვირა, დეკოლტემი არ ჩავეხედებინე. გავთავდი კაცი... ამასობაში ქორწილის დღეც მოახლოვდა. ჩემმა საცოლემ გადაწყვიტა, რომ ქორწილისთვის ის სტუმრები, რომლებიც რაიონიდან უნდა ჩამოსულიყვნენ, პირადად დაეუბატიჟა და ერთ მშვენიერ დღეს სოფელში გაემგზავრა, მე კი დამავალა, რომ მეორე დღეს მის დაქალთან მივსულიყავი და რაღაც-რაღაცები მიმეტანა. ის კერძო სახლში ცხოვრობდა. მანქანით მივედი. ჭიშკართან გავაჩერე და სახლში შევედი. ყავაზე დამუბატიჟა, ცოტა ხანს ვისაუბრეთ და წამოსასვლელად რომ წამოვდექი, მითხრა: ჯერ ქორწილი არ გქონიათ, არაფერი მოხდება, თუ ერთხელ ჩემთან დანვებიო... მე უკან-უკან დავიხიე. ის კი მიახლოვებოდა... გაოგნებული ვიდექი და ვერ ვიჯერებდი, რომ შეიძლებოდა, ეს მომხდარიყო. ბედნიერებისგან მეცხრე ცაზე ვიყავი... იმდენი მაინც მოვიფიქრე, რომ მერე პრობლემების თავიდან ასაცილებლად, პრეზერვატივი გამომეყენებინა, ის კი მანქანაში მეგულეოდა... ახლავე მოვალ-მეთქი, — ამოვილულულე და ძლივს „ნავატორიე“ ფეხები მანქანისკენ. კარი გავაღე თუ არა, ჩემი სიმამრის მანქანა დავინახე. ის და ჩემი საცოლე გადმოვიდნენ და მაშინ გადავუხადე ღმერთს მადლობა, რომ გადამარჩინა. მე რომ გარეთ არ გამოვსულიყავი, თავზე დაგვადგებოდნენ. ამის მაგივრად, პა-

ტიოსანი კაცივით შევხვდი ჩემს საცოლეს და ვუთხარი — უკვე წასვლას ვაპირებდი-მეთქი. ახლა თქვენ განსაჯეთ, მაქვს თუ არა იღბალი“.

მოკლე მესიჯები

„არ ვიცი, რა ჰქვია ამას, იღბალი თუ ბედისწერა, მაგრამ ერთ დღეს უსაქმოდ ვიყავი და ტელეფონით ერთი ბიჭი გავიცანი. მას შემდეგ 6 წელი გავიდა და მისი გახსენება დღესაც გულს მტკენს“.

„გზის“ მეორე მომენტში ასეთი მესიჯი გამოქვეყნდა: „ერთ ბიჭს ვეძებ, რომელიც ქობულეთში გავიცანი. ანრი, ძალიან ვნაობ, რომ მაშინ ნომერი არ დაგიტოვე. მინდა, იცოდეს, რომ შენი ლურჯი თვალები ვერ დავივიწყე. ვიცი, თუ ამ მესიჯს წაიკითხავ, გაგახსენდები. ლინი“. ჰოდა, ეს ანრი მე ვარ და ლინის ვთხოვ, რომ გამომეხმაუროს“.

„მინდა ვიყოთ ერთად/ სოფელში და წვიმდეს,/ შენ კი ჩემი დიდი/ სიყვარული გჭირდეს./ ბესო, აღიარე, რომ გიყვარვარ, თორემ მოგიტაცებ და არ დამიწყო მერე, ვერ დავრჩებიო“.

„საგარეჯოლო თავო გზირიშვილო! მაგრად მიყვარხარ, მაგრამ ვერ გეუბნები. ჩემი ნიცოცხლე შენ ხელთაა, 555, კუსტუნა“.

„საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან ვარ, მაგრამ იღბალი მაინცდამაინც არ მწყალობს, თუმცა ბედის სამედურავს იშვიათად ვამბობ. აგერ, რამდენიმე თვეა, რძალი მომივიდა, ქუჩის კახა. მაგან თქვას, იღბალი მქონიაო: მაგარი ბიჭიც დაითრია და ოჯახიც თავს ევლებს. გარეგნულად კი, პირველყოფილ ადამიანს ჰგავს. მაგისთვის უსვრია „ავრორას“... მე კი ვზივარ და „გზის“ კითხვით ვირთობ თავს“.

„ბედნიერების 7 წესი: 1. არ გძულდეს; 2. ნუ ლელავ; 3. იცხოვრე იოლად; 4. ენდე ცოტას; 5. გაიღიმე; 6. გნამდეს; 7. იკითხეთ „გზაჯინალები““.

„აქამდე მეგონა, რომ იღბალი არ მქონდა. ბავშვს ველოდები და დღეს, როცა ჩემი შვილის გულისცემა გავიგონე, დავრწმუნდი, რომ არც ისე უიღბლო ვყოფილვარ. სოფი“.

„ყველაფერს იღბალი უნდა, რა! მაგალითად, რამდენი ხანია, რაც „შატალოზე“ მინდა წასვლა. ამოვიჩემე, მაგრამ ვერ მივდივარ. იმიტომ კი არა, რომ მემინია, ვერც ჩემი ბუნტისთავი კლასიკები ახერხებენ წასვლას. ჰოდა, თუ მოვახერხებ და წავედი, აუცილებლად შეგატყობინებთ“.

„უიღბლო ადამიანი არ არსებობს, ყველა თვითონ ქმნის თავის იღბალს. ისე მიყვარხართ, როგორც შავ ზღვას თეთრი თოლია, მე თქვენნაირი მეგობრები ჯერ არ მყოლია. ეძღვნება ჟურნალ „გზის“ ერთგულ მკითხველებს. კონსულა“.

„იღბალი არასოდეს მქონია. ორჯერ გავთხოვდი და არც ერთხელ არ გამი-

მართლა. ახლა კიდევ, ცოლიანი კაცი შემეყვარდა. ისე მიყვარს, რომ სიცოცხლეს მირჩევნია. ვერავის ვუმხელ, რადგან საერთო საახლობლო წრე გვაქვს და ვინმემ რომ გაიგოს, ჩაგვექოლავენ. უიღბლობაა, აბა, რა, როცა ამხელა ქალი პატარა ბავშვივით მოვთქვამ სიყვარულის გამო. ტანჯულა“.

„მარი, ეს რა მიყავი? უკვე ერთი წელია, „გზას“ მიმაჯახებ. ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე „გზაჯინალებს“ ველი. ჩემს შეყვარებულს კი, მინდა ვუთხრა, რომ ჩემი სახით დიდი საჩუქარი მიიღო და სწორედ ამიტომ, მაგარი იღბლიანია. მარიშა“.

„იღბალი რომ მქონდეს, ჩემი ქმარი ცინეში კი არ იჯდებოდა, ჩემთან იქნებოდა და აღარ მომიწევდა დაუსრულებლად ლოდინი. ლელა“.

„იცით, როდის დავრწმუნდები, რომ იღბალი მაქვს? როცა მალხაზ ასათიანის ცოლი გავხდები, მაშინ. მახო, მენატრები“.

„ამას წინათ საავადმყოფოში ერთი სიმპათიური ექიმი ვნახე, მაგრამ მისი გაცნობა ვერ მოვახერხე. მგონი, მასაც მოგვწონდა. მას დათო ჰქვია. თუ „გზას“ კითხულობს, იქნებ, ახლა მაინც გავიცნოთ ერთმანეთი. მაშინ ვიტყვი, რომ იღბლიანი ადამიანი ვარ. თავო“.

„სულ ცოტა იღბალი მინდა, რადგან დიდი სურვილი მაქვს, შეყვარებული მყავდეს. ჯერ კი არავინ ჩანს, ამ „ვაკანსის“ დაკავების მსურველი. ასე რომ, თუ იღბალი მაქვს, შეყვარებულიც გეყოლება, თანაც — მაგარი ტიპი“.

„მინდა, ერთი პატარა ამბავი მოგეყვით. ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბორჯომელი ვარ. უკვე 4 წელია, რაც აქ ვცხოვრობ. ისე მოხდა, რომ ჩემი ბორჯომელი მეგობარი, რომელიც ჩემი ყოფილი შეყვარებულის ძმაკაცია, ჩემს უბანში ცხოვრობს. ძალიან მიხაროდა, საკუთარი ძმასავით მივიღე და ვზრუნავდი მასზე, რადგან თბილისში მარტო ცხოვრობს. სულ ერთად ვიყავით. ეს მეგობრობა რომ შეგვენარჩუნებინა, გადავწყვიტეთ — როცა შვილი მეყოლებოდა, ნათლია ის იქნებოდა. გიოს ჩვენი უბნელი გოგო შეუყვარდა. ნინო მაინცდამაინც არ მომწონდა, რადგან მიმანდა, რომ გიოს უფრო ჭკვიანი, შეგნებული და განათლებული ადამიანი შეეფერებოდა, მაგრამ რაკი მას ასე უყვარდა, მე მათ ურთიერთობაში ვერ ჩავეროდი. პირიქით, ცვდილობდი, ნინოს გვერდით დავცდილობდი, რადგან ვიცოდი, რომ გიოს ქალებში გაძრომა უყვარდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს ვიგებ, რომ თურმე, მე ვუმლიდი ხელს მათ ურთიერთობას. მიზეზი კი ის იყო, რომ თურმე გიო მყვარებდა... მე და ნინოს უსიამოვნება მოგვივიდა. გიო კი ძალიან დაბნეული იყო, როცა ამის გამო ახსნა-განმარტება მოვთხოვე და ვიფიქრე, რომ ნინოსთან თვითონ გაარკვევდა ურთიერთობას... ისე გამოვიდა, რომ ნინომ ჩვენი 10-

წლიანი ურთიერთობა დაანგრია... ნინოზე გული არ მწყდება. მე გიოზე უფრო ვარ გულნატკენი. ალბათ მართლაც, ყველაფერში იღბალი გინდა ადამიანს. ანი“.

„მარი, მართალია, ძლიან გვიანია, მაგრამ არ მეძინება და გადავწყვიტე, რომ ჩემი ბედ-იღბლის უკუღმართობაზე მომეწერა. საკმოდ პატარა გავთხოვდი. მომიტაცეს, თორემ, ვინ გამათხოვებდა?! მოხდა ისე, რომ ჩემმა ქმარმა ხელუხლებლად, ისე, რომ თავისი მამაკაცური მოვალეობა არც კი შეუსრულებია, თავის ოჯახში დამტოვა და პირველ ცოლს დაუბრუნა. რა უნდა მექნა?... ის ცოლს შეურიგდა, მე — იღბალს, მაგრამ გავიდა დრო და მეც გავიზარდე. ერთი ულამაზესი და უკარგესი ბიჭი შემეყვარდა და მასაც შეეყვარდი. სულ გადაამაყვინდა, რომ არაფერში მიმართლებს და მიუხედავად დედამისის წინააღმდეგობისა, მაინც დავექორწინდით. ბევრი სიძნელე გადავლახეთ, ბევრი დამცირება ავიტანე, ამას ჩემი ქმრის ნარკომანობა დაემატა და დედოქომ ერთმანეთს დაგვამორა. გამოჩნდა კიდევ ერთი, რომელმაც შემომთავაზა გული, ხელი და სიყვარული. აი, მაშინ კი ალაპარაკდა ხალხი — ეს რა იღბალი ჰქონიაო! მაგრამ მოტყუვდნენ. თუ ადამიანს იღბალი მაქვს, არც რამდენჯერმე მოგინებს გათხოვება, არც ანჩხლი დედამთილის ოინებსა და ამბიციებს შეენიერება შენი სიყვარული და არც ნარკომანი და უვარგისი ქმარი გეყვარება სიგაჟემდე“.

„საერთოდ, ძალიან უიღბლო ადამიანი ვარ. ახლა სასწავლებლიდან გამოვდივარ, რადგან ფული ვერ გადავიხადე. თან ჩემი შეყვარებული ჩემთვის ვერ იცლის“.

„თუ იღბალი მაქვს, ყველა ოცნება მალე ახდება/ თუ იღბალი მაქვს, ეს ცხოვრება შენი გახდება/ თუ იღბალი მაქვს, ფიქრებში მაინც იქნები ჩემი/ თუ იღბალი მაქვს, მამ, რატომ მაქვს თვალები სველი?./ გიჟუუუუ, ძალიან მიყვარხარ. ნანუკა“.

„არ მემინია ქვეყნად არაფრის, მხოლოდ ღმერთის და შენი დაკარგვის. გიორგი, უზომოდ მიყვარხარ. მანჩესტერა“.

„თუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ მიერ გამოცხადებულ, ტრეფიკინგის საწინააღმდეგო კონკურსში გავიმარჯვებ, დავრწმუნდები, რომ ნიჭთან ერთად, იღბალიც მაქვს“.

„ევეჰ, რა იღბალი, რის იღბალი? მე რომ იღბალი მქონოდა, ახლა მთვარეზე ვიქნებოდი და ვარსკვლავებს დავითვლიდი. მე კი იმის იღბალიც არ მაქვს, რომ ეს „უბედური“ მესიჯი „გზაჯინალებში“ მოხვდეს“.

„თუ იღბალი არ მაქვს, შენი ცხოვრება დასრულებულია. ჩემი შეყვარებული საბერძნეთში წავიდა და მთელი თვე არ დაურეკავს. ბოლოს კი, ბედმა გამიღიმა და დამირეკა. ისე გამიხარდა, ხმამაღლა ვკივი და ვტროდი. კახა, ძალიან მიყვარხარ და მთელი ცხოვრება

დაგელოდები. ახალციხე“.

„ილბლიანი იმ ქალს ჰქვია, ვინც ისეთ მამაკაცს იპოვის, ვისაც ნამდვილი სიყვარული შეუძლია. რა თქმა უნდა, თუ ასეთი მამაკაცი არსებობს. მძინარა დედოფალი“.

„მე რომ ილბალი მქონოდა, 5 დღეში ჩემი შავთვალეებს ქორწილი არ იქნებოდა. სიგიჟედვე მიყვარხარ, ჩემო გადარეულო, უშენოდ გავაფრენ. გოცინი, „ზვეზდა“.

„თუ ილბალი გაქვს, გოგოს არ გექნება 45 ზომის ფეხი, არ შეგიყვარდება ვინმე ერთი ნახვით, არ იქნები სიმაღლით 184 სმ და არ გაგიჭირდება შენზე მალალი ბიჭის მოძებნა, არ გეყოლება შენზე „კაკ მინიშუმ“ 2 წლით პატარა და 5-10 სანტიმეტრით დაბალი თაყვანისმცემლების მთელი ლაშქარი“.

„ილბალი თუ გაქვს, ერთი ქუთაისელი გოგო, სკოლას წარმატებით დაამთავრებ, ეროვნულ გამოცდებს ჩააბარებ, გრანტს აიღებ, თბილისში ისწავლი, მაგარ მეგობრებს შეიძენ და ისეთ ბიჭს გარითავ, მაგრად რომ ეყვარები... მაგრამ ამდენ ილბალში ერთი უილბლობაც გამოერი: სამსახურს ვერ ვშოულობ. ილბალი, გამოფხიზლდი, ნუ დაგეძინა!.. დადუნა“.

„ილბალი რომ მქონოდა, ახლა ქმრის სახლში კი არა, ჩემს ოთახში ვიჯდებოდი მოკალათებული თაყვანისმცემლების რომანტიკულ საქციელზე ჩაფიქრებული. ახლა კი, ვზივარ ვაკის კომფორტულ „გალიაში“ მარტოდმარტო, ჩემი ძვირფასი ქმარი კი, ტოტალიზატორშია და ალბათ, ღამის 2 საათამდე არ მოვა. ისეთი ეჭვიანიაა... არადა, როგორ მინდა, ვინმეს ვემესიჯო. მიშველით ვინმე?.. მგონია, რომ ვბერდები, არადა, ჯერ 19 წლის ვარ. თათა“.

„ვფიქრობ, რომ უილბლო ვარ, მაგრამ ყველა ჩემი მეგობარი მიმტკიცებს, რომ ილბლიანი ვარ. ეს იმის გამო, რომ ყველა იმ ბიჭს მოვწონვარ, ვისაც ჩემი მეგობარი თამუნა თვალს დაადგამს. მის მოწონებულ 3 ბიჭს მოვწონვარ უკვე. თამუნას ახლა ერთი ბიჭი მოსწონს, მაგრამ არ მაცნობს, რადგან შიშობს, რომ მასაც მოვწონებ“.

„სადაც კი ვნახე წითელი ვარდი/ სულ გამახსენდა შენი ტუჩები/ შენ გარდა მე ხომ ვერვინ მიშველის,/ ისე მომინდა პაჩიპუჩები./ თუ ჩემს გულში უცაბედად/ სიყვარული მოვარდა/ ჩემს საბედოს მარწყვის ტუჩებს,/ ვერ დაიცავს პომადა. ეძღვნება ტუჯლის, გიორგის-გან“.

ამჯერად „გზაწილაკს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ტყუილმა გადამარჩინა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. ველით თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

კათილოფიქორების სამსახურის უფროსს პირადი სსოპრება კათილოფიქორული აქვს

ამ სამსახურის უფროსები ყოველთვის იყვნენ პოპულარულები: მათი კონკრეტული სახელი და გვარი არასოდეს არავინ იცოდა, მაგრამ თბილისის მოქალაქეები მათ ხშირად, არცთუ ისე სახარბიელო ეპითეტებით მოიხსენიებდნენ — ძირითადად მაშინ, როდესაც თბილისის ბნელ ქუჩებში, დანგრეულ გზებზე უწევდათ გავლა ან კიდევ მორიგი საბაბი მიეცემოდათ ეთქვათ, თბილისი არაკეთილმოწყობილი ქალაქაო. წინამორბედებისგან განსხვავებით, მერის კეთილმოწყობის სამსახურის დღევანდელი უფროსი ყველასთვის ცნობილი სახეა. იგი თავის პოპულარობას ასე ხსნის: „ხალხი ხედავს, რომ საქმე კეთდება. სულ მუდამ ქუჩაში ვარ, ასფალტის დაგებას ვმეთაურობ თუ ბზარებს ვეძებ, განათებას ვამონტაჟებ და ა.შ. შეიძლება, ვინმემ არ დამინახოს?“. როგორც ხედავთ, ცოტა თავის ქებაც უყვარს და ამას თავადაც აღწერს: „სვანებს გვიყვარს თავის ქება“. **კობა სუბალიანი** ისეა დაკავებული დედაქალაქის კეთილმოწყობით, რომ პირადი ცხოვრება კეთილმოწყობილი რჩება.

ნათია ქარშიძე

— ჩემი კარიერა საპატრიარქოდან დაიწყო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ერთ-ერთი მთავარი სტიქაროსანი ვიყავი (მთავარ ოთხეულში შევდიოდი). პარალელურად, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარის თანაშემწე ვიყავი. სხვა ქვეყნების დელეგაციების მიღება, დაბინავება, გამასპინძლება, გასტუმრება გვევალებოდა. სწორედ იმ პერიოდში, 1991 წელს, ზარზმის მონასტერში გავიცანი გიგი უტულავა და მამუკა ახვლედიანი. ისინი ბავშვობის მეგობრები არიან, მე კი



მათზე 4-5 წლით უმცროსი ვიყავი. მაშინ ეს სხვაობა უფრო შესამჩნევი იყო და მათ ძმაცხოვას ვერ დავიბრალდებდი. ეკლესიაში ხშირად ვხვდებოდი ერთმანეთს. დრომ ასაკობრივი განსხვავება ნაშალა და დავმეგობრდით. — როდესაც თქვენმა მეგობარმა გიგიმ ამ თანამდებობაზე მოგიყვანათ, არ გიფიქრიათ იმაზე, რომ შესაბამის სამსახურში არ მოხვდით? ეს საქმე ხომ უცხო იყო თქვენთვის? — საქმე, რომელსაც ვაკეთებ, ძალიან მომწონს. მეტიც, ვაკეთებ იმას, რაზეც ადრე ვოცნებობდი, რომ გაკეთებულიყო. ბედნიერი ვარ, რომ კარგი საქმეები კეთდება და მე მიწვეს ამის ხელმძღვანელობა. შაყირი საკუთარ თავზე ძალიან მიყვარს და ერთ ამბავს თქვენც მოგიყვებით, რომელიც ჩემი დანიშნვის პირველ

დღეებში შემემთხვა. ახალი დანიშნული ვარ და გიგიმ აეროპორტის მაგისტრალის ერთ-ერთ მონაკვეთზე გამგზავნა. ეს ის ადგილია, ხიდთან, სადაც ბუშის პლაკატი კიდეა და აქეთ-იქით აღმართ-

ბია. იქ გზის შეკეთება მიმდინარეობდა. გიგიმ დამავალა, სასწრაფოდ გამერკვია, რა მდგომარეობა იყო და სამუშაო როდის დასრულდებოდა. მივედი და ვეკითხები — რა მდგომარეობაა? ერთ-ერთი თანამშრომელი სპეციფიკური ტერმინებით მიხსნის — ბორდიურები ნიშნულებზე გავასწორეთ, ავფრევთ, ქვედა ფენას შემასწორებელს გავუკეთებთ, პამბუზები დღეს დაიგება, სენპანტინი — ხვალ... მოკლედ, ტერმინებს აფრქვევს. ვაი, რა საცოდავი და უსუსური ვიყავი! საერთოდ, წარმოადგენა არა მაქვს, რა ხდება. აქეთ-იქით დაბნეული ვიყურები. ვხედავ, ყველაფერი ყირაზე დგას, დანგრეულია გზა, ერთი ალიაქოთია. რა ვქნა, ამ ტერმინებს რა დამიხსოვრებს? დიქტოფონზე ხომ არ ჩავინერ! რა ვუთხრა გიგის? ბოლოს ვიკითხე — ბოლოს და ბოლოს, მითხარით, როდის

ამთავრებთ? 3-4 დღეში, — მიპასუხეს. გიგის დავურეკე და ვუთხარი — 3-4 დღეში ყველაფერი დამთავრდება-მეთქი.

— ისე, რომ დაგემანსოვრები-ნათ ეს ტერმინები და ბატონი გიგისთვის სპეციფიკური ტერმინებით გეთქვათ, რა ხდება, ის რამეს მიხვდებოდა?

— გიგი მეტყოდა — ნუ „ჟულიკობ“, აზრზე არა ხარ, რას მეუბნებიო (იცი-ნის)! ენით ვერ აღვიწერო, რა უსუსურ მდგომარეობაში აღმოვჩნდი.

— როგორც ჩანს, ამ ტერმინების მნიშვნელობა უკვე იცით! ისე, ადაპტაცია ხომ არ გაგიჭირდათ?

— დაღმართებს ჰქვია სენპანტინი. აფრეზა — ასფალტის აფხეკა და ა.შ. ადაპტაცია არ გამჭირვებია. საერთოდ, პრობლემა არ მასსოვს, რომ არ მომეგვარებინოს, იმუნიტეტი მაქვს ასეთი. თუ საქმემ არ დამაინტერესა, არც გავაკეთებ. თუ დამაინტერესა და მოვინდომე, ბოლომდე მივდექ. ხომ ასეთ სიტუაციაში ვიყავი! ხანდახან ისეთი შესწორება შემიტანია, რაღაც ნიუანსში, რომ ციბირის გზებზე ნამუშევარ ხალხს ჩემთვის კომპლიმენტი უთქვამს. ახლა პრინციპში, თავს ვიქებ, მაგრამ ყოფილა ასე და რა ვქნა?! ისე სვანებს უყვართ თავის ქება და არც მე ვარ გამოჩინებული.

— თქვენი ხელმძღვანელობით ქალაქმა კეთილმოწყობისთვის წელს რამდენი დახარჯა და თუ იცით, მომავალში რამდენს დახარჯავს?

— წელს 230 მილიონი დაიხარჯა. მომავალ წელს, ალბათ, 180-200 მილიონი იქნება გამოყოფილი, შეიძლება, მეტიც.

— ქალაქში თქვენი ინიციატივით კონკრეტული რამ თუ გაკეთებულა?

— ინიციატივებს ვერიდები. იმიტომ, რომ ვარ აღმასრულებელი. ეს ისე არ გაიგოთ, რომ მორჩილად ვსრულებ იმას, რასაც უფროსები მავალბენ. რაღაც შესწორებები მეც შემიტანია. როდესაც მიდის განხილვა და ბჭობა, ყველა თავის აზრს გამოთქვამს. მეც გამოვთქვამ ჩემს აზრს. მერე ყველაფერი ჯამდება და ლოკიკური დასკვნა კეთდება.

— და მაინც, პირველ რიგში, რის კეთილმოწყობას ისურვებდით? რას გააკეთებდით პირადად თქვენ, თქვენს ქალაქში?

— გაავარძლებდი იმას, რაც დაწყებულია. გზების თემა 2007-08 წლებში უნდა დასრულდეს. ამის სხენებაც აღარ უნდა იყოს, არც — განათების პრობლემის. მერე გადავალთ დამატებით ფუფუნებაზე.

— ოდესღაც დიდი კულტურის მქონე ქართველი საზოგადოება, ახლა ამით ნამდვილად ვერ დაიტრიალებს. ალბათ, უკულტურო მოსახლეობა პრობლემებსაც გიქმნით.

— ჩემგან საზოგადოების გალანძვლა არ გამოვა. მით უმეტეს, რომ მეც მისი

ხანილი ვარ და არც ამ მხრივ გამოვიჩინოდი ბევრი რამით. ფაქტია, რომ ყველა უნდა მიხვდეს, ქუჩაც ისევეა მათი მოსავლელი, როგორც მათი საკუთარი სახლი. ეს მათი ბრალიც არ არის, იცით?! ეს კომუნისტური რეჟიმის ბრალია: კომუნისტებმა დაამკვიდრეს აზრი, რომ ყველაფერი აკეთებს მთავრობა. ეს გაუჯდა ადამიანს და მასში ჩაკლეს ის ინსტინქტი, რომ საქმე თავადაც უნდა აკეთოს. პატრიარქი ამბობდა, თევზი კი არ უნდა აჩუქო ადამიანს, მას თევზის ჭერა უნდა ასწავლო. აილო და თევზი მისცე — ეს სიკეთეა, მაგრამ ის მას შეჭამს და მეორე დღეს ისევ დასჭირდება. აი, თევზის ჭერას რომ ასწავლი, ადამიანი უკვე დამოუკიდებელი ხდება. ამას წინათ შუა ქუჩაში, ქალაქის ცენტრალურ გზაზე, ჩემს მანქანას „კოკა-კოლის“ პლასტიკის ბოთლი დაეცა. ვიღაცამ წინა მანქანიდან გადმოაგდო. მძღოლს ვუთხარი, მის გვერდით მიეყენებინა. რას შვრები-მეთქი? — ვუთხარი. არ ვიცი, მიცნო და იმიტომ თუ ისედაც თავისი საქციელის გამო შერცხვა, განითლდა. განა მე არ გამიკეთებია მსგავსი რამ. „ბიჩოკს“ მანქანის ფანჯრიდან ვასროდი, სიგარეტის კოლოფს გავხსნიდი, ქილაღს და ცელოფანს მანქანიდან ვაგდებდი. ამ სამსახურში რომ დავინიშნე და ჩახედე ჩემი მოვალეობების ნუსხას, მერე და მერე უფრო მივხვდი და შევიცვალე. ერთხელაც, მივიღივარ ორთაჭალაში, მეტეხის ეკლესიის ჩაყოლებზე რომ სახლებია, მათ მოპირდაპირე მხარეს. ვხედავ, უზარმაზარი შავი ცელოფანი მოფრინავს. მტკვარში ჩავარდა...

— როგორც აღიარეთ, ქუჩაში უნესოდ თავადაც მოქცეულხართ. რამდენად მონესრიგებული ხართ სახლში?

— მაგ მხრივ, გამორჩეულად მონესრიგებული ვარ. ეს მთლიანად დედაჩემის დამსახურებაა და ამით თავს არ ვიქებ, მას ვაქებ. ღამით, დაძინებულს გამაღვიძებდა, ამაყენებდა და მეტყოდა, შენი ნივთები დააღაგე და მერე დაიძინეო. სახლში რომ მივიდოდი (ბევრს აქვს ასეთი ჩვევა), ფეხსაცმელს ფეხებით ვიხდიდი და ისე მიყვრიდი ხოლმე. დედა ყოველთვის უკან მამბრუნებდა და არ

მომეშვებოდა, სანამ არ გამასწორებინებდა. მერე უკვე მეზარებოდა უკან მიბრუნება, ამიტომ თავიდანვე სწორად ვალაგებდი. ეს უკვე გამომუშავებული მაქვს და ამ მხრივ, ძალიან მონესრიგებული ვარ.

— ვინ არიან თქვენი ოჯახის წევრები?

— დედა და და.

— თქვენი სახლის კეთილმოწყობაზე ვინ უფრო ზრუნავს, თქვენ თუ ქალბატონები?

— დიდად კეთილმოსაწყობი იქ არაფერია. რომ გითხრათ, მე რამეზე ვზრუნავ-მეთქი, ტყუილი იქნება. ძირითადად, სამსახურში ვარ. ღამის 2 საათზე, როცა მუშაობას ვასრულებ, სახლში წასვლა მეზარება კიდევ და აქ ვრჩები.

— თქვენი კაბინეტის კეთილმოწყობაზე თუ გიზრუნიათ?

— არა, ყველაფერი ისეა, როგორც დამხვდა, არაფერი შემიცვლია.

— ძაღლის ეს სურათები, უთუოდ თქვენი დაკიდებულია. რა ჯიშის ძაღლია ეს?

— ეს არის ჩემი სიცოცხლე და სიამაყე — ქართული ნაგაზი, სახელად ბუკა. მისი დედა 6 ვაუჩერად ვიყიდე. ფაქტობრივად, მაჩუქეს. მას მერე, ძალიან ვუფრთხილდებოდი, ახლა კი, ბუკაზე ვზრუნავ. რამდენიმე ხნის წინ, მე პირადად, მარტომ, ექიმის დახმარების გარეშე მივიღე მისი მშობიარობა. მისი დედის მშობიარობას ვუყურე და მხოლოდ ეს გამოცდილება მქონდა. ბუკა ძალიან მიყვარს და ძალიან მენატრება. ის ხან ზუგუნიდებოდა, ხან თბილისში ჩამომყავს და ჩემი მეგობრის ეზოიან სახლში მყავს.

— რამდენი წლის ხართ?

— 28 წლის.

— კარიერაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეთ, თუმცა, პირადად ცხოვრებაში — არა. რატომ, თქვენი მოსაწონი ვერაფერია ნახეთ?

— ვერ მოვიცალე, თორემ მოსაწონი გოგონების მეტი რა არის?! ქუჩაში, რომ დავდივარ, ხანდახან თვალები მრჩება, მაგრამ უეცრად ტელეფონი რეკავს და პრობლემებზე მიწევს ლაპარაკი.

— ძალიან მოუცლელი და სამსახურისთვის თავდადებული ადამიანის შთაბეჭდილება ტოვებთ. ნუთუ მეგობრებისთვისაც ვერ იცლით?

— ჩემი მეგობრებისთვის თუ საჭირო გახდება, მოვიცლი კი არა, ღამეს გავათენებ. ხინკლის საჭმელად და ლუდის დასალევად კი — არ მცალია. სამწუხაროა, რომ იმ ადამიანებს, ვისთანაც წლები გავატარე, ვეღარ ვნახულობ. ისინი ძალიან მენატრებიან. ქეიფი და დროს ტარება ჩემი მოგონილია. სიმთვრალეში უფრო კარგ ხასიათზე ვარ — ვმღერო, ანეკდოტებს ვყვები. ცეკვა ნამდვილად არ მენერხება. ძალიან მიყვარს ქართული ფოლკლორი. სასულიერო სემინარიის გუნდში მესამე ხმას ვამბობდი.



რიჰიმ ღუმილიშ ისარგებლა

„დედისა და ქმრის მკვლელებს საკუთარი ხელით გავუღე ხარი...“

წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ ვასილ მანაგაძეს სამართალდამცველებმა 7 სხვადასხვა მუხლით წარუდგინეს ბრალდება. მანაგაძეს, როგორც ამბობენ — ენ. კანონიერ ქურდს (მეტსახელად, რიჰი) აღნიშნული „სტატუსი“ შავი სამყაროს ავტორიტეტულმა წარმომადგენლებმა ყველა წესის დაცვით მიანიჭეს. სამართალდამცველების თქმით, იმ დროიდან მოყოლებული, რიჰის მიერ დაგეგმილი არაერთი სისხლიანი ყაჩაღური თავდასხმა, ადამიანის გატაცება და მკვლელობა განხორციელდა. გამოძიების მასალებით, მასზე ძლიერ, შეიარაღებული და კარგად ორგანიზებული ბანდიტური დაჯგუფება „მუშაობდა“. ადრე ჩადენილი დანაშაულებისთვის, 21-წლიანი პატიმრობამისჯილი რიჰი, ბანდას ციხიდან მართავდა...



ჯგუფის წევრები ლიდერის მიერ გაცემულ ბრძანებებს წარმატებით ასორციელებდნენ. ნადავლის მნიშვნელოვან ნაწილს მას ციხეში უგზავნიდნენ, რაც დარჩებოდათ, ერთმანეთში ინაწილებდნენ. სამაგიეროდ, რიჰი მათ ცეცხლსასროლი იარაღით, დიდძალი საბრძოლო მასალითა და თავშესაფრით მუდმივად უზრუნველყოფდა...

ხონის რაიონში დაბადებული და გაზრდილი მანაგაძე სასამართლოს წინაშე უკვე მეხუთედ წარდგა, ამჯერად — როგორც ბანდის ორგანიზატორი და მისი უშუალო ხელმძღვანელი. სამართალდამცველთა თქმით, მის მიერ ჩაოყალიბებულ დაჯგუფებაში 6 კაცი შედიოდა, მათგან ოთხი — არველაშვილი, გოგასაძე, ხვინგია და მისურაძე უკვე გამოვლინდნენ, დანარჩენი ორის ვინაობა გამოძიებამ ვერ დაადგინა. ზემოთ დასახელებული ჯგუფის წევრები ჩადენილი დანაშაულებისთვის უკვე გასამართლებული არიან. ახლა მათი ლიდერის ჯერი დადგა...

ბრალდებებთან დაკავშირებით, მანაგაძის პოზიცია უცნობია, რადგან მან სამართალდამცველებისთვის ჩვენების მიცემაზე კატეგორიული უარი განაცხადა და კანონით მინიჭებული უფლებით — დუმილით ისარგებლა. ჯგუფურად, მუქარისა და სიცოცხლისთვის სახიფათო ძალადობის გამოყენებით ჩადენილი შეიარაღებული ყაჩაღური თავდასხმები, ფულის გამოძალვის მიზნით განხორციელებული გატაცებები, ძარცვის ფაქტები და მკვლელობები სასამართლოს წინაშე თავის დროზე, არც ბანდის წევრებმა აღიარეს. ისევე, როგორც არ დაადასტურეს ციხესთან მათი მუდმივი კავშირისა და „თანამშრომლობის“ ფაქტი.

სასამართლომ ისინი, ამის მიუხედავად, დასაჯა. ყველა მათგანი დამნაშავედ ცნო და სასჯელის ნაწილობრივი შეკრების წესის გამოყენებით, მათგან ყველაზე აქტიურს — არველაშვილს 22 წლით, დანარჩენებს კი — 17 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მკაცრი რეჟიმის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენის თანახმად, არველაშვილს პირველი 5 წლის გატარება საპრობილემო მოუწევს. მართალია, მსჯავრდებულებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჯერ საოლქოში, შემდეგ

— უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, მაგრამ მოსამართლეებს ცვლილება არც ერთთან მიმართებაში არ შეუტანიათ. დაზარალებულები და ბრალდების მხარე კი, მიუხედავად მკაცრი სასჯელისა, მაინც მიიჩნევდნენ, რომ ჩადენილი სასტიკი მკვლელობებისა და ძალადობისთვის, რომლებსაც ბოროტმოქმედები ოჯახებზე თავდასხმების დროს იჩენდნენ, ისინი გაცილებით მკაცრ სასჯელს იმსახურებდნენ...

საინტერესოა ის დეტალიც, რომ გამოძიების მასალებში თავიდანვე ეჭვმიტანილთა შორის, ქალიც ფიგურირებდა. ის, როგორც შემდეგ გაირკვა, ერთ-ერთი ბრალდებულის მეგობარი გახლდათ. ალისა ხვიჩავა (გარკვეული მიზეზების გამო, გვარი შეცვლილია) არველაშვილს დანაშაულების გემის შედგენაში და, უფრო მეტიც — მათ განხორციელებაშიც ეხმარებოდა. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ დასაყჩაღებულად შერჩეული ოჯახის წევრებისგან კარის გაღება, თუნდაც მოტყუების გზით, სათუო იყო, საქმეში ალისა ხვიჩავა ერთვებოდა. წინასწარ შერჩეული ოჯახის კართან ჯერ ის მიდიოდა, ზარს აძლევდა, ქალისთვის კარის გაღებას კი, ხშირ შემთხვევაში, არავინ ერიდებოდა. გააღებდნენ თუ არა, იქვე ჩასაფრებული, შეიარაღებული, ნიღბიანი ბანდიტები შეიჭრებოდნენ ბინაში. ამ დროს, ალისა ხვიჩავა ისე იქცეოდა, თითქოს თავდასხმის შესახებ არაფერი იცოდა, მოულოდნელობისგან ვითომდა სოკოში ვარდებოდა. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ბანდიტები მასაც დაზარალებულის ბინაში ამწყვდევდნენ, თითქოსდა, როგორც შემთხვევით და მათთვის არასასურველ მოწმეს. ხვიჩავაც დაზარალებულად და ბოროტმოქმედთა მსხვერპლად ასაღებდა თავს.

დიდი იყო იმის შანსი, რომ ალისა ხვიჩავასთან მიმართებაში ყოველივე ზემოთ თქმული საბოლოოდ, მხოლოდ ძიებით დაუდასტურებელ ვერსიად დარჩენილიყო, რომ არა „მათიკომში“ ამონერილი, დეტალური მონაცემები, სადაც ხვიჩავასა და არველაშვილის მოხილვით ტელეფონებიდან ერთიმეორის ნომრებზე „გამავალი“ და „შემავალი“ ზარები დაფიქსირდა.

ხვიჩავას დაზარალებულებმაც დაადგეს ხელი. მათ თავდასხმის დროს, ბანდიტებ-

ის მიერ მათ ბინაში მათთან ერთად „შეპყრობილი“ ხვიჩავა ამოიციხეს, პროკურატურამ კი, არველაშვილისა და ხვიჩავას მეგობრობის დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინა...

საბოლოოდ, ხვიჩავა სასამართლომ წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო, მაგრამ იმის გამო, რომ მცირეწლოვანი შვილის დედა იყო, ლოიალური სასჯელი აკმარა. ხვიჩავამ ციხეში მხოლოდ 2 წლამდე დაყო, ამჟამად ის პატიმრობიდან გათავისუფლებულია.

თავდასხმებში ხვიჩავას მონაწილეობის ფაქტს დანარჩენი ხვისასჯელები კატეგორიულად უარყოფდნენ...

რიჰის საქმესთან დაკავშირებით, ხვიჩავა ჯერჯერობით სასამართლოს მიერ დეტალურად დაკითხული არ გახლავთ, თუმცა სავარაუდოდ, მასთან კავშირსა და ნაცნობობას, მეგობრების მსგავსად, ისიც უარყოფს.

ბანდის წევრების აყვანა სამართალდამცველებმა რამდენჯერმე სცადეს. ამ მცდელობებს ყოველთვის თან სდევდა ორმხრივი სროლა. ასე მოხდა მაშინაც, როცა არველაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა,

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის მუქარით, სხვა დანაშაულის, კერძოდ, რამდენიმე წუთით ადრე ჩადენილი ყაჩაღობის დაფარვისა და შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მიზნით, იმ ტერიტორიაზე შემთხვევით გაჩერებულ მოქალაქეს — გახოკიძეს კუთვნილი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა წაართვეს. ამის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა, ჯგუფურად, წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის მუშაკებს, რომლებიც გატაცებული ავტომანქანის გაჩერებას მოითხოვდნენ. სწორედ ამ დროს, პოლიციელთა მისამართით მათ ცეცხლი გახსნეს და ერთ-ერთი სამართალდამცველი დაჭრეს. საბედნიეროდ, ამ შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ პოლიციელთა ოპერაცია წარუმატებლად დასრულდა. მაშინ მათ ვერც ერთი ბოროტმოქმედის აყვანა ვერ შეძლეს.

ბანდა ძირითადად, ოჯახებს და ორგანიზაციებს ესმობდა თავს. გამოძიების მასალების მიხედვით, მათ დააყჩაღეს თბილისში მდებარე 3 ავტოგასამართი სადგური და ორი საოუველორო მაღაზია, რომლებთან ერთადაც, ლომბარდებიც ფუნქ-

ციონირებდა. შესაბამისად, ბოროტმოქმედებმა, რომლებმაც ამის შესახებ, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდნენ, ლომბარდში შენახული ძვირფასეულობაც გაიტაცეს.

„წარდგენილ ბრალდებაში თავს მხოლოდ ნაწილობრივ ვცნობ დამნაშავედ. გახოკიძის კუთვნილ ავტომანქანას, დროებით გამოყენების მიზნით, დავეუფლე, მე ამ მანქანის გატაცება, გაყიდვა და რეალიზაციის შედეგად აღებული თანხის მითვისება ჩაფიქრებული არ მქონია. არც მძღოლისთვის აღმიკვეთია თავისუფლება, მის მიმართ ძალადობა არ გამომიყენებია“, — ასე იმართლა თავი სასამართლო პროცესზე განსაჯელმა **სონია**. სხვათა შორის, ის ერთადერთი იყო, მასთან ერთად პროცესზე წარდგენილ განსაჯელთაგან, რომელმაც სამართალდაცველების მიერ წარდგენილი ბრალდებები ნაწილობრივ მაინც აღიარა. დანარჩენებმა სასამართლოს ჩვენებაც კი არ მისცეს. მათ მხოლოდ ის თქვეს, რომ გამოძიების მასალებში დაფიქსირებული ყველა ეპიზოდი არ დაფიქსირებულა მათ მიერ შეთხზული იყო, მტკიცებულებები კი — ყალბი.

მაგრამ დანაშაულები რომ რეალურად მოხდა, ამას საქმეში დაფიქსირებული ათეულობით დაზარალებულის გვარი ადასტურებდა. საჩივრებში განსაჯელთა ადვოკატები ამასთან დაკავშირებით ასეთ კომენტარს აკეთებენ: „გაუხსნელი საქმეები ამათ მიანერგეს“. ასეთი შეფასების საშუალებას ადვოკატებს ის აძლევდათ, რომ ბოროტმოქმედები დაზარალებულებს ნიღბებაფარებულები ესხმოდნენ თავს. დაზარალებულებს მათი ამოცნობა მხოლოდ სილუეტებითა და ხმებით თუ შეეძლოთ. თუმცა, ეს მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდს ეხებოდა. გამოძიების მასალებში ფიქსირდება ისეთი დანაშაულებიც, რომელთა დროსაც, „საქმეში“ აღისა ხეიჩავა მონაწილეობდა. ასევე თავდასხმის ის ფაქტიც, როცა დაზარალებული — ხანში შესული, გულადა და იასახლისი ყაჩაღს ხელებით სახეში ჩააფრინდა და ნიღბი ჩამოჰგლიჯა... ბოროტმოქმედი მისი ახლო ნათესავი აღმოჩნდა... საქმის მასალებიდან გამომდინარე, ორივე, ქვემოთ მოთხრობილი ტრაგიკული ამბავი უშუალოდ რიყის დავალებით მოხდა, თუმცა მოკლულთა სისხლში ხელები სხვებმა გაისვარეს...

„...აქ არ ისროლო, ბიჭო!“ — დაუგებავი მკვლელობა

ბერძენიშვილების ოჯახზე განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმა აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ყველაზე დამორგუნველია. ის ოჯახის უფროსის საზარელი მკვლელობით დასრულდა. ეს ყაჩაღობა რიყის საქმეშიც ფიგურირებს, როგორც მის მიერ დაგეგმილი დანაშაული.

ბერძენიშვილების ოჯახში იმ დროს მხოლოდ ცოლ-ქმარი — ნადია და ომარი იმყოფებოდნენ. მათი შვილი და რძალი იმ პერიოდში პოლონეთში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ. ბერძენიშვილები იმ ხანებში ახალი ბინის შექმნას გეგმავდნენ, თუმცა ფრთხი-

ლობდნენ და ამის შესახებ გარემო მყოფებს არაფერს ეუბნებოდნენ. მათი გეგმის თაობაზე მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ...

მოალაღებები ოჯახს ღამით დაესხნენ თავს. მამანი, როცა ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები ცოლ-ქმარს ბინაში შეუტყვივდნენ და ფული მოითხოვეს, ნადია ბერძენიშვილს ერთ-ერთის ხმა ეცნაურა. ქალი არ დაიბნა, შეიარაღებულ ახალგაზრდას მივარდა და ნიღბი ჩამოჰგლიჯა. ის მისი ახლო ნათესავი — ბიძაშვილის შვილიშვილი — მ. გოგასაძე აღმოჩნდა. ამ მოულოდნელობამ თავად ბოროტმოქმედთა შორისაც შექმნა დაბნეულობა და უთანხმოება. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩანს, თავდასხმელებს ბერძენიშვილების ოჯახში მკვლელობის ჩადენა დაგეგმილი არ ჰქონდათ, გოგასაძის გამოაშკარავების შემდეგ, არველაშვილმა ავტომატი დაუმიზნა ცოლ-ქმარს. დაზარალებულის ჩვენების მიხედვით, გოგასაძემ არველაშვილს დაუყვირა — აქ არ ისროლო, ბიჭოო... სწორედ ამ მომენტში, თავზარდაცემულმა და შოკში ჩავარდნილმა ომარ ბერძენიშვილმა, რომელსაც ალბათ, ეჭვი აღარ ეპარებოდა იმაში, რომ ბოროტმოქმედი ძალადობის ჩადენი ნამდვილად იყო, — მისთვის წინააღმდეგობის განევა სცადა და იარაღიანს, ხელეში სწვდა. გასროლაც იმავე წამს მოხდა.

ომარ ბერძენიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა. ბანდიტები კი, რომელთაც იმ სახლიდან არაფერი ნაუღიათ, მაშინვე გაიქცნენ შემთხვევის ადგილიდან...

„ბოროტმოქმედი მძინარე ბავშვებს იარაღით დაადგა თავზე...“

გოგასაძის გვარი ფიგურირებს ბასილაშვილების ოჯახის დაყაჩაღების საქმეშიც. განაჩენის მიხედვით, მკვლელობა აშკერადაც არველაშვილმა ჩაიდინა. დავალება კი, ყაჩაღობის შესახებ, ბანად ციხიდან მიიღო; რიყი მათ პერიოდულად უკავშირდებოდა და მითითებებს აძლევდა...

ლალი ბასილაშვილი:

„საერთოდ, ბინაში ყოველთვის იყო ვინმე, სახლს არასდროს ვტოვებდით ცარიელს. ადრე ორჯერ გაგვეურდეს. პირველად იმ პერიოდში, როცა ჯერ კიდევ ვარემონტებდით. ბინიდან სამშენებლო მასალები წაიღეს, არაფერი დაუტოვებიათ, სულ გაზიდეს ყველაფერი. ამის შემდეგ წელიწად-ნახევარი იქნებოდა გასული, როცა მეორედ შემოვიდნენ ქურდები. ახალი გადასულები ვიყავით საცხოვრებლად, მაგრამ ზაფხული იყო და ბავშვებთან ერთად, ბორჯომში ვისვენებდით. ქმარი თბილისში იყო, მაგრამ იმ მომენტში შინ არ ყოფილა, სამსახურში გახლდათ. საღამოს, შინ რომ დაბრუნდა, კარი ღია, ბინა კი — სულ ცარიელი დახვდა. ყველაფერი გაიტანეს — ტექნიკა, ხალიჩები... ჭალიც კი ჩამოსხსნეს და წაიღეს... მაშინ ძალიან მიიმე პერიოდი დაგვიდგა. სულ თავიდან მოგვისხდა ცხოვრების დაწყება. ჩემმა ქმარმა თავის ძმასთან და მეგობრებთან ერთად,

ბიზნესი წამოიწყო და ამის გაკეთება მოახერხა (ბაკურ ბასილაშვილს საკუთარი ავტოსერვისის ცენტრი ჰქონდა, მასში ავტოგასამართი სადგური, პროფილაქტიკა, ავტოსამრეცხავი, ავტოსანიღბის მალაზია და კაფე-ბარიც შედიოდა. — ავტ.). ამ ბიზნესისთვის უზარმაზარი თანხა აიღეს ვალად. ამიტომაც, ცხოვრების მხოლოდ ელემენტარული პირობები გვექონდა, ფუფუნების უფლებას თავს კარგა ხანს ვერ მივცემდით და ეს რეალურად გვეტყობოდა კიდევ. მაგრამ ირგვლივ ყვეოფ ხალხს ესეც უკვირდა და აღიზანებდა. ამას ძალიან ხშირად ვგრძნობდი და ყოველთვის ვფრთხილობდი. რატომაც გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ ყოველთვის ჩვენს ოჯახზე — გაცილებით მდიდრები ვეგონეთ, ვიდრე რეალურად ვიყავით. ამიტომაც გვეშინოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბავშვებს სკოლაშიც ვეღარ ვუშვებდით მარტო. საშუალო სკოლა კორპუსთან ძალიან ახლოსაა, ჩემს შვილებს, რომლებიც იმ დროს მე-4 და მე-3 კლასებში სწავლობდნენ, თავისუფლად შეეძლოთ დამოუკიდებლად იქ სიარული, მაგრამ ამ რისკზე ვერ მივდიოდით. შვილებს თან დავეყვებოდი, იმის შიშით, რომ ვინმე კრიმინალს, დანაშაულზე ნაქეზებულს, ბავშვები არ შეემინებინათ, ფულის გამოძალვის მიზნით, არ გაეტაცებინათ, მით უმეტეს, რომ მსგავსი ფაქტი, განსაკუთრებით იმ პერიოდში, საკმაოდ ხშირად ხდებოდა ჩვენს რეალობაში...“

არველაშვილისა და მისი თანამზრახველების სასამართლო პროცესზე დაკითხული **ლალი ბასილაშვილი** ჩვენებებიდან (სტილი დაცულია):

„ეს ამბავი გამთენიისას მოხდა. ალბათ უკვე დილის 4 საათი იქნებოდა დანაშაულები. წინაღუდს, უფრო ზუსტად — საღამოს, მე და ჩემი მუდგულ ნათლობის წვეულებაზე ვიყავით წასულები. ჩემმა მუდგულმ მეგობრის ბავშვი მონათლა, სუფრაზე ბევრი ღვინო დალია. წვეულება გვიანობამდე გაგრძელდა და ისიც, სახლში რომ წამოვედით, გვარიანი მთვრალი იყო. შინ ბავშვებთან მოხუცი დედა მყავდა დატოვებული. შინ დაახლოებით პირველის ნახევრისთვის მივედით. დედაჩემს და ბავშვებს უკვე ეძინათ. ჩვენც მალე დავეჩეთ დასაძინებლად. ბაკური ძალიან მთვრალი იყო და დანვა თუ არა, მაშინვე ღრმად ჩაეძინა. პირადად მე, ძალიან ფხიზელი ძილი მაქვს. ამიტომ, გამთენიისას, კართან უცნაურმა ხმამ, ფხაჭუნის მაგვარმა, მაშინვე გამაღვიძა. კარგად გამოირკვევა ვერც მოვასწარი, როცა ზარიც გაიხმა. ქმრის შეღვიძებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ საოცრად შემეშინდა და გამიკვირდა ასეთი უდროო ზარი კარზე, მაინც წამოვდექი, რომ მეკითხა ვინ იყო. მამაკაცის ხმა გაისმა. კარის მეზობლის სახელი მისხენა — კობა ვარ, გამიღე ერთი წუთითო. — ვინ კობამეთქი? — დავეჭვდი, რადგან კობას ხმას ნამდვილად ვერ მივამსგავსე. — კობა ვარ, არეშიძე, რა დაგემართა, ლალი, მე ვარ, ერთი წუთით გამიღე, დახმარება მჭირდებაო, — მიპასუხა.

იმ დროს კობა არეშიძე ჩვენ მოპირდაპირე ბინაში მართლაც, ცხოვრობდა. ახალგაზრდა ბიჭი იყო, დედასთან ერთად ცხოვრობდა, ახლა საზღვარგარეთ ცხოვრობს. მაშინ იმ ოჯახთან ძალიან ახლოს ვიყავით. სათვალთვალოში რომ გავიხედე, ვერაფერი დავინახე. ვინც მელაპარაკებოდა, კართან ძალიან ახლოს იდგა და თითქოს სათვალთვალოს მისი თავი ეფარებოდა. ეჭვმა კი გამიელვა გონებაში, მაგრამ ყველაფერი წამებში მოხდა და გაცნობიერება და გააზრება ვერ მოვასწარი, რადგან ისიც ვიფიქრე — კობას რა უჭირს ნეტავ-მეთქი? და ასე დაბნეულმა გავაღე კარი... საუბედუროდ, ავის მომასწავებელი ეჭვი გამართლდა... კობას სახელი გამოიყენეს, ალბათ, წინასწარ შეიტყვეს, რომ ის ჩემი ახლო მეზობელი იყო და ამით ისარგებლეს... ნიღბებით იყვნენ. ერთბაშად შემოცვივდნენ სახლში, ავტომატებით ხელში. აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისე უეცრად მომვარდა და პირზე ხელი ამაფარა ერთ-ერთმა ყველაზე მალალმა, რომელსაც ასევე ნიღაბი ეკეთა და შავი ნაქსოვი ქუდიც ეხურა თავზე. ისე ძლიერად მაჭერდა ხელს, რომ ვეღარ ვსუნთქავდი. მეგონა, გრძობასაც დაკარგავდი, არ ვიცი, როგორ გავუძელი იმ წუთებს. იმ ბოროტმოქმედმა, რომელიც პირზე ხელს მაფარებდა (როგორც შემდეგ, გამოძიების დროს გაირკვა, გოგსაქემ), დაბალ ხმაზე მითხრა — ხმა არ ამოიღო და რასაც გეტყვით, გააკეთეო. სწრაფად, ფული და ძვირფასეულობაო, — მაშინვე დაამატა მეორემ. მათ ხელში იარაღი როგორც კი დავინახე, მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება, რომ ყველაფერი მიმეცა, რაც მეებადა, ოღონდ რაიმე უბედურება არ დაეტრიალებინათ. სახლში ბავშვები მყავდა და არ მინდოდა, შეშინებოდათ და ეს საშინელება ენახათ... ხმაურზე ბაკურსაც გაეღვიძა.

საძინებლიდან გამოვიდა, საცვლის ამარა, თან გაიძახოდა — რა ხდებო? ეტყობოდა, სიმთვრალიდან გამოსული არ იყო. ამასობაში, ერთ-ერთი ბოროტმოქმედი ბავშვების ოთახში შევიდა და მიხინარე დედაჩემსა და ბავშვებს იარაღით დაადგა თავზე. ბაკურს, როგორც ჩანს, მაშინვე ყაჩაღობის მსგავსი არაფერი უფიქრია, თორემ, თავის იარაღს აიღებდა. ტუმბოს უჯრაში ინახავდა. ოფიციალურად ჰქონდა გაფორმებული. ერთ-ერთი შეიარაღებული ბოროტმოქმედი მისკენ წავიდა, ბაკური უცებ შეტრიალდა და საძინებელში შეასწრო. როგორც ჩანს, იარაღის აღება უნდოდა, მაგრამ ის ბანდიტი დაუნია. მერე იქ რა მოხდა, მე არ დამინახავს. ისინი უკვე საძინებელში იყვნენ შესულები. ქმრის ხმა გავიგონე — რა გინდა, შენოო!.. გინება მიაყოლა. იმავე წამს გასროლაც გაისმა... ის ბანდიტი, როგორც შემდეგ, გამოძიებით დადგინდა — არველაშვილი, სწრაფად გამოვარდა ოთახიდან და მითხრა — ჩქარა, სად დევს ფულიო? უკვე მივხვდი, რაც მოხდა. გოგსაქემ არ მშორდებოდა, ხელს ისევ მაფარებდა პირზე და მაკავებდა. გაუბედურებულს, ძალა აღარ მქონდა. ხელი რომ გაეშვა, ალბათ ფეხზე დამოუკიდებლად ვერც დავედგებოდი. იმ ბანდიტი ჩემი და ჩემი ქმრის საძინებლისკენ მივუთითე. გოგსაქემ მაშინ გამოიშრა პირველად ხელი და გამაფრთხილა, არ მეყვირა, თან იარაღს მიშვერდა. მათ ვუთხარი, რომ კარადაში, ზედა თაროზე, პატარა შავ ჩანთაში იღო ფული. საძინებელში ისევ არველაშვილი შევიდა. ჩანთაც აეღო და პატარა ყუთიც, რომელშიც ოქროულობა მედო. ჩანთაში 3.000 დოლარამდე იდო. დანარჩენი სადააო, მაგრამ თავი რომ გავაქნიე, უარის ნიშნად, აღარ გაჩერებულან. ჩქარა, წავედით აქედანო! — და გაცვივდნენ... მთელი ამ ხნის განმავლობაში, ბაკურ

ბასილაშვილი, რომელსაც ბოროტმოქმედმა ესროლა და გულმკერდის არეში სასიკვდილო ცეცხლნასროლი ჭრილობა მიაყენა, საძინებლის იატაკზე უგრძობლად იწვა და სისხლისგან იცლებოდა. როცა ბანდიტების წასვლის შემდეგ, მისი ცოლი ოთახში შევიდა, მას უკვე სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ან გარდაცვლილი ნუცა ჯანგაძე — ლალი ბასილაშვილის დედა ჰყვებოდა, რომ ხმაურმა ისიც გააღვიძა, მაგრამ როცა გამოეჩვენა, ავტომატიანი კაცი უკვე თავზე ადგა. ბოროტმოქმედმა ჩუმად უთხრა, ხმა არ ამოიღო, თორემ, ყველას ამოგხოცავთო. მასაც ხმა არ გაუღია.

ლალი ბასილაშვილი:

„სანყალი ქალი შოკში იყო ჩავარდნილი. ისედაც ავადმყოფს, ამის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძობლად გაუუარესდა. ამ ამბის მერე ორჯერ გადაიტანა ინსულტი და სანოლს მიეჯაჭვა. ამ ამბავმა, ფაქტობრივად, ორი ადამიანი იმსხვერპლა: ჩემი მუღლუ და დედაჩემიც. მე კი, სამუდამოდ გამაუბედურა. აქამდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის ის დაბნეულობა. ვერ მომიხსენებია, რომ სახლში სისხლისმსმელი ბანდიტები თვითონ შემოვუშვი... დედისა და ქმრის მკვლელებს კარი საკუთარი ხელით გაუღე...“

მოკლულების ოჯახის გაუბედურებული წევრები, მატერიალურად დაზარალებული თუ მორალურად განადგურებული ადამიანები ყველა იმ პირის უმკაცრესად დასჯას მოითხოვენ, რომელთაც ამ ტრაგედიებთან დანაშაულებრივი კავშირი აქვთ. სასამართლოს წინაშე ჩვენების მისაცემად წარდგომა და მათთვის ძალზე მტკივნეული დეტალების გახსენება ალბათ კიდევ ერთხელ მოუწევთ. მანაგაძის დანაშაულებრივი ქმედებების დასადასტურებლად, ბრალდების მხარე მათ დაკითხვასაც გეგმავს.

ძარსიველი კანონიერი ძურღი რუსეთში დააკავეს

50 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი — ნუგზარ ერგემლიძე რუსმა სამართალდამცველებმა დააკავეს. მასზე ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული. კრიმინალური ავტორიტეტი მოსკოვში აიყვანეს. დაკავებისას ერგემლიძეს საქართველოს მოქალაქის ყალბი პასპორტი აღმოაჩნდა. ოფიციალური ცნობით, დაკავებული მოსკოვიდან ქალაქ ტიუმენშია ეტაპირებული.

რუსი სამართალდამცველების ცნობით, ის ქურდულ სამყაროში მეტსახელით — ნუგზარით იყო ცნობილი და ქალაქ ტიუმენის კრიმინალური სამოს ნარმომადგენელი, „შავი სამყაროს“ ავტორიტეტი გახლდათ. ისიც ცნობილი გახდა, რომ ერგემლიძეს ადრე ჩადენილი დანაშაულისთვის 20-წლიანი სასჯელი აქვს მოხდილი. რუსეთის შს სამინისტროს ცნობით, ის ტიუმენში 2000 წელს ჩავიდა და იქ, დიდი ხნის განმავლობაში, ქართველების კრიმინალურ დაჯგუფებებს აკონტროლებდა. ქართველი კრიმინალები რუსეთში ძვირად ღირებული ავტომანქანების გატაცებაზე „მუშაობდნენ“. როგორც ამბობენ, 2002 წელს, ერგემლიძემ, რომელზეც ძებნა იყო გამოცხადებული, ტიუმენი დატოვა და მიიშალა.

რუსეთშიდან დეპორტირებულ ძარსიველებს ევროსასამართლოში რუსი ადვოკატი დაიცავს

ევროსასამართლოში რუსეთიდან დეპორტირებული ქართველების გამო სარჩელი შევა. არასამთავრობო ორგანიზაციები — „ონსტიტუციის 42-ე მუხლი“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მოქალაქეთა მასობრივი გამოძევებისა და მათი უფლებების უხეში დარღვევის გამო, ევროსასამართლოში საქმის წარმოებას იწყებენ. უახლოეს მომავალში, ევროპის სასამართლოს ისინი შესაბამისი სარჩელით მიმართავენ.

სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაცია — „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ პრესკონფერენცია გამართა. დეპორტირებული ქართველების ინტერესების დაცვის პროცესში, საქართველოს არასამთავრობო სექტორთან ერთად, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სააღვკატო ცენტრი, ბრიტანული ორგანიზაცია „ინტერრაიდ“ და რუსეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ჩაერთვებიან. ევროპის სასამართლოში საქართველოს მოქალაქეების ინტერესების დასაცავად, რუსეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ადვოკატი კარინა მოსკალენკო გამოვა. საქმის მოგების შემთხვევაში, რუსეთის ფედერაციას მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად სოლიდური ჯარიმები დაეკისრება. საქმის წარმოება კი, ოურისტების თქმით, შესაძლოა, 2 წლის მანძილზე გაგრძელდეს.

„... ახლაც მკვლამთადაც და სმოქიასთადაც ჯადსაწმევი უმთიერობისა დაადყამს“

„ჯეობარელმა“ ეთომ დედას 18 წლის შემდეგ მიაგნო

„ჯეობარელი“ ეთო გუგავა, ერთი შეხედვით, „იაზვას“ შთაბეჭდილებას ტოვებს, სინამდვილეში კი თბილი, განონასწორებული და სანდო ადამიანია. ბავშვობაში მძლეოსნობით იყო გატაცებული, თუმცა ახლა ელიმება, როცა იხსენებს, როგორი ერთუზიანობით ეჭიდებოდა 60-კილოგრამიან პანტელს. ვინ დაითანხმა ეთოს მეუღლე, პროექტში სათამაშოდ ცოლი გაეშვა, რატომ უნდა სოფიამ მას კომპლექსიანი ქალი და როგორ იპოვა 18 წლის შემდეგ საკუთარი დედა? ამაზე ეთოს უახლოესი მეგობარი და მეჯვარე, ჯუშაბ წიკლაშვილი მოგვითხრობს.

სოფო ყარაღაბილი

— ჯუშა, რატომ გადანყვიტა ეთომ ამ პროექტში შესვლა?

— ეთოს არასოდეს უნახავს დედა. 4 წლის იყო, როცა მამამ საქართველოში წამოიყვანა. ნახევარდამ გაზარდა. ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს არის — უნდა, რომ კრივილი როგორც დედასთან ჩავიდეს. ქმართან და ორი წლის ნიასთან ერთად, მამის ბინაში ცხოვრობს, მაგრამ სურვილი აქვს, საკუთარ ოჯახთან, ცალკე იცხოვროს. რასაკვირველია, ბერდია (მეუღლე) თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ დედამთილმა დაიყოლია, აუხსნა, რომ პროექტიდან ეთოს გამოსვლის შემდეგ შეიძლება, მათი ცხოვრება უკეთესობისკენ მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ბერდიამ და ეთომ ერთად შეავსეს ანკეტა და ერთად მიიტანეს „რუსთავი 2“-ში, თუმცა ქმარს მაინც იმედი ჰქონდა, რომ მისი ცოლი ტურებზე ვერ მოხვდებოდა. თავიდან მეც შევეწინააღმდეგე ეთოს, მაგრამ პირველი ტურის შემდეგ ისეთი ბედნიერი იყო, თვითონვე შევთავაზე — ბავშვს მე დავიტოვებ-მეთქი.

— როგორც ვიცი, ეთომ თვითონ მოძებნა დედა...

— დიახ. 22 წლის იყო, დედის ძებნა

რომ დაიწყო. ძველ მისამართზე აღარ იყო, მერე ძველ სამსახურში დარეკა და მიაგნო. ეს შოკი იყო ეთოსთვის — პირველად ელაპარაკა დედას!.. ვიკამ (დედა) უთხრა, რომ შეძლებულად ვერ ცხოვრობდა, ამიტომ მას თავისთან ვერ აცხოვრებდა. ეთომ გადანყვიტა, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ დე-

ნია ახლა ძიძასთანაა



დას უბრალოდ, თვალი შეავლოს მაინც. — პატარა ნია რას ამბობს, როცა დედას ტელეეკრანზე ხედავს?

— ნია ახლა ძიძასთანაა. ჩვენ შაბათ-კვირას მოგვყავს. სულ გვეკითხება — ჩემი ეთო მალე მოვაო? იცის, რომ დედა სამსახურშია. ეთომ გაგვაფრთხილა — „ჯეობარს“ არ აყურებინოთ, ინერვიულებსო. ქმარიც სულ ტელევიზორთან ზის. „ჯეობარის“ პირველი გადაცემა რომ ვნახეთ, შოკში ჩავცვივდით — გამიშვლებული შეიძლება, ნებისმიერი მოთამაშე აჩვენონ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ცოლს ვენდობი, მაინც დავიძაბეო, — მითხრა ბერდიამ.

— ეთოს პროექტში შესვლა არც მამამისს გაუჭოტესტებია?

— არა. ხომ გითხარით, ენდობიან-მეთქი. მეუღლესთან კი, ძალიან მეგობრული ურთიერთობა აქვს. მამინაც კი, როცა ბავშვი ახალი გაჩენილი ჰყავ-



ეთო გუგავა

და, ბერდიას არ უთქვამს, დაჯექი სახლში, შენ დიასახლისი ხარო. ვფიქრობ, რომ ეთოს აქვს გამარჯვების შანსი. სამსახიობოზე სწავლობდა. თან მუშაობდა ბავშვთა გასართობ ცენტრ „არლექინში“, არლექინი იყო და ბავშვების გართობა კარგად გამოსდიოდა, „ჯეობარის“ პირველ „ფართიზე“ უმა თურმანის როლი მშვენივრად შეასრულა. ჩემი აზრით, ან თავიდანვე დაატოვებინებენ პროექტს, ან ფინალში გავა.

— ეთო „ჯეობარში“ „სტერვის“ იმიჯით შევიდა და პირველ კვირასვე მოუვიდა შელაპარაკება ერთ-ერთ მოთამაშესთან, მელორთან. შენ, როგორც მეგობარი, როგორ ფიქრობ — რა დამოკიდებულება აქვს მას კონკურენტებთან?

— ბარში მივედი და ეთოს ვურჩიე, ჩხუბს ცოტა მოერიდე-მეთქი. მან მითხრა — შეუძლებელია, ნერვებს არ აპყვე და ის მოითინო, რაც ამ სახლში ხდებაო. ეთომ იცის, როდის როგორ მოიქცეს. მართალია, ერთი შეხედვით, „იაზვას“ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ სულ სხვანაირია, რომ შეიძლებოდაც, სულს ამოიღებს და მოგცემს... პირველ კვირას, მელორი რომ „გამინუსა“, თქვა — მე ამ ადამიანთან ერთ სახლში ცხოვრება არ შემიძლიაო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეთო პირდაპირი ადამიანია. „ჯეობარში“ შესვლამდე მიყვებოდა, რომ ერთ-ერთ ტურზე გახდაზე ითამაშეს. ეთომ მოიგო, სოფიას კი უთქვამს — შენ რომც წაგეგო, მაინც არ გაიხდიდი, კომპლექსიანი ქალი ხარო. მიუხედავად იმისა, რომ პროექტში შესვლა ძალიან უნდოდა, მითხრა — რომ წამეგო, დავტოვებდი იქაურობასო. უკომპლექსოა არ ნიშნავს იმას, რომ შიშველმა იარო. ახლა მელორთანაც და სოფიასთანაც გადასარევი ურთიერთობა დაამყარა. ეთო საკუთარი თავის გადაჩენაზე ფიქრობს და გამარჯვების საკუთარი სტრატეგია აქვს...



ეთო და ჯუშა

„რევოლუციონერი“ სტილისტი და სექსუალური ვარცხნილობა

„ჩემი ალიენტების 40 პროცენტი. ჩემი ხაყვარელი იყო“...

ქალებს ურჩევნიათ, რომ მათ ვარცხნილობაზე წლების მანძილზე ერთი და იგივე ადამიანი ზრუნავდეს, ამიტომ სტილისტის ამორჩეობა იციან. შეიძლება ითქვას, რომ მეც ასეთივე სენი მჭირს და უკვე რამდენიმე წელია, რაც ერთსა და იმავე სტილისტს ვარცხნილობაზე ვარცხნილობაზე მიმა ზრუნავს. თუმცა, თმა მოსანესრულებელიც რომ არ მქონდეს, მასთან კვირაში ერთხელ მაინც შევირბენ სოლომე-ამას კი ორი მიზეზი აქვს: ერთია ის, რომ მიმა ჩემთვის მხოლოდ სტილისტი კი არა, საუკეთესო მეგობარაც არის და მეორეც, მასთან ყოველთვის იმდენი ცნობილი ადამიანი მიდის, რომ გრძელ რიგში მჯდომს, მთელი დღის განმავლობაში რამდენიმე ინტერვიუც კი ჩამინერია... რამ აიძულა მიმა, სტომატოლოგობაზე უარი ეთქვა და სტილისტობა დაეწყო? ვის უმხელს სიყვარულს ჩვენი ჟურნალის მეშვეობით და რატომ არის იგი პრეზიდენტზე პოპულარული? — ამაზე თავად 22 წლის სტილისტი, მიმა გასაუბრდება.

ნათია ქვიპაძე

— შეძლებული ოჯახის შვილი ვიყავი, ამიტომაც სხვა ბავშვებისგან ჩაცმითაც და ვარცხნილობითაც ყოველთვის გამოვიჩნეოდი. ისინი რომ ჩვეულებრივ „პარიკმახერთან“ იჭირდნენ თმას, მე ქალაქში ცნობილ სტილისტებთან დავდიოდი. ერთხელ ვილატამ მითხრა: პლენარზე ვილატ მაკა ყოფილა, რომელიც თმას ძალიან მაგრადა ჭრისო. რა თქმა უნდა, მასთან წავედი და მისმა სილამაზემ დამატყვევა. იმ დღიდან მაკასთან სიარულს მოვუხშირე და ბოლოს, შემეყვარა კიდეც. ერთ-ერთი ვიზიტის დროს გავარკვიე, რომ თურმე მაკას მოსწავლეებიც ჰყავდა. გადაწყვიტე, მეც მასთან მეგობარ და თმის შეჭრა მესწავლა, რადგან ასე უფრო ხშირად ვიქნებოდი მაკას გვერდით. ამ ყველაფერს ზაფხულის პერიოდი დავმთავრე და დედაჩემს ვუთხარი: დასასვენებლად ზღვაზე უნდა წავიდე და 300 დოლარი მჭირდება-მეთქი. დედამ ფული ულაპარაკოდ მომცა... 10 დღით მეგობართან გადავბარგდი, თან აუზზე დავდიოდი, რომ გაგრეუულიყავი და დედას ეჭვი არაფერში შეჰპაროდა. პარალელურად კი, მაკასთან სტილისტის კურსებს გავედი... მის გამო დასვენებაზეც უარი ვთქვი და მთელი ზაფხული



თეა, მიმა, კრისტი

თბილისში გავატარე. ჩემდა გასაკვირად, სტილისტობა არჩვეულებრივად გამოვივიდა. ძალიან მინდოდა, მაკას ჩემი ხელით შეჭრილი ან დავარცხნილი თმა მოსწონებოდა. სულ ამაზე ვფიქრობდი, ყურნალებს ვათვლიერებდი, სიზმარშიც კი ახალ ვარცხნილობას ვხედავდი და მეორე დღეს, იმ ვარცხნილობას ვინმეს რომ ვუკეთებდი, მაკა გიჟდებოდა... გარკვეული პერიოდის მერე, როცა მაკას თითქმის ყველა კლიენტი ჩემთან დაჯდომას არჩევდა, ის დირექტორთან ავიდა და უთხრა: ასე ყოფნა აღარ შემიძლია, ან მიმა აირჩიეთ, ან მეო. სალონის მუპატრონემ ბოდიში მოუხადა და უთხრა: მიშამ ისე ამინია რეიტინგი, რომ მას აქედან ვერ გაუშვებ, ასე მუშაობა თუ არ გინდა, წადიო. ეს რომ გავიგე, ერთი ამბავი ავტყეხე: სკოლის მოსწავლე ვარ, თანაც, სტომატოლოგიურზე უნდა ჩავაბარო და აქ ვერ ვიმუშაებ-მეთქი. დირექტორმა მთხოვა: მხოლოდ ერთი თვე იყავი, რადგან ამდენი კლიენტი გყავს და მერე წადიო. ასე შემიტყუა. 11 კლასი ისე დავამთავრე, რომ დღის 2 საათამდე სკოლაში ვიყავი, 2-ის მერე კი სალონში მივდიოდი, ოღონდ ეს ამბავი ჩემმა ახლობლებმა არ იცოდნენ...

— დედაშენმა როდის და როგორ გაიგო, რომ მისი შვილი ქალაქში ცნობილი სტილისტი იყო?

— დედას თავის მოვლა ყოველთვის უყვარდა და ისიც ქალაქში ცნობილ სალონებში დადიოდა. ერთხელ დაქალებმა უთხრეს: თურმე მარჯანიშვილზე ვილატ სტილისტი მიმა ყოფილა, რომელიც თმას ძალიან მაგრადა ჭრისო. ამ ამბით დედაჩემიც


დანიტერესდა და ერთ მშვენიერ დღეს, სალონში გამომეცხადა. სალონში რომ შემოვიდა და დამინახა, ვილატისთვის უთქვამს: ვაიმე, ეს ბიჭი ჩემს შვილს როგორ ჰგავსო. როცა მომიახლოვდა, კინაღამ გაგიჟდა, ვერ წარმოედგინა, რომ ის ცნობილი მიმა მე ვიქნებოდი. თმა ცოცხალი თავით არ შემაჭრევინა — შენ როგორ დაგიჯდებიო?! თუმცა, ჩემს პროფესიაზე არაფერი უთქვამს.

— დედა არასდროს გაგილაშხებია?

— არა. ახლა თვითონ მეხვეწება, მაგრამ მისთვის აღარ მცალია, სახლში ძალიან დაღლილი მივდივარ... მოკლედ, ამ საქმიანობამ ისე ჩამითრია, რომ მოგვიანებით კვალიფიკაციაც კი ავიმალღე.

— მაკას სიყვარულში თუ გამოუტყდი?

— ის ჩემზე 15 წლით უფროსი იყო და მისთვის გრძობის გამხელა ამიტომაც ვერ გაგებდე. სხვათა შორის, მაკამ დღემდე არ იცის, რომ სტილისტობა მისმა სიყვარულმა შემეყვარა. თუმცა, ამ



ის ჩემზე 15 წლით უფროსი იყო და მისთვის გრძობის გამხელა ამიტომაც ვერ გაგებდე

გადასახედიდან რომ ვუყურებ, ვხვდები — მაკა მამაკაცებს თმას კარგად ჭრიდა, ქალებს კი — ვერა. მას ჩემთვის არაფერი უსწავლებია, ყველაფერი ჩემით, ჟურნალებისა და ჩემი სიზმრების მეშვეობით ვისწავლე (იციხის).

— ალბათ, ბევრ ცნობილ სილამაზის სალონში იქნები ნამუშევარი...

— შენ წარმოიდგინე, არა. ერთმა ჩემმა მეგობარმა ამ ტერიტორიაზე (სადაც ახლა ვმუშაობ) ფართი იქირავა და სალონი გახსნა. ყოველდღე მოდიოდა ჩემთან და მეხვეწებოდა: ჩემთან გადმოდიო, მაგრამ არ ვთანხმდებოდი, რადგან ნებისმიერ საქმეში ერთგული ვარ... მაგრამ მერე, იქიდან მაინც წამოვედი. წამოსვლის წინ დირექტორს ვთხოვე: ჩემს ადგილას ისევ მაკა დააბრუნეთ-მეთქი...

— როგორც ცნობილია, შენთან ბევრი პოპულარული ადამიანი დადის. ვინ იყვნენ შენი პირველი პოპულარული კლიენტები?

— პირველად მოვიდნენ შალვა რამიშ-

ვილის ცოლი თეა და მისი და (ისინი ამ სალონის მაშინდელი მებატრონის — ირმას მეგობრები იყვნენ). თეა მეორე დღეს პარიზში შალვასთან ერთად მიფრინავდა და ჩემ მიერ დავარცხნილი თმა ისე მოეწონა, რომ კინაღამ გაგიჟდა. მითხრა: ამის მერე სულ შენთან ვივლიო. მათ ბევრი ცნობილი ადამიანი მომიყვანეს, ყველგან ჩემზე ლაპარაკობდნენ. მერე ჩემთან ერთდროულად მოვიდნენ კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი და რეჟისორი ანი მალელაკელიძე. ის მაიკომ მოიყვანა. მას შემდეგ 7 წელი გავიდა და ამ დროის განმავლობაში, მას ჩემთვის ერთხელაც არ უღალატია.

— როგორც ვიცი, „საზოგადოებრივ არხზეც“ მუშაობ. იქ როგორ მოხვდი?

— გია ბარამიძის მეუღლე, ეკა ჯაფარიძე ჩემი მეგობარია, ის კი ზაზა შენგელიასთან მეგობრობდა. მას უთქვამს ზაზასთვის, კარგი სტილისტიო და ტელევიზიიდან დამიკავშირდნენ. იქ წასვლა არ მინდოდა, მაგრამ ძალიან მთხოვეს: მხოლოდ დილის გადაცემის წამყვანები დავარცხნეო და წავედი. უკვე 2 წელია, რაც იქ ვმუშაობ. ახლა დილის წამყვანებს კი არა, თითქმის ყველა ცნობილ ჟურნალისტს ვვარცხნი... ადრე მაკა ასათიანიც ჩემთან დადიოდა, ინგა გრიგოლიას თმაც დამივარცხნია და ა.შ.

— როგორც ვიცი, შენ ყველა კლიენტთან მეგობრული ურთიერთობა გაქვს...

— რა თქმა უნდა. ისინი კლიენტები კი არა, პირველ რიგში, ჩემი მეგობრები არიან. მათთან ერთად დაბადების დღეებზე, გასართობ ადგილზე ბუმი დავდივარ, მათ ოჯახებს ვსტუმრობ. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როცა რომელიმე ცნობილ კლიენტს თუ მეგობარს დაურეკავს ჩემთვის და უთქვამს: მიშა, შენთან სალაპარაკო მაქვს და გამოიდი, სადმე დავსხდეთო. რა თქმა უნდა, ასეთ დროს მათ უარს არასდროს ვუთხრებ — ერთმანეთს ვხვდებით, ვლაპარაკობთ და შეიძლება ითქვას, რომ მათთვის ფსიქოლოგიც ვარ... ძალიან მიხარია, როცა ცნობილ ადამიანებს წვეულებაზე ვხვდები, ისინი თავიანთ სუფრასთან გადამიმატიყუებენ და საზოგადოებას ჩემს თავს, როგორც მათ მეგობარს, ისე წარუდგენენ ხოლმე. ასე რომ, უამრავი მეგობარი მყავს. თუმცა, ამის გამო, ბევრი კლიენტი დავკარგე —



აქტუალური ის არის, რაც გიხდება

როცა ერთმანეთთან ასეთი მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, მათ ფულს ხომ ველარ გამოვართმევ?

— მიშა, კარგად ვიცი, რომ ცნობილი კლიენტების დიდი ნაწილი შენი სიყვარულის ობიექტზე გამხდარა. მათთან გარკვეული სასიყვარულო ურთიერთობა თუ გქონია?

— (იციან). ამ თემაზე საუბარი და ყველაფრის აფიშირება, ჩემი მხრიდან არასწორი საქციელი იქნება... ისე კი, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი კლიენტების 40 პროცენტი (შესაძლოა ნაკლები), ჩემი საყვარელი იყო. სხვათა შორის, ამ მიზეზითაც ბევრი კლიენტი დავკარგე.

— მოდი, თემა შევცვალოთ და უშუალოდ შენს პროფესიაზე ვილაპარაკოთ. როცა რომელიმე კლიენტი შენთან მოდის, მათ აზრს ითვალისწინებ ხოლმე?

— თავადაც სულ ჩემთან დადიხარ და კარგად იცი, რომ ყოველთვის გეუბნები: როგორი ვარცხნილობა უფრო მოგიხდება და შენც მუუბნები — გენდობიო. ყველა ასე იქცევა. შესაძლოა, ადამიანს ძალიან მოკლედ შეეჭრა თმა, მან კი ამის შესახებ არაფერი იცოდეს, მაგრამ საბოლოოდ, აქედან ყველა კმაყოფილი მიდის.

— ჯერ ასეთ ცუდ დღეში არ ჩაგიგდებინარ და თუ ჩამაგდებ, ვერც გადამირჩები... შენი ასეთი თავნებობის გამო პრეტენზიას არ გამოთქვამენ?

— ერთ-ორ ცრემლს გადმომაგდებენ და მერე, ყველაფერს ეჩვევიან. ერთ ამბავს მოგიყვები: ერთი ქალი 10 წელი მაინც იღებავდა თმას ქერად. თან, საკმაოდ გრძელი თმა ჰქონდა. საღებავი საერთოდ ასეა დანომრილი: 6-6-5 — ქერაა და 6-6-7 — წითელია. 6-6 წავიკითხე და ის საღებავი პირდაპირ გაგხსენი, გაგაზავე და თმაზე წავუსვი. დრო რომ გადიოდა და ამ ქა-

ლის თავს ვუყურებდი, ვტივდებოდი, რადგან თმა აშკარად არ ქერავდებოდა და როცა თავი ჩამოიხანა, ალისფერი წითელი იყო. სარკეში არც ჩავახედე, თმა სასწრაფოდ, ძალიან მოკლედ შეეჭერი, მერე გავუშრე და სარკეში რომ ჩაიხედა, იკვირა: მიშა, ეს რა გამოკეთო?! მე მეცინებოდა. მოულოდნელად შემობრუნდა, ცრემლები შემიშრა და მითხრა: მიშა, ძალიან სექსუალური ვარ, ატყობ? ის ქალი, მას შემდეგ სულ ასეთი ვარცხ-

ნილობით დადის... მოკლედ, ასეთი შემთხვევა ბევრჯერ მქონია, მაგრამ ამის გამო, ჯერ არავის მოვუკლივარ.

— როგორი ვარცხნილობა ახლა მოდაში?

— ჩემი აზრით, აქტუალური ის არის, რაც გიხდება. განსაკუთრებით, მოდაშია ბუნებრივი თმა, ყოველგვარი გასწორებისა და დავარცხნის გარეშე... მიუხედავად იმისა, რომ გრძელი თმა მოდიდან გადავიდა, მას რატომღაც ყველა იგრძელებს. ეს ძალიან არ მომწონს, რადგან უპირატესობას მოკლედ შეჭრილ ვარცხნილობას ვანიჭებ.

— შენი აზრით, რამდენად სწორად უნდა იაროს ქალმა სილაბაზის სალონში?

— ჩემი აზრით, სულაც არ არის საჭირო სალონში სწორად სიარული. შესაძლებელია, ქალი შინ იჯდეს და სხვებზე კარგად გამოიყურებოდეს. მთავარია, მან თავის მოვლის მეთოდები იცოდეს და კარგი გემოვნება ჰქონდეს.

— როგორც ვიცი, უკვე საკუთარი სალონი გაქვს.

— ამ სალონში ირმამ გადმომიყვანა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, წავიდა. იმ პერიოდში, ბევრი ცნობილი სალონის მებატრონიც მთავაზობდა თანამშრომლობას, ერთ-ერთმა მათგანმა მანქანაც კი შემომთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან, როცა ხელოსანი უნა და უკან დადის, ეს კლიენტისთვის დამაბნეველია... ირმა აქედან რომ წავიდა, 17 წლის გახლდით და ეს სალონი ვიქირავე. ხალხს ეგონა, რომ მაგარი მამიკოს შვილი ვიყავი, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩემი მშობლები კარგა ხანია, ერთმანეთს დაშორებულები არიან. თანაც, ყოველთვის მიმანძნა, რომ ადამიანმა ფული საკუთარი შრომით უნდა მოიპოვოს. სტილისტი რომ არ ვყოფილიყავი, შესაძლოა, ბენზინი ჩამესხა მანქანებში და ასე მემოვა ფული, ან სხვა საქმისთვის მომივიდა ხელი. ჩემი აზრით, მუშაობა სულაც არ არის სირცხვილი... მოკლედ, ის სალონი ჩემი საკუთარი ფულით დავიქირავე, რადგან საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სტილისტი ვარ, ამის საშუალება მქონდა. ამით საკუთარ თავზე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა ავიღე. თანაც, ძალიან მიყვარს წვეულებებზე სიარული, გართობა და ამ ყველაფერს ველარ ვახერხებდი. ამიტომაც, დღეს ამ სალონს, ერთ-ერთ ცნობილ ქალბატონთან ერთად „გამუშავებ“. გვაქვს გასახდომი კაბინეტი, სოლარიუმი და ა.შ... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში ორი მიწა პოპულარული: პრეზიდენტი სააკაშვილი და მე (იციან). მაგრამ მგონი, მე უფრო რეიტინგული ვარ, რადგან როგორც მისი თანამშრომელი ქალბატონი ბი (რომლებიც ჩემთან დადიან) მუუბნებიან: ისე სწორად პრეზიდენტს არ ურეკავენ, რამდენსაც შენო. თანაც, 2002 წელს მე გაცილებით პოპულარული ვიყავი, ვიდრე — ის. სანამ პრეზიდენტი რევოლუციას მოაწყობდა, მე უკვე მოხდენილი მქონდა რევოლუცია ქართულ შოუბიზნესში (იციან).



ისინი კლიენტები კი არა, პირველ რიგში, ჩემი მეგობრები არიან

მონაგონი საჰარტიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის
(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები უურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგაქცათ თავი.

- რა არის ჭყურტი?
- რა არის ჯამაათი?
- სად და როდის დამკვიდრდა გამოთქმა: „რა გორელივით შუა ქუჩაში დადიხარ?!“
- ეს მსახიობი ამბობდა: სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ იმის კი მეშინია, სასაფლაოდან ყველა რომ წამოვა და მე კი იქ დავრჩებიო. ამბობენ, მას დასაფლავების შემდეგ, პირველი ღამე სასაფლაოზე კარლო საკანდელიძემ გაუთენაო. დაასახელეთ იგი.
- ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში ადამიანთა გვამების საკრემაციო ლუმბლებს საგანგებო ღარები ჰქონდა გაკეთებული. რისთვის?
- ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებს სჯერათ, რომ თუ ცისარტყელას ერთ ბოლოს იპოვი და იქიდან „გამაიჭრე“, მეორე ბოლოში დაინახავ... რას?
- დაასრულეთ ნიკოლაი ბერდიაევის სიტყვები: „რასია ჟივიოტ ვო ვრედ სეზე ი...“
- დაასახელეთ ოქროს ნივთი, რომლითაც წლის საუკეთესო მოდელიერს ასაჩუქრებენ.
- ალექსანდრე დიუმამ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში, რესტორანში ყოფნისას გადაწყვიტა, სოკო შეეკვთა და რადგანაც გერმანული არ იცოდა, თავისი თხოვნა ოფიცინტს ფურცელზე დაუხატა. რა მიუტანა მას ოფიცინტმა?
- „ჩვენში ყველაფერს გაპატიებენ, ამას კი არასდროს,“ — ამბობდა შალვა ნუცუბიძე. რას გულისხმობდა ქართველი ფილოსოფოსი?
- ევროპის საერთაშორისო ფულის ერთეულის — ევროს გამოშვებას კინაღამ გაუგონარი სკანდალი მოჰყვა. რატომ?
- აშშ-ის ეს პრეზიდენტი ფიზიკურად ძალზე ჰგავდა რემბრანდტს.
- საბჭოთა მფრინავ ალექსეი მარესიევს მტრის 11 თვითმფრინავი ჰყავდა ჩამოგდებული. რა განსხვავება იყო მის მიერ ჩამოგდებულ პირველ ოთხსა და დანარჩენ შვიდ თვითმფრინავს შორის.
- „დიდ ბრიტანეთში დღე და ღამე არ სძინავთ გადასახადთა ამკრებთ“, — ამტკიცებდა დიკენსი და მართალიც იყო. რატომ?
- რა ეროვნების იყო ნოსტრადამუსი?

ანეკდოტები

ნარკუშა დგას და ფიქრობს: დედას უნდა დაფურეკო და ვუთხრა, სად ვარ.
— ალო, დედა, სად ვარ?

სვანმა სამშობიაროდან ცოლი და ახალშეძენილი შვილი გამოიყვანა.
— რა ჰქვია? — ეკითხება მეზობელი.
— არ ვიცი, ათჯერ მაინც ვკითხე და არ მეუბნება.

პატარა ბიჭი შინ დახეული ტანსაცმლით მივიდა.
— რა მოგივიდა? — გადართობს დედამისი.
— კლასელს ვეჩხუბე.
— მომიკვდეს თავი! ახლა შენთვის ახალი შარვლის ყიდვა მომიწევს.
— ჩემი კლასელის მშობლებს კი ახალი შვილის ყიდვა მოუწევთ.

სვანები ტელევიზორში მძლეოსნობის ჩემპიონატს უყურებენ. პატარა ბიჭი მამას ეკითხება:
— მამა, ეს კაცები რატომ დარბიან?
— პირველი ჯილდოს მიიღებს!
— მაშინ დანარჩენები რატომღა დარბიან?!

საპატრულო პოლიციაში ქალი რეკავს:
— ვაიმე, მიშველეთ, კარზე ვილაც კაცი მიკაკუნებს.
— არ გაულოთ, ქალბატონო, ახლავე მოვალთ!
— რას ჰქვია, არ გავულო, დავილაღე ამდენი მარტობით.

ოსს დაიჭერენ და მაგრად ურტყამენ:
— რას მირტყამთ, რომ მირტყამთ,



გინება არ იცით? — ყვირის ოსი.

— დედიკო, დიდი რომ გავიზრდები, ქმარი მეც მეყოლება?



— კი, თუ კარგი გოგო იქნები.
— და თუ ცუდი ვიქნები?
— მაშინ ბევრი ქმარი გეყოლება.

ქალიშვილი თავის ბინაში ტანსაცმელს იხდის. ყველაფერი გაიხადა, სარკესთან დადგა, ხელები თეძოებზე შემოიწყო, მკერდი წამოსწია. უეცრად, ხედავს — ფანჯრიდან კიბეზე ჩამოკიდებული მლესავი იყურება. გოგოს მოულოდნელობისგან თვალები გაუფართოვდა. კაცი კი აყვირდა:
— რა იყო, რას მიყურებ, მლესავი არ გინახავს?!

გურული სადგურის მორიგეს ეკითხება:
— ოზურგეთის მატარებელი მალე მოვა?
— დღე-დღეზე ველოდებით, — ამთქნარებს მორიგე.

შალიკია ჭიჭიკიას ეშუქრება:
— ხვალ თუ ვალს არ დამიბრუნებ, წავალ და ყველა შენს მევალეს ვეტყვი: ჭიჭიკიამ ვალი დამიბრუნა-მეთქი.

მაღლიერი პაციენტი ექიმს მაგიდაზე კონიაკს, შამპანურსა და ხიზილალას ულაგებს. ექიმი აღშფოთებულია:

— ვინ მოგცათ ჩემი ფულის ფლანგვის ფულბა?

ერთი დედალი მეორეს ეუბნება:
— მამალთან ისეთი მსურვალე ღამე მქონდა, რომ დღეს მოხარული კვერცხი დავდე.

სვანი მშობელთა კრებას ესწრება.
— რა უნდა ვილონოთ, არც ვიცი, — ეუბნება მისი შვილის კლასის დამრიგებელი, — თქვენს ვაჟს რასაც ვუბნები, ერთ ყურში შეუფრინდება და მეორე ყურიდან გამოუფრინდება ხოლმე.
— ცდებით, — ლაპარაკში ერევა ფიზიკის მასწავლებელი, — ვაკუუმში ბგერა არ ვრცელდება.

ზოოპარკში ექსკურსია:
— აი, მეგობრებო, ადამიანის მაგვარი მაიმუნი — გორილა.
— ბოდიში, კაცია? — კითხულობს ერთი ქალი.
— არა, ქალბატონო, მამრია, — პასუხობს გიდი.
— აი, მეგობრებო, ადამიანის მაგვარი მაიმუნი — შიმპანზე.
— დიდი ბოდიში, კაცია?
— არა, მამრია.
— ამ გალაში კი ორანგუტანგი ზის.
— ესეც კაცია?
— ქალბატონო, რამდენჯერ უნდა გითხრათ, მამრია-მეთქი, მამრი! კაცი ის არის, ვისაც ფული აქვს!

ქმარი ოთახში შევარდა და მთელი ხმით ყვირის:
— მე უკვე ყველაფერი ვიცი!
ცოლი არ დაიბნა:
— ყველაფერი?! მაშინ მიპასუხე — როდის მოხდა ტრაფაღარის ბრძოლა.

სვანმა დათვი მოკლა.
— რამდენი ესროლე? — ეკითხება მეზობელი.
— ათი.
— რამდენი გაარტყი?
— ვერც ერთი.
— აბა, როგორ მოკვდა?
— სიცილით!

— რითი ისჯება ორცოლიანობა?
— ორი სიდედრით.


დონიჯუმორტყმული კახელი მილი-

ციპში შედის:
— უფროსო, ბაზარში ფული მომპარეს.
— დონიჯი რატომღა გაქვთ შემორტყმული!
— ვახ, ამის დედა ვატირე, საზამთროებიც მოუპარავთ!

— ვალიკო, როგორ იქეიფეთ იმ დღეს?
— არ ვიცი, ფოტოგრაფს ჯერ სურათები არ დაუბეჭდავს.

— რაც წლები მემატება, კბილებსაც უფრო ადვილად ვისეხავ და თმასაც უფრო ადვილად ვივარცხნი.

კაცი მივლინებიდან ვადაზე ადრე ბრუნდება, სახლში შედის, კარადას აღებს და იქ ცოლის საყვარელი ხვდება:



— რამდენჯერ უნდა გითხრა, შე იდიოტო, ცოლს გავმორდი და სხვაგან გადავიდა-მეთქი საცხოვრებლად!

გონივრულს სავსაჩიურს

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კასუხები)

- პასუხები:
1. შაქრის ავადმყოფობის ხალხური სახელწოდება.
 2. ერთად თავმოყრილი ხალხი.
 3. ეს გამოთქმა გორში, 1920 წელს მომხდარი დამანგრეველი მინისტრის შემდეგ დამკვიდრდა. ამ საშინელი სტიქიის შემდეგ, ქალაქის შეშინებული მოსახლეობა ტროტუარებზე, შენობებთან ახლოს სიარულს ერიდებოდა.
 4. იპოლიტე ხვიჩია.
 5. რათა შიგნით დაგროვილ ცხიმს წვისთვის ხელი არ შეეშალა.
 6. საქართველოს.
 7. „...ნა ზლო დრუგიმ ნაროდამ“.
 8. ოქროს სათითე.
 9. ქოლგა.
 10. ნიჭს.
 11. კუბურების თავდაპირველ ვარიანტზე გამოსახულ ევროპის რუკაზე, გერმანია კვლავ შუაზე იყო გაყოფილი.
 12. რიჩარდ ნიქსონი.
 13. უკანასკნელი შვიდი თვითმფრინავის ჩამოგდებისას მას ორივე ფეხი მოკვეთილი ჰქონდა და პროთეზები ეკეთა.
 14. ქვეყნის მრავალრიცხოვან კოლონიებში დღის სამუშაო სხვადასხვა დროს მიმდინარეობდა.
 15. ებრაელი. მისი ბებია-ბაბუები ქრისტიანებად ძალით მონათლეს.

სერჯიან მანუჩარიანი

უკომენტაროდ



დასანყისი იხ. „გზა“, №24-42

veluri wablis xei vani

„pantera“

გაზა პანტა

ანი ჟურნალისტურ გამოძიებას აწარმოებს და სასურველი შედეგის მისაღწევად, გამოძიებულ მურად ოქროპირიძის მოზიზღვლას ცდილობს. ის დარწმუნებულია, რომ მისი მულის — ნუციკოს საყვარელს, ბიზნესმენ ლევან იაშვილს თავი არ მოუკლავს, არამედ მოკლეს. ამ საქმით ანთებულ ანის პარალელურად, ოჯახური კონფლიქტის ჩაქრობაც უნევს: დანთი შეიარაღებული მისი მამამთილი გაიოზი პოლიციამ დააკავა და რძალი, რის ვაი-ვაგლასით, მას პატიმრობიდან დაიხსნა.

ვასიკო და ანი რედაქციიდან გამოვიდნენ და დერეფანს გაუყვნენ.
 — რას აპირებ ახლა? — იკითხა ვასიკომ.
 — რას უნდა ვაპირებდე, ვასო?! რომელი უფრო მნიშვნელოვანია — რომელი ფირმის ნიფხები აცვიათ ჩვენს ბებიებს თუ რატომ მოკლეს პატიოსანი კაცი, რომელიც არავის არაფერს უშავებდა?.. — იკითხა ანიმ.
 — ამდენი ფული და — პატიოსნება?!
 — გაცვინა ვასოს.
 — ნუ ლაპარაკობ, რა, კომუნისტივით!
 — მოაკვტივინა ანიმ.
 — ლოლა!.. — გაასხენდა ვასიკოს.
 — შენ და ეგ შენი ლოლა!.. რა გამიჩმახე ამ შენი ლოლათი, ვასო?! ლოლა მოიცდის... ბოლოს და ბოლოს, სულ ჩვენ ვუცდით, ერთხელ მაგანაც მოიცადოს, ნახოს ერთი, როგორია ლოდინი და მუდმივად ცაიტნოტში ყოფნა, — გაცხარდა ანი.

— ის არ მოგიცდის... — დაასკვნა ვასიკომ.
 — ვასიკო, მომისმინე! მე ახლა, სულ ცალ ფეხზე მკიდია ეგ შენი ლოლა. დღეს დაკითხვას რომ არ დავესწრო, არ არსებობს! დილიდან ანონსებში უკვე ჩვენს ფირს ატრიბულებენ, იცი შენ?
 — რომელ ჩვენს ფირს? — გაუკვირდა ვასიკოს.
 — ლევან იაშვილი რომ გაათრიეს პრეზენტაციიდან თუ იმ რალაც ა-ლა-ფურშეტიდან... „სტოპკადრებით“ უჩვენებენ ყველა ანონსში... — თქვა ანიმ.
 — ეჰ-ე! — შესტვინა ვასიკომ.
 ტელევიზიით მართლაც უჩვენებდნენ იმ მასალას, რომელიც მათ ჰქონდათ გადაღებული, თან დიქტორის ტექსტიც ახლდა:
 — „დაიხ, ეს გახლავთ უკანასკნელი კადრები, რომლებიც ლევან იაშვილის თვითმკვლელობაზე გადაღებული... თუ ვინმეს გეცნოთ პირი, რომელსაც კადრში ხედავთ, დარეკეთ შემდეგ ნომერზე: 25.18.18. ანონიმურობა გარანტირებულია“.

მურადის კაბინეტის კარი გაიღო და ანიმ, უკვე გაშინაურებულივით შეაბიჯა. უკან ვასიკო შეჰყვა. მურადს სახე გაუნათდა და უცხადვე მოელუშა.
 — რა ხდება ეს, პატივცემული ჟურნალისტებო? თქვენ რა, ჩემი მოხსნა გინდათ, გენაცვალე? არ გამამწაროთ, რა, ძმებო!.. — უსაყვედურა მან ანის.
 — რა ხდება, მურად?
 — იქით შეუტია ანიმ.
 — როგორ თუ რა ხდება?! ეს თქვენი გადაღებული ფირი ტელევიზიით ცხრაჯერ რომ გადაიციმბა საათში, ვის მოეხაზება პირველ რიგში, რა გგონიათ?..
 — ჩვენ...
 — არა, გენაცვალე! ჯერ მე მომეხაზება და თუ მე

მომეხაზება, მერე უკვე თქვენც მოგეხაზებათ... — აუხსნა გამოძიებელმა ანის.
 — მოიცა, რა, ნუ გვაშინებ, თუ ძმა ხარ! — აგდებულად უპასუხა ანიმ. — მომეხაზება, მოგეხაზებათ... მკვლელები გარეთ დაგრილებს და ჩვენ უნდა მოგვეხაზოს?! მეგონა, გაგისარდებოდა: იქნებ, ამოიცნოს ვინმემ და გადმორეკოს...
 — საქართველოში?! ეგ არ მოხდება!.. დედა შვილს არ უდგება მონმედ, და კიდევ — ძმას... თქვენ სადა ბანაობთ, ეე?! მართლა ევროპელები ხომ არ გგონიათ თქვენი თავი?! — გაარკვია ვითარებაში ჟურნალისტები გამოძიებელმა.
 — ვიცით, ძალიან კარგად ვიცით, სადაც ვცხოვრობთ და რა ქვეყანაშიც ვართ... — სასწრაფოდ მკერდი მოილიავა ჟურნალისტმა. — მომისმინე!
 მურადმა ჯერ მკერდის ჭრილობი ჩახედა ანის, მერე კი მისკენ მიშვერილ კამერას დააკვირდა.
 — ეს ისევე მე მომიშვირეთ?! გასწიე, რა, თუ ძმა ხარ, იქით! — მურადი ვიდეოკამერას გადასწვდა და თვითონ მიაბრუნა სხვა მხარეს.
 — მომისმინე! თუ გინდა, პირდაპირ ეთერში გამოგიყვანთ, თუ გინდა, აი, გადაგიღებთ და შენ როგორც გენდომება, ისე დავამონტაჟებთ ფირს, განყოფილება? — კომპრომიზზე წავიდა ანი.
 — რა-ა? რა ვილაპარაკო მერე?! დებილები ვართ და ხელმოსაჭიდი ვერაფერი ვნახეთ-მეთქი?! მოდი, რა, თქვენ — თქვენთვის და მე — ჩემთვის და მშვიდობიანად დავცილდეთ ერთმანეთს... — შესთავაზა მურადმა ჟურნალისტებს.
 — შენ რა, ქრთამი გაქვს აღებული, გენაცვალე?.. — შეაპარა ანიმ.
 — აუ, რა მურწა ხარ, შენ იცი?! — გაგიჟდა მურადი.
 ანი წამოხტა, მკერდი შეათამაშა და ბარძაყი წამით მოიშვილა.
 — იქნებ, კალმახი ვარ, ხელში რომ სხმარტალებს, აბა, კარგად შემომხედე!
 მურადმა ნერწყვი გადაეყლაპა, ვასიკომ კი თვალები დახუჭა.
 — არა, არა ხართ მართლები, რა! ჯერ ხომ უნდა დამეკითხა ეს ცოლი, არა?.. ჩამოსასვლელი იყო, ველოდებოდი... წავიდეთ? გცალიათ? — იკითხა გამოძიებელმა.
 — წავიდეთ, აბა, რისთვის მოვედით?! — მიუგო ანიმ.

ლევანის ცხედარი მისაღებ დარბაზში, ტახტზე, კუბოს გარეშე ესვენა. დილა იყო. სამზარეულოში მაგიდასთან სამნი ისხდნენ:



იაშვილის მეუღლე ლალი, ახალგაზრდა ქალი, არა უმეტეს ოცდაათი წლის, იაშვილის და, ქალბატონი ლიანა, ასე ორმოცს გადაცილებული და ძმა — კოტე, დაახლოებით ამავე წნის. მიცვალებული ორივე მათგანზე უფროსი იყო და ამიტომ მშობლების დანატოვარი ქონებაც თავიდანვე მას დარჩა... ლაპარაკი ძირითადად, დაკრძალვის საორგანიზაციო საკითხებს ეხებოდა... ამ სამიდან, სინანული და გლოვა უფრო დის სახეზე იკითხებოდა. გარდა დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხებისა, არაპირდაპირი, მაგრამ ურთიერთგადაბრალებისა თუ კენის მსგავსი შეკითხვები შიგადაშიგ, სამივეს პირიდან ისმოდა, რაზედაც ქალბატონი ლალი მაგრად ღიზინდებოდა, რადგან ლევანს მემკვიდრე არ დარჩა, ხოლო და-ძმას მართლ უწილები კი არა, შვილიშვილებიც ჰყავდა...



სენა ხალხური სიბრძნე კოტემ.
— მით უმეტეს, თუ არც შვილი დარჩა და არც ძირი... — ნაუკუნია ისევე რძალს ლიანამ.
— მიდი, აბა, მიდი, დამაჭირე ერთი, „მაზოლზე“ ფეხი! — ნაუღრინა მულს ლალიმ.

— წარმომიდგენია, რას ყაყანებს ქალაქი... — ზიზლით თქვა ლალიმ.
— გიკვირს მერე? ამით საჭოროა ლუკმა მიუგდე და ისე დაანამცეცებენ, ყველას შეახვედრებენ... — გააგრძელა ლიანამ.
— ჩემი ბრალია ყველაფერი, თავიდანვე უნდა ამომედო ლაგამი, ქორწინების დღიდან... — ჩაილაპარაკა ლალიმ.
— მე კი, სწორედ მეგ ლაგამს ვაბრალებ ყველაფერს. ჩემს ძმას არც ლაგამი აკლდა შენგან და არც მათრახი!... — პირდაპირ მიახალა პირში რძალს ლიანამ.
— კაცი მკვდარია, რა დროს ეგენია, გაგიჟდით?! — გადაირია ქალების სიტყვებზე კოტე.
— ერთი ცრემლი, ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია, თუნდაც ტყუილად, სხვების დასანახავად... — ჩაუშვა რძალი თავის ძმასთან ლიანამ.
— სამაგიეროდ, როცა ცოცხალი იყო, მაშინ მდიოდა ღვარად... — არ დაუთმო ლალიმ.
— კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო, ნათქვამია... — მოიშველია აფორიზმი ლიანამ.
— მხედარს გააჩნია... — მიუგო ლალიმ.
— აბა, მიდით, ერთი, მიდით! ამოიღეთ, თუკი რამე ბოლმა და გესლი დაგრჩათ გულში! თქვენ არც მკვდარი იცით, არც ცოცხალი... კაცი დასამარხია, რა დროს ეგ არის?! — მთლად გაგიჟდა კოტე.
— ზევით არავინ დარჩენილა... ცოცხალს ცოტა ლაფი მედო თავზე?.. მოკვდა და ათი იმდენი დამადო... — თქვა ლალიმ.
— არ არსებობს, ჩემი ძმა თავს არ მოიკლავდა, — გამოაცხადა ლიანამ.
— შენ გინდა თქვა, რომ მე მოკვალი! მე მოკვალი, არა? — გადაირია ლალი.
— არ ვიცი, არ ვიცი... ცოცხალს ვერაფერი ვათქმევინე და მკვდარი, მით უმეტეს, ვერ მეტყვის... — წარმოთქვა ლიანამ.
— შენც ასე ფიქრობ? — მიუბრუნდა ლალი კოტეს.
— რა? რაზე? — ვერ მიუხვდა კოტე.
— რომ შენი ძმა ჩემი მოკლულია, — მიუგო ლიანამ.
— რა „მნიშვნელი“ აქვს?! ვინც კვდება, თავის თავს უკვდებაო, ნათქვამია... — გაიხ-

— სამას კაცზე სამყოფია, გუზუნებით, მეტი არ მოვა, დამიჯერეთ! — ხმაბლდა განაგრძო ფიქრი კოტემ.

მურადმა მანქანა იაშვილის სახლის ჭიშკართან გააჩერა. მერე დაკეტა და ანისთან და ვასიკოსთან ერთად ალაყაფის წინ აღმოჩნდა. კარზე ზარი დარეკა... გაბმულად, ხანგრძლივად. ეზოში აქამდე ჩუმად მსხდომი ძაღლები ყფით მივარდნენ კარს... მიკროფონში კი ლალის ხმა გაისმა:
— ვინ არის?
— მურად ოქროპირიძე, გამომძიებელი. გუშინ რომ შევთანხმდით...
— მოითმინეთ ერთი წუთით, — და ვილაცას მიმართა. — წადი, კარი გაუღე, გამომძიებელია. გამომძიებლები და პოლიციელებილა მავლდა!..

კოტემ ძაღლები დააშოშმინა და ჭიშკარი გააღო.
— უნდა გვაპატიოთ... — მოუბოდიშა მურადმა კოტეს.
— გასაგებია, შემობრძანდით, — სახლის კარისკენ მიუთითა კოტემ. შემოსულებმა სამსართულიანი სახლის სივარჯლე თვალის ერთი შევლებით შეაფასეს და ბინაში შევიდნენ.
როგორც კი კუბოსთან მჯდარმა ლალიმ ჟურნალისტები დაინახა, ადგილიდან წამოხტა...
— არავითარ შემთხვევაში, არავითარ შემთხვევაში!.. როგორ გეკადრებათ, რა გადალება, რის გადალება? არ არსებობს, არც ერთ სიტყვას არ ვიტყვი!.. მიბრძანდით, მიბრძანდით ამწუთას უკან!.. ნუ იღებთ, გენაცვალე, რას იღებთ, რატომ იღებთ?! რა ხდება, გლოვა არ უნდა გვაცალოთ, ხალხო?! — გადაირია ქვრივი.
— ქალბატონო, ჩვენი მიზანია, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართოს! — იქით შეუტია ანიმ.
— თქვენ და — ობიექტურობა? არა, არა, არა, არა, არა! მიბრძანდით, სასწრაფოდ, გთხოვთ, დაგვასვენეთ! — კატეგორიულად მოითხოვა ლალიმ.
— ქალბატონო, მხოლოდ ერთ, ერთადერთ შეკითხვაზე მინდა, მიპასუხოთ: თქვენ გჯერათ, რომ ბატონმა ლევანმა თავი მოიკლა? — ჰკითხა ანიმ.
— არა, არავითარ შემთხვევაში, ჩემი ძმა თავს არაფრით არ მოიკლავდა, — დაასწრო ლიანამ ლალის.
— თქვენ ლევან იაშვილის და ბრძანდებით? — გამოცოცხლდა ანი.
— კი, კი, მაგრამ ლაპარაკი აკრძალული აქვს... მე შენ გიკრძალავ, ლიანა! შენ რომ კიდევ რამე თქვა... — მიაყარა ლალიმ.
— მე უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი: ის თავს არასოდეს არ მოიკლავდა... — გაიმეორა ლიანამ.
— ქალბატონო, თქვენ, თქვენ როგორ ფიქრობთ? — მიმართა ანიმ ლალის.
— გასწიე იქი! გასწიე ეს კამერა იქი! მოაშორეთ აქედან! ნუ იღებთ, მე თქვენ გუზუნებით! — აკივლდა ლალი და კამერას სტაცა ხელი.
— არ ვიღებ, ქალბატონო! ფრთხილად,

კამერა არ დამიმტვრიოთ! — გადაირია ვასიკო.

— ქალბატონო, ჩვენ ჭეშმარიტება გვინდა დავადგინოთ მხოლოდ, ჭეშმარიტება, მეტი არაფერი... — გაკვირვებული უმტკიცებდა ანი.

— თქვენ ოღონდ ჩირქი მოსცხობთ ვინმეს!.. ჭეშმარიტება!.. თქვენ... — ლალი მურადს მიუბრუნდა, მაგრამ მისი სახელი ვერ გაიხსენა.

— მურადი, მურადი, — შეახსენა მურადმა.

— ბატონო მურად, რატომ მორევით ეს ხალხი, ვინ დაგროთი ნება?! — ხელები გაშალა ლალი.

— როგორ გვეკადრებათ, ქალბატონო?! მე რა შუაში ვარ?! ამით მეოთხე ხელისუფლებას ეძახიან, პრეზიდენტი დაამხეს და მე რას გავხდები ამითან?... მიუგდეთ თქვენც ორი სიტყვა და დაამთავრეთ! — აუხსნა ვითარება მურადმა.

— რა-ა? ვის უნდა მიუგდოს ორი სიტყვა?... ჩვენ თქვენ მათხოვრები ხომ არ გგონივართ?! ჩვენ ყველაფერს თავის ნამდვილ სახელს ვარქმევთ... დიახ და ეგ თქვენი „პაბლაშკები“ აქ არავის სჭირდება!.. — გაცხარდა ანი.

— მართალია. მეც თქვენს მხარეზე ვარ! — გამოაცხადა ლიანამ.

— იცით, რა?... გაირკვევა ყველაფერი. დავმარხოთ ეს კაცი. არ არსებობს, გამოამკარავდება, ბოლოს მინც გამოამკარავდება ყველაფერი... — თქვა კოტემ.

— შენ კიდევ რას დაგიუინია — დავმარხოთ, დავმარხოთ!.. დავმარხავთ, მაშ, მინის ზევით ხომ არ დავტოვებთ! დავმარხავთ და ჩაიფარცხება ყველაფერი. ამისთანები ჩაუფარცხავთ?! — უსაყვედურა ძმას ლიანამ.

— ბატონო მურად, ძალიან გთხოვთ, მომაცილოთ თავიდან თქვენი ჟურნალისტები!.. — არ ცხრებოდა ლალი.

— როგორ გვეკადრებათ, ესენი ისევე არიან ჩემი, როგორც — თქვენი... — იწყინა მურადმა.

— რას ბრძანებთ, მე მოვიყვანე, მე დავპატიჟე?... — შეეკითხა ლალი.

— ანი, გამომართვი, რა, ეს გასაღები და მანქანაში დამელოდეთ! არ უნდა ამ ქალს თქვენთან ლაპარაკი და ძალით ხომ ვერ ავალაპარაკებთ! ვაცალოთ, მართლაც, ერთი-ორი დღე, დაკრძალოს ქმარი... — მიმართა ანის მურადმა.

— ჩვენ კი გავალთ, მაგრამ მე მინც ვიტყვი, რომ ამ საქმეს ძალიან ცუდი სუნი უდის... — გამოართვა მურადს გასაღები ანი.

— ახალი ამბავი!.. კაცი მკვდარი წევს და — ამ საქმეს ცუდი სუნი უდისო, გესმით თქვენ?! — ისევე გადაირია ლალი.

— ეს საქმე მარტო ამით არ დამთავრდება. აი, ნახავთ თუ არა!.. — გამოაცხადა ისევე ანი.

— მიბრძანდით, რა, მიბრძანდით! ნუ დამაფლითეთ მთლად ისედაც დაფლეთილი და ბუნებზე დაკიდული ნერვები! — ხელის კვრაზე გადავიდა ლალი.

— კაი, ანი, წავიდეთ, გვეყოფა! — სთხოვა ვასიკომ ანის.

— რა ბრძანეთ?! რა სიტყვა ბრძანეთ?! რას ნიშნავს, გენაცვალე, გვეყოფა? გადავიღეთ მინც, ხომ?! — იკითხა დაეჭვებულმა ლალი.

— ქალბატონო, ერთი სიტყვა ვთქვი, რა



დაგემართათ?! მართლა ჰქონია ამ კაცს თავი მოსაკლავი, ტო!.. — აღმოხდა ვასიკოს.

— მართალია, დიახ, ასე იყო... — ჩაერია ლიანა და ლალის მიუბრუნდა: — რა, არა?

ლალის სახე წამოენთო, ხმა ვეღარ ამოიღო, არ იცოდა, რა ეთქვა, რიგრიგობით გადახედა ყველას და კუბოში მწოლიარე ქმარს მიმართა:

— შენი ბრალია ყველაფერი, შენი, დიახ! — მერე ისევ ანიკენ შებრუნდა: — გაეთრიეთ აქედან, ჩქარა!

— მაგის მოკლულია, წყალი არ გაუფა! — გამოაცხადა ანიმ, როცა ის და ვასიკო მურადის მანქანაში ჩასხდნენ.

— მოიცა, რა, ხია ეგრევე ბეჭედი!.. — არ დაუჯერა ვასიკომ. — ჩამდენმა ერთი ცოდვა დაიდო და დამბრალებულმა — ათასიო...

— არ არსებობს, ეგ ისე იღრინებოდა... — არ დაუჯერა ანიმ. — ეს „მეგრეს ნაპურ-ჭყინიც“ რალაცას ბლანდავს: ერთი შეკითხვაც არ დაუსვა ჩვენი თანდასწრებით...

— არ შედის ალბათ გამოძიების ინტერესებში და არ დაუსვა... — თქვა ვასიკომ. — ჰოდა, მოუწევს ფერდებში... — არ მშვიდდებოდა ანი.

— რა მოუწევს ფერდებში? — იკითხა ვასიკომ.

— დაზულა, სხვა რა?! — განუმარტა ანი.

— დაზულა? და დამზული... — სხვას ყველაფერს, მაგრამ მაგათ ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის ჩვენი ქვეყანა... — დარწმუნებით თქვა ანიმ.

— მდა-ა, ფინთათ ყოფილა მეგრეს საქმე... — გამოიტანა დასკვნა ვასიკომ.

— ჰო, მოუწევს, თუ ერთი ადგილის თამაშს არ მორჩება, — თქვა მშვიდად ანიმ.

— არ გეზარება, ტო, ეს, ამდენი გამიშ-

ვი-დამიჭირე?! — შეეკითხა ვასიკო.

— არა! ჭეშმარიტების დასადგენად, ქვას ქვაზე არ დავტოვებ! დიახ! აი, შენ ნახავ. ჰო, რა იყო? მაშ, ამ დაუნის იმედზე ვიყო?! ვერ ატყობ, რა მაგრად არის ჩახლართული? — ბრძანა ანიმ.

— „ჩერესჩურ“, ტო! ეს ვერ უნდა იყოს მთლად თავის „მოტორზე“, ეს ცოლი... — თქვა ვასიკომ.

— მაშ, არავინ დარეკავს?! ერთი ათასი კაცი მინც ხომ ამოიცივებდა იმ ტიპს. ერთი ზარია საჭირო, სულ ერთი!.. — თქვა ანიმ.

— ჰო, ტო. ერთი ჩამშვები, რა ანუ — შენსავით, ჭეშმარიტების მაძიებელი... — დეთანხმა ვასიკო.

— არა, მთლად მაგის იმედზეც ვერ ვიქნები. ვნახოთ, მურადი რა ამბავს მოიტანს, — თქვა ანიმ.

— არ გვეტყვის არაფერს, არ არსებობს... — უთხრა ვასიკომ.

— შენ „დასპაკონიდი“, ვა-თქმევენბ... მაშ, ესენი რისთვის მინდა?! — ძუძუებზე ამოიღო ორივე ხელი ქვემოდან ანიმ.

— ჰო-ო, ეგ მაგარი „ბომბები“ გაჩუქათ ლემრთმა ქალებს!.. — დაუდასტურა ვასიკომ. მურადი მალევე გამოვიდა.

— საყვარელი ჰყოლია თურმე... — გამოაცხადა, როგორც კი საქმეს მიუჯდა.

— საყვარელი? მაგ აფთარს... ცოლს, ხომ? — არ მოეწონა ანის.

— ცოლს კი არა, ქმარს... ნუცვიკო კელაპტრიშვილი, მომღერალი, გაგიგონია?

— ჭორი იქნება. მოკლა და სხვას უნდა, რომ გადაბრალოს, ალბათ... — რამი აძლევდა ხელს მულის ამ ამბავში ასეთნაირად გარეევა ანის?... — ჩვენ „თავისუფლებანზე“ გაგიყვანე, რა! — სთხოვა მან მურადს.

— მე თუ შენ ასე გემსახურე, ჩემს საქმეებს ვინლა მიხედავს?! — ჩაიბურტყუნა მურადმა.

— რომელ საქმეებს?! — თითქოს ვერ მიუხედა ანი.

— მკვლელობებს, ძარცვებს, „შემომეუ-პატიურობებს“... სამოცდაათი წლის ქალის... — უპასუხა მურადმა.

— მაღლი მოუსხამს ვილაცას... — გაეცინა ვასიკოს.

— სალამოს, თუ გცალია, — საათზე დაიხედა მურადმა. — სადღაც, რვისთვის გავთავისუფლდები...

— კი, კი, მოვიცილი. რას ჰქვია — თუ მცალია?! — გაუხარდა ანის.

— ოღონდ, ეს თქვენი იარაღი არ დამანახვით თვალით, რა! ჯერ ერთი, თავზე დაგვალენავს და მეორე: ქალია მინც, მერე რა, რომ მომღერალია?! ხომ იცი — ინტიმი, სექსი... ისედაც სულში ხელის ფათური... — აუხსნა მურადმა.

— საყვარელი უნდა დაჰკითხო? — შეეკითხა ანი.

— ჰო. მაშ, არ დავკითხო? ცოლმა პირდაპირ იმას დაადო ხელი.

— მაშინ, შენ დაჰკითხე, მარტომ, ჩვენ მართლაც ზედმეტები ვართ, ორივე... — უთხრა ანიმ და დააყოლა: — თუ გინდა, მერე შეხვდეთ, ცოტა უფრო გვიან... როცა

გათავისუფლდები, დამირეკე და... ასეც შეთანხმდნენ.

ანიმ, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ გააფურთხილა ნუციკო — იმ „სტერვამ“ ჩაგნიშვა და გამოძიებელს შენი ნახვა უნდაო. მერე კი თავოც გააფურთხილა — მარტო არ დატოვო შენი და უთხარი, გამოძიებელთან ენას კბილი დააჭიროს, რამე სისულელები არ დაფეკასო.

ლოლა, რომელიც ნიკოსთან ერთად რედაქციაში იჯდა, ანისა და ვასიკოს უცდიდა და წარამარა კედლის საათს უმზერდა. ნერვიულობისგან კალამს მაგიდაზე აკაკუნებდა.

— ნუ აკაკუნებ, რა, ლოლა, ხელი მეშლება. პირდაპირ ნერვის წვერზე მირტყამ, — სთხოვა ნიკომ.

— იცით, რა? თქვენ ანებივრებთ და ამიტომაც ბედავს ამდენს, — გააგრძელა მცირე ხნის წინ დაწყებული ლაპარაკი ლოლამ.

— რა ვქნა, მაგისნაირ მორბენალს სანთლით ველარ მიავენებ. და საერთოდ, მე ვინ მეკითხება აქ რამეს, ლოლა, აი, შენ მეკითხები?.. — დააცქერდა ლოლას ნიკო.

— რა ვქნა, ბატონო ნიკო, ათასად ხომ ვერ გავიჭრები! — აღელდა ლოლა. — თქვენ გგონიათ, მე აქ ვზივარ? ჩემი ტვინი ამნუთას ისეთ „გადარბენაზეა“!.. იქ კონცერტი უნდა წავიყვანო, აქ — კონკურსი, იქ — ბავშვი ცურვაზე წასაყვანი, აქ — ტყეშალი და მურაბა თავიდან მოსადუღებელი... ჰო, ჰო, დილას შევიდვარ „ჩუღანში“ და რა ხდება, იცით?.. მთელი ხუფები ამსკდარა და ისე იყო ის კედლები მოხატული, საღვადორ დალი მონაგონია იმასთან! არადა, როგორც ნიგნში იყო, ყველაფერი ისე გავაკეთე... მე უნდა ვუცდიდე ანის თუ ის — მე?

ამ დროს კარი გაიღო და ვასიკო შემოვიდა.

— რატომ დაგაგვიანდათ? — ჰკითხა ლოლამ ვასიკოს. — ანი რაღა იქნა?

— შემოვა. დოდომ დაიჭირა შემოსასვლელში და ეჭორავება. გამოძიებელთან ვიყავით, — უპასუხა ვასიკომ.

— მერე, რა გაიგეთ? — დაინტერესდა ლოლა.

— რა ვიცო, ანიმ ლამის გაიხადოს და ჩემ თვალწინ დაუწვეს... — ჩაუშვა ვასიკომ ანი თანამშრომლებთან.

— „ნაგლი ფრავრ ხუჟე ტანკაო“, რა, მაგაზე ნათქვამი... — თქვა ლოლამ.

— მიზანი ამართლებს საშუალებას, — ჩაურთო ნიკომ.

— მერედა რა თქვა, რომ, გამოძიებელმა? — იკითხა ლოლამ.

— გამოძიებელმა? რა ვიცო, იაშვილის ცოლი უნდა დაეკითხა და იმის სახლში წაგვიყვანა, — მიუგო ვასიკომ.

— დაჰკითხა? — დაინტერესდა ლოლა.

— ჩვენ გამოგყვარა იმის ცოლმა, მე და ანი... ერთი ამბავი ატყა, კამერის დანახვაზე, — თქვა ვასიკომ.

— მერე რაზე ილაპარაკვს გამოძიებელმა და მაგ იაშვილის ცოლმა, არ იცი? — იკითხა ლოლამ.



— რაში გაინტერესებს, ტო?.. რაღაცა ჩახლართული ამბავია. ამ საღამოს კიდევ უნდა შეხვდნენ, — უთხრა ვასიკომ.

— ვინ და ვინ? — გაუკვირდა ლოლას.

— ანი და გამოძიებელი.

— შენ?

— მე?.. მე თავისუფალი ვარ. შენ? — ანკესი გადაადგო ვასიკომ.

— რა — მე? — ვერ მიუხვდა ლოლა.

— შენ რას აკეთებ ამ საღამოს? — ჩაეძია ვასიკო.

— მორჩი, რა, ბაზარს, არ მოგებზრდა?! — როგორც იქნა, მიუხვდა ვასიკოს ლოლა.

— გინდა, შენ თვალწინ ხარაკირი გავიკეთო? — დაიმუქრა ვასიკო.

— კი, ძალიან. მაინტერესებს, რა ფერის ნაწლავები გაქვს... — მიუგო ლოლამ. — აუ, რა „საპლიაკი“ ხარ, იცი?!

— „საპლიაკი“?! — იწყინა ვასიკომ.

— ჰო, თუ სარკე არა გაქვს, მე გათხოვებ და ჩაიხედე! — უთხრა ლოლამ.

— ა-ა, ფიზიკურად არ მოგწონვარ, ტო?! ცხვირის გამო? — მიუხვდა ვასიკო.

— კაი, რა, ვასო, ცხვირი რა შუაშია? ფიზიკურად ძალიანაც კი ტიპი ხარ, ძალიანაც მაგრად მიყვარხარ, მაგრამ როგორ გითხრა... როგორც მაიმუნი, რა! როგორც პატარა, საყვარელი მკაკაა!.. — აუხსნა ლოლამ.

— მკაკაა?! კიდევ კარგი, ორანგუტანგი არ თქვი...

— მოსულა და ველარ შემოაღწია!.. არ უნდა აახიოს კაცმა ლაყუჩები?! — გაბრაზდა ლოლა ანიზე.

ამ დროს კარი გაიღო და ანიც შემოვიდა.

— ანი, სად გადაიკარგე?! — თავი ასწია ნიკომ. — მოკვდა ნერვიულობით ლოლა.

— ბატონო ნიკო, ჯერ ერთი, მთელი საათ-ნახევარი ველოდით მანქანას. აი, ვასიკოს ჰკითხეთ, თუ ჩემი არ გჯერათ. ასე არ იყო, ვასიკო?

— ჰო, რა ვიცო... — გაუკვირდა ვასიკოს.

— თანაც, ბრმა ნაწლავის შეტევა მქონდა, იცით, როგორი?! — განაგრძო ანიმ.

— აბა, სად გაქვს ბრმა ნაწლავი, მაჩვენე! — უბრძანა ნიკომ.

— აი, აქ! — მარცხნივ დაიდო ხელი დაბნეულმა ანიმ.

— მანდ რა უნდა ბრმა ნაწლავს?! — აყვირდა მთავარი რედაქტორი. — ბრმა ნაწლავი ყველას მარჯვნივ აქვს და შენ — მარცხნივ!

— რა ვიცო, ისე ვინერვიულე, რომ ყვე-

ლაფერი ამერ-დამერია... — მონახა გამოსავალი ანიმ.

— შენ იცი, რა კატეგორიის ქალბატონი ბრძანდები? ბუნინი რომ წერს თავის „ოციან წლებში“... — დაიწყო თავისი განათლების გადმოფრქვევა ნიკომ.

— ბუნინი ვინლა? — იკითხა ანიმ.

— „პროლეტკულტის“ მწერლები ზუპირად იცი და ბუნინი ვინ იყო, არ იცი, ხომ?.. იცი, რას წერს შენისთანებზე?.. „ეს ქალიშვილები ურცხვად უმზერენ ყველას თვალებში და ისე უტიფრად ტყუიან, მსმენელს თავგზას უბნევენ და აპიპოტიზებენ“... — თავზე ხელები შემოიდო ნიკომ.

— და გჯერათ, მერე, ეგ თქვენ? — გულგრილად უპასუხა ანიმ.

— მჯერა, მჯერა! — აღელდა ნიკო. — მე მასწავლებელი არა ვარ, რომ კუთხეში დაგაყენო და იცი, როგორ დაგსჯი?! დაჯვდები აი, აქ, ჩემს ადგილზე და ექვს საათამდე ფეხს არ მოიცვლი, გაიგე?! ჩვენ კი — ნავედით. სად მივდივართ? — იკითხა მან.

— ახალგაზრდა ბებიების კონკურსზე! — უპასუხა ლოლამ, რაზეც ანიმ გულიანად გადაიხარხარა.

— რა გაცინებს? — გაბრაზდა ნიკო.

— აი, თურმე, რატომ ყრიდით ცეცხლებს პირიდან!.. შიშველი ბებიების ნახვა მოგენატრათ, არა? წადით, წადით, თუ არაფერი გამოგივთ, თვალს ხომ მინც დააღლეინებთ წყალს... — ჩაიქიქილა ანიმ.

— უსმინეთ ახლა ამას!.. მარწყვივით გოგოებს თვალს ვარიდებ და ბებიების ნახვა მომნატრები... — ხელი ჩაიქინა ნიკომ.

— ნავიდეო, რა, ბატონო ნიკო, თუ მივდივართ. ისედაც მაგრად დავაგვიანეთ! — ჩანათას მოჰკიდა ხელი ლოლამ.

ამ დროს რედაქციის ტელეფონი აწკრიალდა. ნიკომ ყურმილი აიღო და ანფასი ამკარად შეეცვალა.

— რა დაგემართათ, რა გჭირთ, ბატონო ნიკო? — განცვიფრდა ლოლა.

— თუ ერთხელ კიდევ წავა ეთერში თქვენი ანონსი, რომელიც იაშვილის საქმეს ეხება, ისე გაგჭყიპავთ უნიტაზის წყლით, როგორც წუნა გაჭყიპა არწივმა „ჩხიკვთა ქორწილში“!.. ეტყობა, მიცნობენ კიდევ... — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ნიკომ.

— საიდან დაასკვენით, რომ გიცნობენ? — შეეკითხა ლოლა.

— საიდან და „ჩხიკვთა ქორწილი“ მისხენეს, ზღაპარი: იციან, ალბათ, ზღაპრებს რომ ვწერ, — დაღონდა ნიკო.

— ხედავთ, რა პოპულარული ხართ?! — ირონიულად გაელიმა ანიმ.

— ამან ჟურნალისტური ძიება წამოიწყო და უნიტაზის წყლით მე უნდა გავიჭყიპო?!

— ოჰ, მოგცლიათ ერთი! ყურებზე ხახვი არ დაგაჭრან, — გაუქარწყლა ეჭვი ანიმ.

— კი, აბა, შენ ისე გამოგდის, დათვი რომ მისდევს კახელს და ხეფსური უყვირის — სად გარბი, დავკოდით არს, დავკოდით არსო!.. — ჩაიქიქრებოდა თქვა ნიკომ.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

ამაზე ყველას გაეცინა.

წმინდა მამა იოანე მანგლელი

საქართველოში არაერთი, ღვთისათნო ცხოვრებითა და უმაღლესი სულიერებით გამოჩენული წმინდა მამა მოღვაწეობდა, მათ შორის ერთ-ერთი იყო წმინდა იოანე მანგლელი, რომლის წმინდა მირონმდინარე ნეშტი თბილისის სიონის ტაძარში განისვენებს...

შორენა მერკვილაძე

წმინდა იოანე მანგლელი (სააკაძე) დაიბადა 1668 წელს. ბავშვობისას დავით-გარეჯის უდაბნოში მიიყვანეს და იქვე აღიზარდა. ამიტომაც ბავშვობიდანვე შეიტკბო და შეისწავლა ბერმონაზვნური ცხოვრება, ზრდასრულ ასაკში კი მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს და რამდენიმე წლის განმავლობაში იქვე, დავით-გარეჯის მონასტერში მოღვაწეობდა. დროს ძირითადად, ლოცვაში ატარებდა: „სენაკი მისი ანცა იხილვების ცრემლითა მისითა მორწყული“, — მოგვითხრობენ მისი მოღვაწეობის მხილველნი. წმინდა და სათნო ცხოვრებით მცხოვრები მამის მოწაფეთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა, რომელთა შორის უცხოტომელებიც იყვნენ.

ოდნავ მოგვიანებით, მამა იოანე მანგლისის კათედრაზე დაადგინეს ეპისკოპოსად. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ზედწოდება — მანგლელი. ერთხანს იქვე წინამძღვრობდა თავის სულიერ სამწყსოს, 1724 წელს კი დარუბანდში გაემგზავრა, დაღესტანში ხის ეკლესია ააგო და ღვთის სიტყვის ქადაგებით მრავალი ადამიანი აზიარა ჭეშმარიტ რჯულს. თავისი მოციქულებრივი საქმიანობითა და უფლის სახელით აღსრულებული სასწაულებით, უმაღლეს ხელისუფალთა ყურადღებას მიიპყრო — ვახტანგ VI-მ და პეტრე დიდმა უდიდესი შემწეობა გაუწიეს ღვთის სიტყვის ქადაგებულ წმინდა მამას, სწორედ მათი შემწეობის წყალობით მოახერხა იოანე მანგლელმა ღვთისმშობლის შობისა და წმინდა დიდ-მონაშე ვახტანგის სახელობის ტაძრების აგება.

1737 წელს, მამა იოანე ქრისტიანული რჯულის საქადაგებლად ასტრახანში გადავიდა, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია ააგო და მოღვაწეობას შეუდგა. ასტრახანში ყოფნისას მამა იოანემ შეიტყო, რომ ოსეთში ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებაზე არავინ ზრუნავდა, ყიზლარში მცხოვრებ მრავალრიცხოვან ქართველს მცირე ქრისტიანული ტაძარიც კი არ ჰქონდა სალოცავად, ამიტომ ასტრახანი დატოვა და ყიზლარს მიაშურა, რათა ქრისტიანული რჯულის განსამტკიცებლად ეზრუნა. იქ



მცხოვრები მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარი ქართველების დახმარებით, მართლაც მოახერხა ჯვართამაღლების მონასტრის დაარსება და მრევლიც შემოიკრიბა. იქვე, ღვთის სიტყვის ქადაგებელთა მოსამზადებლად, სკოლა გახსნა. მამა იოანე სიცოცხლის ბოლომდე ყიზლარში მოღვაწეობდა, 85 წლის ასაკში კი, მშვიდობით შეჰკვედრა სული უფალს.

მამა იოანემ წინასწარ იგრძნო, რომ მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის უამი ახლოვდებოდა, მოწაფეები იხმო, უკანასკნელად დამოძღვრა და დალოცა ისინი, თან ანდერძად დაუბარა, რომ გარდაცვალების შემდეგ, საქართველოში წაესვენებინათ და დავით-გარეჯში, ნათლისმცემლის უდაბნოში დაეკრძალათ, სადაც პირველმოღვაწეობის წლები გაატარა; სხვადასხვა მიზეზის გამო მისი უკანასკნელი სურვილის შესრულება ვერ მოხერხდა, ამიტომ იქვე, ყიზლარში, მის მიერვე დაარსებულ ჯვართამაღლების მონასტერში დაკრძალეს.

გადმოცემის თანახმად, ერთი წლის შემდეგ, წმინდა იოანე იმპერატრიცა ელისაბედს გამოეცხადა და აუწყა, რომ სურდა, სამშობლოში გადაესვენებინათ. მართლაც, 1752 წელს, მისმა ძმამ, თავადმა ნიკოლოზ სააკაძემ იოანეს წმინდა სხეულის საქართველოში გადმობრძანება მოახერხა. როდესაც სამარხი გახსნეს, ირგვლივ საოცარი კეთილსურნელება დატრიალდა და ყველამ დაინახა, რომ წმინდა მამის უხრწნელად დარჩენილი

სხეული მირონით იყო დანამული.

იოანე მანგლელის წმინდა ნეშტი თავდაპირველად გარეჯის უდაბნოში დაკრძალეს, მოგვიანებით კი, თბილისის სიონის ტაძარში გადმოასვენეს „მრავლითა ლამპრებითა და ლიტანიობითა“ და მანგლისის ღვთისმშობლის ხატის წინ დაკრძალეს. იოანე მანგლელის წმინდა ნაწილები დღემდე სიონის ტაძარში ინახება და მისი ძალითა და მადლით არაერთ ადამიანს მიენიჭება სულიერ და ფიზიკურ სნეულებათაგან კურნება.

წმინდა იოანე მანგლელის სახელს მრავალი სასწაული უკავშირდება. ერთხელ, როდესაც მამა იოანე წირვას აღასრულებდა, მწირველმა მღვდელმა, ამბორსაყოფად ჯვარი მიართვა, წმინდა მამამ ხელი ჯვრის ასაღებად წაიღოთუ არა, პატიოსანი ჯვარი წმინდა ტრაპეზთან ერთად, ერთი მტკავლით ამაღლდა ჰაერში და მამა იოანეს ხელში თვითონვე მიეგება.

როგორც აღვნიშნეთ, იოანეს წმინდა ნეშტთან მიახლებით მრავალი ადამიანი სნეულებათაგან განიკურნა.

სწორედ მისი წმინდა სხეულიდან მომდინარე ძალითა და მადლით განიკურნენ გიორგი მეფის შვილები. როდესაც სიკვდილის პირას მყოფი ბატონიშვილების განკურნება ვერასგზოთ ვერ მოხერხდა, მეფე გიორგის თხოვნით, წმინდა იოანეს ლუსკუმა გახსნეს, რათა მის სნეულ შვილებს წმინდა ნაწილებთან მიახლებისა და მათი ამბორყოფის საშუალება მისცემოდათ. ისინი მხოლოდ ამის შემდეგ განიკურნენ უძძიმესი სნეულებისგან. მადლიერების ნიშნად, მეფემ წმინდა იოანე მანგლელის სახელზე ვერცხლით მოჭდილი ხატი შესწირა ტაძარს.

მამა იოანეს წმინდა ნაწილების მეოხებით, ერთი ასეთი კურნებაც აღესრულა: ერთ-ერთი პატიოსანი მღვდელ-მონაზონი მძიმედ დასნეულდა, მისი განკურნება ვერც ერთმა ხორციელმა მკურნალმა ვერ შეძლო. ერთხელ, ლოცვითა და ცრემლთა ღვრით დაღლილ მონაზონს მიეძინა. ძილის დროს, ჩვენებაში იხილა, რომ სიონის ტაძარში იდგა, ყოველდღე წმინდა ღვთისმშობლის ხატის წინ და ლოცულობდა. მოულოდნელად, მარადის ქალწულის ხატის წინ იოანე მანგლელიც წარდგა. მას ღვთისმშობლის ხატისგან მომდინარე ნათელი მოჰქვენოდა. წმინდა მღვდელმთავარი უფლის ყოველდღე წმინდა დედას სნეული მღვდელ-მონაზვნის განკურნებას შესთხოვდა. სნეულმა მონაზონმა გაღვიძებისთანავე იგრძნო უკეთესობა, მალე კი სრულიად გამოჯანმრთელდა.

უპიუანი ქანთელის სპა კიტლასის სსონაოს სოხაოი ლა სინაოლით ნათქაჲი სიტუაი

1937 წლის ცნობილი მოვლენების დროს, დასმენა, გაუტანლობა, ჩაშვება საზოგადოების ნაწილისთვის ცხოვრების წესად იყო ქცეული. ხელისუფლებას თითქმის ყველა დანესებულებაში თითო აგენტი მანც ჰყავდა. ხალხს სიმართლის თქმის ეშინოდა, რადგან იცოდა, რომ ამისთვის ციხე და გადასახლება არ ასცდებოდა. მიუხედავად ამისა, იმ დროს იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არაფერს უფრთხოდნენ და „ჩეკისტების“ მისამართით სახალხოდ გაპყვიროდნენ შეურაცხყოფელ სიტყვებს. დღეს მწერალი და რეჟისორი მიხეილ მანთაძე ერთ-ერთ ასეთ დაუმორჩილებელ და უშიშარ ქართველზე, რეჟისორ საშა მიქელაძეზე მოგვითხრობს.

თაშუა კვინიკაჲ

— საშა მიქელაძე ბაბუაჩემის — მის- ელ მგალობლიშვილის უახლოესი მე- გობარი იყო. პროფესიით თეატრის რე- ჟისორი გახლდათ. თუ არ ვცდები, გა- ნათლება რუსეთში ჰქონდა მიღებული, ძალიან უყვარდა სტანისლავსკი და თავს მის მიმდევრად მიიჩნევდა. დისიდენტური ცხოვრების გამო, ის, ცნობილი რეჟისორი ვერ გახდა, მაგრამ უდავოდ დიდი წე- ლილი მიუძღვის საქართველოში თეატ- რის რეჟისორთა ალბრდის საქმეში. დაახლოებით 30-40 წლის მანძილზე თე- ატრალური ინსტიტუტის პედაგოგი, პროფესორი გახლდათ. იგი ტანმორჩილი, გამხდარი, ჩია კაცი იყო, გარეგნობით, შეიძლება ითქვას, რომ ცნობილ იაპონელ კინორეჟისორს — აკირა კუროსავას წაა- გავდა, რაზეც ხშირად ხუმრობდნენ. საშა ძიას სიმართლის პირში თქმა უყვარდა. დაუნდობელი იყო. ბევრი ადამიანი მის პირდაპირობას ძნელად ეგუებოდა. ასე- თი ხასიათის გამო სკანდალშიც ხშირად გახვეულა. ნებისმიერ ადამიანს, რაც არ უნდა დიდ თანამდებობაზე ყოფილიყო, თუ იცოდა, რომ ბინძური წარსული ჰქონდა, ჩამშვები და დამსმენი იყო, სადაც არ უნდა შეხვედროდა, საჯაროდ ეტყე- ოდა, შენ ის არ ხარო?... და ჩადენილ

ცოდვებს გაუხსენებდა. საოცრება ის გახლდათ, რომ ასეთი კაცი 1937 წლის რეპრესიებს გადაურჩა. გამორჩათ თუ რა იყო, არ ვიცი, ეს თვითონაც უკვირ- და, მაგრამ ფაქტია, რომ არ დააპატიმრეს. ბებიამეც ხშირად უთქვამს: როდესაც მისი მეუღლე (მიხეილ მგალობლიშვილი) დააპატიმრეს და დასახვრეტთა გზას გაუყენეს, ჩვენს ოჯახთან, ბევრ ახლო- ბელს ურთიერთობა გაუწყვეტია, საშა იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც არასოდეს ჩვენთან მოსვლას არ მორიდე- ბია. უშიშარი ადამიანი იყო, ამის დასა- დანსტურებლად, ბებიის კიდევ ერთ მოგ- დანებას გავიხსენებ: „ლენინის მოედანზე გახლდით, როცა პუშკინის სკვერთან საშა დავინახე. დიდი ხნის უნახავი მყავდა და ტროტუარის მეორე მხრიდან დავუძახე — საშა, როგორა ხარ? ის ჩემკენ მო- ბრუნდა, ხელი დამიქნია და ხმაშაღლა მიპასუხა — როგორ ვიქნები ამ „ჩეკი- სტების“ ხელშიო?!“ ბებიას შემინებია: არ მინდოდა, ვინმეს გაეგო, რომ ეს სიტყვები ჩემი მისამართით თქვა, იქაუ- რობას სწრაფი ნაბიჯებით გავმორდი, უკან მოხედვის მეშინოდა; აზრზე რომ მოვედი, კოლმეურნეობის მოედანზე ვიყავიო.

— იქნებ იყო ვინმე, ვინც მას მფარველობდა?

— არა მგონია. საშა ძია ანტიკომუ- ნისტი იყო. საქართველოს „გასაბჭოე- ბამდე“, ახალგაზრდობაში, ეროვნულ- დემოკრატიული თუ სოციალისტ-ფედ- ერალისტური პარტიის წევრიც კი ყოფი- ლა. ალბათ ასეთი ბედისწერა ჰქონდა. მან კარგად იცოდა ის ინტრიგები, რომ- ლებიც მაშინდელ თეატრალურ სამყაროში იყო. ბაბუისგან გადმოცემით ვიცი: „დუ- რუჯში“ მომხდარი განხეთქილების დროს, კოტე მარჯანიშვილი ქუთაისში წავიდა, მას თან გაჰყვინენ მსახიობები: ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, სერ- გო ზაქარიაძე, უშანგი ჩხეიძე და შექმნეს ქუთაისის თეატრი, რომელიც ამ დასის თბილისში დაბრუნების შემდეგ, მარჯანი- შვილის თეატრად იქცა. ბაბუა იმ დროს ქუთაისის კულტურის განყოფილის გამგედ მუშაობდა. მასთან ჩასულა „ენ- კავედეს“ თანამშრომელი და ბაბუისთვის საიდუმლო დადგენილება გაუცნია, რომ- ლის ძალითაც თითოეულ დანესებულე- ბაში „ენკავედეს“ უნდა ჰყოლოდა ფარუ- ლი თანამშრომელი, აგენტი. ბაბუას იქ მყოფ მსახიობთაგან უნდა დაესახელები- ნა, თუ რომელი შეძლებდა აგენტობას. წლების შემდეგ ის მიყვებოდა — ეს რომ მარჯანიშვილს გაეგო, შეიძლება, საქართველოდან გაქცეულიყო, ამიტომ მისგან მალულად, თეატრის მთელი დასი შევიკრიბეთ და აგენტობის კანდიდატი ჩვენ თვითონ ავირჩიეთო — ანუ მათ იცოდნენ, ვინ იყო აგენტი, ამით მას ფარუ- ლობა „გაუფუჭეს“. ეს ძალზე სარისკო ნაბიჯი იყო. 1931-32 წლებში ასეთი საქციელისთვის ჯერ არ ხვრეტდნენ, მა- გრამ რომ გაეგოთ, აუცილებლად დაი- ჭვრდნენ.

— აგენტად ვინ აირჩიეს?

— მე უფლება არა მაქვს, მისი ვინაო- ბა დავასახელო. ძალიან ცუდი სენსაცია იქნება. ამის გამხელა შვილებთანაც კი არ მინდა... აქვე გეტყვი, რომ იმის საქციელი, ვინც აგენტობა საკუთარ თავზე აიღო, გმირობის ტოლფასია. საშა მიქელაძემ ამის შესახებ ყველაფერი იცო- და. ამიტომ ჰქონდა ძალზე მკვეთრი დამოკიდებულება ზოგიერთი მოღვაწის მიმართ... 1970-იან წლებში თეატრალურ ინსტიტუტში ერთ-ერთ ყველასათვის ცნობილ თეატრალურ მოღვაწეს, რომელ- მაც დიპლომის დაცვისას სტუდენტს ჩამჭრელი კითხვა დაუსვა, საშა ძია გაუბრაზდა და იმ პიროვნებას საჯარ- ოდ, სტუდენტების თანდასწრებით უთხრა — შენ კიდევ არ მოიშალე დას- მენები და ხალხის გაფუჭებაო?! იმან ეს „ხუმრობაში გაატარა“ და უთხრა: — საშა, შენ კიდევ ვერ მოეშვი ინტრიგან- ულ ლაპარაკსო?!

— საშა მიქელაძე გადაურჩა 1937 წლის რეპრესიებს, მაგრამ 1947 წელს დააპატიმრეს. რისთვის?



საშა მიქელაძე (დგას მარჯანიდან მეორე) მიხეილ მგალობლიშვილის (მარჯანი) ოჯახთან ერთად

— იმ დროს გაზეთში დაიბეჭდა სტატია, რომ ცნობილმა მწერალმა ნაზიმ ჰიქმეტმა, თურქეთის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, შიმშილობა გამოაცხადა. საბჭოთა მთავრობისთვის მწერლის ეს საქციელი მისაღები აღმოჩნდა. სტუდენტებს საშა მიქელაძისთვის ლექციაზე უკითხავთ — ადამიანი მშვიდობა რამდენ დღეს ძლებსო? საშას უპასუხია — ჩვენ 30 წელია, ვძლებთ და ის მწერალი რას იზამს, არ ვიცით. იმ ღამესვე საშა დააპატიმრეს. მან კარგად იცოდა, რომელმაც სტუდენტმა ჩაუშვა. ამ ამბიდან დაახლოებით 30 წლის შემდეგ, საშა ერთ-ერთ დანესებულებაში დამსმენ სტუდენტს შეხვდა და ძველი ცოდვები გაუსხენა. არ მორიდებია იმას, რომ ის უკვე „დიდი კაცი“ იყო.

— როგორ იხსენებდა პატიმრობაში გატარებულ წლებს?

— ის პატიმრობაშიც რეჟისორად დარჩა: „გულაგში“ შექმნა დრამა და სპექტაკლებს დგამდა. ერთხელ პატიმრებს საჩივარი დაუწერიათ, სადაც ეწერა, რომ ცუდად ექცეოდნენ, კარგი კვება არ ჰქონდათ და ა.შ. მათთან მისულ კომისიის წევრს უთქვამს: აქ რომ წერთ თქვენს პრეტენზიებს, რატომ გავინყდებათ, რომ ომი ახალდამთავრებულთა და კარაქი და თეთრი პური თქვენ კი არა, გარეთ მყოფ ხალხსაც არა აქვსო? — მეც ეგ ვთქვი და ამიტომაც დამიჭირესო, — უთქვამს საშა მიქელაძეს... როგორც პედაგოგი, ძალიან მკაცრი და უკომპრომისო იყო, ვინც მოეწონებოდა და ნიჭიერებას შეამჩნევდა, აუცილებლად შეაქებდა, თუ არა და იტყვოდა — უჰ! რამხელა ყვეყნიაო!.. ამ „ტიტულს“ დაუნანებლად ურიგებდა სტუდენტებს. ერთხელ თეატრალური ინსტიტუტის წინ შევხვდი, მოვიკითხე, სექტემბრის პირველი რიცხვები იყო და პირველკურსელებზე ვკითხე — ინსტიტუტში როგორი ნაკადი მოვიდა-მეთქი? — კანალიზაციის ნაკადიაო, — მიპასუხა. ერთ საღამოს ბაბუასთან სტუმრად მოვიდა. მანქანა ახალი ნაყიდი მქონდა და შევევაზე — საშა-ძია, შინ მანქანით წაგიყვანთ-მეთქი. — მე ამ მთავრობამ „ჩორნი ვორონს“ მიმართა და ნუ შეწუხდებიო... მოგეხსენებათ, კომუნისტებმა მეტების ტაძარი გააუქმეს. მოგვიანებით იქ დაარსდა მეტების თეატრი. პირველსავე პრემიერაზე საშა მიიწვიეს. სპექტაკლის შემდეგ, როდესაც აზრი ჰკითხეს, მიუგო — უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესივნენო...

— ოჯახი არ ჰყავდა?

— მეუღლე და ერთი შვილი ჰყავდა. საშა ძია 1980-იან წლებში, დაახლოებით 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. ერთხელ ბაბუის და საშას ლაპარაკს ყური მოვკარი. ერთმანეთს სინანულით ეუბნებოდნენ: ისე უნდა მოკვდეთ, კომუნისტების გადაშენებას ვერ მოვესწროთ?! გრძნობდნენ, რომ ამ ოცნების აუსრულებლად უწევდათ ამ ქვეყნიდან წასვლა. მათ სიტყვებში დიდი სინანული იგრძნობოდა.

როგორ შეაფასოთ ახალშობილის ჯანმრთელობა

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

პანას დაბადებისთანავე დედიკოს უამრავი ახალი ტერმინი ჩაესმის ყურში: აპგარის სკალა, კუნთოვანი ტონუსი, რეფლექსები... მოდიოთ, გავარკვეოთ, რას გულისხმობს თითოეული მათგანი.



დაიბადება თუ არა, ბავშვი, ექიმების გარემოცვაში ხვდება. ისინი ყურადღებით აკვირდებიან ახალშობილს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას აფასებენ. ეს საგანგებოდ შემუშავებული ტესტების დახმარებით ხორციელდება, რომლებიც სწრაფ და ზუსტ შედეგებს იძლევა. ეს ტესტები განსაზღვრავს მიკროპედიატრის მოქმედების ტაქტიკას პატარა პაციენტის მიმართ. თუ ყველაფერი რიგზეა, მედიცინა მხოლოდ აუცილებელი მანიპულაციებით შემოიფარგლება, ხოლო თუ რამე წესრიგში არ არის, საჭირო ხდება აქტიური სამედიცინო ჩარევა, რომელიც პრობლემის მიზეზს გაარკვევს და აღმოფხვრის. მაგრამ მანამდე ტესტების ჩატარება საჭირო. სწორედ ისინი აწვდის ექიმს ძირითად ინფორმაციას ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

პირველი ტესტი, რომელსაც პატარას უტარებენ, არის შეფასება აპგარის სკალის მიხედვით. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციები 5 მაჩვენებლის: გულისცემის, სუნთქვის, კანის შეფერილობის, რეფლექსებისა და კუნთების ტონუსის მიხედვით ფასდება. თითოეული პარამეტრის უმაღლესი შეფასება 2 ბალია. შესაბამისად, პანია დაბადებისას მაქსიმუმ 10 ბალით შეიძლება შეფასდეს. თუმცა ასეთი რამ არც ისე ხშირია. აბსოლუტურად ჯანმრთელი ახალშობილებიც კი იშვიათად აგროვებენ 8-9 ბალზე მეტს. ეს იმით აიხსნება, რომ ფრთხილი და გამოცდილი მიკროპედიატრები შეფასებისას არც ისე გულუხვები არიან. ისინი ნორმიდან უმნიშვნელო გადახრებსაც კი აფიქსირებენ. მაგალითად, ამჩნევენ, რომ პატარა საკმაოდ ხმაილალა არ ტირის და არც ისე აქტიურად ამოძრავებს ხელებს. ამგვარად, აპგარის სკალა გარკვეულწილად სუბიექტურ ნიშნებს ეყრდნობა. თუმცა ასახეობს ობიექტურებს — სუნთქვა და პულსი.

გულ-სისხლქარვთა სისტემის რეაქციის შეფასება

ახალშობილის გულისცემის სიხშირე გაცილებით მეტია, ვიდრე მოზრდილი

ადამიანისა. მოზრდილის პულსი წუთში საშუალოდ 70-90-ს არ აღემატება, ახალშობილებში კი ეს მაჩვენებელი 120-130-ს უდრის. თუ ის ამაზე ნაკლებია, ესე იგი, სადღაც პრობლემაა. სავარაუდოდ, პატარა ჰიპოქსიას — ჟანგბადის უკმარისობას განიცდის. აპგარის სკალაში ამ ფაქტს ყოველთვის ითვალისწინებენ.

თუ პულსი ნორმალურია, პატარას 2 ბალი ეწერება, ხოლო თუ გულისცემა წუთში 100-ზე ნაკლებია — 1. გულისცემის არარსებობა 0-ით ფასდება.

სუნთქვა

ახალშობილის სუნთქვის სიხშირე ძალიან მაღალია — 40-55 წუთში. ეს ნორმალურია და 2 ბალით ფასდება. თუ სუნთქვა უფრო იშვიათია, ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა კი არარეგულარული — 1 ბალით, სუნთქვის არარსებობა — 0-ით.

კუნთების ტონუსი

ნორმალურ ახალშობილს მომხრელი კუნთების ტონუსი გაცილებით მაღალი აქვს, ვიდრე გამშლელებისა. სწორედ ამით აიხსნება მისი დამახასიათებელი პოზა — მკერდზე მიკრული ხელები, მუშტად შეკრული თითები და მუხლებში მოხრილი, მუცელთან მიტანილი ფეხები. ჯანმრთელი ბავშვი საკმაოდ აქტიურად ამოძრავებს მოხრილ კიდურებს. ასეთ „აქტივისტს“ ექიმი 2 ბალს უწერს.

წელი და დუნე მოძრაობები და კუნთების მოხრის დროის გახანგრძლივება 1 ბალით ფასდება, კუნთთა აქტივობის უქონლობა კი — 0-ით.

კანის რეაქცია

ახალშობილის კანის ფერი ბაციდან მკვეთრ ვარდისფრამდე მერყეობს. ეს — 2 ბალია. ნაწილობრივი ციანოზი (კანის სიფერმკრთალე, მოლურჯო შეფე-

რილობა), მაგალითად, ტუჩების ან კიდურების არემი, 1 ბალით ფასდება, ხოლო სრული სიფერმკრთალე ან მკვეთრი ციანოზურობა — 0-ით.

რეჟიმის რეგულირება

ახალშობილს უნდა აღენიშნებოდეს ენ. უპირობო რეფლექსებიც. პირველი მათგანი — ხმაილაკი ტირილია, გარდა ამისა, ახალშობილს პანიას წოვის რეფლექსიც უნდა ჰქონდეს განვითარებული. თუკი ყველა ეს რეფლექსი გამოხატულია, ბავშვი ხმაილაკი და ხანგრძლივად ტირის, ხოლო ძუძუსთან მიყვანისას ჩუმდება, ე.ი. ყველაფერი რიგზეა — პატარამ 2 ბალი დაიმსახურა. სუსტი, წყვეტილი ტირილის დროს, რომელიც უფრო წრიბინს ნააგავს, 1 ბალი იწერება, ხოლო თუ ბავშვი ჩუმადაა — 0.

სისხლის პირველი ნთხა

ყველა ჩამოთვლილი პარამეტრი პან-ის სიცოცხლის პირველსავე წუთს ფას-

დება. თუკი ქულათა ჯამი 7-ს აღემატება, ასაღლეველი არაფერია — ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია. თუკი შეფასება 4-დან 6 ბალამდეა, ე.ი. ბავშვი ძლიერ ჰიპოქსიას განიცდის. ასეთი მდგომარეობა მნიშვნელოვან მკურნალობას და მუდმივ მეთვალყურეობას მოითხოვს. თუკი ექიმი პატარას 3-ზე ნაკლები ქულით აფასებს, აუცილებელი ხდება სასწრაფო რეანიმაციული ღონისძიებები.

აპგარის სკალის მიხედვით, მეორე შეფასება დაბადებიდან 5 წუთის შემდეგ ტარდება. ეს ღონისძიება ბავშვის მდგომარეობის დინამიკის განსაზღვრაში გვეხმარება. ბალების საერთო რაოდენობის მომატება ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების ნორმალიზაციაზე მიუთითებს — ე.ი. პულსი სტაბილიზდება, ახალშობილი უკეთ სუნთქავს, კანი ვარდისფერდება. ეს იმის ნიშანია, რომ ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა, რა თქმა უნდა, აქტიური მეთვალყურეობა გრძელდება.

სახიფათოა სიტუაცია, როცა მე-5 წუთზე ჩატარებული ტესტის მიხედვით, საერთო შეფასება იკლებს — ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბავშვის მდგომარეობა პროგრესულად უარესდება. ასეთ დროს ექიმებს აუცილებელი დახმარების განევა უხდებათ. მოგვიანებით, როცა საფრთხე გაივლის, ამ გაუარესების გამომწვევ მიზეზებს არკვევენ. შეიძლება ეს მძიმე და გახანგრძლივებული მშობიარობის შედეგი იყოს. თუმცა ზოგჯერ პატარას სიცოცხლის პირველ წუთებში ადაპტაციის პრობლემები ექმნება — მან ხომ მყისიერად უნდა ისწავლოს დედის ორგანიზმის გარეშე არსებობა. ჩვილის ორგანიზმისთვის კი ეს შოკის ტოლფასია. ბევრი ბავშვის ორგანიზმი ვერ ახერხებს ახალ ტალღაზე გადასვლას და ასეთ შემთხვევაში, მე-5 წუთზე ჩატარებული ტესტის დროს, აპგარის სკალის საერთო შეფასება ეცემა. თუმცა ექიმების დახმარებით პატარა მალევე შეეგუება გარემოს და დაკარგულ ბალებსაც აღიდგენს.



სტენოკარდია – გულის ანგინა



სტენოკარდიის კლასიკური სიმპტომია — შეტევითი, მოჭერიტი ტკივილი, წვის ან სიმძიმის შეგრძნება მკერდის ძვლის უკან ან მის მარცხნივ (ტყუილად კი არ უნოდებდნენ მას გულის ანგინას ან მარწუხებში მოქცეულ გულს!).

ტკივილი გადაეცემა მარცხენა მხრის, ხელის ან ბეჭის მიდამოში, ზოგჯერ — კისერში, კბილში, ყურში, კუჭის მიდამოში, ძალზე იშვიათად — გულმკერდის მარჯვნივ. ტკივილი 1-დან 5 წუთამდე გრძელდება და ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგ გაივლის.

თუ შეტევამ 30 წუთზე მეტხანს გასტანა, შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ ეს მიოკარდიუმის მწვავე ინფარქტია.

ყველაზე საშიშია ე.წ. ჩუმი სტენოკარდია, რომელიც ფარულად, უეცრად განვითარებული სისუსტითა და ქოშინით მიმდინარეობს. ასეთი რამ ხშირად ემართებათ დიაბეტიანებსა და მოხუცებს.

სტენოკარდიით დაავადებულმა აუცილებლად უნდა იცოდეს ქვევის წესები. შეტევის შემთხვევაში:

- ✓ შეწყვიტეთ ყოველგვარი ფიზიკური დატვირთვა, დაჯექით ან წამოწექით.
- ✓ ენის ქვეშ ნიტროგლიცერინი დაიდეთ (ყურადღებით იყავით: მოხუცებში დიდია კოლასის განვითარების საფრთხე, რადგან ნიტროგლიცერინი მკვეთრად აქვეითებს წნევას).

- ✓ თუ სამი წუთის შემდეგ ტკივილმა არ გაიარა, კვლავ მიიღეთ ნიტროგლიცერინი.
- ✓ მდულარე წყალში რამდენჯერმე სწრაფი მოძრაობით ჩაყავით და ამოიღეთ ორივე მტევანი. ამ დროს სისხლი მთელი ორგანიზმიდან გულმკერდის არისკენ მიედინება და შეიძლება ტკივილი მოიხსნას.
- ✓ კარგი იქნება, თუ გულის მხარეს თბილ საფენებს დაიდებთ.
- ✓ თუ ტკივილმა არ გაიარა, გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“.

როგორ ავიცილოთ თავიდან ალცჰაიმერის დაავადება



შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასაკოვან პირებში ფიზიკურ ვარჯიშსა და ალცჰაიმერის დაავადებას შორის პირდაპირი კავშირია. მათი მონაცემებით, ჭკუასუსტობით დაავადებულ ხანდაზმულთა უმეტესობას 40-50 წლის განმავლობაში რეგულარულად არასდროს უვარჯიშია. ეს მაშინ, როცა ამ ასაკში ზომიერი ფიზიკური ვარჯიშიც კი დაახლოებით დაავადების ალბათობას ორჯერ ამცირებს.

მათ, ვინც გენეტიკურად არის განწყობილი ალცჰაიმერის დაავადების მიმართ, რეგულარული ვარჯიშის შემთხვევაში აქვს შანსი, მისი გამოვლენის ალბათობა 60%-ით შეუმცირდეთ.



პომადა – ელეგანტურობის სიმბოლო

საერთოდ, რამდენიმე სახეობის პომადა არსებობს (დამატენიანებელი, მკვებავი, მედეგი — 8-12-საათიანი, სუპერმედეგი — 24-საათიანი, ჰიგიენური, პრიალა საცხი და ა.შ.) და მათი გამოყენება ტუჩების მდგომარეობაზე დამოკიდებულია. ასე მაგალითად, დამატენიანებელი პომადა ტუჩს არა მხოლოდ ღებავს, არამედ არბილებს კიდეც. მის შემადგენლობაში შედის მცენარეული საღებავი, პიგმენტები და ექსტრაქტები. დამატენიანებელი პომადის გამოყენება რეკომენდებულია გაზაფხულსა და ზაფხულში. მკვებავი პომადა ელეგანტურობის სიმბოლოდ მიიჩნევა და თვალების გამომეტყველებასა და სახის სინორჩეს წარმოაჩენს. მისი შემადგენლობა გამდიდრებულია ცხიმებითა და ცვილით, რომლებიც ტუჩებს ზამთრის პერიოდში კარგად იცავს. მედეგი პომადა ადვილად ესმება ტუჩებს, მაგრამ რეკომენდებული არ არის მშრალი ტუჩებისთვის. ჰიგიენური პომადა ტუჩებს დასკვდომისა და სიმშრალისგან იცავს. მისი გამოყენება უმჯობესია შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (შეიძლება, ზაფხულშიც). ყველა ჰიგიენური პომადა ვიტამინებს, მკვებავ ნივთიერებებს, დამატენიანებლებსა და ანტისეპტიკურ ნაერთებს შეიცავს. ზოგიერთის შემადგენლობაში კი შედის ულტრაიისფერი ფილტრი, რაც ტუჩების ნაზ კანს მზის სხივების მავნე ზემოქმედებისგან იცავს.

პომადა კარგა თუ:

- არ ჭიმავს ტუჩებს და არ იწვევს დისკომფორტის გრძობას;
- ადვილად და თანაბრად ესმება;
- სასიამოვნო სუნი აქვს;
- ყურადღება მიაქცევს პომადის გარეგნულ მხარეს — ზედაპირი გლუვი უნდა იყოს და მასზე ნვეთები არ უნდა შეინიშნებოდეს;
- პომადის ღერო მაგარი უნდა იყოს;
- მზის ზემოქმედების ქვეშ კარგი პომადა არ დნება, ის ყინულივით მაგარია;
- უნდა იყოს კარგად პიგმენტირებული, ე.ი. გაუმჭვირვალე;
- უნდა შეინარჩუნოს ფორმა, არ უნდა იყოს ძლიერ ცხიმოვანი და არც ძალიან მშრალი.

რაც შეეხება პომადის შერჩევას ფაქტურის მიხედვით, — ბზინვარე, სადაფისებრი, ლაქისებრი — ეს დამოკიდებულია მაკიაჟის სტილზე, მოდასა და ტუჩების ფორმაზე. თუ გსურთ, თქვენი ტუჩები ხორცსავსე და ვნებიანი გამოჩნდეს, წითელი ან ვარდისფერი პომადის ზემოდან პრიალა ტუჩსაცხი წაისვით. რაც უფრო ღია ფერისაა პომადა და რაც მეტად პრიალებს, ტუჩები მით უფრო დიდი და ხორცსავსე ჩანს. მუქი პომადა ტუჩების მოცულობას ამცირებს.

როგორ შევინახოთ პომადა?

ძველ საბერძნეთში პომადებს ორნამენტებიან, პატარა ოქროს ყუთებში ინახავდნენ და მას სპეციალური ჩხირის მეშვეო-



ბით ან პირდაპირ თითით ისვამდნენ. პირველი პომადა, რომელიც ლითონის შესაფუთში იყო მოთავსებული, 1915 წელს აშშ-ში გამოჩნდა. იქიდან მოყოლებული, ასეთი პომადის ბუმი დღემდე გრძელდება. რატომ? პასუხი მარტივია: პომადა გამოსაყენებლად ასე უფრო მოსახერხებელია.

ფანქარი-პომადა ძალიან ადვილი მოსახმარია. რამდენიმე მოძრაობა საკმარისია ტუჩების შემოსახაზ-შესაღებად. მისი კომბინირება ჩვეულებრივ პომადასთან და უბრალო კონტურის ფანქართანაც კი შეიძლება. გარდა ამისა, ის ხელში დასაჭერადაც მოსახერხებელია და ჩანთაშიც ადვილად იპოვით.

პომადის საშუალებით შესაძლებელია, ტუჩების ფორმის კორექტირება, მაგრამ ძირითად კორექტორად მაინც კონტურის ფანქარი მიიჩნევა. ის უნდა იყოს საკმაოდ რბილი, არც ძალიან ცხიმოვანი (ხაზი რომ არ გაიდღაბნოს) და არც ძალიან მშრალი (კონტური რომ არ დასკვდეს). ამასთან, ის პომადის ფერის შესაბამისი უნდა იყოს. თანამედროვე მოდა გვიკარნახებს, რომ უმჯობესია, თუ ფანქრის ხაზი საერთოდ არ გამოჩნდება.

როგორ წავისვათ კონტურის ფანქარი?

- კონტურის ფანქრით ტუჩებს ხაზი შემოავლეთ (დაიწყეთ ზედა ტუჩის ცენტრიდან კუთხეებისკენ).
- ქვედა ტუჩზე ხაზი მარცხენა კუთხიდან მარჯვენა კუთხემდე გაატარეთ. ხაზი თანაბარი და ზუსტი რომ იყოს, მას მოკლე შტრიხები შემოავლეთ.
- ზედა და ქვედა ტუჩების ხაზები კუთხეებში უნდა შეერთდეს. თუ ხაზი არ გამოდის, შეგიძლიათ, მისი მოხატვა ერთმანეთზე

მჭიდროდ გადაბმული წერტილებით გააგრძელოთ.

• ტუჩები დიდი რომ გამოჩნდეს, კონტური ტუჩის ბუნებრივი ხაზის ზემოთ გაატარეთ.

რამი გვეჩვენება პომადის ფუნჯი?

როცა ფუნჯით მუშაობთ, ყველაზე პატარა ნაოჭიც კი იღებება, ხოლო როცა ჩვეულებრივ პომადას ისვამთ, პირს ჭიმავთ და ამ დროს, ტუჩების კონტურის დეფორმაცია ხდება. გარდა ამისა, ფუნჯით სხვადასხვა ფერის შერევაც შეიძლება (როგორც ამას პროფესიონალები აკეთებენ). ერთი ფერის მაკიაჟი სახეს უფორმოს ხდის. სახეს რელიეფურობა რომ მიეცეს, საჭიროა შუქრდილების თამაში. გაიკეთეთ მუქი ფუქე, ტუჩებზე კი ღია ფერის პომადა ან პრიალა ტუჩსაცხი წაისვით.

როგორ წავისვათ პომადა?

რა თქმა უნდა, ტუჩების შეღებვა ნები-სმიერ ქალს შეუძლია, თუმცა სინამდვილეში, ყველაფერი არცთუ ისე იოლია. თქვენმა ტუჩებმა ყურადღება რომ მიიქციოს, აუცილებელია მაკიაჟის განსაკუთრებული ნესების დაცვა. პირველ ყოვლისა, ტუჩი სპეციალური ტონით გაიწმინდეთ და მასზე თხელ ფენად კრემი ან ჰიგიენური პომადა წაისვით... პომადამ ტუჩებზე დიდხანს რომ გაძლოს და თავისი პირველადი სახე შეინარჩუნოს, ის სამ ეტაპად წაისვით: 1. კონტურის ფანქარით ტუჩების მთელ ზედაპირზე წაისვით. არ დაგავიწყდეთ, ფანქრის ფერი პომადისას უნდა ემთხვეოდეს ან მასზე ერთი ტონით მუქი უნდა იყოს. თუ კონტური მკვეთრად გამოყოფილია, ფუნჯით თანაბრად გადაანაწილეთ. შემდეგ კი, წაისვით (უმჯობესია, ფუნჯით) პომადის პირველი ფენა. 2. პომადის ზედმეტი ფენა ტუჩებიდან ხელსაწმენდით მოიშორეთ და პირი მსუბუქად მოიპუდრეთ. 3. განსაკუთრებით საზგასამით რომ წარმოაჩინოთ ტუჩების ფორმა, მასზე პომადის კიდეც ერთი ფენა წაისვით. უფრო ღია ფერის პომადით კი, ქვედა ტუჩის შუა ნაწილი გამოკვეთეთ.

როცა ტუჩები შეღებილი გაქვთ და ის გარშემო მყოფების ყურადღებას იპყრობს, თქვენ ენერჯის მოზღვავეებას გრძნობთ, რაც, ალბათ დამეთანხმებით, რომ პიკანტურობასა და შარმს გმატებთ. ■

„ბერლინური“ სალათა



მასალად საჭიროა: 400 გ ახალი კომბოსტო, 300 გ შებოლილი ძეხვი, 2 კიტრი, 200 გ მაიონეზი, 30 გ მინის თხილი.
მოზადავის წესი: კომბოსტო ნვერილად გაგხეხოთ და დავაყაროთ კუბურებად დაჭრილი შებოლილი ძეხვი, კიტრი. შემდეგ მოვასხათ მაიონეზი და კარგად ავუვროთ. სალათა სუფრასთან მიტანამდე მინის თხილით მოვრთოთ. ■

როგორ გამოვიხსნით მამაკაცის ბუნება ნაოჭების მიხედვით



სამი მრუდე ვერტიკალური ხაზი, ფსიქიკური გადახრის ნიშანია

სახის ნაკვთების მიხედვით ადამიანის შეცნობის ხელოვნება, რომელსაც ფიზიოგნომიკა უწოდებს, ძველ ჩინეთში ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე V საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ მთელ მსოფლიოში მხოლოდ შუა საუკუნეებში გავრცელდა. ამბობენ, მამაკაცის სახეზე ღარები დროის მიერ დასმული კვალიაო, მაგრამ მთლად ასეც არ არის. ხაზები მამაკაცის ხასიათზე, მიდრეკილებებსა და ჩვევებზე საკმაოდ ზუსტ, ობიექტურ ინფორმაციას შეიცავს.

თუ გსურთ, თქვენი რჩეული მამაკაცი უკეთ შეიცნოთ, მის სახეზე ნაოჭები და ფოსოები ყურადღებით უნდა შეისწავლოთ.

ზედა ტუჩსა და ცხვირს შორის ნახევარი სმ სიგანის ფოსო, მამაკაცის სუსტ პოტენციაზე მეტყველებს (თუმცა, ჩვენს დროში ამ უბედურების გამოსწორება შეიძლება), 1 სმ-მდე სიგანის — საშუალო სექსუალური აქტივობის ნიშანია, ხოლო 1 სმ-ზე მეტი სიგანის — მნიშვნელოვან მამაკაცურ ძალაზე მეტყველებს... ფოსო ნიკაპზე ვენებიანობის ნიშანია... ზედა ტუჩსა და ცხვირს შორის მოკლე ნაოჭი, მამაკაცის ემოციურობაზე მეტყველებს. ის სერიოზული და საიმედო ადამიანია. ამ ხაზის არქონა მიგვანიშნებს, რომ ადამიანი ნერვიულია, მაგრამ როგორც საყვარელი, საკმაოდ საინტერესოა.

ჰორიზონტალური ნაოჭები:

შუბლზე ერთი ჰორიზონტალური ნაოჭი მეტყველებს იმაზე, რომ მის პატრონს ყველაფერში, მათ შორის, სიყვარულშიც ბედი სწყალობს. 2-3 ჰორიზონტალური ნაოჭი მონიშნავს, რომ თქვენ წინაშე მშვიდი, განონასწორებული, საკუთარ თავში დარწმუნებული და ენერგიული ადამიანია. ასეთი მამაკაცის ნონასწორობიდან გამოყვანა ძნელია. ის საიმედოა როგორც სასიყვარულო ურთიერთობებში, ასევე ქორწინებაშიც.

ადამიანი შუბლზე წყვეტილი და ტალღისებური ნაოჭებით, ზედაპირული პიროვნებაა. მის ცხოვრებაში ყველაზე მეტად, საკუთარი პერსონა აინტერესებს. თუ მამაკაცს შუბლზე ბევრი მოკლე და არასწორი მოხაზულობის ნაოჭი აქვს, ეს სუსტი ჯანმრთელობის ნიშანია. შუბლის ზედა ნაწილში წყვეტილი ან ტალღოვანი ნაოჭები ისეთი ადამიანის ბუნებაზე მეტყველებს, რომლის წონასწორობიდან გამოყვანა ძალიან ადვილია.

ვერტიკალური ნაოჭები:

ერთადერთი ვერტიკალური კუშტი ხაზი ნარბებს შორის, ხშირ შემთხვევაში გვაფრთხილებს, რომ ამ ადამიანს

სუსტი ჯანმრთელობა აქვს, სხვების გავლენის ქვეშ ადვილად ექცევა, თუმცა, ინტელექტუალური ადამიანია. მასთან ხანგრძლივი ურთიერთობა პრობლემებს შეგიქმნით. ერთადერთი ვერტიკალური ხაზი, რომელიც ერთ-ერთ ნარბს უერთდება, ხშირად არა მხოლოდ ადამიანის ცუდ ჯანმრთელობაზე, არამედ მის სუსტ პოტენციაზეც მეტყველებს. ასეთ მამაკაცებს ხშირად თავის ტკივილი ტანჯავთ, მუდამ გაღიზიანებულები და ოჯახშიც აუტანლები არიან. მაგრამ მზრუნველ და მასზე ნამდვილად შეყვარებულ ქალს, შეუძლია, იგი არა მხოლოდ „მოაშინაუროს“, არამედ სულიერად და ფიზიკურად მოალონელოს.

ნარბებს შორის 2 მკაფიო ხაზი, ორგანიზატორულ ტალანტსა და კარიერისკენ დაუოკებელ სწრაფვაზე მიგვანიშნებს. სამწუხაროდ, ამის გამო, ხშირად, გვერდით მყოფ ცხოვრების თანამგზავრ ქალსაც კი ვერ ამჩნევს.

ცხვირის ფუძეზე 2 ან მეტი ნაოჭი დამახასიათებელია ადამიანისთვის, ვისაც ღრმა და ხანგრძლივი ფიქრი სჩვევია.

თუ ნარბებს შორის 2 კი არა, 3 ვერტიკალური სწორი ხაზია, მაშინ ასეთ მამაკაცს უნარი შესწევს, მაღალ თანამდებობას ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიაღწიოს. ის მგზნებარე და ვნებიანია, თუმცა სიმტკიცით არ გამოირჩევა.

ნარბებს შორის 3 მრუდე ვერტიკალური ხაზი ფსიქიკური გადახრის ნიშანია. ასეთი ადამიანებისგან არაადეკვატურ მოქმედებებსა და რეაქციებს უნდა ველოდოთ.

ნაოჭები თვალების ირგვლივ:

თვალის გარე კუთხიდან გამომავალი და ზევით მიმართული ხაზები პატრონის ეშმაკობას გვამცნობს. პატივცემულ ქალბატონებო! შესაძლოა, თქვენ წინაშე ავხორცი, მატყუარა ადამიანი იდგეს.

თუ ნაოჭები თვალის გარე კუთხიდან სხივებად ეშვება და ქვევითაა მიმართული, თქვენ წინაშე კეთილი, იუმორით აღსავსე ადამიანი, რომელსაც ზოგჯერ, საზოგადოებაში თავის უკეთ წარმორჩენა სჩვევია.

პატარა, ლამაზი ხაზები, თითქოს დამატებით რომ შემოხაზავენ თვალს, ხშირად უბედურ ადამიანს აქვს. თუმცა, შეყვარებულ ქალს შეუძლია, ასეთი მამაკაცი გააბედნიეროს.

ენ. ბატის თათები მარცხენა თვალთან ქორწინების, ხოლო მარჯვენა თვალთან — ქორწინებამდე კავშირების რაოდენობას განსაზღვრავს. სპეციალისტები ამტკიცებენ: ბედნიერი ქორწინებისთვის უმჯობესია, თუ მამაკაცს ნაოჭები თვალებთან საერთოდ არ ექნებაო.

გლუვი, გადატყვევებული, უნაოჭო შუბლი ყველაფრისადმი გულგრილობის (მათ შორის, ქალებისადმიც) ნიშანია.

ჩვი ყავა კონიაკითა და ლიქიორით

მასალად საჭიროა: ყინულის ნატეხები, 1 ს/კ კონიაკი, 50 გ ლიქიორი, შავი ყავა.

მომზადების წესი: ჭიქაში მოვათავსოთ ყინულის რამდენიმე ნატეხი, დავამატოთ კარგი ხარისხის კონიაკი და ლიქიორი (მნიშვნელობა არა აქვს, თუ რისგან იქნება ის დამზადებული. მთავარია, მისი გემო თქვენ და თქვენს სტუმარს მოგწონდეთ). შემდეგ ჭიქა გავავსოთ შავი, მაგარი (მოხარშული, შემდეგ კი მაცივარში გაცივებული), ტკბილი ყავით.

შენიშვნა: ამ სასმელს ძალიან უხდება შავი შოკოლადი.



ოთარ მარცვალაძის შანსი დიდ ფეხბურთში

უკრაინის ჩემპიონატში ქართველ ფეხბურთელთა გამოსვლა, ფაქტობრივად, მაშინვე დაიწყო, რაც ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ეროვნული პირველობაც ჩაატარა. მას შემდეგ, უკრაინულ ფეხბურთში ჩვენი თანამემამულეების „ექსპანსია“ არათუ არ შემცირდა, არამედ რამდენჯერმე გაიზარდა და დღესდღეობით ყველაზე მეტი ქართველი ლეგიონერი სწორედ უკრაინის ლიგაზე მოდის. მათ შორისაა ოთარ მარცვალაძე, რომელიც კიევის „დინამოში“ გასულ ზამთარს ჩაირიცხა და კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მიმდინარე სეზონის დასაწყისში ოთარს თამაშის საშუალება ტრავმამ არ მისცა, ხოლო გამოჯანმრთელების შემდეგ, „დინამოს“ თავკაც ანატოლი დემიანენკოს ქართველი ფორვარდი მოედანზე საკმაოდ მცირე ხნით გამოიყვანა. მიუხედავად არცთუ ისე დიდი სათამაშო პრაქტიკისა, საქართველოს ნაკრების თავკაცმა კლაუს ტოპმოლერმა ოთარი გუნდში მინც მიიწვია და როგორც გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში, ასევე იტალიელებთან — ოფციალურში, ძირითად შემადგენლობაში ათამაშა.

ლამა თაბაბარი

— უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, საქართველო დატოვა ყველა იმ ფეხბურთელმა, რომელსაც ამის შესაძლებლობა მიეცა. ამის მიზეზად რას მიიჩნევთ?

— საქართველოში ფეხბურთი დიდი ხანია, ცუდ დღეშია, რაც ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის ბრალია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სიღარიბის. ჩვენში ხალხი მდიდრულად არ ცხოვრობს და ძლიერი საფეხბურთო კლუბების ჩამოყალიბებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თუმცა, ქვეყნის ჩემპიონატი საკმაოდ მაღალ დონეზე ტარდება. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ აქ დიდი ფული ტრიალებს, როგორც უკრაინაში ან ძალიან დიდი ფული — როგორც რუსეთში. უბრალოდ, საქართველოში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია და სპორტის ამ სახეობისადმი სიყვარული — ტრადიციულია. ამდენად, მარტივი სქემა მოქმედებს: თუ ქვეყნის ჩემპიონატში დიდხანს დარჩები, ადრე თუ გვიან, პროგრესირებას შეწყვეტ. თან, ამჟამად საქართველოში ფეხბურთით ფულსაც ვერ იშოვი. ამიტომ, ბევრი მოთამაშე ქვეყანას ჯერ კიდევ მოზარდის ასაკში ტოვებს და ამ ბიჭების დადანაშაულება არ შეიძლება.

— დარწმუნებული ხართ, რომ

საქართველოს ჩემპიონატში საკუთარი შესაძლებლობა ბოლომდე ამოწურეთ?

— ვფიქრობ, რომ იმ დონეს მივაღწიე, როდესაც ძალების მოსინჯვა ძლიერ უცხოურ კლუბში შემიძლია. კიევის „დინამო“ საქართველოში ძალზე პოპულარული კლუბია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ კახა კალაძემ ითამაშა. ჩემთვის კიევი ყოფნა საუკეთესო არჩევანი და გამოწვევაა. საქართველოში შემქმნელი, სეზონში ოცამდე გოლი გამეტანა და გუნდის ლიდერი ვყოფილიყავი, მაგრამ ეს ყველაფერი როდია, რისი გაკეთებაც შემიძლია. კიევის „დინამოში“ შეტევის ხაზში დიდი კონკურენციაა და ამიტომ, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა მით უფრო საინტერესოა. ამასთანავე, კლუბში სამუშაო პროცესი ისეა აწყობილი, რომ ფეხბურთელი უდიდეს გამოცდილებას იღებს, როგორც წვრთნის დროს, ასევე მოედნის მიღმა.

— როგორც ვიცით, უკრაინული გრანდი თქვენთვის პირველი უცხოური კლუბი არ ყოფილა?

— 11 წლამდე, საკუთარი სკოლის გუნდში ვთამაშობდი, შემდეგ თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში გადავადგილდი ვარჯიში. 16 წლის ასაკში ნახევარი სეზონით, სტაჟირებაზე ისრაელში გავემგზავრე. ეს იმდენად უცხოურ კლუბში გადასვლის ცდა არ ყოფილა — უბრალოდ, მსურდა, საკუთარი შესაძლებლობები სახლიდან შორს, ჩემთვის საკმაოდ უჩვეულო ვითარებაში გამოვევლინა. საერთოდ, ამ ასაკში ბევრს არ შეუძლია, სხვა ქვეყანას შეეჩვიოს და თან,

პირველსავე წუთიდან იმის დამტკიცება მომიხდა, რომ ასეთი დონის კლუბმა ტყუილბრალოდ როდი მომაქცია ყურადღება.



— პრაქტიკულად, ყველაფრის ნულ-იდან დაწყება მომიხდა. მართალია, საქართველოში, როგორც ბოზბარდირსა და ადგილობრივი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ლიდერს, ისე მიცნობდნენ, მაგრამ უკრაინაში ფაქტობრივად, უცნობი ფეხბურთელი გახლდით. დამეთანხმებით, რომ „დინამოს“ ნებისმიერი ნაბიჯი — იქნება ეს ფეხბურთელის მიწვევა თუ ამხანაგური თამაში, — გულშემატკივრებისა და პრესის მხრიდან სკრუპულოზურად განიხილება. ამიტომ, პირველსავე წუთიდან იმის დამტკიცება მომიხდა, რომ ასეთი დონის კლუბმა ტყუილბრალოდ როდი მომაქცია ყურადღება. ვარჯიშებზე, როდესაც ისეთ ოსტატებთან მომიხდა შეხვედრა, რომლებიც არასათამაშო ვითარებად დროსაც კი, შენზე გაცილებით სწრაფად ფიქრობენ და მოქმედებენ, თავდაპირველად საკუთარი თავის წარმოჩენა გამიძინებდა. განსაკუთრებით, პირველი შეკრებების დროს მიჭირდა. ძალიან ვცდილობდი, მაგრამ ვხვდებოდი, რომ საერთო დონემდე კიდევ ბევრი მაკლდა. თანაგუნდელები და მწვრთნელები მამხნევედნენ, რეკომენდაციებს მაძლევდნენ და ზამთარში მესამე შეკრებაზე უკვე გუნდის სრულყოფილებიან წევრად ვიგრძენი თავი.




ტოპმოლერმა პირდაპირ მითხრა: თუ კლუბში რეგულარულად არ ითამაშებ, ნაკრებში მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოგიწევს...

— ახალ კლუბში დებიუტს როგორ გაიხსენებდით?

— ჩემი დებიუტი წინა სეზონში, დონეცკის „მეტალურგთან“ მატჩის დროს შედგა, როდესაც თამაშს 3:0 ვიგებდით და მოედანზე ბრაზილიელი დიოგო რინკონის ნაცვლად, ათი წუთით გავედი. მაშინ დრომ ისე გაირბინა, ვერც გავიგეთუცა, ძალიან სასიამოვნო გახლდათ იმის შეგრძნება, რომ მოედანზე კიევის „დინამოს“ მასიურით ვიმყოფებოდი. ამის შემდეგ, შეცვლაზე კიდევ რამდენიმე თამაში ჩავატარე, ხოლო სრულფასოვან დებიუტად ლვოვის „კარპატის“ წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩს მივიჩნევ, როდესაც 90 წუთი ვიასპარეზე. იმ შეხვედრაში საკმაოდ გამოჩირდა, რადგან მოედნის საფარი არცთუ ისე კარგი გახლდათ, ხოლო მეტოქე თითოეული ბურთისთვის თავდაუზოგავად იბრძოდა. სამწუხაროდ, მაშინ „დინამოს“ შემადგენლობაში ოფიციალურ მატჩებში პირველი გოლის გატანის რეალური შანსი ხელიდან გავუშვი.

— საქართველოში გუნდის ლიდერად ყოფნის შემდეგ, ალბათ ძნელია „დინამოს“ მეორე გუნდში თამაში ან შეცვლაზე 15-20 წუთით გამოსვლა?

— მე ვიცოდი, რაზეც მივდიოდი. კარგად მესმოდა, რომ „დინამოში“ ადგილის მოპოვება, სადაც უკვე რამდენიმე წელია, გამოდიან — კლებერი, შაცკიხი, ვერპაკოვსკი, მილევსკი, რებროვი, — ძალიან ძნელია. ამასთან ერთად, ადაპტაციისთვის გარკვეული დრო მჭირდებოდა. ერთი სიტყვით, მოვლენათა ასეთ განვითარებას ყოველგვარი ტრაგიზმის



ხანდახან დგება მომენტი, როდესაც მეჩვენება, თითქოს თბილისში ვიმყოფები

გარეშე შევეგუე. ასეთ სიტუაციაში მთავარია, ადგილზე არ გაუჩერდე და პროგრესი დამუტყოს. „დინამოს“ მეორე გუნდსა და დუბლშემადგენლობაში მხოლოდ ახალგაზრდა და პერსპექტიული ფეხბურთელები როდი თამაშობენ, იქ ცნობილი და გამოცდილი მოთამაშეებიც გამოდიან, რომლებიც გარკვეულ მიზეზთა გამო, ძირითადად ვერ ხვდებიან. მათგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება.

— საკუთარ უმთავრეს კოზირად რას მიიჩნევ?

— სისწრაფეს. ალბათ, ეს ჩემი უმთავრესი კოზირია.

— 2006 წელი თქვენს ცხოვრებაში ალბათ, განსაკუთრებულად უნდა მივიჩნიოთ, არა?

— კიევის „დინამოში“ გადასვლამ მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა. მივხვდი, როგორ უნდა ვიმუშაო, იმისთვის, რომ უფრო მაღალი დონის ფეხბურთელი გავხდე. დიდი გუნდის ნაწილად ვიგრძენი თავი და ბიჭებთან ერთად, როგორც უკრაინის თასზე გამარჯვება ვიზიემე, აგრეთვე ჩემპიონატი მარცხით გამოწვეული იმედგაცრუებაც გავიზიარე. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრებში მიმიწვიეს, რაშიც დიდი როლი „დინამოში“ ჩემმა ჩარიცხვამ შეასრულა. ახლა ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული. მსურს, საქართველოს ნაკრებში მოედანზე რაც შეიძლება ხშირად გამოვიდე. ეროვნული გუნდის თავკაცმა კლაუს ტოპმიოლერმა პირდაპირ მითხრა: თუ კლუბში რეგულარულად არ ითამაშებ, ნაკრებში მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მოგიწევსო...

— როგორ ფიქრობთ — სათამაშო პრაქტიკის არქონის მიუხედავად, ტოპმიოლერი ნაკრებში მაინც რატომ გინვევთ?

— მართალი გითხრათ, უკანასკნელ პერიოდში ნაკრებში მიწვევა ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ამასთანავე, ორმაგი პასუხისმგებლობა დამეკისრა, რადგან მწვრთნელის ნდობა ვიგრძენი და მისთვის იმედის გაცრუება არ შეიძლება. საერთოდ, ქვეყნის პირველ ნაკრებში მიწვევა ყოველთვის ძალას გამატებს და გაიძულებს, გაორმაგებული ენერგიით ივარჯიშო.

— გერმანელ მწვრთნელს ხომ არ უთქვამს, რომ თუ კლუბის ძირითად შემადგენლობაში მომავალშიც ვერ მოხვდებით, იგი ეროვნულ გუნდში აღარ მიგინვევთ?

— ასეთი ლაპარაკი ნამდვილად არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ „დინამოში“ არცთუ ისე ხშირად ვთამაშობ, ტოპმიოლერმა 7 ოქტომბერს გერმანიასთან ამხანაგურ თამაშში, ხოლო 11 ოქტომბერს — იტალიელებთან მატჩში თავის გამოჩენის საშუალება მაინც მომცა. ვფიქრობ, აღნიშნული შეხვედრები ცუდად არ ჩამიტარებია. გერმანელებთან გოლის გატანაც მოვახერხე, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალია. საერთოდ, ამ შეხვედრამ მსოფლიო ჩემპიონებთან თამაშის წინ, ფსიქოლოგიური მდგრადობა შევამატა. იტალიელებთან ქულა რომ აგველო, მშვენიერი

შედეგი იქნებოდა, მაგრამ მეორე ტაიმში კანკავას გაძევების შემდეგ, სტუმრებთან თანაბრად თამაში გავიჭირა.

— ტოპმიოლერთან საერთო ენა — პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით — მალე გამოიხატება?

— დავიწყეთ იმით, რომ ტოპმიოლერი დიდი მწვრთნელია, რომლის ყოველ სიტყვას ყურადღებით უნდა მოუსმინო. აქვე გეტყვით, რომ იგი თავად ცდილობს თითოეულ ჩვენგანთან კონტაქტის დამყარებას, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის თარჯიმანი სჭირდება. ტოპმიოლერი ფეხბურთელებთან ურთიერთობას პირველ პლანზე აყენებს. საბედნიეროდ, გუნდში გყავს ფეხბურთელები, რომლებსაც გერმანიაში უთამაშიათ და მათ შეუძლიათ, თარჯიმანს შეუსწორონ, თუ ის მწვრთნელის აზრს არასწორად გადმოსცემს.

— გერმანელი მწვრთნელის შემდეგ, დემიანენკოს როგორ აღიქვამთ?

— დემიანენკოს მშვენიერი მასწავლებლები ჰყავდა, რომელთა შორისაც, ცხადია, ვალერი ლობანოვსკი გამოირჩეოდა. ამიტომ, მის კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება. გარდა ამისა, დემიანენკო იმით მომწონს, რომ მას ფეხბურთელებთან ლაპარაკი და მათთვის სათამაშო განწყობილების შექმნა შეუძლია.

— თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში „დინამოს“ ამჟამინდელი გამოსვლის გამო, კიეველთა თავკაცის სეზონისწინა მომზადების სტრატეგიას ხშირად აკრიტიკებენ...

— შემიძლია დაგარწმუნოთ იმაში, რომ ეს ბრალდებები უსაფუძვლოა. ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები, გადატვირთული კალენდრის გამო, მართლაც დაღლილები არიან. მაგრამ ამას მოსამზადებელ პერიოდში გადატანილ დიდ დატვირთვისათან კავშირი არა აქვს.

— კიეველი ცხოვრების რიტმს საბოლოოდ შეეჩვიეთ?

— შეიძლება ითქვას — დიახ და არა. კიევი ძალიან კარგი ქალაქია, მაგრამ ნოსტალგია ხშირად მეძალება. ხანდახან დგება მომენტი, როდესაც მეჩვენება, თითქოს თბილისში ვიმყოფები. მიუხედავად ამისა, სახლში თამაში არ მსურს, რადგან მწირი დაფინანსების გამო, ადგილობრივი ჩემპიონატი საკმაოდ სუსტია. იმედია, რომ დროთა განმავლობაში, საკლუბო ფეხბურთს ისევე დააფინანსებენ, როგორც სანაკრებოს. საერთო ჯამში, კიეველი ცხოვრების გამო სანაწარმო არაფერი მაქვს გვერდით მყავს ახლო მეგობარი — დავით იმედაშვილი, რომელთან ერთადაც „ვიტ-ჯორჯიაში“ გამოვდიოდი; ასევე მშვენიერი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა ტარას მიხალიცთან. კლუბის ხელმძღვანელებამ ქალაქის ცენტრში, მღვინე უკრაინკას ქუჩაზე მიქირავა ბინა... ერთი სიტყვით, ყველაფერი ნორმალურადაა და იმის დამტკიცება დამრჩენია, რომ ასეთ კლუბში თამაშის ღირსი ვარ.



თეთრი სიკვდილი

ზოგა მანველიძე

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-42

ნაპატიმრალი ზაზა გორგაძის მკვლელობისა და ნარკოტიკებით ვაჭრობის ბრალდებით დაპატიმრებული, მისი მეგობარი გიო ქელიძე იმედოვნებს, რომ ადვოკატი შიოშვილი, დაპირებისამებრ, სიმათლეს დაადგენს და მას პატიმრობიდან გაათავისუფლებს. მაგრამ ყველაფერი სრულიად საპირისპიროდ ხდება: ბიჭს წინასწარ პატიმრობას მიუხედავად, გიოს ძმა რეზო ხდება, რომ ამ საქმის შეთითხვნაში თავად ადვოკატი შიოშვილიც მონაწილეობს. ამასვე უდასტურებს ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგა, რომელიც სასამართლო სხდომის შემდეგ გამოეცნაურება და ძმის გადასარჩენად ბრძოლაში დახმარებას სთავაზობს.

გიო საშინელ სიზმარში გრძნობდა თავს. ყოველივე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, სრულიად უცხო და უცნობი იყო მისთვის — უცხო იყო საკანი, რომელშიც სამი მტანჯველი დღე მარტოობაში გაატარა, დაკითხვები, დიალოგები, რომლებშიც მონაწილეობა უნებდა. ამ დღეების განმავლობაში, ინსტინქტურად, ანგარიშიშიუცემლად პასუხობდა კითხვებს და შემდეგ, საკანში მარტოდ დარჩენილი ცდილობდა მომხდარში გარკვევას.

ამ საქმეში გიოს, სასამართლოც არ დაეხმარა, რაშიც ადვოკატი შიოშვილი არწმუნებდა. ის განუწყვეტლივ უმეორებდა, რომ მესხი მხოლოდ მის დასაშინებლად მოქმედებდა ისე, როგორც მოქმედებდა, ხოლო სასამართლოზე იმავეს ვეღარ გაბედავდა, თავად კი პირობას აძლევდა, რომ დაამტკიცებდა მის უდანაშაულობას და სასამართლოდან შინ გაისტუმრებდა... მაგრამ შიოშვილმა მიცემული პირობა არ შეასრულა. ბიბილურთან დაპირისპირების შემდეგ, გიოს თვალთაც არ უნახავს ადვოკატი. მას მხოლოდ სასამართლოში მიყვანის შემდეგ აცნობეს, რომ შიოშვილმა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, უარი თქვა მის შემდგომ დაცვაზე და ამიერიდან, მასთან სხვა ადვოკატი იმუშავებდა. ვიდრე გიო მომხდარის ნამდ-

ვილ მიზეზებში გაერკვეოდა, მას ახალი ადვოკატიც წარუდგინეს. შემდეგ კი სასამართლოც დაიწყო...

შიოშვილის მოულოდნელმა გაუჩინარებამ შიში გაუღვივა გიოს. მაგრამ ისევე, როგორც ყველა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანი, ისიც ხავს ეჭიდებოდა და იმედოვნებდა, რომ მოსამართლე მაინც ალასრულდება სამართალს. მაგრამ... რაც მას შემდეგ მოხდა, გიოსთვის საშინელი სიზმრის გაგრძელება აღმოჩნდა.

პროკურორმა მშვიდი ტონით ჩამოთვალა ყველა დანაშაული, რომლის ჩადენაშიც ედებოდა ბრალი გიოს და მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით მიმართა მოსამართლეს. პროკურორის შემდეგ სიტყვა მისმა ადვოკატმა აიღო, მაგრამ ამას გიოსთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მას არც კი ესმოდა, თუ რას ლაპარაკობდა ადვოკატი, უბრალოდ ხვდებოდა, რომ ეს, ვილაცის მიერ დანერგულ სცენარში ერთ-ერთი სავალდებულო სცენა იყო და მეტი არაფერი. ერთადერთი, ვისი იმედიც შემორჩა ბოლომდე, მისი უფროსი ძმა იყო. ის არასოდეს მიატოვებდა და ისევე ითავებდა მასზე ზრუნვას, როგორც ბავშვობაში, მამის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ რით უნდა დაპირისპირებოდა რეზო ასეთ ჯოჯოხეთურ მანქანას?.. ამ კითხვაზე პასუხი გიოსაც არ გააჩნდა. ამის მიუხედავად, მაინც აგრძობინა ძმას, რომ მხოლოდ მისი დახმარების იმედად იყო. მისმა განწირულმა ყვირილმა სწრაფად გაირობინა დერეფანში და ეზომდეც მიაღწია.

რეზო, მიშველე! მე იქიდან ცოცხალი ვერ გამოვალ!..

ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. ბადრაგმა მეტის საშუალება აღარ მისცა. პატიმარი ელვის უსწრაფესად შებოჭეს და საკნისკენ გააქანეს...

გიო მაინც იმედოვნებდა, რომ მისი ძმა შეძლებდა მის მონახულებას და ეს ციხეში მის გადაყვანამდე მოხდებოდა. მაგრამ ეს ისეთივე ილუზია აღმოჩნდა, როგორიც იმ საღამოს შინ დაბრუნებაზე ოცნება.

საშინელ სიზმარს უფრო საზარელი გაგრძელება მოჰყვა: დღის მიწურულს, გიო საბადრაგო მანქანაში აღმოჩნდა, რომელსაც ის ციხეში უნდა გადაეყვანა. მანქანაში მან პირველად შეიგრძნო, რომ ამიერიდან ის ყოვლად უუფლებო პატიმარი იყო. ეს მაშინ მოხდა, როდესაც გიომ ვახოსთან დალაპარაკება სცადა. მათ მხოლოდ გიოსოს ვინრო ზოლი აშორებდათ. მაგრამ ეს მცირე დაბრკოლება მისთვის დაუძლეველი წინააღმდეგობა აღმოჩნდა.

— ჩუმა! — ბრაზით შესძახა ბადრაგმა, როდესაც გიო ვახოს შეეხმინა.

— რა მოხდა?.. — გაიკვირვა გიომ. — ორი სიტყვა მაქვს სათქმელი.

— ასე, ოცი-ოცდასთი წლით მოგიწევს „ზაზარის“ გადაღება. გათავისუფლდებით და მერე ილაყბეთ, რამდენიც გინდათ!..

— ავად მიუგდო მეზადრაგემ და თავისი სიტყვებისთვის მეტი მნიშვნელობის მისანიჭებლად, გიოსს ნიხლი უთავაზა.

გიო არ შეეპუა ზადრას და მეგობრის ყურადღების მისაპყრობად დაიყვირა: — ვახო!

მაგრამ მისდა გასაოცრად, ვახო არ შეეხმინა. ამის ნაცვლად, ის გიოსს მოშორდა და საერთოდ, ზურგი შეაქცია გიოს. სამაგიეროდ, მისი დაუმორჩილებლობა ბადრაგმა არნახულ თავნებობად აღიქვა.

— ასე გინდა, თავი გაიტანო ციხეში?!

— გააფთრებული მივარდა ის გიოსს.

გიომ დუმილით უპასუხა.

— იბლატავე, იბლატავე... ჯერ კიდევ „სვაბოდის“ სუნი აგდის, მაგრამ მივალთ ციხეში და იქ აგიხსნი, ვის უნდა შეეპასუხო და ვის — არა! — მუქარით ჩაილაპარაკა მეზადრაგემ და გიოსს მოშორდა.

რაზე მიანიშნებდა მეზადრაგე — ეს გიომ სულ მალე შეიტყო. ოციოდე წუთში მანქანა გაჩერდა. მეზადრაგეები უშალ გამოცოცხლდნენ. ჯერ ვახო ჩაიყვანეს. რა ხდებოდა მანქანის კარს მიღმა, გიოსთვის გაურკვეველი იყო. მის ყურამდე მხოლოდ ზოგიერთმა ფრაზამ მიაღწია: ვახოს ვინაობა ჰკითხეს, შემდეგ კი, დარტყმის ხმა გაისმა, რასაც ვახოს შეყვირება მოჰყვა. ამის შემდეგ, გიოს ჯერი დადგა. მასზე განაწილებულმა მეზადრაგემ თავად გააღო კარი, გვერდზე გადასწია და მანქანიდან ჩამოსვლა უბრძანა. გიო ფრთხილად მიუახლოვდა კარს და გარეთ გაიხედა. მანქანა გვირაბის მაგვარ ვრცელ სათავსში იდგა. მას რუხი კედლები ჰქონდა. მანქანის სიახლოვეს კი, კედელში დატანებული კარი იყო, რომლის გასწვრივაც, ათამდე ხელკეტმომარჯვებული ზედამხედველი იდგა.

— კიდევ ხარ ლაპარაკის ხასიათზე?..

— დამცინავად ჰკითხა მის ზურგს უკან მოქცეულმა მეზადრაგემ.

გიოს არაფერი უთქვამს. სწორედ ამ დროს, ზედამხედველთაგან ერთ-ერთმა უბრძანა:

— რას დაყუდებულხარ? ჩამოდი მანქანიდან!

გიო მანქანის სახელურს წაეტანა, რათა ქვემოთ ჩამსტარიყო, მაგრამ მეზადრაგემ ამის შესაძლებლობა არ მისცა: როგორც კი ბიჭი წელში მოიხარა, მეზადრაგემ მაგრად ჩაარტყა წელის მიდამოებში. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ გიომ წონასწორობა დაკარგა და მოწყვეტით დაენარცხა ბეტონის იატაკზე. მან კბილები გააღრჭია და გააფთრებული მიუბრუნდა მეზადრაგეს. მაგრამ იმწამს, ზურგში მეორე დარტყმა მიიღო. შემდეგ, ზედამხედველებმა ალყაში მოაქციეს და აქეთ-იქიდან ხელკეტები დაუშინეს. გიო გააფთრებით იბრძოდა და ხელებით ცდილობდა დარტყმების მოგერიებას. მაგრამ რამდენიმე ძლიერი დარტყმის შემდეგ, თვალთ დაუბნელდა და ღონემისხილი, იატაკზე მოკრუნჩხა. ზედამხედველები მაინც არ მოეშვნენ. ძალით წამოაყენეს ფეხზე და დერეფანში გზას გაუყენეს. რამდენიმე წუთში გიო მომცრო ოთახში აღმოჩნდა. იქ მას თავის მოწესრიგების შესაძლებლობა მისცეს, შემდეგ კი, რამდენიმე რაკურსით, სურათები გადაუღეს და თითების ანაბე-

ჭედებიც აუღეს. მერე ტანმალალი მამაკაცი მიეჭრა და საქმიანი იერით ჰკითხა:

— თავს როგორ გრძნობ?
— როგორ უნდა ვგრძნობდე თავს?..
— გაიკვირვა გიომ.

— ნაცემი ხომ არა ხარ?
— ნაცემი?! — გიომ გააფთრებული მზერა ესროლა მამაკაცს, რომელიც მისი ცემის დროს, ფანჯრის რაფაზე ჩამომხდარი, მშვიდად ენეოდა სიგარეტს.

— ჰო, ნაცემი, — გაიმეორა მამაკაცმა.
— არა... არავის ვუცემივარ და თავსაც შესანიშნავად ვგრძნობ, — გიომ გაჭირვებით ჩააბრუნა უკან ყელში მომდგარი ბურთი და მამაკაცს თვალი აარიდა.

— მაშინ, ამ დოკუმენტს მოანერგე ხელი, — თქვა მამაკაცმა და კალამი და რალაც ბლანკი გაუწოდა.

პროცედურის დასასრულს გიომ კვლავ დერეფანში დააბრუნეს.

— სად მიგყავართ? — დაძაბული ხმით იკითხა მან, როდესაც შედამხედველმა დერეფნის ბოლოსკენ უბიძგა.

ზედამხედველმა არაფერი უპასუხა. ამის ნაცვლად, ხელის კვრით მიაგდო კედელში დატანებულ ერთ-ერთ კართან, მერე გააღო და გიოს შიგნით შესვლა უბრძანა. კარს მიღმა ერთი ბენო სათავსი აღმოჩნდა, რომელმაც გიოს სოფლის საპირფარეშო გაახსენა. მოპირდაპირე კედელზე თაროს მაგვარი სკამი იყო მიმაგრებული. სკამზე ოცდაათიოდე წლის პირგაუპარსავი მამაკაცი იჯდა.

— რა არის ეს?.. — გიომ გაოცებული სახით გახედა ზადამხედველს.

— შენ რა, ხუთვარსკვლავიან ნომერს ელოდი?! — ირონიულად იკითხა ზედამხედველმა, ხელი ჰკრა, შეაგდო სათავსში და კარიც უმაღლ მიუჯექტა.

შიგ შევარდნისას, გიომ მამაკაცს დაეჯახა და კუთხეში მიჭყლიტა.

— ფრთხილად, ძმაო!.. — უკმაყოფილო ტონით ჩაიხიხინა მამაკაცმა. — სტადიონზე ხომ არ გგონია თავი!

— მამატიე... იმ ასვარის ბრალია, — მოუბოდიშა გიომ, შემდეგ ჰკითხა: — ეს რა არის?... დიდი ხანი გაგვაჩერებენ ამ „ტუალეტში“?

— პირველი „სუდომოსტია“? — საქმიანი იერით ჰკითხა კაცმა.

— ჰო, — უპასუხა გიომ.

— მაშინ გასაგებია... — ჩაილაპარაკა მან.

— რა გასაგებია? — ჩაეძია გიომ.
— რატომაც არ იცი, სად ხარ?
— სად ვარ?

— ეს ფუქსია, ძმაო... „ატსტინიკი“... დღეში ბევრი ხალხი შემოდის. სათითაოდ საკანში არავინ გადაგვიყვანს. ცოტა ხანს აქ გაგვაჩერებენ, ერთად მოგვიყვანონ თავს, მერე კი ყველას კარანტინში გადაგვისვრიან...

— სად გადაგვისვრიან?
— კარანტინში... შენ რა არაფერი იცი ციხის შესახებ? — გაიკვირვა მამაკაცმა.

— საიდან უნდა ვიცოდე? პორველად მოვხვედი ციხეში!

— მერე რა. მამაკაცი ან უბნელი არ მგადარა?.. ან უბანში კაი ბიჭებთან ერთხელაც არ გილაპარაკია ციხეზე?

— როგორ არ მგადარან, მაგრამ კარანტინი არავის უხსენებია, — უპასუხა გიომ.

— ჰოდა, როცა იქ მოხვდები, მაშინ გაიგებ, რაც არის კარანტინი, — როყოლოდ მიუგდო მამაკაცმა.

— რა მოხდა, რა გენყინა?.. — გაიკვირვა გიომ.

— არ მინდა ახლა ამაზე ბაზარი. აქ ათასი „პიონერი“ ხვდება. ყველას რომ ვუხსნა, რომელ კუთხეში რა არის, მთელი „სროკი“ ლაილაში უნდა გავატარო... — კაცმა პაუზა გააკეთა და შემდეგ იკითხა: — საერთოდ, ვინ ხარ? რა ცხოვრებით ცხოვრობდი?

— სტუდენტი ვიყავი, — ამოიხსრა გიომ.

— ქუჩის აზრზე არა ხარ?

— ხომ გითხარი, სტუდენტი ვიყავი, — გაიმეორა გიომ.

— რაზე ზიხარ?

— მურტალი საქმე შემომტენეს...



— რა საქმე? ერთი, რამ იცოდე, ძმაო, ციხეში შენი საქმის ავანჩავანი არავის აინტერესებს. უბრალოდ, სტატია მითხარი, დანარჩენი კი — შენთვის დაიტოვე...

— ნამლის გაყიდვასა და მკვლელობას მტენიან, — უპასუხა გიომ.

— ოჰო!.. — კაცმა ეჭვით სავსე მზერა ესროლა და შემდეგ, ფრთხილად ჰკითხა: — შენ ჭელიძე ხომ არა ხარ?..

— საიდან იცი ჩემი გვარი? — დაიძაბა გიომ.

— შენ ვინ არ გიცნობს, ბიჭო!.. — დაუფარავი ბრაზით წარმოთქვა კაცმა. — და იცოდე, რომ მთელი ციხე მოუთმენლად ელის შენს გამოჩენას...

— რისთვის? — გაოცებული სახით იკითხა გიომ.

— რისთვის?.. — შეხედა თანამესაყენე. — თავს ნუ იშტერებ, ბიჭო!.. ახლა ერთი კაციც არ მეგულბა ციხეში, შენაირი „ბუკეტი“ რომ ჰქონდეს: კაი ბიჭის მკვლელს,

ვინ გაგახარებს?!. თანაც, „ბარიგობაც“ გკიდას!..

— ხომ გითხარი, მაგ საქმეებს მტენიან. — ბრაზით ისროლა გიომ.

— სტუდენტი კაცს, მკვლელობას გტენიან?! — ეჭვით ჰკითხა კაცმა.

— ჰო!.. — დაუდასტურა გიომ.

— „ბარიგობასაც“?..

— „ბარიგობასაც“!

— არ ვიცი, ძმაო... ოთხჯერ ვარ ნასამართლები. ჰო... მეც შევსწრებივარ გაჩალიჩებებს, მაგრამ არასოდეს მსმენია, რომ სტუდენტი კაცი ასეთი „სტატებიით“ „დაეგრუზოთ“!..

— მე ვარ ასეთი კაცი!.. — სწრაფად ისროლა გიომ.

— იცი, რას გეტყვი, ძმაო... აქ შენი ლაილის მოსასმენად არ ვზივარ. მე ჩემი საქმეც მყოფნის. შენ კი, შეგიძლია, პროკურორს უმტიციო: პატიოსანი კაცი ვარ, სტუდენტი და მთელი ეს „ბაზარი“ პოლიციამ შემომტენა-თქო!..

— სათქმელს პროკურორსაც ვეტყვი. აქ კი, არ მინდა, რომ ვილაცამ პროკურორის ნაჯღაბნით წამიყენოს პრეტენზია!.. — ბრაზით უთხრა გიომ.

— ა-ა... ხედავ, რაები გცოდნია! — ჩაიციხა კაცმა. — წელან კი მიმტიციებდი — სტუდენტი ვარ, დღედაღამ ნიგნებს ვეჯექი და ქუჩისკენ ცხოვრებაში არ გამიხედავსო!..

— ეგ შენ არ გეხება!.. — ავად გამოცრა გიომ. — არავისი არ მემინია და ყველასთან ვიტყვი სათქმელს. ძალებთანაც და პატიმრებთანაც!..

— ჭკუით, ბიჭო! — ჩაიხიხინა კაცმა. — „ბარიგებში“ ხომ არ გგონია თავი!.. ძალებს შეგიძლია ებლატავო, მაგრამ იცოდე, რომ მაგათი „ხელისუფლება“ ამ დერეფნის ბოლოს მთავრდება — იქით სულ სხვა ხალხთან გექნება საქმე და შენი სტატებიით, თანაც, ზაზა გორგაძის მკვლელობით, ვინმესთან „კაჩავი“ კი არა, თვალის გასწორებაც არ გაბედო!..

— ნადი, შენი!.. — გიომ თანამოსაყენეს მაგრად უბიძგა და კედელს შეახეთქა. მაგრამ მისდა გასაოცრად, კაცს არაფერი გამოუხატავს პროტესტი. მხოლოდ ბრაზით სავსე მზერა მიაპყრო და ჩაილაპარაკა:

— უკვე გითხარი, რომ დერეფნის ბოლომდე „პალაუენისა“ ძალები აკონტროლებენ, იქით კი... მაგას თავის დროზე „გაგაიასნებ“, სტუდენტო!..

მომდევნო ერთი საათი გიომ და მისმა ახალმა ნაცნობმა სრულ დუმილში გაატარეს. კაცს ისე ეჭირა თავი, თითქოს მარტო იყო საკანში. გიომ დუმდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როდის მოეღებოდა ბოლო ამ კაცთან ერთად მის ყოფნას...

როგორც იქნა, ზედამხედველებმა მათი არსებობა გაიხსენეს. კარი გაიღო და გიოსა და მის ახალ ნაცნობს სათავსის დატოვება უბრძანეს. გარეთ გამოსულმა გიომ, ვახოს

მოჰკრა თვალი. ის კედლისკენ სახით შებრუნებული და თავჩაქინდრული იდგა. გიოს ისევ გაუჩნდა მასთან დალაპარაკების სურვილი, მაგრამ მაშინვე გაასვენდა, თუ რა მოჰყვა ამას და განზრახვებზე ხელი აიღო. ამასობაში, ზედამხედველებმა დერეფანში ათამდე პატიმარს მოუყარეს თავი, დერეფნის ბოლოში რამდენიმე კარი გააღეს და პატიმრებს ამოძრავებდა უბრძანეს.

ზედამხედველებისა და პატიმრების ჯგუფმა რამდენიმე დერეფანი და მასიური რკინის კარი მოიტოვა უკან. საბოლოოდ, ისინი ვრცელ დერეფანში აღმოჩნდნენ, რომლის გაყოლებზეც ათამდე საკანი იყო განთავსებული. პატიმრები კედლის გასწვრივ ჩაამწკრივეს და გვარების ამოკითხვას შეუდგნენ. პატიმრის მწკრივიდან გასვლის შემდეგ, ზედამხედველი ჟურნალში რაღაცას ინიშნავდა, შემდეგ, პატიმარი ერთ-ერთი საკნისკენ მიჰყავდათ. გიოს ჯერაც დადგა. ზედამხედველმა მისი გვარი ამოიკითხა. გვარის გაგონებაზე, გიომ ერთი ნაბიჯი წინ წადა. ზედამხედველმა ყურადღებით შეათვალიერა, ჟურნალში მისი გვარი მონიშნა და ხელქვეითს ესროლა:

— კარანტინში!

ზედამხედველებს შორის გამართული დიალოგიდან გიოსთვის ცნობილი იყო, რომ კარანტინში მხოლოდ სამი ან ოთხი დღე დააყოვნებდნენ, შემდეგ, ზედა სართულებზე მდებარე რომელიმე საკანში გადაიყვანდნენ. ეს რამდენიმე დღე კი, საჭირო იყო მისი სამედიცინო შემოწმებისთვის, რათა საკანში ინფექციური დაავადება არ შეეტანა.

გიო გაოგნებული შედგა საკნის ზღურბლზე. ის ყველაზე სამინელ სიზმარშიც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ვინმეს აზრად მოუვიდოდა მისი ამ ჯურღმულში გამომწყვდევა. საკანი საკმაოდ მოზრდილი იყო. ჰქონდა ბეტონის უსწორმასწორო იატაკი და შებათქამებული, აბლაბუდითა და ჭვარტლით დაფარული კედლები. კარიდან მარჯვნივ მონყობილი იყო ღია საპირფარეშო, რომლის გვერდითაც, ადამიანის სიმაღლის ნაგვის გროვა აზიდულიყო. მასში სრულიად უშიშრად, მოზრდილი ვირთხები დაძრწოდნენ. საკანში არსად იყო „ნარები“ ან სკამები. კედლების გაყოლებზე გიომ უჩვეულო, ლითონის კონტრუქციები შენიშნა. საგარაუდოდ, ისინი „ნარის“ „ნარჩენები“ უნდა ყოფილიყო, ახლა კი, მათზე თოკებისა და ქსოვილების ნაგლეჯებით, ფრინველის ბუდის მაგვარი სამყოფელები მოექსოვათ, რომლებშიც ადამიანები იწვნენ...

— შენ რა, აქ აპირებ „სროკის“ მოხდას?.. — ზედამხედველს მალე მოჰბერდა ღია კართან დგომა.

გიო უკან მიბრუნდა, რომ ზედამხედველისთვის პასუხი გაეცა, მაგრამ მან აღარ აცალა — ხელის კვრით ისევ საკანში შეადგო და კარი მიაჯახუნა. იმნამს გიოს ოცდაათამდე წველი თვალი მიაშტერდა. რამდენიმე პატიმარმა ახლოს მიიწია, რათა ყურადღებით შეეთვალიერებინა ახალი თანა-

მოსაკნე.

— გამარჯობა... — ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა გიომ, მაგრამ მისდა გასაოცრად, მისალმებაზე არავის უპასუხია. პატიმრები მხოლოდ მისი სწრაფი შეთვლიერებით დაკმაყოფილდნენ და მაშინვე უკან გაბრუნდნენ. გიოს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მისი იქ ყოფნა საერთოდ არავის აინტერესებდა. მაგრამ მისი შეხედულება მცდარი აღმოჩნდა. უბრალოდ, საკანში მყოფნი თავად ელოდნენ, თუ რას მოიმოქმედებდა ის. და როდესაც კართან გიოს ყოფნა განუსაზღვრელი დროით გაგრძელდა, საკანს გამოცოცხლება დაეჭყო.

— აქეთ მოინიე, ძმაო, კარში რას გაჩერებულხარ?! — გაისმა საკნის საპირისპირო მხრიდან.

გიომ მზერით მოძებნა ის კუთხე, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა წრიულად იჯდა.

— მონიე... ჩიფირი დავლიოთ, ერთმანეთი გავიცნოთ, ვიბაზროთ... — განაგრძო ერთ-ერთმა მათგანმა. გიომ მაშინვე მიიღო მიპატიჟება და ახალგაზრდებს მიაშურა. მათთან მიახლოებისას შენიშნა, თუ

— მე ჯიბო მქვია, — თქვა იმან, ვინც გიოს უხმობდა. — შენ?

— გიო.

— თბილისელი ხარ?

— ჰო, — თავი დაუქნია გიომ.

— რატომ ხარ დაძაბული?.. შენიანებში ხარ: ეგრევე შეგატყვე, რომ თბილისელი ხარ... — ჯიბომ ხმაურით მოსვა ჩაი და ჭიქა გიოს გადაულოცა.

გიოს ზიზილი მოჰგვარა ბინძურმა ჭიქამ და უჩვეულო სუნის მქონე სითხემ, რომელიც არაფრით ჰგავდა ჩაის. მაგრამ მაინც მოსვა, იმ იმედით, რომ ცხელი სითხე მცირე შევებას მაინც მოჰგვრიდა. სითხეს სადაგელი გემო აღმოაჩნდა, რომელმაც, შვების ნაცვლად, ბიჭს გულისრევის შეგრძნება მოჰგვარა და ხველება აუტყხა.

— შენ რა, ჩიფირი არ დაგილევია? — სიცოცი აუტყდა ჯიბოს.

— არა, — გიომ სწრაფად გადასცა ჭიქა მის გვერდით მჯდომ ახალგაზრდას.

— პირველ „სროკზე“ ხარ? — განაგრძო ჯიბომ.

— ჰო, — დაუდასტურა გიომ.

— მაშინ, გასაგებია... მაგრამ ჯიბო, ახლავე შეევიო: ბევრჯერ მოგიწევს ჩიფირის დალევა... — მეგობრულად დაარიგა სხვა ახალგაზრდამ.

— რამდენი ხანი გაგაჩერებენ აქ? — ჯიბოს მიუბრუნდა გიო.

— „ნაღბორს“ არ უთქვამს? — კითხვითვე უპასუხა მან.

— იმათმა ისიც თქვეს — კარანტინში იმიტომ გაგაჩერებენ, რომ საკანში ტილები, ბალნიჯოები და სხვა მკვებარეები არ შეიყოლო... — უპასუხა გიომ.

— მაგარიან!.. — გადაიხარხარა ჯიბომ. — მესამე „სროკზე“ მივედივარ და მაინც ვერ შევეჩვიე მაგათ იუმორს. შეხედე აქაურობას, ძმაო. აქაურობას და „პასაჟირებს“... — ჯიბომ საკნის კედლებს მოატარა მზერა, შემდეგ, „ბუდეებში“ მძინარე პატიმრებზე მიუთითა გიოს: — შეხედე და მითხარი, არსებობს მკვებარე და კანის „ზარაზა“, აქ რომ არ აიკიდო?

— არა მგონია, — თავი გააქნია გიომ.

— მართალი ხარ. არ არსებობს და ამიტომაც, აქედან დროულად გასვლა და „კორპუსზე აწვევა“ მაყუთი ღირს. ციხეა... სხვანაირად თავს ვერ გაიტან. აქ ჰაერშიც ფული უნდა იხადო...

— ფული? — გახედა გიომ.

— ჰო, მაყუთის ამბავია. ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდე. იცოდე, რომ აქ გატარებული ყოველი საათი ერთი თვის სიცოცხლეს გაკლებს. ფული თუ გაქვს, დაებაზე „ნაღბორს“ და დილიდანვე „კორპუსზე აგწვეს“. იქ დაისვენებ. იზანავებ, გამოიძინებ, შენიანებს დაუკავშირდები... მოკლედ, ადამიანად იგრძნობ თავს...

— ჩემიანებს დაუკავშირდები? — გაიკვირვა გიომ.

— ჰო, — დაუდასტურა ჯიბომ.

— როგორ? — ჩაეძინა გიო.

— ძმაო, შენ მთვარიდან ხომ არ ჩამოვარდნილხარ?! — ჩაიციხა ჯიბომ. —



რით იყვნენ დაკავებული: ერთ-ერთ მათგანს ჭვარტლით დაფარული, მცირე ზომის ქვაბი ეჭირა ხელში, მეორე კი, ქვაბის ქვედა მხარეს აღმოდებულ ქსოვილის ნაჭრებს უმარჯვებდა. აღმოდებული ქსოვილი სამინელ სუნს გამოსცემდა, მაგრამ პატიმრები ამას ყურადღებას არ აქცევდნენ. ყველა მოთმინებით ელოდა, თუ როდის ადულდებოდა ჩაის მუქი ნაყენი.

— ჩამოვეყი... — ერთ-ერთმა ახალგაზრდამ, რომელმაც თავიდან მიიხმო, რაღაცით გატენილი, კაპრონის ჩანთა მიუტაცა.

გიო, რომელიც ძლიერ დალილობას გრძნობდა, კმაყოფილი სახით ჩამოჯდა ჩანთაზე. ჩაიც ნამოდულდა. ახალგაზრდებმა სწრაფად ჩააქრეს ცეცხლი, მერე სითხე ქვაბიდან ორ ჭიქაში გაანაწილეს და სმას შეუდგნენ. ჩაის სმა თავისებურ რიტუალს წარმოადგენდა: ერთი პატიმარი ყელუხს მიიღებდა და ჭიქას სხვას გადასცემდა...

როგორ და — ტელეფონით!.. ციხეზე გვიან შემოვიყვანეს, თორემ აქ რა გამაჩერებდა?! მაგრამ არა უშვავს, ერთ ღამეს გაგძლებ, დილით კი... ციხეზე ახლობლები გყავს?

— არა, — თავი გააქნია გიომ.
— თანაც, პირველ „სროკზე“ ხარ!..
— მერე რა?! — გაიკვირვა გიომ.
— გაგიჭირდება... ძალიან გაგიჭირდება, — ჩაილაპარაკა ჯიბომ. — შენ ჯერ აზრზე არა ხარ, სად მოხვდი!..

— ვხვდები, — ამოიოხრა გიომ.
— გარეთ რას ჩალიჩობდი? — განაგრძო ჯიბომ.

— სტუდენტი ვიყავი...
— რაზე ზიხარ?
— მკვლელობასა და წამლის „ბარიგობას“ მტენიან...
— მოიცა, მოიცა, რა გვარი ხარ? — შუბლი შეიკრა ჯიბომ. — ჭელიძე?

გიოს უნდოდა, ეპასუხა — მართალი ხარო, — მაგრამ სწორედ ამ დროს, კარი გაიღო და ზედამხედველმა საკანში ის კაცი შემოვიყვანა, რომელთან ერთადაც გიომ თითქმის ორი საათი გატარა ფუქსში. როცა ზედამხედველმა კარი დაკეტა, მან აუჩქარებლად გადაკვეთა საკანი, გიოს სიახლოვეს შედგა და დამცინავი ხმით თქვა:

— არ ელოდი ჩემს ნახვას, ბიჭო?..
გიომ დუმილით უპასუხა.

— გეგონა, ვეღარ მოგძებნიდი?.. — კაცმა გიოს პირისპირ ჩაიმუხლა.
— რა ხდება, ძმაო?! — აღშფოთდა ჯიბომ. — რა, აქ ხალხს ვერ ხედავ?

— მე ამ კაცთან მაქვს საქმე? — როყოილ მიუგო კაცმა.
— მერე, რა არი, ჩვენთან არ ითქმის?..
— არ შეეპუა ჯიბომ.

— ამ ახვარმა ჩემთან მიქარა!
— „სვაბოდის“ საქმეებს კარანტინში არჩევ?! — გაიკვირვა ჯიბომ.

— რის „სვაბოდა“, რა „სვაბოდა“?! ფუქსში ხელით შემეხო! — მიუგო კაცმა.
— ასე იყო?.. — ჯიბომ გიოს გახედა.

— რას გულისხმობ შეხებაში? — მიუბრუნდა გიომ მოდავეს.
— ხელის დარტყმას, — მის მაგივრად უპასუხა ჯიბომ.

— არა, — თავი გააქნია გიომ, — ხელი არ დამირტყამს.
— ხედავ, რა ხდება, ძმაო?.. ეს კაცი ამბობს, ხელი არ დამირტყამსო!.. — ჯიბომ კაცს გაუსწორა მზერა.

— რა, ბიჭო? ხელი არ დაგიტყამს?! — ადგილიდან წამოიწია კაცი.
— არ დამირტყამს... ხელი გვარი, მაგრამ არ დამირტყამს!..

— ეგ ერთი და იგივეა...
— მერე, რა გინდა?! — მზერა გაუსწორა გიომ.

— წყნარად, გიომ!.. — გამაფრთხილებლად ესროლა ჯიბომ. — არა ხარ მართალი.
— მართალი არა ვარ?! — გაუკვირდა გიოს.

— ჰო, მართალი არა ხარ: ეს ციხეა, კრივის რინგი კი არა. აქ არავის აქვს მუშტი-კრივის გამართვის უფლება.
— გაიგე, ბიჭო?! — უმაღლ გამოცოცხლდა კაცი. — მიდი, ჩამოყაჭე — რატომ მკარი ხელი?

— მოიცა, მოიცა, ძმაო... — საუბარში ისევ ჯიბომ ჩაერთო. — საერთოდ, ვინა ხარ?..

— არ მიცნობ? — მოიღრუბლა კაცი.
— არა, ძმაო, არ გიცნობ. თქვი, ვინა ხარ.

— ტარასა გაგიგონია?
— ორიათასში, „ტუბზონაში“ ხომ არ იჯექი? — სახეზე დააკვირდა ჯიბომ.

— ჰო, — დაუდასტურა კაცმა.
— აზრზე ვარ, ვინცა ხარ, — თავი დაუქნია ჯიბომ, — მაგრამ ეს არაფერს ცვლის... ნაჯდომი კაცი ხარ და კარგად გეცოდინება, რომ კარანტინში ასეთი „რაზბორკები“ არ „მოსულა“.

— შენი აზრი შენთვის შეინახე! მე და ეს კაცი კი, თამაშით გავარჩევთ „ატანაშენიებს“, — მიუგო ტარასამ ჯიბოს და გიოს მიუბრუნდა: — ჰა, ბიჭო, მოდი, ვითამაშოთ.

— არა, — თავი გააქნია გიომ.
— მოდი, ბიჭო!.. თუ შეგახსენო, როგორ გეხერხება ხელების ქნევა?! — არ მოეშვა ტარასა.

— არა-მეთქი! — ხმას აუნია გიომ.
— მაშინ... — დაიწყო ტარასამ, მაგრამ ჯიბომ აღარ დაასრულებინა.

— თამაში გინდა, ძმაო?! — ცივად მიუგო ტარასას.
— ჰო, — ასევე ცივად დაუბრუნა სიტყვა მან.

— მერე, რა პრობლემა?! — ჩაიციხა ჯიბომ. — მე გეთამაშები. რა ვითამაშოთ?
— შენ? — აშკარად დაიბნა ტარასა.

— ჰო, მე... არ განყობს?..
— მე ამ კაცთან მაქვს საქმე და შენი ფული არ მაინტერესებს, — გამოსავალი იპოვა ტარასამ.

— „ზატო“, მე მაინტერესებს! — ცივად მიუჭრა ჯიბომ. — რას თამაშობ?
ტარასა რამდენიმე წამი დუმდა, შემდეგ, ჯიბოსკენ გადაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

— გვერდზე გავიდეთ.
— გავიდეთ, — დაეთანხმა ის და ფეხზე წამოდგა.

ჯიბომ და ტარასამ საკნის ჩაბნელებულ კუთხეში გადაინაცვლეს და იქ განაგრძეს საუბარი. რაზე ლაპარაკობდნენ, გიოსთვის უცნობი დარჩა. მის ყურამდე მხოლოდ ჯიბოს მიერ ბოლოს ნათქვამმა რამდენიმე ფრაზამ მიაღწია:

— შენ რა, ქურდებზე მაღლა აყენებ თავს?! ჭკუით, ბიჭო, თორემ, „გაგასნებ“, ვინ ვინ არის!..
ტარასამ ისევ ხმადაბლა დაუბრუნა პასუხი.

— აბა, ახლა დაახვიე აქედან და როგორც შემოხვედი, ისევე გაქრი! — თქვა ჯიბომ და თვალი თვალში გაუყარა თანამოსაუბრეს.

წამით გიოს მოეჩვენა, რომ ტარასა გააფრთხილებლად დაუძგერებოდა ჯიბოს, მაგრამ ამის ნაცვლად, ის კართან მივარდა და ბრახუნი ატეხა. ერთ წუთში, ტარასა შარშანდელი თოვლივით გაქრა საკნიდან, ჯიბომ კი გიოს მიუბრუნდა.

— ასეთი რა უთხარი? — გაოცებული სახით ჰკითხა მან.
— მაგის „ნასედავ“ დედაც!.. — შეიგინა ჯიბომ. — დაივიწყე... კიდევ ბევრ ასეთ

ახვართან მოგიწევს შეხვედრა. ჯობია, საკუთარ თავზე იფიქრო და მალე მოხვიდე აზრზე აქაური წესების ამბავში...

— რატომ ასეხენ ქურდები? — განაგრძო გიომ.
— შენ რა, ვერაფერს ხვდები?.. — გაუკვირდა ჯიბოს.

— რას უნდა ვხვდებოდე?
— ბიჭო, შენ ზაზა გორგაძის მკვლელობას გედავებინა! მას კი ციხეზე ძალიან ბევრი ახლობელი ჰყავდა...

— მაგაზე ტარასაც მაფრთხილებდა...
— ეს ნაბოზარი?! — ჯიბომ ცივი მზერა ესროლა საკნის კარს, საიდანაც ცოტა ხნის წინ ტარასა გავიდა. — იმის ნათქვამი დაიკვიდე, ჩვეულებრივი „ტორპედო“ იყო: ყური მოჰკრა, რა საქმეზეც ზიხარ და საკბილოდ ჩატევალა. აი, სხვებს კი, ასე ადვილად ვერც შენ მოიგერიებ და ვერც მე...

— ზაზა ჩემი მეგობარი იყო. ვინ დაიჯერებს, რომ მე მოვკალი?! — ჩაილაპარაკა გიომ.

— არ ვიცი და ვერაფერს გეტყვი. ადრე თუ გვიან, ეგ მაინც „გაიასნდება“. პროკურორთან თუ არა, აქ მაინც დავადგენთ მტყუან-მართალს, მაგრამ ერთ რჩევას მაინც მოგცემ: ისეთ კამერაში მოხვედრა იჩალიჩე, სადაც ასეთი ახვრები ვერ მოგწვდებიან. ეს დერეფნები და რკინის კარები შენნაირი არიფისთვისაა დაბრკოლება, ტარასასნაირი ნაბოზრისთვის კი — არა. ხომ ნახე, როგორ შემოვიდა და მერე, როგორ გავიდა!.. ამან თუ მოახერხა, სხვაც მოახერხებს... პატრონი გჭირდება, კაცი, რომელიც მხარში ამოგიადგება და აქაურობის ავანჩავანში გაგარკვევს.

— საიდან მოვიყვანო ასეთი კაცი?! — მხრები აიჩჩია გიომ.

ჯიბომ პაუზა გააკეთა და შემდეგ უთხრა: — ახლა ფული რომ არ გექნება, ისედაც ჩანს, მაგრამ „ნადზორს“ „პოსლეზე“ რომ დავებზარო, მაყუთს იჩალიჩებ?

— რისთვის?
— ჩემს საკანში „ავნეე“...
— მე ფული არა მაქვს... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა გიომ.

— სწრაფად ითვისებ აქაურ წესებს... — ჩაიციხა ჯიბომ.

— რა შუაშია აქაური წესები? — იწყინა გიომ.

— არ მენდობი და მართალიც ხარ. უცხო არ უნდა ენდო, მით უმეტეს — ციხეში, რამდენიმე წუთის წინ გაცნობილ კაცს... კაი, არ მჭირდება შენი ფული. მე თვითონ დავებზარები „ნადზორს“ და მაინც ჩემს საკანში აგიყვან.

— რისთვის?.. — უნებურად წამოსცდა გიოს.

ჯიბომ პაუზა გააკეთა. შემდეგ მისკენ გადაიხარა და ხმადაბლა უთხრა:

— იმიტომ, რომ ზაზა ჩემი ძმაცადა იყო და შენთან ერთად, უფრო ადვილად გავარკვევ, ვინ მოკლა... მაგრამ გაფრთხილებ, გიომ: ამ საქმესთან თუ მართლაც გაკავშირებს რამე, ცოცხალი ვეღარ გააღწევ აქედან. მთელი ცხოვრება ციხეში რომ გამატარებინონ, მაინც ჩემი ხელით მოგიღებ ბოლოს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გაიხ შენდასო:

„მოდესაც განქორწინების წამოცესი მიელი მსოფლიოს თვალწინ მიდინამოებს, ჯოჯობიოთმ გამოცდას ვადიხამ!“

„ჩვენი კეიტი, ინგლისური ვარდი, ბრიტანეთის ეროვნული სიმდიდრე“, — თავდაპირველად ჩემზე ასე ამბობდნენ, შემდგომ კი, როგორც უკანასკნელი ნაძირალა, ტალახში ამომსვარეს. ამ წყენის გადაყლაპვა ძალზე ძნელი იყო“, — ამბობს კეიტი უინსლეთი. განა რა ჩაიდინა ისეთი „ტიტანიკის“ ვარსკვლავმა, რომ თანამემამულეთა რისხვა დაიმსახურა? როგორც აღმოჩნდა, დიდი არაფერი, უბრალოდ... ქმარს გაეყარა.

— თქვენი განქორწინების შესახებ ყველა ქორაობდა...

— განქორწინება ნებისმიერი ნორმალური ადამიანისთვის ჯოჯობიოთური გამოცდაა, მაგრამ როდესაც ეს პროცესი მთელი მსოფლიოს თვალწინ მიმდინარეობს, როდესაც სახალხოდ გაკრიტიკებენ, გადანაშაულებენ, შენგან თავის მართლებას მოითხოვენ და შენი სიმართლე არ აინტერესებთ — მაშინ განქორწინების პროცესი აუტანელი ხდება. ვერაფრით ვხვდებოდი, თავი რატომ უნდა მეშართლებინა? ისედაც ცუდად ვიყავი. მე და ჩემმა მეუღლემ კარგად ვიცოდით, თუ რატომ ვიყრებოდით. სხვებს ეს არ ეხებათ. მაშინ თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მინის აკვარიუმში ვიჯექი — ჩემს ყველა ნაბიჯს, ემოციას, გრძნობას საქვეყნოდ განიხილავდნენ და ანალიზებდნენ, ათასგვარ სისაძაგლეს მიგონებდნენ.

მას შემდეგ, რაც 1997 წელს ფილმმა „ტიტანიკი“ კეიტი უინსლეთი საერთაშორისო ვარსკვლავად გადააქცია, მან ალიაქოთს თავი აარიდა. „ჩვეული ცხოვრების შეცვლა არ მინდა. არ მსურს, რომ „ტიტანიკმა“ ჩამძიროს“, — უთხრა კეიტმა მის აგენტს. პოლიეუდის მრავალ მიმზიდველ ნინადადებზე უარი განაცხადა და მაროკოს მიაშურა, რათა ინგლისურ მცირებიუჯეტის, დამოუკიდებელ სურათში „ექსპრესი მარაკეში“ მიეღო მონაწილეობა. სწორედ ამ გადაღებებზე გაიცნო მომავალი მეუღლე, რეჟისორის მესამე თანაშემწე ჯიმ ტრიპლტონი. კეიტმა მის მკლავებში ის მყუდრო ნავსაყუდელი იპოვა, რომელსაც ეძებდა. კეიტი ახალგაზრდა მეუღლის შესახებ აღფრთოვანებული ლაპარაკობდა და ამბობდა, რომ 4 შვილის გაჩენაზე ოცნებობდა. პუბლიკა შეიშობდა, — კეიტი ჭკვიანია, მას კარგად ესმის, რომ მისტერ „ნორმალური მამაკაცი“ ესაჭიროება და არა პოლიეუდელი „პირველი საყვარელი“.

სამწუხაროდ, „ნორმალური მამაკაცი“ ვარსკვლავის ქმრის როლისთვის მზად არ აღმოჩნდა. ცოლის წარმატებების საკუთარ მოკრძალებულ მიღწევებთან შედარება, ჯიში გალიზიანებასა და დამცირების შეგრძნებას იწვევდა. კეიტს მისი კარგად ესმოდა: ძნელია, როდესაც ცნობილი ცოლის შემოსავალი ქმრის შემო-

სავალს ასჯერ აღემატება. ამიტომ, უფრო ნაღისტების საყვარელ შეკითხვაზე: — „თქვენს ოჯახში შარვალი ვის აცვია?“ — კეიტი ომბახინად პასუხობდა, — თითოეულს თითო შარვალი გვაქვსო. როდესაც კეიტი დაორსულდა, ოჯახში დაძაბულობამ ოდნავ იკლო. „ლონდონურ ორსართულიან ავტობუსს დავემსგავსე, ჯიმი კი უწინდებურად ფიქრობს, რომ მსოფლიოში ყველაზე მიმზიდველი და სასურველი ქალი ვარ! ის მართლაც არაჩვეულებრივია!“ — ამბობდა აღფრთოვანებული კეიტი. ქალიშვილის დაბადების შემდეგ, უინსლეთმა წონაში ოდნავ დაიკლო. ვინ თქვა, რომ მაყურებელს მხოლოდ გაჩხინებული მსახიობები მოსწონს, რომელთაც ნორმალური ქალური ფორმები არ გააჩნიათ? პუბლიკა აღფრთოვანებული იყო. სხვა ვარსკვლავებისგან განსხვავებით, რომლებიც გულის გამანვრილებელი დიეტებით თავს იტანჯავენ, უინსლეთი ზედმეტ კილოგრამებს არაფრად აგდებს და არ მალავს, რომ საკუთარი აღნაგობა ძალიანაც მოსწონს! ჯიმ ტრიპლტონი კვლავ აწრიალდა: მისი ცოლი კვლავაც მრავალთა კერძია — თავად კი მეუღლის „უფასო დამატება“. ჯიმში უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და საკითხი ასე დასვა: კეიტი ან ცოლი და დედა იქნება ან — მსახიობი. უინსლეთს წყენა ახრჩობდა: — პოლიეუდისკენ თავდაც არ ილტვოდა. სახლში რომ მეტხანს ყოფილიყო, მხოლოდ მეორეხარისხოვან როლებზე თანხმდებოდა, მაგრამ მსახიობობაზე საერთოდ უარის თქმა, არ შეეძლო. მისთვის აშკარა გახდა, რომ ისინი ერთმანეთს ბედნიერებას ვეღარ ანიჭებდნენ. მათი გართულებული ურთიერთობები კი, ქალიშვილის ფსიქიკას ზიანს აყენებდა. 2001 წლის სექტემბერში კეიტმა განქორწინებაზე სარჩელი შეიტანა, გადაწყვეტილების კომენტირებაზე უარი განაცხადა და პრესას მხოლოდ რამდენიმე სიტყვით განუმარტა:

„ერთმანეთს მეგობრულად ვცილებდით. ჩვენს გოგონას მუდამ მოყვარული დედამა ვყოლებოდა“.

— პუბლიკა მაინც რას გერჩობდათ? რა ცოდვებში გადანაშაულებდით? იქნებ, ახსნა-განმარტების მიცემა მაინც ღირდა?

— არა! სიცრუის კომენტირება შეუძლებელია! ჩვენს განქორწინებაში მხოლოდ მე დამადანაშაულებს, ჯიმი კი უცოდველ მსხვერპლად შერაცხეს. უფრო მეტიც — პრესა წერდა, რომ მე არაფრის მაქნისი, უყურადღებო დედა ვარ. მთელ დროს გადაღებებსა და წვეულებებზე ვატარებ, ქმარი კი შინ ზის და მისა უფლის. სინამდვილეში კი, შვილი 2 საათითაც არ დამიტოვებია! წარმოუდგენელია, ნუთუ საჯაროდ უნდა ვამტკიცო, რომ დედობრივ მოვალეობას ვასრულებ? რომ ჩემი შვილი მიყვარს? ეს ხომ აბსურდია! იმასაც ამბობდნენ, თითქოს ჩემი ჭეშმარიტი სახე გამოვჩინე — ჯიმი კარიერის გამო მივატოვე. თითქოს მივხვდი, რომ იგი შოუბიზნესის სამყაროში არ „ეწერება“... ღმერთო! ეს სიცრუე ჭკუიდან მშლიდა. თვალწინ საშინელი სურათი წარმომიდგებოდა — უკვე გაზრდილი მია ბიზნესლითეკაში მიდის, სადაც მას ჩემ შესახებ დაწერილი სტატიების გროვას აჩვენებენ... იცით, ამ დევნამ ჩემი ბავშვობა გამახსენა. საკმაოდ მსუქანი და მოუქნელი ბავშვი ვიყავი და ამიტომ თეატრალური



ფილმში — „ტიტანიკი“, ლეონარდო დიკაპრიოსთან ერთად

სკოლაში თანაკლასელები ხშირად დამცინოდნენ. მათთვის არაფერი დამიშავებია, მაგრამ მათ რატომღაც ძალზე აღიზიანებდათ, რომ ამ მსუქან გოგოს მსახიობობა სურდა! ისინი, ყველანი ლამაზები, ჩამოქნილები არიან, ეს გაბერბილი „ბუმტი“ კი მათ ედრება?! ამ დამოკიდებულებას ვერაფერი მოვუხერხე, რითი უნდა შევბრძოლებოდი?

— თქვენს ბოლო სურათში, „ენების მარადიული ნათება“ თქვენი გმირი შეყვარებულში იმედგაცრუებული ქალი, სატრფოს უბრალოდ კი არ შორდება, არამედ ცდილობს, საკუთარი ცნობიერებიდან მტკივნეული მოგონებები ქარურგიული ოპერაციის მეშვეობით „ამოკვეთოს“. თავად თუ შეძლებდით ამის გაკეთებას?

— არა! ცხოვრებაში არაფერი მინანია. რაც იყო — იყო. ჯმითან ქორწინება როგორ ვინანო, როდესაც ამ ქორწინებამ სათაყვანებელი ქალიშვილი მაჩუქა! თანაც, არ მიყვარს, როდესაც ჩემი გმირები მე მგვანან. მომწონს, როდესაც საკუთარ თავს

პირველი ოჯახის დანგრევაში თითქოსდა, საბედისწერო როლი ითამაშა.

კემბრიჯის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ინგლისელი რეჟისორი სემ მენდესი ლონდონის თეატრს — Donmar Warehouse ხელმძღვანელობს. სტივენ სპილბერგის აზრით, თანამედროვე რეჟისორთა შორის სემ მენდესზე უკეთ არავის ძალუძს, თეატრალურ ქმედებას კინემატოგრაფიულობის აუცილებელი დოზა შემატოს, გადასალბ მოედანზე კი ნამდვილი სპექტაკლი გაითამაშოს. სპილბერგმა სწორედ მენდესს მიანდო ფილმის — „ამერიკული სილამაზე“ გადაღება, რომელმაც შემდგომ 5 „ოსკარ“ მოიპოვა. სემმა „ოსკარი“ საუკეთესო რეჟისურისთვის მიიღო. სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის ინგლისის დედოფალმა მენდესს ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალრის საპატიო წოდება მიანიჭა. ორიოდე წლის წინ კი, ინგლისის თეატრალური სამყაროს ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — სერ ლოურენს ოლივიეს სახელობის 3 პრემია მიიღო (სპექტაკლების, „ძია ვანია“, „მეთორმეტე ღამე“ დადგმისა და თეატრალურ საქმეში განუვლი ღვაწლისათვის). დაჯილდოების საზეიმო ცერემონიაზე კეიტ პირველ რიგში იჯდა და ცრემლები ვერ შეიკავა, როდესაც მენდესმა განაცხადა, რომ ყველა ჯილდოს მას უძღვნის, რადგან ვერაფრით შექმნიდა 2 სპექტაკლს სიყვარულის შესახებ, გვერდით საყვარელი ქალი რომ არ ჰყოლოდა.

— მენდესი როგორ გაიცანით?

— 2001 წელს მენდესმა მოლაპარაკებებზე მიმინვია. მაშინ სწორედ ამ სპექტაკლებისთვის მსახიობებს არჩევდა. მას სურდა, რომ ორივე სპექტაკლში მეთამაშა, მაგრამ მე უარი ვთქვი, რადგან უკვე ორსულად ვიყავი, კონტრაქტი კი 6 თვით შემომთავაზეს. მაშინ ოჯახის შეწარმუნებას ვცდილობდი და ბევრი სამუშაოს აღებას თავს ვარიდებდი... მოგვიანებით, როდესაც ჯიშს დავმორდი, ერთმანეთს ისევ შევხვდით. გული ძალზე დამძიმებული მქონდა და ასე მალე ვინმესთან სასიყვარულო რომანის გაბმას სულაც არ ვაპირებდი, მაგრამ საბედნიეროდ, ეს მაინც მოხდა. როდესაც ჩვენი შეხვედრების შესახებ ცნობილი გახდა, საბრალო სემი ჩემი ოჯახის დანგრევაში დაადანაშაულეს, მე კი ღალატი დამნამეს.

„კეიტ უინსლეტმა მდიდარი, წარმატებული და სახელოვანი საყვარლის გამო ქმარი მიატოვა! მკაცრი ინგლისური ტრადიციების მიხედვით აღზრდილმა, ჩვენმა მალალი ზნეობის კეიტმა გაბედა და ქმრის გვერდით საყვარელი გაიჩინა!“ ნუთუ უნდა მემტკიცებინა, რომ ეს ათასგზის სიცრუეა? თარიღები, რიცხვები და მოწმეები მომეშველიებინა? იქნებ, საშველად აღან



ქმართან, რეჟისორ სემ მენდესთან ერთად

პარკერი უნდა მეხმო (მაშინ მისი ფილმის — „დევიდ გვილის ცხოვრება“ გადაღებებით ვიყავი დაკავებული), რომელიც დაადასტურებდა, რომ მე და სემი ერთმანეთს დიდხანს შორიდან ვუვლიდით, რომ მას ერთმანეთის შესახებ კითხვებს ვუსვამდით?.. მესმის, რომ ხალხს უარყოფილი, დანაგრული, უიღბლო ჯიშის ებრალებოდა, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის, რომ მან წარმატებას ვერ მიაღწია. ვიმეორებ — მხოლოდ ჩვენ, ორმა ვიცით, ოჯახი რატომ ვერ შევინარჩუნეთ!

2001 წლის დეკემბერში კეიტ უინსლეთი და ჯიმ ტრიბლტონი გაიყარნენ. ბიროტი ხმები ირწმუნებოდნენ, რომ ყოფილი ქმარი კეიტს სასამართლოში უჩიოდა და შვილზე მუშურვეობის უფლების მოპოვებას ცდილობდა, მაგრამ ჭორი ჭორადვე დარჩა. განქორწინების შემდგომ ტრიბლტონმა სახლი, 500.000 გირვანქა სტერლინგი და მათი საპროდიუსერო ფირმის წილი მიიღო... მისი ამჟამინდელი გელფრენდი ამბობს, რომ ხმები ჯიშის მძიმე განცდებისა და შერიგების მცდელობების შესახებ, მეტისმეტად გაზვიადებულია. მას ცოლი ნამდვილად უყვარდა, მაგრამ ვარსკვლავური ცხოვრება არასდროს ხიბლავდა... ახლა, როდესაც ჯიმ ტრიბლტონი ქალიშვილთან სტუმრად მიდის ხოლმე, კეიტთან და სემთან მშვიდად საუბრობს და მათთან ერთად ყავას აუღელვებლად მიირთმევს.

— ყოველივე იმის შემდეგ, რის გადატანაც მოგიხდათ, ნუთუ ქორწინების არ გეშინოდათ?

— არ შემშინებია, რადგან ვიცოდი, რომ სწორად ვიქცეოდი. როდესაც იმ ერთადერთ მამაკაცს იპოვი, რომელიც შედისწერამ შენთვის გააჩინა, სრულიად განსაკუთრებული გრძნობა გეუფლება, რომელიც არ გიმტყუნებს. ეს ინტუიციაა, მე კი ის ადამიანი ვარ, რომელიც ინტუიციას ბოლომდე ენდობა. ხშირად მეუბნებიან, რომ ცხოვრებას ვარდისფერი სათვალთ შევყურებ, მაგრამ სემის გვერდით სრული ბედნიერება პირველად შევიგრძენი. როგორც ამბობენ, ერთმანეთს შევეყვარებთ, რადგან ორივე ცნობილი ადამიანები ვართ, მაგრამ სემი ფოსტალიონი რომ ყოფილიყო, სწორედ ასევე მეყვარებოდა... და მაინც, შესანიშნავია, რომ ის არაჩვეულებრივი მეუღლე და ამასთან ერთად, ბრწყინვალე რეჟისორია. ძალზე მსიამოვნებს, როდესაც მეუბნება, რომ მე კარგი მსახიობი ვარ.

თავდაპირველად არავის ეგონა, რომ მათი რომანი დიდხანს გასტანდა. 35 წლის



ქმართან და ქალიშვილ მისთან ერთად, 2000 წლის 14 ოქტომბერი

ბრძოლაში ვინვევ და ჩემთვის სრულიად უცხო ხასიათებსა და გრძნობებს ვთამაშობ. მსახიობობა სხვა არაფერია, თუ არა სურვილი, სხვებისგან გამორჩეული იყო და საკუთარი შესაძლებლობანი წარმოაჩინო. საინტერესოა, როდესაც სხვა ადამიანის ტყავში „შეძვრები“, როდესაც სხვათა ემოციებში ეფლობი და საკუთარ განცდებს დროებით მაინც ივიწყებ. სხვისი ემოციები სამარცხვინო არ არის, მათ დაფარვა არ ესაჭიროება.

— უამრავი რამ ერთდროულად დაგატყდათ თავს — განქორწინება, თქვენდამი პუბლიკის დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება, იმიჯის შეცვლა, ამ ფსიქოლოგიური გამოცდის ჩაბარებაში რა დაგეხმარათ?

— პირველ რიგში ჩემი მშობლები, და-ძმა დამეხმარნენ... და რა თქმა უნდა, სემ მენდესი — მამაკაცი, რომელმაც ჩემი

სემ მენდესი პლეიბოის რეპუტაციით სარგებლობდა და სერიოზულ ურთიერთობებს გაურბოდა; მშობლების განქორწინების შემდგომ, ქორწინებაზე ფიქრიც კი თავზარს სცემდა და მას „სრულ ილუზიას“ უწოდებდა. მაგრამ კეიტთან ყველაფერი სხვაგვარად მოხდა! წყვილმა ლონდონში სახლი შეიძინა, ისინი ბევრს მოგზაურობდნენ. ყველას ერთი კითხვა ანუხებდა: იქორწინებენ? მაგრამ სემი და კეიტი მოვლენებს არ აჩქარებდნენ, საკუთარ ბედნიერებას თვალისჩინვით უფრთხილდებოდნენ. ამიტომ მხოლოდ 2003 წელს, სრულიად საიდუმლო ვითარებაში იქორწინეს. საიდუმლო საქორწინო ცერემონიიდან რამდენიმე კვირის შემდეგ კეიტმა შეიტყო, რომ ორსულად იყო... მალე, კეიტისა და სემის ვაჟს, ჯოს 2 წელი შეუსრულდება...

სამუშაოს და ოჯახს ერთმანეთს როგორ უთავსებთ?

— უბრალოდ, ჩემთვის ოჯახი პირველ ადგილზეა. წელიწადში მხოლოდ ერთ ფილმში ვთამაშობ, ანუ მხოლოდ 10-12 დღე ვარ დაკავებული, დანარჩენ დროს კი ასპროცენტისანი დედიკო ვარ, რომლისთვისაც შვილები ყველაფერზე ძვირფასია. სემის გარეშე ძალზე გამიჭირდებოდა. როდესაც ორსულად ვიყავი, სპეციალურად შევბუღება აიღო. ჯოს დაბადების შემდეგ მუდამ ცდილობს, ჩვენთან რაც შეიძლება მეტხანს იყოს. ვფიქრობ, მსახიობის პროფესია, იმ იშვიათ პროფესიათა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც ქალს შვილს გაჩენის საშუალებას აძლევს. ჩვენ, მსახიობებს სხვა დედებთან შედარებით, მრავალი პრივილეგია გვაქვს. შეგვიძლია, ჩვენი სამუშაო გრაფიკი დავგეგმოთ, ბავშვები გადავლებოთ თან წავიყვანოთ. ერთხელ ერთი დღით ლოს-ანჯელესში უნდა გაფრენილიყავი, როდესაც მის ვუთხარი, რომ ხვალ სამუშაოდ მივდიოდი, მან გაცხებულმა მკითხა: „შენ მუშაობ?“ ეს ხომ შესანიშნავია. ჩემი შვილი იმ შეგრძნებით იზრდება, რომ დედა მუდამ მის გვერდითაა, მიჩვეულია, რომ საუზმეს მუდამ დედა უმზადებს. ერთხელ, ჩემ შესახებ თქვეს, რომ პოლიფუდი დილის საუზმეს ვანაცვალე. ძალიანაც კარგი! იქნებ, უბრალოდ, მე გამომართლა? „ტიტანიკის“ წარმატების შემდგომ, შემიძლია თავს იმ ფუფუნების უფლება მივცე, რომ კარიერაზე აღარ ვიფიქრო — ჩემ წინაშე ხომ ფანტასტიკური შესაძლებლობანი გადაიშალა.

რომ არა „ტიტანიკი“, შესაძლოა, დიდ კინემატოგრაფში ვერ მოხვედრილიყავით?

— მე მსახიობთა ოჯახში გავიზარდე, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებს ვარსკვლავური ამბიციები არ ანუხებდათ. ბებია და ბაბუამ მშობლიურ ქალაქში სარეპერტუარო თეატრი დააარსეს. ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება შრომობდნენ და მაშინაც ბედნიერები იყვნენ, როდესაც პატარა როლებს თამაშობდნენ. ასევე ცხოვრობენ ჩემი დებიც. საზოგადოდ, ინგლისელ მსახიობთა ოცნების ზღვარი — თეატრში მუშაობა ან „საპნის ოპერის“ ეპიზოდური როლებია. მეც ამით დავიწყე. ზოგჯერ ახლაც არ მჯერა, რომ კინოვარსკვლავი გახვდი.



დიდის ამჟამინდელი შეყვარებული ასლა ორსულადაა. მან 1996 წელს მუსიკოსს ვაჟი კრისტიანი აჩუქა. „დაიხ, ჯენიფერს ვხვდებოდი. ის მართლაც, უმშვენიერესი ქალია, მასთან ყოფნა სასიამოვნო იყო. მაგრამ — ეს იყო და ეს, ჩვენს ურთიერთობას სიყვარულს ვერ ვუწოდებ. ჩემი ერთადერთი სიყვარული — კიმ პორტერია. ამიტომ მასთან ვარ და არა ჯენიფერთან“, — დასძენს პი დიდი.

პი დიდის ლტექსი აბ ჰყვარებია...

სულ ცოტა ხნის წინ პი დიდი აცხადებდა, რომ მისი უკანასკნელი ალბომის — Press Play შექმნა ჯენიფერ ლოპესმა შთააგონა. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით გულწრფელად აღიარებს, რომ ჯენიფერი ჭეშმარიტი სიყვარულით არასოდეს ჰყვარებია, მაშინაც კი, როდესაც მათ რომანს ყველაზე ვნებიან და ეფექტურ ვარსკვლავურ რომანად მიიჩნევდნენ. რეპერი ამბობს, რომ მისი ჭეშმარიტი სიყვარული მუდამ იყო და მომავალშიც, კიმ პორტერი იქნება. პი

პამელა ანდერსონი ჯაბ კიდეუ მალიმდელი მამუელია...

ზოგჯერ პამელა ანდერსონი ქმარს ნიკ როკს ანებივრებს და ლოგინში იმ ცნობილ წითელ საცურაო კოსტიუმს იცვამს, რომლითაც სერიალის — „მალბურს მამუელები“ — მაცურებელს ხიბლავდა. „ამ კოსტიუმს რომანტიკული მიზნით ვიყენებ, ვალიარებ — ამართლებს კიდეც“, — ამბობს პამელა, რომელსაც ამჟამად მხოლოდ ერთი „ვარსკვლავური“ კოსტიუმილა შერჩა. მეორე საცურაო კოსტიუმი უცნობმა ქალმა გაანადგურა, რომელიც მსახიობის სახლში შეიჭრა, ის სამოსი ჩაიცვა, ვენები გადაიჭრა და თვითმკვლელობა სცადა.




პიფ დოერტი და კეიფ მისი იცბტწინემენ!



როგორც იქნა! პიფ დოერტი და კეიფ მოსი, ბოლოს და ბოლოს, იქორწინებენ! საზეიმო ცერემონია მოსის დაბადების დღეს, 1-ელ იანვარს ესპანეთის კუნძულ იბიცაზე გაიმართება. ნეფის ხელისმომკიდდე ჯუფის — Libertines — ყოფილი წევრი კარლ ბარატი მოგვევლინება. პიფ დოერტიმ შეყვარებულს ბევრჯერ სთხოვა ხელი, მაგრამ კეიტი უარზე იყო. მოდელი მუდამ ამბობდა — ქორწინებაზე მანამ არ დათანხმდებოდა, ვიდრე პიტი ნარკომანიისგან არ განიკურნებოდა. ახლა, როდესაც მუსიკოსმა მკურნალობის კურსი ჩაიტარა და დამლუბველი ჩვევისგან გათავისუფლდა, კეიტმა გადაწყვეტილება მიიღო და გულის სწორი გააბედნიერა.

ნაცალი პბტმანი ბტმბლდს ხვდება

„ვარსკვლავური ომების“ დედოფალი ნატალი პორტმანი პლანეტის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს ხვდება! როტშილდების დინასტიის მემკვიდრემ, 35 წლის ბანკირმა ნათანიელ როტშილდმა ნატალი ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში მიიწვია. ახალგაზრდა ბანკირი მიმზიდველი გარეგნობის მამაკაცია, ამ მიმზიდველობას მისი მრავალმილიონიანი ქონება კიდევ უფრო აძლიერებს. „ნატალი შეხვედრავ მარტო მოვიდა. ის საკმაოდ სადად იყო ჩაცმული, არც კი მჯეროდა, რომ თავად როტშილდთან ერთად ვახშობდა. სუფრასთან 3 საათზე მეტხანს ისხდნენ. შემდეგ, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ“, — მოუყვა პრესის წარმომადგენელს ამ პაემნის ანონიმმა მოწმემ.



„ჩემს დროს თინეჯერები სულ სხვანაირები იყვნენ — ვფიქრობდით სწავლაზე, სკოლაზე და მინიმალური დოზით ვერთობოდით. დღევანდელი მოზარდები კი ნაადრევად ცდილობენ „დიდობას“ ანუ თუ მე და ჩემი მეგობრები 13 წლის ასაკში თოჯინებით ვთამაშობდით, ესენი იმაზე ფიქრობენ — სვალ რა ჩაიცვან და როგორი მაკიაჟი გაიკეთონ“, — მითხრა მომღერალმა ეპა ბაპინტაშვილმა, რომელსაც როგორც თვითონ ამბობს, ამ ასაკში ყოველთვის გრძელი (მუხლს რომ ფარავდა) ქვედაბოლო ეცვა და კიკინი ეკეთა. „მინი-იუბკას“ კი მხოლოდ მაშინ იცვამდა, როცა სკოლაში არ მიდიოდა.

მოქალაქე „ბაქაიღებელი“ მანიკი, ბაქალიზიკნებული „პროფესია“ და „დაკლავილი“ კიკინები

„პატარა ბიჭს ველოდებოდი, ვიღაც ახმახი რომ მომადგა“...

ლიკა ქაჩაია

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— საგნებს, რომლებიც მიყვარდა, კარგად ვსწავლობდი, მაგრამ რაც არ მომწონდა, იმის რა მოგახსენო?!
— რომელი საგანი არ მოგწონდა?

— მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია — ტექნიკურ საგნებს ვერ ვიტანდი, „პროსტო“, მასწავლებლებს ძალიან ვუყვარდი და ნიშნებს არ მიფუჭებდნენ. სამაგიეროდ, ძალიან კარგად ვსწავლობდი უცხო ენას, ქართულ ლიტერატურას და ა.შ.

— კლასში „სასტავებად“ არ იყოფოდით?

— „კუთოკებად“ დაყოფა ყოველთვის იყო და იქნება, რადგან შანსი არ არის, რომ ათეულობით ბავშვმა ერთმანეთს გაუგოს. მიუხედავად ამისა, არ მახსოვს, რომ ოდესმე რომელიმე კლასელთან მეჩხუბა. მყავდა 2 დაქალი. მათთან საერთო ენა ადვილად გამოვინახე, რადგან საერთო მიზნები გვქონდა და 24 საათის განმავლობაში ერთად ვიყავით...

— „სასტავებში“ ბიჭები რატომ არ გყავდათ?

— არ ვიცო... თუმცა, მყავდა რამდენიმე მეგობარი ბიჭიც. სამწუხაროდ, დღეს ერთ-ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის. სხვათა შორის, იმ ბიჭის შიშით, მე და ჩემს მეგობრებს ვერაფერს გვეკარებოდა, ხმას ვერ გვცემდნენ და ჩვენც ამაყად დავდიოდით ხოლმე.

— ძველი ბიჭი იყო?

— დაახლოებით... ვინმე ზედმეტს თუ გაგვიბედავდა, ის საცოდავი მას აუცილებლად სცემდა. ამიტომ თავყანისმცემლებიც ვერ გვეკარებოდნენ (იცინის).

— ეკა, მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— როგორ გვეადრება, ძალიან ჭკვიანი და პატიოსანი მოსწავლე ვიყავი... ერთხელ დედაჩემი საზღვარგარეთ წავიდა და იქიდან ძალიან მაგარი თვსაფარი ჩამომიტანა. მასზე რა აღარ ეხატა — ეიფელის კოშკი, თავისუფლების ქანდაკება, სფინქსი და ა.შ. მოკ-

ლედ, ამ საჩუქარმა ძალიან გამახარა და სკოლაში თავმომწონედ წავედი. დასვენებაზე ბუფეტში შევედი და შეიძლება ითქვას, რომ „გმარიაუობდი“. მერე გაკვეთილზე ავედი — მათემატიკაში საკონტროლო წერა გვქონდა და იქ აღმოვაჩინე, რომ თავსაფარი აღარ მქონდა. დავინწყე ტირილი: რა მემშველება, დედა! „კასინკა“ ჩამომიტანა, მე კი უცებ დავკარგე-მეთქი. მათემატიკას ერთი ძალიან საყვარელი კაცი გვასწავლიდა. ის მოვიდა და სცადა, დავწყნარებინე: ბუფეტში ჩადი, იქ დაგრჩებოდაო. გავიქეცი, მაგრამ იქაც ვერ ვიპოვე და უკან ღრიალით დაბრუნდი. ვერ გამაჩერეს, ვყვიროდი: ჩემი ლამაზი „კასინკა“ და ჩემი საყვარელი „კასინკა“ დავკარგე-მეთქი. მოკლედ, იმდენი ვიტყვი, რომ იმ კაცმა საკონტროლო წერა ჩაშალა და მთელი კლასი ჩემი თავსაფრის მოსაძებნად გაუშვა. მე კი კლასში ვიჯექი და მოვთქვამდი. ცოტა ხნის მერე, ხელი ჯიბეში (ცხვირსახოცის ამოსაღებად) ჩავიყავი და იქ აღმოვაჩინე ის, რასაც ასე მწარედ დავტყიროდი. ძალიან შემრცხვა და მასწავლებელს მოვუბოდიშე, ის კი იდგა და ისევ მამშვიდებდა.

— „მატალოზე“ არ დადიოდით?

— სკოლიდან მხოლოდ ერთხელ გავიპარე და მაშინაც დედაჩემმა ისე მცემა (მცემა რა, კიკინები დამაწინუნა), რომ თავებდი მანყეულნი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დილით გამაფრთხილა: დღეს სკოლაში მოვალ, გაკვეთილებიდან გაგათავისუფლებო. მას ხმის ჩამწერ სტუდიაში უნდა წავეყვანე, სადაც ჩემი პირველი სოლო სიმღერა უნდა ჩამენერა. ზუსტად იმ დღეს, მთელი კლასი „მატალოზე“ წავიდა და მარტო ხომ არ დავრჩებოდი?! ამ დროს, დედაჩემიც მოსულა, ეცნენ თურმე მასწავლებლები და მთელი ჯოხი მასზე გადატყდა... სახლში გახარებული მივედი და დედას ვუთხარი: დე, სტუდიაში არ მივდივართ-მეთქი? ნასვლამდე თმით დამითრია და სიმღერის ჩასაწერად ნამტირალევი, თვალებდასიკვებული ნამიყვანა. მახსოვს, ძალიან მხიარული რაღაც უნდა მემღერა, მაგრამ რა მემღერებოდა?... თუმცა, საბოლოო ჯამში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.



— მშობლები რაიმეს გიკრძალავდნენ?

— რა უნდა აეკრძალათ? სიგარეტის სუხს მე ვერ ვიტანდი და ქუჩაში არ დავბორიალებდი... თუმცა, დედა ტელეფონზე ლაპარაკს მიკრძალავდა, იმისდა მიუხედავად, რომ სულ გოგონებს ვეჭვორავებოდი.

— იქნებ, ამიტომაც გიკრძალავდა?

— შეიძლება. მეუბნებოდა, რა გაქვს ამდენი სალაპარაკო... ბიჭებს არ ველაპარაკებოდი. საერთოდ, როცა ადამიანს არ იცნობ და ტელეფონით ელაპარაკები, ეს უაზრობად და უსაქმურთა გართობად მიმაჩნია.

— ეი. ვირტუალური ნაცნობობის მომწრე არა ხარ?

— ღმერთმა დამიფაროს. პიროვნებას რომ ველაპარაკო, მას პირველ რიგში, უნდა ვიცნობდე... იცი, რა გამახსენდა? — ერთი პერიოდი, ჩემი ძმა მიკრძალავდა მინიკედ-აბოლოების ჩაცმას და კიდევ კარგი, რომ ამ ახირებამ მალევე გადაუარა.

— თინეჯერობის ასაკში ცდილობდი თუ არა, რომ სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავი?

— არა, მაგრამ რადგან ბავშვობიდანვე ვმღერი, ყოველთვის კარგად უნდა მცმოდა. დედაჩემი სად შოულობდა არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის მაგარ რაღაცებს ყიდულობდა ხოლმე. ახლა მეუბნება: სანამ მე გაცემედი, რა კარგი იყავი და შენს ჭკუაზე რომ დაინწყე ჩაცმა, მერე აურიეო. არ მოსწონს ის, რომ 24 საათის განმავლობაში ჯინსის შარვალი მაცვია. ძალიან მოსწონდა, როცა „მინიიუბკა“ მეცვა და ფეხები მიჩანდა. მამაჩემიც მეუბნება: ბავშვობის მერე, შენს ტანზე კაბა არ მინახავს, რა სულ კაცივით შარვალში ხარ გამოპრანჭულიო... მახსოვს, პირველად თბილისში სტრეიჯის ქსოვილის შარვალი მე ჩავიცვი. ქუჩაში ხალხი მაჩერებდა და მეკითხებოდა: ყველაფერს გაფიცებ, გვითხარი, ამ შარვალში როგორ ჩაეტიეო? (იცინის).

— შეყვარებული თუ გყავდა?

— შეყვარებული კი არა, 20 წლის ისე გახვდი, რომ ბიჭისთვის ისიც კი არ მითქვამს — მომწონსარ-მეთქი.

— როგორ ფიქრობ, მისაღება თუ არა, რომ ბიჭს სიყვარული გოგომ აუხსნას?

— მიმაჩნია (და ჩემს აზრს თავზე არავის ვახვევ), რომ ინიციატივა გოგოსგან თუ წამოვიდეს, ბიჭს რაღაც დონით ეს თავში აუვარდება, ამიტომ ჯობია, ბიჭმა იაქტიურროს და როცა ეს მოხდება, გოგო მას კისერზე კი არ უნდა ჩამოვიდოს, არამედ უნდა აგრძნობინოს, რომ მოსწონს.

— თინეიჯერობის ასაკში როგორ ტოტები მოგწონდა?

— მაშინ ჟურნალებიდან ვჭრიდი მოდ-



ლაშაში ბიჭები აღარ მიმიდავს

ელი ბიჭების ფოტოებს და მასსოვს, ყველაზე მეტად ერთი ესპანელი ტომპოდელი, ვილაც ვერნერი მომწონდა, რომელიც მართლაც ძალიან ლამაზი იყო — ჰქონდა ქერა თმა, ძალიან პატარა ტყვიანი და ა.შ. დღეს კი ასეთი ლამაზი ბიჭები აღარ მიზიდავს.

— აბა, როგორები მოგწონს?

— უფრო მამაკაცურები. დღეს კაცებს სულ სხვა საზომით ვზომავ. მაშინ მთავარი იყო ის, რომ ჩემი რჩეული „კრასაჯიკი“ ყოფილიყო, დღეს კი ყურადღებას ვაქცევ მათ ინტელექტს, სხაიას და ა.შ.

— ეი, გემოვნება დაგეზვნა?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ადრეულ ასაკში რომ გავთხოვილიყავი, ახლა შეიძლება თავი უბედურ ქალად მეგრძნო.

— მიგაჩნია, რომ ადრეულ ასაკში ოჯახს შექნა უბედურების მომტანა?

— არა, მთლად ასე არ არის. მაგალითად, თუ თინეიჯერი გოგო უფრო ასაკოვან, ჩამოყალიბებულ კაცზე თხოვდება, ეს სხვა ამბავია, მაგრამ თუ თინეიჯერს მიჰყვება, მაშინ... საერთოდ, გოგონები გონებრივად უფრო ადრე ყალიბდებიან, ვიდრე ბიჭები, მათი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა და როცა ამას მიხვდებიან, უკვე ძალიან გვიანი იქნება.

— თინეიჯერობის ასაკში როგორ ერთობოდი?

— კვირაში ერთხელ მაინც კონცერტებზე გამოვდიოდი, დავდიოდი გასტროლებზე (იმ

პერიოდში რომ დავდიოდი, ახლა იმის ნახვარს რომ დავდიოდე, კარგი იქნება) და ა.შ. მოკლედ, ძალიან მაგარი თინეიჯერობა მქონდა. მაშინ შეიქმნა ჯგუფი „სეთი“ (1997 წელს) და „ვერიალებით“. მაშინ „ცვეტში“ იყო რესტორანი „მეტეხი“, სადაც იმართებოდა კარნავალები. იქ ჩვენც გვეპატიუბოდნენ და ძალიან მაგრად ვერთობოდი ხოლმე.

— გოგონები რომ შევიკრიბებოდით, თქვენი ძირითადი საჭორაო თემა რა იყო?

— „სეთის“ გოგონებმა ასეთი რაღაც მოვილაპარაკეთ: ერთი კვირა სოფოსთან ვრჩებოდით, მეორე კვირა თიკასთან, მერე ჩემთან და ისე გამოდიოდა, რომ 24 საათი ერთად ვიყავით, მაგრამ საჭორაო თემა მაინც არ გველეოდა. ვლაპარაკობდით თავყანისმცემლებზე — ვინ რა გამოაგზავნა, როდის დარეკა, რა თქვა და ა.შ. იცი, ყველაფერს თავისი დრო აქვს, ახლა რომ მიტხრან: ჩემთან წამოდი და ერთი კვირა დარჩიო, მაგის არანაირი ლურჯილი არა მაქვს.

— ანუ დაქალებთან ყოფნამაც მოგზრება იცის?

— დაქალებთან ყოფნა არასდროს მზებრდება. ის კი არა და, ახლა იმას „ვლადიმოტ“ ხოლმე, რომ როცა „ენისი“ გოგონები ერთად ვიკრიბებით, გინდ ქორნილი ან დაბადების დღე იყოს, ნახევარი საათის განმავლობაში ყველა ნაცნობს გამოველაპარაკებთ, მერე კი, სამივე უნებურად მასას გამოვეყოფით, ჩვენთვის ვიცინით, ვხალისობთ, ვხარხარებთ და არ გვანტერესებს, რა ხდება ჩვენ ირგვლივ. ამის გამო, მშობლებიც გვსაყვედურობენ: თქვენ ერთმანეთის მეტი არავინ განტერესებთო.

— და ერთმანეთს გაუთხოვრებს დატოვებთო, არა?

— ჰო, ერთი სოფომ უშველა თავს (იცინის)

— ახლა მაჭანკალი რომ შემოვიდეს, როგორ მიიღებ?

— აქ, ჩემთან? რას მეუბნები? ძალიან გავბრაზდები, საერთოდ ასეთი რაღაცები მალიზიანებს. როცა ვილაც მოგწონს, მასთან პირდაპირ უნდა მიხვიდე. დედას რომ აგზავნი, ეს რა კაცობაა?.. ერთ ამბავს მოგიყვები, მაგრამ არ დანერო, კარგი?

— კარგი.

— ერთხელ სახლში ვილაც ქალმა დარეკა და მე მიკითხა. ტელეფონთან რომ მივედი, ამ ქალმა კომპლიმენტებით ამავსო და მიტხრა: როგორც ვიცი, ხვალ კონცერტი გაქვთ, ჩემი ბიჭი თქვენი ფანია, ბილეთს ვერ ვყიდულობთ და იქნებ, მოგვცეთო. მოვილაპარაკეთ — მეორე დღეს, კონცერტის დანყებაამდე, მის შვილს სალაროებთან უნდა შევხვედროდი... დათქმულ დროს მივედი. ჩემკენ ვილაც წვერიანი კაცი წამოვიდა და მიტხრა: მე იქ ქალის შვილი ვარ, გუშინ რომ დავიკრეათო. კინალამ გავგაჟიდი. პატარა ბიჭს ველოდებოდი, მაგრამ ეს ვილაც ახმაი რომ

მომადგა, ლამის გული წამივიდა, ბილეთები მივაჩეჩე და გამოვიქეცი. იმ დღის მერე, ის ქალი არ მასვენებდა, მირეკავდა და მეუბნებოდა: ჩემი შვილი შენზე გიყვება, თავის ოთახში ყველგან შენი ფოტოები აქვს გაკრული და შენს მეტი ცოლად არავინ უნდაო. არაფერი რომ არ გამოუვიდა, მერე ნათიასთან დაიწყო დარეკვა და ბებიამისი გადარია: ეკასთან საქმეები ჩამინყვითო. მისი სერიოზულად მეშინოდა — რა იცი, რა ხდება...

— იცი, ძალიან მინდა, პირობა დავარღვიო და ეს ამბავი დავწერო.

— (ფიქრობს).. კარგი, მაგრამ უკვე ერთი თვეა არ დაურეკია და ინტერვიუს დაბეჭდვის მერე ისევე თუ დარეკა, იცოდე, შენს ნომერს მიცემე.

— კარგი. თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— 13 წლიდან ვუსმენ სტივ უანდერს და ერთი პერიოდი მქონდა „გადახრა“ „ქვინზე“. გავიცანი ცნობილი ქართული „ქვინომანები“, რომლებმაც მერე მაჩუქეს წიგნი ფრედი მერკურიზე. სხვათა შორის, ზუსტად იმ პერიოდში, რაღაც ფესტივალზე მოსკოვში წავედი, სადაც ესპანეთიდანაც იყვნენ ჩამოსულები და სწორედ მათ მაჩუქეს ვიდეოკასეტა, რომელზეც ჩანერილი იყო ის კონცერტი, რომელიც „ქვინმა“ უმბლის სტადიონზე გამართა. კასეტას მოჰყვებოდა წიგნივით დაკეცილი, დასურათებული და წარწერებიანი ბუკლეტი. ასეთი „წიგნი“ მაშინ პირველად ვნახე და როცა თბილისში ჩამოვიტანე, ყველა უკან დამდევა და მხევენებოდა: გვათხოვეო. ბოლოს, ვილაცამ ის ბუკლეტი დამიკარგა.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— მათ ვურჩევ, რომ იყვნენ კეთილები, აკეთონ ის, რაც უნდათ, მაგრამ დაიცვან ზომიერება ყველა საქმეში და კიდევ, შეეცადონ, რომ არავის მიზბაძონ და ჰქონდეთ საკუთარი სტილი.

P.S. ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმსიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.



ვლაპარაკობდით თავყანისმცემლებზე — ვინ რა გამოაგზავნა, როდის დარეკა, რა თქვა...

გადასაუბრება



ნეტავ არის ის პიროვნება, რომელიც გაჭრილი ვაშლით მგავს?

ნათია, 19 წლის:

„პრივეტ“, ანრი. როგორ ხარ? ნიჭიერი შემსრულებელი ხარ და ამიტომაც ძალიან გაფასებ. წარმატებებს გისურვებ! შენ ეს ნამდვილად დაიმსახურე.“

ანრი ჯონსაძე:

— გაიხარე, ძალიან დიდი მადლობა.

საყვარელი გოგო, 18 წლის:

„ლიკას გაუმარჯოს. ახლა მესიჯი რომ არ გამომიქვეყნო, არ ვიცი, რას ვიზამ. რამდენჯერ მოგწერე და არ დამიბეჭდე. იცი, რატომ მინდა, მესიჯი გამომიქვეყნო? იმიტომ, რომ ანრიმ წაიკითხოს და პასუხი გამცეს კითხვაზე... ანრი, სიცოცხლეც, ძალიან მიყვარხარ, შენი პლაკატი ოთახში მაქვს გაკრული და რომ გიყურებ, ცუდად ვხდები. სანამ ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილ შენს და ნინის ინტერვიუს წაიკითხავდი, ლამის გული შემინუსხდა. მეგონა, შეყვარებულები იყავით (თუმცა, გამოორიცხული არაფერია). რაც შეეხება შეკითხვას — მაინტერესებს, გყავს თუ არა შეყვარებული და მაქვს თუ არა შანსი დაგიახლოვდე? იცი, რა მაგრად მიყვარხარ? ლიკ, არ „გამიტხოვო“, რა!“

ანრი ჯონსაძე:

— დიდი მადლობა, რომ გიყვარვარ, მაგრამ ჯობდა, შენი ღირსებების შესახებაც გელაპარაკა და იქნებ, შენით დაინტერესებულიყავი. ისე, ცხოვრებაში ერთი შანსი ყველას აქვს და იმედია, შენც გაცილობ ოდესმე.

ნატალი, 18 წლის:

„ანრი, გამიხარდა, შენ რომ ხარ რუბრიკის სტუმარი. ახლა მეძლევა შანსი, რომ გითხრა ერთი ამბავი. დეიდაჩემს სიგიჟემდე უყვარხარ და სიძეს გეძახის, ოცნებებში დაფრინავს. სულ იმას ამბობს: შესანიშნავი წყვილი იქნებით და მისი გაცნობის შანსი ხელიდან არ გაუშვავო. აბა, დეიდაც ასეთი უნდა, არა? კარგი უნდა ჩემთვის და რა ქნას?“

ანრი ჯონსაძე:

— ალბათ, კარგი უნდა. ისე, დეიდაშენი რამდენი წლის არის?

სოფი, 17 წლის:

„მთვარიან ღამეს, ვარსკვლავთა ცის ქვეშ, შენს ერთ კოცნაში სიცოცხლეს მივცემ“, — ანრი, ეს სიტყვები შენ გეძღვნება. გაფასებ როგორც ადამიანს და შემოქმედს.“

ანრი ჯონსაძე:

— კარგი, გენაცვალე. დიდი მადლობა დაფასებისთვის.

უცნობი, 16 წლის:

„ანრი ჯონსაძეს მინდა ვუთხრა, რომ ჰყავს ორეული. ის მას გაჭრილი ვაშლივით ჰგავს და თანაც, ძალიან კარგად მღერის. განსხვავება ის არის, რომ ის პოპულარული არ არის. ანრი, არ გინდა, რომ შენი ორეული გაგაცნოთ?“

ანრი ჯონსაძე:

— როგორ არ მინდა! ამ ამბით მართლა დაინტერესდი. ნეტავ, ვინ არის ის პიროვნება, რომელიც გაჭრილი ვაშლივით მგავს? ლიკას მეშვეობით დამიკავშირდით და აუცილებლად შეგხვდებით.

სატია, 18 წლის:

„პრივეტები“. ლიკა, მაგარი გოგო ხარ, ანრი რომ მოიწვიე. მესიჯი რომ არ გამომიქვეყნო, გავგიჟდები და იცი, რატომ? მინდა, ანრიმ გაიგოს, რომ ამქვეყნად ჩემზე მაგრად არავის უყვარს. უზომოდ მიყვარხარ, სიხა. მაგარი კაცი ხარ, დიდ პატივს გცემ. გისურვებ ყველაფერს საუკეთესოს. მაინტერესებს, ახალს არაფერს შემოგვთავაზებ?“

ანრი ჯონსაძე:

— დიდი მადლობა. სიახლე არის — ჩაწერე სიმღერა (პოეტ ბერდია ბერიაშვილის ლექსზე, კომპოზიტორი რუსუდან ჩხაიძე), რომელსაც „მომატყუე“ ჰქვია. ამ სიმღერაზე გადავიღე კლიპიც, რომელიც ახლა დამონტაჟების პროცესშია.

კისა, 16 წლის:

„ანრი, მაინტერესებს, ქალში რას აფასებ და საერთოდ, კაცებს ხუმარა ქალები რატომ არ მოგწონთ? ყველა კაცს ჩუმი მანდილოსნები რატომ ხიბლავს? რა იპოვეთ სიჩუმეში? ამას იმიტომ გეკითხები, რომ როცა ხუმრობას ვინყებ, კაცები ღიზიანდებიან.“

ანრი ჯონსაძე:

— აბა, რა სისულელეებს ამბობ, ქალმა რატომ არ უნდა იხუმროს? მთავარია, ეს ისე გააკეთოს, რომ მოუხდეს, რათა მასზე სულელის შთაბეჭდილება არავის დარჩეს.

ანანო, 16 წლის:

„ანრი, ძალიან მიყვარხარ. ქართულ ესტრადაზე შენს მეტი მომღერლად არავინ მიმჩნია. დიდ პატივს გცემ. სოლო კონცერტის ჩატარებას არ გეგმავ? მიყვარხარ.“

ანრი ჯონსაძე:

— სოლო კონცერტის ჩატარება გეგმაში კი მქონდა, მაგრამ რაღაც ხელის შემშლელი მიზეზების გამო ცოტა ხნით გადავდე. რამდენიმე თვეში აუცილებლად გაგახარებ.

სატია, 17 წლის:

„პრივეტ“, ანრი. ძალიან გაფასებ, როგორც ჭკვიან, ხელოვან და შეგნებულ ადამი-

ანს. შენი ინტერვიუდან ჩანს, რომ კარგი პიროვნება ხარ. წარმატებებს გისურვებ!“

ანრი ჯონსაძე:

— გაიხარე, დიდი მადლობა. შენც წარმატებებს გისურვებ!

უცნობი ათენიდან, 17 წლის:

„ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება. შეყვარებული ვარ ერთ ბიჭზე, მაგრამ ახლა ათენში გახლავართ და ძალიან მეშინია, რომ ცისფერი თვალები ჩემს არყოფნაში სხვამ არ წამართვას. ვიცი, ბევრი გოგოა მისით დაინტერესებული და ლამისაა, გავცოფდე. ძალიან ეჭვიანი ვარ და სწორედ ამის მეშინია — ვიცი, ეჭვიანობამ ბევრი დაღუპა. სულ ვკამათობ. ის საკმაოდ ცნობილი სახეა. არ გეგონოთ, პოპულარობის გამო მიყვარდეს. პირიქით, მირჩევნია, რომ უცნობი იყოს, რადგან მაშინ ბევრად ნაკლები მეტოქე მეყოლებოდა. რას მირჩევდით?“

ანრი ჯონსაძე:

— ჩემო კარგო, პირველ რიგში მინდა გითხრა, რომ გოგომ თავი უნდა დაიფასოს. რაც შეეხება ეჭვს, ის სიყვარულში აუცილებელიც არის და თუ თქვენ ერთმანეთი მართლა გიყვართ, ვერაფერი დაგაშორებთ. წარმატებებს გისურვებ!

პიკიკა, 17 წლის:

„ანრი, ყველას ერთი საზომით ნუ გაზომავ, რადგან არსებობენ ისეთი თინეიჯერები, რომლებიც ზომიერების ფარგლებში აკეთებენ ყველაფერს. შენი ინტერვიუ მომეწონა. მართალი ხარ, ადამიანი ნახევარ ცხოვრებას ქუჩაში სწავლობს, მაგრამ რა თქმა უნდა, ზომიერების დაცვა აქაც საჭიროა. მეც მიმჩნია, რომ ადამიანები ბუნებრივად უნდა იყვნენ, თვალთმაქცობა საჭირო არ არის. დაბოლოს, მინდა გითხრა, რომ მაგარი ადამიანი ხარ.“

ანრი ჯონსაძე:

— გაიხარე, მეც მაგას არ ვამბობ?!

ბუბუ, 15 წლის:

„ანრი, ძალიან გაფასებ, ნიჭიერი მომღერალი ხარ. მინდა, რჩევა გკითხო. მყავს მეგობარი ბიჭი, რომელიც ტელეფონით გავიცანი. უკვე 2 თვეა ველაპარაკები და ძალიან მომწონს, მაგრამ ერთი რამ მაფერხებს, ჩემზე 12 წლით უფროსია. როგორ მოვიქცე?“

ანრი ჯონსაძე:

— ჯერ ბავშვი ხარ, ამ ცხოვრებაში არაფერი გინახავს და რა დროს შენი გათხოვებაა? თან, შენ რომ 25 წლის იყო, ამ ასაკობრივ სხვაობაზე არ იფიქრებდი.

ბუბუ, 17 წლის:

„გამარჯობა, ანრი. მაგარ გასაჭირში ვარ. საზღვარგარეთ ვცხოვრობ. აქ ერთ გოგოსთან ვმეგობრობდი, რომელიც თურმე, ნარკოტიკს ისუთქავს და თან „ლესბიანკაა“. მე დებილი ამას ვერ ვხვდებოდი. ჰოდა, ახლა მეც გამიფუჭდა სახელი — აქაური ქართველები ჩემზე ათას საზიზღრობას ლაპარაკობენ, რაც გულს ძალიან მტკნებს. მეგობარს ჩამოვ-

შორდი... გთხოვ, მირჩიე, რა ვქნა? ამ ხალხს როგორ „მოვაკეტირო“? მათ როგორ ავუხსნა, რომ არ ვიცოდი, ეს გოგო ასეთი თუ იყო? ჩემთან ასეთს არაფერს ამჟღავნებდა“.

ანრი ჯონსაძე:

— დაფიქრდი, შეიძლება შენი მეგობარიც არ იყო ასეთი და მასაც მოუგონეს ყველაფერი? შეუძლებელია, წლების განმავლობაში რაღაცას მაინც არ მიმხვდარიყავი. თან ამის აღიარება საზღვარგარეთ პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს.

გიორგი საკულაშვილი, 17 წლის:

„მოგესალმებით. დიდი სურვილი მაქვს, შევხვდე ანრი ჯონსაძეს და მას ჩემი ცხოვრების შესახებ მოვუთხრო, თანაც რჩევა ვთხოვო. რატომ მაინცდამაინც მას? იმიტომ, რომ მისი ფანი ვარ. თან ვფიქრობ, რომ ჩემი ცხოვრება ბევრს დააინტერესებს. წინასწარ გიხდით მადლობას და მოუთმენლად ველი თქვენს პასუხს“.

ანრი ჯონსაძე:

— მერე ხელს რა გიშლის? — დამირეკე და შეხვდები. თუ ჩემი ტელეფონის ნომერი არ იცი, ლიკას მემშვეობით დამიკავშირდი.

ნათია, 17 წლის:

„ანრი, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ. შენნაირი მომღერალი ქართულ შოუბიზნესს მეორე არ ჰყავს. მეც კარგად ვმღერი და ვიცი, რა არის სიმღერა. ადამიანებს, ვისაც შენ არ უყვარხარ და შენს სიმღერებს არ უსმენენ, უგემოვნოები არიან. იცოდე, რომ ყოველთვის და ყველგან შენი „პირადი მცველი“ ვარ. ანრი, შენზეა ნათქვამი: „ცუდას რად უნდა მტრობა, კარგია მუდამ მტრიანიო“. მაგრად იყავი“.

ანრი ჯონსაძე:

— დიდი მადლობა, გაიხარე.

გვანცა, 16 წლის:

„გამარჯობა. ძალიან მჭირდება ანრის რჩევა. ცუდად ვარ და არ ვიცი, რა ვქნა. მყავდა მეგობარი, რომელსაც ძმისგან არ ვანსხვავებდი, ყველაფერს ვუყვებოდი და ისიც ყოველთვის გვერდში მედგა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასე მოიქცეოდა... საქმე იმაშია, რომ გუშინ გაკვეთილიდან გამიყვანა და მითხრა: მიყვარხარო. ისე ცუდად გახვდი, ლამის მოკვდი. ის კი ლაპარაკს განაგრძობდა — არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მაგრამ ისეთი ლამაზი ხარ, შენს ძმად დარჩენა არ შემიძლიაო. მე შეყვარებული მყავს, რომელსაც ისიც ძალიან კარგად იცნობს. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ვერ ხვდება, რას აკეთებს და გაუგლის, მაგრამ ისე მიყურებს, რომ... ანრი, გთხოვ, მირჩიე რამე. არ მინდა მისი, როგორც მეგობრის დაკარგვა და არც ის მინდა, რომ გული ვატყინო“.

ანრი ჯონსაძე:

— ჯერ 16 წლის ხარ, 19 წლამდე გათხოვებას არ გირჩევ, ამიტომ შენს შეყვარებულსაც დააკვირდი და მეგობარსაც და რომელიც უფრო ღირსეული იქნება და დროს „გაუძლებს“, არჩევანი იმაზე შეაჩერე. წარმატებებს გისურვებ!



ხსოვს!
ანრი
ჩინელი
ქართული,
მოდისაზისაც
ჩინური —
„ჩინურია“

დღესდღეობით თბილისში უამრავ ჩინელს შეხვდებით. ისინი კარგად შეგუფუნენ ქართულ სინამდვილეს და ბიზნესსაც ეწევიან. ჩინელები საქართველოში ჯერ კიდევ 1921 წლამდე გამოჩნდნენ. ივანდო ჩუტანდი 1913 წელს, 21 წლის ასაკში ჩამოვიდა საქართველოში და თბილისში დაფუძნდა. ის თავს ნამდვილ ქართველად მიიჩნევდა და თავის სამშობლოდ საქართველო მიაჩნდა. ივანდოს შვილიშვილი, ტარიელ ჩუტანდი რუსთავში ცხოვრობს.

მარი ჯაშარიძე

— ბაბუაჩემი, ივანდო ჩუტანდი ადრე დაობლდა და სრულიად პატარას მოუწია ლუკმაპურის საშოვნელად ხეტიალმა. ის ჩინეთის სანავსადგურო ქალაქ ინ-ხოუშის პორტში, მტვირთავად მუშაობდა. ერთხელ, ამერიკული ხომალდის დატვირთვის დროს, სოიით სავსე ტომარა ზურგზე მოიგდო და ფიცარზე შედგა, რომელიც საპირიდან გემზე იყო გადაებული. თავი ვერ შეიკავა და წყალში გადავარდა. ამერიკელებმა ხარხარი ატეხეს. თვითონ გადაარჩა, მაგრამ იმ დღის ხელფასი არ გადაუხადეს და წყალში ჩავარდნილი ტომარის საფასურში გამოუქვითეს; სამსახურიდანაც დაითხოვეს. იძულებული გახდა, რომ ლუკმაპურის საძიებლად ხეტიალი გაეგრძელებინა. როგორღაც რუსეთში მოხვდა. ცხოვრობდა მურმანსკოში, არხანგელსკოში, შემდეგ — ერევანში და იქიდან თბილისში გადმოვიდა, სადაც სამუდამოდ დაფუძნდა კიდევ. თავიდან აქაც ვერ ეგუებოდა ცხოვრებას, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა, 1921 წელს ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ, სიტუაცია მთ-

ლიანად შეიცვალა და უკვე შესაძლებლობა მიეცა, ნორმალურად ეცხოვრა და ემუშავა.

— რას საქმიანობდა ივანდო?

— მან ხელობად მამის პროფესია, დეკორაციული მებაღეობა აირჩია. თბილისის ვაგზლის, თამბაქოს ფაბრიკის, საბავშვო ბაღებისა და მუშათა კლუბების, ღვინის პირველი ქარხნის, ბევრი სხვა საწარმოს ეზოების გამწვანებაზე მუშაობდა. ის ცოცხალი ყვავილებით ხატავდა. მისი „დახატული“ იყო უნივერსიტეტის ეზოში არსებული ცოცხალი ემბლემა — „თსუ“ ქართულ და რუსულ ენებზე. მას, როგორც საუკეთესო მუშაკს, გაერის სასტუმროში ერთი ნომერი მუდამ დაჯავშნული ჰქონდა და ნებისმიერ დროს შეეძლო იქ ჩასვლა და დასვენება. საბჭოთა საქართველოში ივანდოს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრო-



1921 წელს გასაბჭოების შემდეგ უკვე ნორმალურობა მიეცა, როგორც ნორმალურად ეცხოვრა



გარიელ ჩუგანდი შვილებთან ერთად

ბოდნენ. მას ინვედნენ სხვადასხვა სკოლასა თუ ორგანიზაციაში, უწყობდნენ შეხვედრებს და როდესაც მის შესახებ ჟურნალ-გაზეთები წერდნენ, ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმას, რომ ივანდო ოკუპანტი ამერიკელების მიძიმე ჩექმას გამოექცა და საბჭოთა ქვეყანაში შვება პოვა. სწორედ ამ სიტყვებით იწყებდნენ ხოლმე მასზე საუბარს საგაზეთო პუბლიკაციებში.

— როგორც ვიცი, ივანდო ქართველ ქალზე დაქორწინდა.

— დიახ, ბებიაჩემი გახლდათ ბარბაღე ქურხული (თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, თემურ ქურხული, მისი დის შვილიშვილია, ხოლო წარსულში ცნობილი მოხეტიალე მუსიკოსი — ილიკო ქურხული, მისი ძმა). ბებიაჩემი 6 თვის რომ ყოფილა, ხელიდან გავარდნით და ხერხემლის ტრავმა მიუღია. მას ორივე მენჯის ძვალი ამოვარდნილი ჰქონდა და ამის გამო კოჭლობდა. მიუხედავად ამისა, მას ბევრი მთხოვნელი ჰყავდა, რადგან ქურხულების ოჯახი ძალზე შეძლებული გახლდათ. მათ გადაწყვიტეს, რომ ქალიშვილი გონიერი და გამრჯე ჩინელისთვის

მან ხელობად მამის პროფესია, დეკორატიული მებაღეობა აირჩია



მიეთხოვებინათ. ივანდო და ბარბაღე 1924 წელს დაქორწინდნენ. ერთი წლის შემდეგ კი მამაჩემი დაიბადა. მას შოთა დაარქვეს. მამაჩემი ქართულ სკოლაში შეიყვანეს და ქართულად აღზარდეს. 18 წლის იყო, როდესაც დააპატიმრეს. 1944 წლის აპრილის ერთ დღეს, ის მეგობართან მივიდა და ეზოდან დაუძახა. ამ დროს 2 რუსი ჯარისკაცი მიუახლოვდა და სთხოვა — მანქანის ნაწილები გაგვაციდვინიო. მათ ერთ-ერთ მანქანასთან მდგომ კაცს შესთავაზეს ნაწილები, მან კი მილიციაში ამოაყოფინა თავი. ერთი წლის შემდეგ მამაჩემი გაასამართლეს და პოლიტიკურ ბანდიტიზმში დასდეს ბრალი. ის 5 წლით ყარაგანდაში გადაასახლეს. როდესაც სასჯელი მოიხადა და საქართველოში დაბრუნდა, როგორც პოლიტიკურ დამნაშავეს, თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა. ამიტომ

— ივანდოს სამშობლოში დაბრუნება არ უნდოდა?

— მას არასოდეს გამოუთქვამს ამის სურვილი. ერთხელ, თბილისის ცირკში ჩინელი ვან იუ-ლი იყო ჩამოსული. ბაბუაჩემი წარმოდგენის დასასრულს მიუახლოვდა და ჩინურად მიესალმა: ხაო ზუნგა! — რაც ძალიან გაუკვირდა მსახიობს, რომელიც სახლშიც გვესტუმრა. სწორედ მან ჰკითხა: — ჩინეთში ხომ არ გინდა დაბრუნებაო. ბაბუამ უპასუხა: — ჩემი სამშობლო საქართველოა, მე თბილისელი ვარ და სად უნდა წავიდეო? ის მუდამ ამაყობდა თავისი ძირეული სამშობლოთი. მოგეხსენებათ, ჩინეთის ეკონომიკური ზრდა როგორი ტემპით მიმდინარეობდა. ის მუდამ საქმის კურსში იყო და იქიდან ჩამოსულ დელეგაციებს თვითონ ხვდებოდა ხოლმე, მაგრამ იქ დაბრუნებაზე არასოდეს უფიქრია. მამაჩემისთვის ჩინური არ უსწავლებია. ბუნებრივია, ჩინური არც მე და ჩემმა ძმამ ვიცით. ბაბუაჩემმა მამას ანდერძად დაუბარა: საქართველოზე კარგ ქვეყანას და ხალხს ვერსად ნახავ, აქედან არსად წახვიდეო.

— მართლმადიდებელი ხართ? — დიახ, რა თქმა უნდა. მეც და ჩემი

მისი „დახატული“ იყო უნივერსიტეტის ეზოში არსებული ცოცხალი ემბლემა — „თსუ“ ქართულ და რუსულ ენებზე

ჯერ გორში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ რუსთავში გადმოვიდა საცხოვრებლად, აქ დამკვიდრდა და დედაჩემზე დაქორწინდა. მამაჩემი წლების განმავლობაში დევნას განიცდიდა. სამსახურის შოვნა მისთვის პრობლემა გახლდათ. მხოლოდ 1997 წელს მიაღწია რეაბილიტაციას. და სცადა, თბილისში მამამისის კუთვნილი სახლიც დაებრუნებინა, რომელიც ავლაბარში, სწორედ იმ ეზოში მდებარეობდა, სადაც ახლა პრეზიდენტის რეზიდენცია შენდება. აღმოჩნდა, რომ სახლი ნაჩუქრობის ხელწერილით ნოტარიუსში დაუმტკიცებია ყოფილ მდგმურს, ნინო მათიანშვილს. მას თავისი „საკუთრება“ ანდერძით დაუტოვებია ძმისშვილებისთვის, რომელთაც სახლი ვინმე სილიბისტრო რობაქიძისთვის მიუყიდიათ. ამდენად, ის სახლი ქურხულების კუთვნილება აღარ იყო და მამამ მისი დაბრუნება ვერ მოახერხა.

შვილებიც — თამარი და რუსუდანი, მართლმადიდებლური წესით ვართ მონათლულები. ეროვნებაც ქართველი მიწერია. ჩემთვის ჩინური — ნამდვილი „ჩინურია“. ნაღდი ქართველი ვარ და ვერც ვერავინ გამეჯიბრება საქართველოს სიყვარულში. ბაბუაჩემის სახელი ასე იწერებოდა: ი ვან დო ჩუ ტან-დი. ქართულ პასპორტში მას უკვე ეწერა: ივანდო ჩუტანდი. მამაჩემს დაბადების მოწმობაში ეროვნება ჩინელი ეწერა, მაგრამ 1985 წელს, როდესაც პასპორტი გამოცვალა, ეროვნება — ქართველი ჩაანერინა.

— ჩინელების გარეგნული დამახასიათებელი ნიშანი — წვრილი თვალებია. თქვენს შვილებზე ვერაფერს იტყვის, რომ ისინი ჩინელები არიან...

— ეს ბებიაჩემის, დედაჩემისა და ჩემი მეუღლის გენის გავლენა გახლავთ. როგორც ჩანს, ქართული გენი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, რადგან მამაჩემიც არ ჰგავდა ჩინელს. თუმცა, ბაბუაჩემის სურათებიდან ჩანს, რომ მას ნამდვილი ჩინელისთვის დამახასიათებელი გარეგნობა ჰქონდა.

„გასოცდეს უკრაინის ხელისუფლებას გასოცდეს უკრაინის ხელისუფლებას“

დასაწყისი იხ. გვ. 7

ნამუშევართა გაღრმავება გენეალოგიური ხის აღმოჩენაც შეგიძლიათ, რომელიც რუსეთის ახალი „მეფის“ გვარს 13 თაობამდე — მის დაბადებამდე, 1570 წელს დაბადებულ ნიკიტამდე სწვდება. გაყინულთვალბიანი პუტინი რუსეთის საშუალოსტატისტიკური მოქალაქისთვის იმ ადამიანს წარმოადგენს, რომელმაც რუსეთის ისტორიის მოზაიკას მისი შემადგენელი ნაწილები დაუბრუნა და გარკვეულწილად, ყოველდღიური ცხოვრებაც მოაწესრიგა. ბორის ელცინის დროინდელი „დაძინილი“ რუსეთი დასავლეთის ხელგანვლილი სთხოვდა მონყალბას და აზარბაიჯანში, ქვეყანა მთავრობებს და ოლიგარქებზე იყიდებოდა. აი, დღევანდელი რუსეთი კი, გაზის „ვენტილს“ აქეთ-იქით ენერგიულად ატრიალებს და ევროპას საკუთარ პირობებსაც თამამად უკარნახებს. მეტიც, თვით ბუშაც კი აიძულებს, გაეროში რუსეთის მიერ წაქეზებული, სუპერატისტიული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უკან დაბრუნების მოსურნე, სააკაშვილის საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუცია მიიღოს.

...რუსი ტაქსისტი, რომელმაც უკვე ნახა, სადასჯელი ოპერაციის შედეგად, როგორ გაქრა მალაზიის დახლებიდან ქართული დღვირი და მინერალური წყლები, ახლა ასობით ქართველს დემორტაციასა და „თბილისური მათის ბუდის“ — კაზინო „კრისტალის“ (რომლის ოფიციალური მეპატრონეები — სომეხი, ჩეჩენი და აზერბაიჯანი არიან) დახურვას უკრავს ტაშს. მოსკოვის სკოლებმა კი, მხოლოდ მოსკოვის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ლუბოვ კუზინას პირადი მამაცობის წყალობით თქვეს უარი, ქართული გვარის მქონე მოსწავლეების სიების მილიციისთვის წარდგენაზე. თუმცა, მსგავს უარს ძალზე იშვიათად თუ ნაწყვეტად, რადგან საქმე გვაქვს ქვეყანასთან, სადაც სამოქალაქო საზოგადოების განვითარება სახელისუფლო სტრუქტურების ნება-სურვილზე პათოლოგიურადაა დამოკიდებული.

მას შემდეგ, რაც პუტინმა დაამხო ოლიგარქების ხელისუფლება, რომელთა ნაწილი — ციხეში (როგორც ყოფილი გიგანტის — „იუკოსის“ შეფი მიხაილ ხოდორკოვსკი), ნაწილი კი — საზღვარგარეთ (როგორც გუსინკის და ბერეზოვსკი) აღმოჩნდა, მან პირისაგან მინისა აღგავს სხვა ყველაფერიც, რაც ელცინის რუსეთის შემდგომ დარჩა. მერე კი, ის სახელისუფლებო სტრუქტურა შექმნა, რომელიც მთლიანად პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანუ ისეთ ენერგიულ და ნაცად „პიტერელთა“ ხელშია, როგორიც — ბანკირი კომანი, ფინანსთა მინისტრი კუდრინი, ეკონომიკური განვითარების მინისტრი გრეფი, ყოფილი ძალოვანი,

ოდესლაც „კაგებეს“, ახლა კი პუტინის პარტია „ედინაია როსია“ სათავეში მყოფი ბორის გრიზლოვი, იმავე „კაგებეს“ წიაღიდან გამოსული, პრეზიდენტის ადმინისტრაციის შეფი ვლადისლავ სურკოვი და „გაზპრომი“ დამირი მედვედევი — არიან. 1992 წლიდან მოსკოვის მერის — ყოვლისშემძლე იური ლუჟკოვის ძალაუფლებამაც კი რყევა დაიწყო. არადა, ყველა გარიგება — უძრავი ქონებით დაწყებული და ბაზრებით დამთავრებული — სწორედ მის ხელში გადის. ხოლო მისი ცოლი (ოდესლაც — პირადი მდივანი) ჟურნალ „ფორბსის“ მდიდართა ნუსხაში 2 მილიარდ 600-მილიონიანი ქონებით ფიგურირებს. ახლა კი, თუ ლუჟკოვს 2007 წლის შემდეგაც სურს სავარძლის შენარჩუნება, მას „რეკომენდაცია“ უშუალოდ პუტინმა უნდა გაუწიოს...

დღეს რუსეთს კიდევ ერთი შემობრუნების მომენტი უდგას: 2008 წლის მარტში პუტინს პრეზიდენტობის მეორე ვადა ეწურება და რუსეთის მოქალაქეებსაც კვლავ იპყრობს შინაგანი წუხილი, რომელსაც პოლიტიკური და ფინანსური მკველელობების მომრავლება კიდევ უფრო ამძაფრებს. 16 ოქტომბერს მოკლული, „იტარ-ტასის“ ჟურნალისტი ანატოლი ვორონინი ბოლო ათი წლის მანძილზე მსგავსი ძალადობის 282-ე მსხვერპლი გახდა. სასამართლომდე კი, მხოლოდ 12 ასეთი შემთხვევა თუ მივიდა. ანა პოლიტკოვსკაიას დაკრძალვას „ნოვია გაზეტას“ ყველაზე ცნობილი აქციონერი — მიხაილ გორბაჩოვი არ დასწრებია: იმ დღეს ის გერმანიის ქალაქ დრეზდენში, პუტინსა და ანგელა მერკელთან ერთად, ტრიბუნაზე იდგა... „ვწუხვარ, რომ ელცინის წინააღმდეგ ისეთივე მკაცრი ზომები არ მივიღე, როგორსაც თავისი მტრების წინააღმდეგ პუტინი მიმართავს“, — აცხადებს დღეს „პრესტროიკის“ მთავარი შემოქმედი. 10 ოქტომბერს მოკლული ბანკირი ალექსანდრ პლოხინი მხოლოდ „გენშტორგბანკის“ ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელად მუშაობდა, მაგრამ მასზე ადრე მოკლული ანდრეი კოზლოვი „ცენტრობანკის“ თავმჯდომარის მოადგილე იყო. ის კომერციულ ბანკებზე საქმიანობის ლიცენზიებს გასცემდა და დალუბვამდე ორი დღით ადრე განაცხადა, რომ ნებისმიერი ფორმის საბანკო საქმიანობას აუკრძალავდა ყველას, ვინც ფულის გათეთრების ოპერაციებში იქნებოდა გარეული...

რუსეთში მემკვიდრეობისთვის ბრძოლა კარგა ხანია, გაჩაღებულია და საზოგადოებაში იმის დიდი შიში გაჩნდა, რომ შესაძლოა, ის დაჯგუფებებს შორის გააფთრებულ ომშიც კი გადაიზარდოს,

რომელშიც ყველა საკუთარ თამაშს ითამაშებს.

მაგრამ პუტინი რაღას იღონებს?.. პირველ რიგში, მას სჭირდება „იმის გარანტია, რომ მისი „მემკვიდრე“ იმასვე არ გაუკეთებს, რაც მან ელცინს გაუკეთა, როცა სადღესოდ სრულიად დანაწევრებულ და გაყიდულ „იუკოსთან“ ერთად, მემკვიდრეობის უფლების უზრუნველყოფი შეთანხმებაც პინძინდა დადარღვია“. ეს აზრი, 65%-ით „გაზპრომის“ საკუთრებაში მყოფი რადიოსადგურის — „ეხო მოსკვი“ — დირექტორს ალექსეი ვენედიქტოვს ეკუთვნის. აღნიშნული რადიოსადგური კრემლის „სეიფია“ — იქ ასობით ჟურნალისტი მუშაობს, მისი ოფისის კედლებზე უამრავი სტუმრის ფოტოა გამოფენილი. ერთმანეთს ემეზობლებიან: კლინტონი და ბლერი, შერონ სტოუნი, სოფი ლორენი და კონდოლიზა რაისი, ჯინა ლოლობრიჯი და ჟაკ შირაკი, პრეზიდენტი პუტინი, „უინამუსო“ ხოდორკოვსკის გვერდითაა აღბეჭდილი, მათ პირდაპირ კი — ანა პოლიტკოვსკაიას ვხედავთ (!)... ვენედიქტოვი პუტინს შესანიშნავად იცნობს: შირაკმა მათ ერთსა და იმავე დღეს გადასცა საპატიო ლეგიონის ორდენები, ბოლო შეხვედრისას, ისინი იმაზეც ხუმრობდნენ — ორივეს, პოსტზე დასარჩენად, ერთნაირი პრობლემის მოგვარება მოგიწევსო... ვენედიქტოვსაც, რომელიც ჟურნალისტების მიერ წესდების შესაბამისადაა არჩეული (რაც სარედაქციო ავტონომიის ქვეშარჩებ დაცვას წარმოადგენს), რადიოსადგურის დირექტორის პოსტზე ყოფნის ვადა 2008 წელს ეწურება...

პუტინის ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობენ სერგეი ივანოვი (თავდაცვის მინისტრი) და დმიტრი მედვედევი, რომელიც, ინტერესთა კონფლიქტის მიუხედავად, 2005 წლის ნოემბრიდან, ერთდროულად, „გაზპრომის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, იქაური ძლიერი ხელი და მთავრობაში პირველი ვიცე-პრემიერია... ივანოვი მილიტარისტს თამაშობს (რუსებს ეს მოსწონთ), მედვედევი კი ის კაცია, ვინც 2004-2005 წლების „სადირიჟორო შემობრუნების“ ნაწილად იქცა. როგორც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საერთაშორისო უთიერთობათა ინსტიტუტის პროფესორი და გორბაჩოვის ფონდის დირექტორთა საბჭოს წევრი ვიქტორ კუვალდინი გვისხნის — „სახელმწიფო არა მარტო იბრუნებს მსხვილ ინდუსტრიულ კომპლექსებზე კონტროლს, არამედ სახალხო მშენებლობასთან, ჯანდაცვასთან, განათლებასა და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული, ამბიციური ნაციონალური პროექტების ამოქმედებასაც იწყებს“.

P.S. ეს ყოველივე და ბევრი სხვა ფაქტორიც, რუსეთის უახლოეს მებრძობებს და უპირველესად, ჩვენ — საქართველოს — კარგად ასანონ-დასანონი და გასათვალისწინებელი გვაქვს...

გამოკითხვა — „გზის“ ერთგული კითხველბრუნის!

ძვირფასო მკითხველო! ჩვენ ყოველდღე ვგრძნობთ თქვენს ყურადღებას „გზის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გამო. ამას უამრავი გამოხმაურება (სატელეფონო ზარი, მესიჯი, წერილი) მოწმობს, მაგრამ მაინც გვსურს, რომ კავშირი ჩვენ შორის კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს. ამიტომ გთხოვთ, შეავსოთ ანკეტა: თქვენი შეხედულებები დაგვეზიარება იმაში, რომ ჩვენი ჟურნალი უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახდეს. წინასწარ გისდით მადლობას თანამშრომლობისათვის: გთხოვთ, შევსებული ანკეტა ამოჭრათ და გამოგიგზავნათ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით, რომლებიც განლაგებულია თბილისისა და საქართველოს ყველა ქალაქის ცენტრალურ უბნებში.

1) სქესი:

- ქალი კაცი

2) ასაკი:

- 18 წლამდე 45-54
 18-24 55-64
 25-34 65 წელზე მეტი
 35-44

3) რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?

- 100 ლარამდე 700-1200
 100-300 1200-ზე მეტი
 300-700

4) რა სიხშირით კითხულობთ ჟურნალ „გზას“?

- ჟურნალის ყოველ ნომერს ვკითხულობ; მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა გავიგებ, რომ მასში ჩემთვის საინტერესო ინფორმაციას წავიკითხავ; მხოლოდ მაშინ ვკითხულობ, როცა შემთხვევით ჩამივარდება ხელში.

5) პირველ რიგში, როგორ რუხრიკას კითხულობთ? (ჩამოთვალეთ რიგითობის მიხედვით)

1. _____
2. _____
3. _____

6) „გზის“ ფურცლებზე კიდევ რა რუხრიკების ნახვას ისურვებდით? (მიუთითეთ)

1. _____
2. _____
3. _____

7) რა სიხშირით კითხულობთ ამ ჩამოთვლილ ჟურნალს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	იშვიათად	არასდროს
1. „გზა“;				
2. „სარკე“;				
3. „თბილისელები“;				
4. „ბომონდი“;				
5. „რეიტინგი“;				
6. „ბარი“;				
7. სხვა (მიუთითეთ)				

8) რატომ ანიჭებთ (გაშვიდებთ კითხვაში) თქვენ მიერ პირველ რიგში დასახელებულ ჟურნალს უპირატესობას?

1. მრავალფეროვანი რუხრიკების გამო;
2. საინტერესო სტატიების გამო;
3. ფასის გამო;
4. შეეჩვიეთ და ამიტომ;
5. სხვა ქართულ გამოცემებს სჯობია.
6. სხვა (მიუთითეთ) _____

9) როგორ ფიქრობთ, რითი განსხვავდება ჩვენი ჟურნალი სხვა ჟურნალებისგან?

1. შედარებით ობიექტური სტატიები იბეჭდება;
2. კარგი იმიჯი აქვს;
3. უფრო მრავალფეროვანია;
4. უფრო შემეცნებითია;
5. არაფრით არ განსხვავდება;
6. სხვა (მიუთითეთ) _____

10) როგორ ყოველკვირეულ გაზიარებთ კითხულობთ ყველაზე ხშირად? (დასახელებთ რიგითობის მიხედვით)

1. _____
2. _____
3. _____

11) რა სიხშირით უყურებთ ამ ჩამოთვლილ სატელევიზიო არხებს?

(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	არცაუფრო ხშირად	იშვიათად
1. „რუსთავი 2“;				
2. „იმედი“;				
3. „მზე“;				
4. „პირველი სტერეო“;				
5. „საზოგადოებრივი არხი“;				
6. სხვა (მიუთითეთ)				

12) რა სიხშირით უხედავთ ამ ჩამოთვლილ რადიო-ტალღებს?


(აღნიშნეთ თანმიმდევრობით, „X“ ნიშნით)	ყველაზე ხშირად	ხშირად	არცაუფრო ხშირად	იშვიათად
1. „იმედი“;				
2. რადიო „უცნობი“;				
3. „ფორტუნა“;				
4. „ფორტუნა+“				
5. „არ დაიდარდო“;				
6. სხვა (მიუთითეთ)				

„ჩემზე ამბობენ, ხონელმა როგორ უნდა გვაჯობოსო“...

მუსიკოსი მერაბ სანოძე (იგივე, სანო), საკუთარ თავს პრეზიდენტსაც უწოდებს, რადგან დოკუმენტებში ასე წერია: მერაბ სანოძე — „სანო სტუდიის“ პრეზიდენტი. ჰოდა, ეს ნიჭიერი და ამავე დროს, წარმატებული „დიდი“ კაცი ხონიდან გახლავთ. იქ დაიბადა და გაიზარდა. მერე გუდანაბადი აიკრა და გეზი დედაქალაქისკენ აიღო. იგი ხშირად ამბობს: ჩემს საქმეში და ბიზნესშიც დუშაში უკვე დასმული მაქვსო.

— ჩემზე დღემდე იმას ამბობენ: ამ ჩამოსულმა ხონელმა კაცმა როგორ უნდა გვაჯობოსო, მაგრამ ასეთ რალაცებს ყურადღებას არ ვაქცევ. თუ საქმე იცი, შეგიძლია, გიყვარს და გინდა გააკეთო, რა მნიშვნელობა აქვს, სადაური ხარ? ყველაფერი ნულიდან დავიწყე. მდიდარ ოჯახში არ დავბადებულვარ — მამაჩემი მჭედელი, პატიოსანი ადამიანი იყო. თბილისში რომ ჩამოვედი და სტუდენტი გახვდი, მატერიალურად როგორც

შეეძლო, ისე მესმარებოდა. მერე შრომა დამოუკიდებლად დავიწყე. სწავლის პარალელურად, სხვადასხვა ქარხანასა თუ კომბინატში ვმუშაობდი. ასე რომ, ვსწავლობდი ცხოვრებას, ვაგროვებდი გამოცდილებას და ა.შ. დღეს „მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოსობი და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი“, — ეს ჩემი საყვარელი ფრაზაა ლექსიდან. 1977 წლიდან დედაქალაქში ვარ. სხვათა შორის, ერთი კარგი გამოთქმაც მაქვს — სადაც არ უნდა ნახვიდე, იმ ადგილს უნდა მოუხდე. — **შენ თუ უხდები თბილისს?** — რა თქმა უნდა. აქ ბევრი კარგი ადამიანი ცხოვრობს, ბევრიც ბოროტი. ზოგს ვუყვარვარ, ზოგს — არა. ეს ნორმალურია. ცხოვრებაც ხომ სწორედ ესაა. და კიდევ, ნებისმიერის გამოხედვაზე ვხვდები, რას ფიქრობს იგი ჩემზე. ■



ქალაქური სიმღერების საღამო „მეიდანში“

თბილისობის დღესასწაულზე, საპროდიუსერო კომპანია „F-ჯგუფმა“ და რესტორნებისა და სასტუმროების მენეჯმენტის ჯგუფმა რესტორან „მეიდანში“ ერთობლივი პროექტი წარმოადგინეს.

ნინო მურღულია, პიარ-მენეჯერი: თბილისობას რატომღაც ყველა გარეთ — ქუჩაში, ეზოში აღნიშნავს. ჩვენ გვინდოდა, ამ დღეს ხალხი მყუდრო ღონისძიებას დასწრებოდა და ამიტომაც, „მეიდანში“ ქალაქური საღამო გავმართეთ. ეს ის ადგილია, რომელიც თბილისობას ყველაზე მეტად უხდება. მოვინვიეთ ტრადიციული ქართულის სიმღერის შემსრულებლები: ნატო გელაშვილი, ტრიო — „ქართული ხმები“, სოფო კუჭავა, თეატრალური უნივერსიტეტის კვარტეტი, გიორგი დოლობერიძე... საღამო სუბივილების ანსამბლის ნომრით გაიხსნა. მანამდე კი, მთელ დარბაზში გურამ სალარაძის მიერ წაკითხული ლექსი ისმოდა: „გამარჯობა, ჩემო თბილის ქალაქო...“ საღ-



ამოს რადიო „საქართველოს ხმის“ წამყვანები — ანუკი კავლეიშვილი და დადუ უძღვებოდნენ. გათამაშდა „ივ სენ ლორანის“ 2006 წელს გამოშვებული სათვალე, რომელიც ერთ-ერთ სტუმარს ერგო. ქალაქური სიმღერები, ცეკვა, გართობა, ღვინის სმა და მხიარულება გვიან ღამემდე გაგრძელდა. ■

„ჯეობარი“, „ჯეოსტარი“, „იუმორინა“... ახუ რეიტინგული პროექტები

ამბობენ, საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს, რადგან აქ არც შოუა და არც ბიზნესიო. თუმცა, ეს საკითხი მართლაც სადავოა... ამ შემოდგომაზე ჩვენთან იმდენი სანახაობა



Wreli kiTxvebi

ნინა წკრიალაშვილი: „რალაც-რალაცების „დაკიდება“ არ გამომდის“...

— ნინა, შენი სახელი გიხდება?
— ჩემს სახელს მიჩვეული ვარ და ვერც წარმომიდგენია, სხვა რა უნდა მერქვას.

— როგორი ტიპი ხარ?

— ცვალებადი ხასიათი მაქვს, მაგრამ ბოროტი არ გახლავართ. თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ვნუწუნებ, თუ მიხარია, ესეც მეტყობა.

— როგორ გგონია, რას ფიქრობენ შენზე?

— ვიცი, რომ ნაცნობები ჩემზე ცუდს არ ფიქრობენ. ისიც ვიცი, რომ უცხო ადამიანები, რატომღაც ჩემ მიმართ კეთილგანწყობილნი არ არიან, მაგრამ მათ ჩემი გაცნობის შემდეგ უთქვამთ: სხვანაირი მეგონე და სხვანაირი ყოფილხარო.

— შენი სახელის გაგონებისას ფილმი

— „ავაკასიელი ტყვე ქალი“ და მისი პერსონაჟი მახსენდება. შენ?

— მე ნინა რიჩი.

— ალბათ იმიტომ, რომ ფრანგული ენის სპეციალისტი ხარ, არა?

— დიას (იციანის).

— ფრანგული ენა კარგად იცი? — კარგად ვიცოდი. ამ ბოლო დროს, ფრანგულად იშვიათად ვლაპარაკობ და რალაც სიტყვები დამავიწყდა.

— საფრანგეთში ნამყოფი ხარ?

— ვიყავი.

— ეიფელის კოშკი „თავზე დაიმხე“?

— „დავიმხე“ (იციანის) და არა მარტო ეიფელის კოშკი.

— რას ნიშნავს „შოუბიზნესი ქართულად“?

— არაფერს, რადგან ჩვენთან არც შოუა და არც ბიზნესი. შოუ იმიტომ არ არის, რომ ბიზნესს და ეკონომიკას უჭირს. საქართველოში ეკონომიკა კარგად რომ იყოს განვითარებული, მაშინ შეიძლება და, შოუბიზნესიც გვექნოდეს.

— შენ რა შეგიძლია?

— ერთგულება, მეგობრობა, სხვების დახმარება, მაგრამ ზოგჯერ ზარმაცია ვარ.

მოკლედ, გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ.

— მომჭირნე არა ხარ?

— არა, ფულს ბოლო თეთრამდე ისე დავხარჯავ, რომ უკან არც მოვიხედავ.

— „ჯეობარში“ სათამაშოდ არ შეხვდით?

— არა, ნერვები არ მეყოფოდა. სამი თვე დახურულ სივრცეში ვერ გავძლებდი. თან, 35.000 ლარი რომ მომეგო, ამისთვის „ჯეობარში“ ყოველდღე ჭურჭელს ვერ გავრეცხავდი... აი, 100.000-ზე შეიძლება გამერისკა.

— რა სიმღერას ნაიმღერებდი?

— მერაბ სეფაშვილის „ნისლისფერ განშორებას“...

— რომელი დაწესებულების ხელმძღვანელობას ისურვებდი და შეძლებდი?

— კულტურულ-გასართობი ცენტრის.

— შენი ნაკლი?

— ძალიან მგრძობიარე ვარ. მეუბნებიან: „დაიკიდე“, „დაიკიდეო“...

— „დაიკიდება“ გამოგდის?


— ვცდილობ, მაგრამ არ გამომდის.

— ბოლოს რას გვეტყობდი?

— სწორად ვიფიქროთ, არ ვინერვიულოთ, იმედი არასდროს დავკაროთ, უფრო მეტის გაძლება შეგვეძლოს და ყველაფერი გამოვა.

— გამოვა?

— აუცილებლად. ისე, ჩემს ახალ სიმღერას, რომელსაც მსმენელს ცოტა ხანში შევთავაზებ, ასე ჰქვია — „გამომივა!“



გამართა, რომ ბევრმა წელში გამართულმა ქვეყანამ უნდა ინატროს — „ჯეობარი“, „ჯეოსტარი“ „იუმორინა“. — რომელსაც გინდა, იმას უყურე და დატკბი. მოკლედ, ქართველების ნიჭიერებას საზღვარი არა აქვს. ნებისმიერი პროექტი სიმძაფრით გამოირჩევა: ვილაცას ფულის შოვნა უნდა, ვილაცას პოპულარობა, ვილაცას ვარსკვლავობა. „იუმორინა“ კი — ქართული შოუბიზნესის გვირგვინია. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზს მსგავსი წარმატებით, ვერც ერთი ქართველი სოლო მომღერალი თუ ქართული მუსიკალური ჯგუფი ვერ აავსებს და „იუმორინაც“, უკვე ვინ იცის, მერამდენე „ხავერდოვან“ სეზონს შეხვდა...

„კარაოკე-ფართი“ და კობა ხაბაზი

საუნდ-ბარ „მიოში“ პიარ-მენეჯერებად და წამყვანებად ნიკა ხაჩიძე და ირინკა ხომასურიძე დანიშნეს. ამ წყვილმა, ბარში მოსულებს პირველ საცდელ ღონისძიებად „კარაოკე-ფართი“ წარუდგინა. როგორც გაირკვა, „კარაოკეს“ კლუბი თბილისში არ ყოფილა, ამიტომ იმ საღამოს, „მიოში“ თავი ბევრმა ადამიანმა მოიყარა. რეპერტუარ-



ში იყო ქართულ-რუსული ცნობილი ჰიტები. დამსწრე საზოგადოებაში, გული განსაკუთრებით ნატო გელაშვილის სიმღერების შესრულებით იჯერა. მომღერალთა შორის, თავი თავო დოლაბერიძემ გამოიჩინა, მას არც მომღერალი ნინა ჩამორჩა. აქტიურობდნენ ყოფილი „ჯეობარელები“ და თქვენ წარმოიდგინეთ, პოლიტიკოსი კობა ხაბაზიც კი. „მიოში“ იყვნენ (მაგრამ არ უმღერიან) ქეთი გამართელი, თამთა ჭელიძე, კახა მიქიაშვილი, ბესო სარჯველაძე, გიორგი ფოჩხუა, ჯაბა კილაძე. მოკლედ, „კარაოკე-ფართი“ გაამართლა და ამიტომ, მისმა ორგანიზატორებმა მორიგი საღამო უკვე დაგეგმეს.



კვირის ანტიოტოგრაფიკი პროგნოზი

(26 ოქტომბერი - 1 ნოემბერი)

პირი 21.03-20.04

ამ კვირას არ გირჩევთ საკუთარ გეგმებზე ბევრი ილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება თქვენთვის ძვირფას არსებას უიღბლო მეოცნებედ მოქცევით. შეეცადეთ, კვირადღეს, საყვარელ ადამიანს სიურპრიზი მოუწყოთ და რომანტიკული გარემო შეუქმნათ.

პირი 21.04-20.05

ამ დღეებში ნუ გაიმეორებთ წარსულის შეცდომებს. კარგი იქნება, თუ სიფრთხილეს გამოიჩინებთ და პირადი ცხოვრების შესახებ ჭორიკანა მეგობარს არ ესაუბრებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გულისტკენა არ აგცდებათ.

ტყუპი 21.05-21.06

ნუ აპყვებით აღშფოთებულ ადამიანს ხმამაღალ საუბარში. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ საპირისპირო აზრის ბრძანდებით. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და თქვენთვის არ იარსებებს გადაულახავი დაბრკოლება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

პირი 22.06-22.07

ამ კვირას შეეცადეთ, ცხოვრებას უფრო ოპტიმისტურად შეხედოთ. იმხიარულეთ! თუ ამას მარტო ვერ ახერხებთ, მეგობრები მოიშველიეთ. მოკლედ, ნუ განმარტოვდებით საკუთარ დარდებთან და ნებისმიერ გულისტკივილს ადვილად გადაიტანთ.

ლუნი 23.07-23.08

ამ დღეებში ენერჯის მოზღვავენას იგრძნობთ. თუ შემოქმედი ადამიანი ბრძანდებით, საუკეთესო ნამუშევარს შექმნით. ამიტომ ნუ იზარმაცებთ და დროს უქმად ნუ დაკარგავთ. ჯობს, უქმე დღეები საქმეს დაუთმოთ, მომავალ კვირას კი დასვენებისთვის უამრავი დრო გექნებათ.

პალწალი 24.08-23.09

თუ სამსახურის შეცვლაზე ფიქრობთ, კარგი იქნება, თუ ამ კვირაში იაქტიურებით. შეაგროვეთ ინფორმაცია იმ სამსახურის ხელმძღვანელებზე და მუშაობის სტილზე, რომელთანაც თანამშრომლობას აპირებთ და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება.

სასწორი 24.09-23.10

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი კვირისთვის გადადეთ. ამ დღეებში ჯობს მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე იფიქროთ. გაატარეთ დრო მეგობრებთან ერთად. მჭიდროდ დაუთმეთ ახლობელ ადამიანებს და მათი პრობლემებით დაინტერესდით.

მოკიფალი 24.10-22.11

ამ კვირაში ნამოწყებულები ყველა საქმე წარმატებით დასრულდება. მხოლოდ ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღებისგან თავი შეიკავეთ. დაინტერესდით იმ ადამიანების წარსულით, ვინც საქმეში პარტნიორობას გთავაზობთ. შაბათ-კვირა ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

მზვილღსანი 23.11-21.12

თუ ამ დღეებში ოჯახის წევრების მოთხოვნილებებს გულგრილად მოეპყრობით, უახლოეს მომავალში ახლობლებთან ურთიერთობა გაგირთულდებათ. ამიტომ გირჩევთ, ყურადღებით მოუსმინოთ მათ და უქმე დღეებიც ამ ადამიანებს დაუთმოთ.

თხის რაბი 22.12-20.01

ამ კვირაში შეიძლება საინტერესო შემთავაზება მიიღოთ, მაგრამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას არ გირჩევთ. რჩევა მეგობრებს ჰკითხეთ. იყავით უფრო აქტიური, როდესაც ხელმძღვანელებთან გინევთ ურთიერთობა. გაბედულად შესთავაზეთ მათ ახალი იდეები.

მეჩხვალა 21.01-19.02

ამ დღეებში ადვილად დაკარგავთ წონასწორობას, თუკი ემოციების გაკონტროლებას მაქსიმალურად არ შეეცდებით. ამიტომ ჯობს, კონფლიქტურ სიტუაციებს გაერიდოთ.

დაინტერესდით სპორტით. ეს პრობლემებისგან განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა.

თიხვავაი 20.02-20.03

ნუ დაივიწყებთ მეგობრებს მაშინ როდესაც თავს კარგად გრძნობთ. ამ დღეებში თქვენი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. თუკი იმის საშუალებას მოგცემთ, რომ ახლობლები გაახაროთ და მათ საჩუქრები მიუძღვნათ.

გაღე! ნოემბრის ნოემბრი

ლიტონიკატური კალიბრა

პრობა

- ბელი ბუფელოსი
- მარინა ნინობაშვილი
- ინაოლი თომოფი
- ანნი ქაქიძე
- მისა ანთაძე
- ვაჟა ჭავჭავაძე

პოეზია

- მანა ფაქაშვილი
- დედა ბედიანაძე
- ვანო სკოტაძე
- ვანო ცხელიძე

მონაქრება

- ვანო მუჯირაშვილი
- ანა სკოტაძე

თარგმანი

- სერგი ჯაფარიძე

ალექსანდრე

№ 11 (26) ნოემბერი 2006

თქვენ სოც გაემოვნებინა
გაითხვალე ბრკანდავით...

«ლივერპული» აყლაყუდა

ბიოგრაფია:
 დაბადების თარიღი: 1981 წლის
 30 იანვარი
 დაბადების ადგილი: მაკლესფილდი
 (ინგლისი)
 სიმაღლე: 198 სმ
 წონა: 70 კგ
 კლუბი: „ლივერპული“

წლებად მუნდიალზე ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა თავის ქომაგებს იმედი ნამდვილად გაუტყრია. ამ ტურნირში, ალბონელთა გუნდის არც ერთ ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობა ბოლომდე არ გამოუვლენია. გამონაკლისის სახით მხოლოდ პიტერ კრაუჩი უნდა დავასახელოთ, რომელმაც ცივილიზებულ სამყაროს თავი არა მარტო თავისი სიმაღლითა და ფეხბურთელისათვის შეუფერებელი სიგამხდრით, არამედ შედეგადი თამაშითაც დაამსხვრა. პიტერ კრაუჩი დამაჯერებლად ასპარეზობს მიმდინარე საფეხბურთო სეზონშიც, რის შედეგადაც, მან არაერთი გულშემატკივრის სიმპათია დაიმსახურა.

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში, კრაუჩმა უკვე ზედიზედ მეორედ, მატჩის ბედი თავისი გუნდის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამჯერად, „ლივერპულმა“ აყლაყუდა „ბორდოს“ კარში ერთადერთი გოლი გაიტანა, რაც შეხვედრის მოგებისათვის საკმარისი აღმოჩნდა. მოვლენების ასეთმა განვითარებამ, „ლივერპულის“ გულშემატკივრებს იმის იმედი გაუძლიერა, რომ მათი საყვარელი გუნდი კვლავაც შეძლებს ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში წარმატების მიღწევას.

საერთაშორისო დონეზე კრაუჩის დებიუტი ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში შედგა. მაშინ იგი 18 წლის იყო. 2002 წელს, მან ასევე ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატში იასპარეზა. თანაც, ტურნირის სასტარტო მატჩში, მასპინძელ შვეიცარიელთა კარში გამარჯვების გოლიც გაიტანა. მიუხედავად ამისა, მაშინ ინგლისელებმა ქვეჯგუფიდან გასვლა მაინც ვერ მოახერხეს. სამი წლის შემდეგ, 2005 წლის ზაფხულში, სვედ გორან ერიქსონმა კრაუჩი ეროვნულ ნაკრებთან ერთად ჩრდილო ამერიკის ტურნეში წაიყვანა, სადაც ალბი-

ონელთა მთავარ გუნდთან ერთად, ტანმა-ლაღმა ფეხბურთელმა კოლუმბიელთა წინააღმდეგ პირველად ითამაშა (3:2).

პიტერ კრაუჩი ფეხბურთის საიდუმლოებებს „ქუინს პარკ რეინჯერსისა“ და „ტოტენჰემის“ კლუბების ბავშვთა გუნდებში ეუფლებოდა. მაკლესფილდში დაბადებულმა ფეხბურთელმა „უაიტ ჰარტ ლეინზე“ საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენა ვერ შეძლო და ერთი სეზონი შევედურ „ჰესლ-ჰოლმში“ გაატარა. შემდეგ, „ქუინს პარკ რეინჯერსში“ დაბრუნდა და 11 გოლი გაიტანა, თუმცა, მაშინ მისმა გუნდმა პრემიერ ლიგა დატოვა. მოგვიანებით, პერსპექტიული ფორვარდი 2,2 მილიონ დოლარად „პორტსმუთში“ აღმოჩნდა.

„პორტსმუთის“ მაისურით, 2000-2001 წლებში ჩატარებულ 37 მატჩში, პიტერმა 18 გოლის გატანა მოახერხა, ხოლო მისში „ასტონ ვილამ“ ის 9,8 მილიონ ევროდ შეიძინა. თავდამსხმელმა ახალ კლუბში ჩატარებულ პირველსავე მატჩში გამოიჩინა თავი და „ნიუკასლს“ გოლი გაუტანა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2002-2003 წლების სეზონში ის მოედანზე მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა.

2003 წლის სექტემბერში, კრაუჩი იჯარის წესით მეორე დივიზიონის კლუბ — „ნორვიჩში“ გადავიდა, სადაც სამი თვის განმავ-



ლობაში მხოლოდ ოთხი გოლი გაიტანა, რის შემდეგაც ისევ „ასტონ ვილამი“ დაბრუნდა. ამ გუნდის შემადგენლობაში იგი ძირითადად, სათადარიგოთა სკაიდან ხვდებოდა ხოლმე. სეზონის მიწურულს კი, მან ოთხწლიანი კონტრაქტი „საუთჰემპტონთან“ გააფორმა, რომელმაც თავდამსხმელში 3 მილიონი ევრო გადაიხადა. ამ გუნდში პიტერს არასახარბიელო დებიუტი ჰქონდა, მაგრამ 2004-2005 წლების სეზონში მან 16 გოლი გაიტანა, მათ შორის, გადამწყვეტი ბურთი — თერთმეტმეტრიანი დარტყმით პრინციპული მეტოქის და თავისი ყოფილი კლუბის, „პორტსმუთის“ კარში. „საუთჰემპტონმა“ პრემიერლიგა დატოვა, თუმცა თავად კრაუჩი ისევ ელიტარულ დივიზიონში დარჩა — მან კიდევ ერთხელ გამოიცვალა კლუბი. ამჯერად, „მოგზაური“ ფეხბურთელი 10,1 მილიონ ევროდ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა „ლივერპულმა“ იყიდა. სახელოვან გუნდში, პიტერისათვის სადებიუტო მატ-



ჩი აღმოჩნდა უფასო ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პაექრობა „კაუნასთან“ (3:1). თავიდან, წითელმისურიანთა ფანები ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ ენდობოდა ბენიტესი არასაფეხბურთო აღნაგობის ახალგაზრდა თავდამსხმელს, მაგრამ ყველა სკუპტიკოსი მას შემდეგ გაჩუმდა, რაც ამ უკანასკნელმა გოლების გატანა დაიწყო.

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე პიტერ კრაუჩმა მოედანზე 321 წუთი დაყო (სულ ოთხი მატჩი) და ერთი გოლი გაიტანა. როგორც ცნობილია, ტურნირის მეოთხედფინალურ ეტაპზე, ინგლისელები პორტუგალიელებთან დაპირისპირების შემდეგ მსოფლიოს თასისათვის ბრძოლას გამოეთიშნენ. იმ პაექრობაში, სამხრეთგერმანელებმა ალბონელებს თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიის უკეთესად შესრულების წყალობით აჯობეს. „მატჩის ბოლოს მინდორზე ფეხებს ძლივსა მივათრევდი, — იხსენებს პიტერი, — მაშინ რუნიის მოედნიდან გაგდებამ სრულიად მოშალა ჩვენი გუნდი. მოედანზე დარჩენილ თითოეულ ჩვენგანს არა მარტო თავისი, არამედ გაძევებული მოთამაშის სამუშაოც უნდა შეესრულებინა. თავი არც ერთ ჩვენგანს არ დაუზოგავს, მაგრამ პენალტების სასურველ დონეზე შესრულებისათვის ძალა აღარ გვეყო. არც ვიცო, რა იყო ჩვენი მიერ თერთმეტრიანი დარტყმების ასე უსახურად რეალიზების მიზეზი. ამ კომპონენტის დასახვეწად ყოველ ვარჯიშზე ვმუშაობდით. სხვათა შორის, ეს შესანიშნავადაც გამოგვივიდა. ვგრძნობდი, რომ ნახევარფინალში გასვლა შეგვეძლო, მაგრამ როგორც ხედავთ, პენალტების სერია, მაინც ლატარია... ბრწყინვალე გუნდი გვყავდა, დიდი წარმატების მიღწევაც შეგვეძლო. როდისღა მოგვეცემა ასეთი შანსი?“

მიმდინარე სეზონში პიტერ კრაუჩი „ლივერპულის“ ერთ-ერთ ნაამყვან მოთამაშედ გვევლინება. მაგალითად, 27 სექტემბერს, მან ჩემპიონთა ლიგის პაექრობაში, აკრობატულ ნახტომში „გალათასარაის“ უღამაზესი გოლი გაუტანა და „ლივერპულს“ გამარჯვება მოაპოვებინა. იმავე დაპირისპირებაში,



რომელიც ინგლისელებმა 3:2 მოიგეს, ანგარიშიც პიტერმა გახსნა. თავად თავდამსხმელი ზემოთ ხსენებულ აკრობატულ გოლს თავის „ლივერპულს“ კარიერაში საუკეთესოდ მიიჩნევს. „აღბათ დღემდე, ეს ჩემი საუკეთესო გოლია, რომელიც „ლივერპულის“ მაისურით მაქვს გატანილი. ასეთი გოლები ხშირად როდი გადის. როგორც ყოველთვის, ამგვარი დარტყმების შედეგად ბურთი ტრიბუნისკენ მიფრინავს ხოლმე. თუმცა, ამჯერად ბურთი პირდაპირ კარში წავიდა და ბადემი გაუხვდა, რამაც გამარჯვება მოგვიტანა“, — ამბობს კრაუჩი, რომელიც აღნიშნულ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა.

გაჭირვების ტალ-კვესად მოველინა ლივერპულელებს პიტერი „ბორდოსთან“ სტუმრად გამართულ მატჩშიც, რომელშიც მან 58-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა. კრაუჩს ეჭვი არ ეპარება, რომ მისი გუნდი კვლავაც შეძლებს ჩემპიონთა თასის დაუფლებას: „რა თქმა უნდა, ჩვენ ამის იმედი გვაქვს. მივიჩნევ, რომ ტრიუმფული 2004-2005 წლების სეზონთან შედარებით, ჩვენ კიდევ უფრო გავძლიერდით. თუ ილბალიც ზურგს არ გვაქცევს, წარმატებას აუცილებლად მივაღწევთ!“

აღსანიშნავია ის, რომ თავისი არასაფეხბურთო სიმაღლის წყალობით, პიტერ კრაუჩი ხშირად იმარჯვებს საპაერო ბრძოლებში. მისი ეს კოზირი განსაკუთრებით, სტანდარტული მდგომარეობების დროსაა ეფექტური. სწორედ, კუთხურიდან ჩანოდებული ბურთით გაუტანა გოლი ტანმაღალმა ფორვარდმა „ბორდოს“. „ჩვენი მწვრთნელი, რაფაელ ბენიტესი დიდ ყურადღებას უთმობს სტანდარტულ მდგომარეობებზე ვარჯიშს. როგორც წესი, ხშირად გუნდი ამ კომპონენტში უკეთესად თამაშობს იმარჯვებს ხოლმე. ასე მოხდა „ბორდოსთან“ შეხვედრისასაც. ჩვენ ისე ვთამაშობდით, როგორც გვსურდა. ამჯერად, მომავალ ორ მატჩში, რომლებსაც საკუთარ მოედანზე გავმართავთ, ერთი გამარჯვებაც საკმარისი იქნება მერვედფინალში გასასვლელად. საერთოდ, მწვრთნელს თავდასხმაში, შემადგენლობის მხრივ დიდი არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს. ამიტომ, ვალდებული ვარ, რომ ყოველ შეხვედრაში შესანიშნავად ვითამაშო იმისდა მიუხედავად, თუ ვინ მიწევს კომპანიონობას იერიშების განხორციელებისას.“

ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში, პსე-მ „გალათასარაის“ სძლია. ისევე, როგორც „ლივერპულს“, მასაც 7 ქულა აქვს მოგროვებული. კრაუჩი მიიჩნევს, რომ მათ ქვეგაუფში სწორედ „ლივერპულისა“ და პსე-ს დაპირისპირება იქნება პრინციპული ხასიათის. „ჩემი აზრით, ეს საინტერესო მატჩი უნდა იყოს, ჩვენ ხომ პირველი ადგილის დაკავებას ვეგგმავთ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შეხვედრა „ლივერპულის“ მოედანზე ჩატარდება, დარწმუნებული ვარ, სასურველ შედეგს მივაღწევთ.“ ერთი სიტყვით, პიტერი გოლების გატანას აპირებს და მისი ოპტიმისტური განწყობილებაც სრულიად გასაგები უნდა იყოს.

ლუის არაგონესი: «არ გადავდებები!»

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ყოველმხრივ მხარში უდგას ლუის არაგონესს. მიუხედავად ამისა, ესპანეთში ფაქტობრივად ერთმნიშვნელოვანი აზრია შექმნილი ეროვნული გუნდის მიმართ: ყველა მიიჩნევს, რომ ნაკრები „ახალ სისხლს“ საჭიროებს, თანაც არა იმდენად მინდორზე, რამდენადაც მთავარი მწვრთნელის პოსტზე. თავად არაგონესი ყველანაირად ცდილობს, რომ გადადგომას თავი აარიდოს, მაგრამ აღბათ, მას თანამდებობის შენარჩუნება ძალიან გაუჭირდება. ადრე ესპანელები ყოველთვის იოლად გადაიოდნენ საკვალიფიკაციო ეტაპს, რასაც ახლა ნამდვილად ვერ ვიტყვით.

გავისხენოთ, თუ რა შესანიშნავად დაიწყო ყველაფერი ესპანელთათვის მსოფლიო ჩემპიონატზე! უკრაინელებთან ჩატარებულ პირველ მატჩში, ლუის არაგონესის გუნდმა მართლაც „ქვა ქვაზე არ დატოვა“. მიუხედავად ამისა, ტურნირში სლავებმა უფრო მეტს მიაღწიეს, ვიდრე ესპანელებმა. ისე კი, 2006 წლის მუნდიალის სტარტზე, პირინეს ნახევარკუნძულზე ეჭვი



აღარავის ეპარებოდა, რომ მათი საყვარელი გუნდი ფინალში გავიდოდა. ამიტომაც, ესპანეთის ნაკრების ქომაგები 9 ივლისს ბერლინში გადასაფრენ ბილეთებს წინასწარ უკვეთდნენ. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ესპანელები მერვედფინალში საფრანგეთის გუნდმა გააჯამტყრა. მაშინ მარცხის უმთავრეს დამნაშავედ არაგონესი მიიჩნიეს, რომელიმაც ვერც ეფექტური ტაქტიკა შეიზღუდა და ვერც თავის მოთამაშეთა მოტივაცია აამალა.

მერვედფინალიდან ტურნირის დატოვების შემდეგ, ყველა მოელოდა, რომ არაგონესი გადადგებოდა. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ის ჩემპიონატის დაწყებამდე საქვეყნოდ აცხადებდა — თუ ნახევარფინალში მაინც ვერ გავალთ, აუცილებლად გადავდგებიო. მიუხედავად ამისა, მაშინ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მას მხარი დაუჭირა და ახალი კონტრაქტიც შესთავაზა, რომელზეც მწვრთნელს ხელი ჯერაც არ მოუწერია. ეს იმის გამო, რომ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, ფედერაციას მწვრთნელის გადაყენება კომპენსაციის გადახდის გარეშე შეუძლია.

არაგონესის ტრაგიკომედიის შემდგომ ეტაპად „ევრო-2008“-ის საკვალიფიკაციო

ტურნირის პირველ მატჩში, ჩრდილო ირლანდიის ნაკრებთან ესპანელთა მარცხი იქცა. შეგახსენებთ, რომ მაშინ პირინელებმა 2:3 წააგეს. ამ შეხვედრის შემდეგ, ესპანურ განუთებში გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაცია, მწვრთნელის მიმართ ხალხის სრულ უნდობლობაზე მეტყველებდა. „მარკასა“ და AS-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით კი, ქომაგთა 80% პირდაპირ მოითხოვდა ეროვნული გუნდის თავაყცის პოსტიდან არაგონესის გადადგომას. სხვათა შორის, არგენტინელებთან გამართულ ამხანაგურ მატჩამდე ლუისმა განაცხადა, რომ მისი სამწვრთნელო მომავალი შეხვედრის შედეგზე არ იქნებოდა დამოკიდებული.

როგორც ცნობილია, ის პაექრობა ესპანელებმა 2:1 მოიგეს. მატჩის დაწყებამდე გულშემატკივრები არაგონესს სტვენით შეეგებნენ. ისინი თამაშის შედეგსაც კი ვერ დაამოშინა. სამაგიეროდ, თავად სენიორ ლუისი კიდევ უფრო გაგულისებული ჩანდა. „მსურველებს შეუძლიათ აქედან ჩემი ძალით გაგდებთ სცადონ, — განაცხადა მან, — მომავლის საკითხი ჩემთვის უკვე დიდი ხანია დასურულია.“

ისე კი, თავად ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციაც მძაფრი კრიტიკის ობიექტადაა ქვეყნული. ამიტომ, ფეხბურთის ესპანელი მოხელეები ავტორიტეტმერყეული მწვრთნელის დაცვას დიდხანს ვეღარ შეძლებენ. ისინი უკვე ეჩებენ კიდევ კანდიდატურებს მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ამჟამად, ასეთთა შორის მიგელ ანხელ ლოტინას და ვისენტე დელ ბოსკეს ასახელებენ. უფრო მეტიც, ერთ-ერთ განუთებში მარჩელო ლიბის სახელმაც კი გაიჟღერა. ერთი სიტყვით, არაგონესს ისლა დარჩენია, რომ სანაკრებო თამაშებში დამდგარი შესვენება მშვიდად გაატაროს, თუმცა, მის მშფოთვარე ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ეს ძნელად წარმოსადგენია.



ფხანგების ჰაიზუედი ჰემიეხები

როგორც ჩანს, C4-Picasso-ს შექმნისას ფრანგი ავტოკონსტრუქტორები მიზნად ისახავდნენ, ცოტათი მაინც დაეჯაბნათ კონკურენტები. ამის შედეგად, როგორც ავტოსალონის პრესრელიზში იყო აღნიშნული, გამოვიდა მანქანა, რომლიდანაც ყველაზე ფართო პანორამული ხედი იშლება; მას ყველაზე დიდი შემინული ფართობი, ყველაზე ხალვათი სალონი და ყველაზე ტევადი საბარგული აქვს.



C4 Picasso

ყოველივე ამის გარდა, C4 Picasso, უამრავი ისეთი ატრიბუტით გამოირჩევა, რომელიც ნამდვილად კარგ კომპაქტურ ვენს უნდა ახლდეს: წინა პანელსა და კარებში აუარება ბატარა უჯრავა, ხოლო ცენტრალურ კონსოლზე — იქ, სადაც მინივენებში ჩვეულებრივ, გადაცემათა გადართვის ბერკეტია მოთავსებული, ამ მანქანაში საკმაოდ მოზრდილი მაცივარია ჩადგმული.


C4 Picasso ოთხნაირი ძრავათი შეიძლება იყოს აღჭურვილი, მათ შორის: 1,8 და 2,0 ლ მოცულობის ბენზინის და 1,6 და 2,0 ლ მოცულობის ტურბოდიზელით. მომხმარებელს გადაცემათა კოლოფის არჩევის საშუალებაც ექნება: ხუთსაფეხურიან მექანიკურ, ექვსსაფეხურიან ე.წ. რობოტიზებულ ან ოთხსაფეხურიან ავტომატურ კოლოფებს შორის.

კიდევ ერთი მოდელი, რომელიც ფრანგებმა მშობლიურ კედლებში უჩვენეს — კონცეპტუალური C-Metisse გახლავთ, რომელიც საყოველთაო აღიარებით, დათვალეირებაზე ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო სიახლე გახლდათ. მას უჩვეულო ფორმის ძარა აქვს.



C4 Picasso

კარები არა გვერდით, არამედ ზემოთ ანევიტ იღება — მიუხედავად იმისა, რომ ეს არ გახლავთ კუპე, ჰეჩბეკი ან უნივერსალი, ესა სედანი განცალკევებული საბარგულით. C-Metisse პიბრიდული აგრეგატითაა აღჭურვილი: შიგანვის ძრავას სიმძლავრე 208 ცხ.ძ-ს შეადგენს და წინა ბორბლებს ამუშავებს, ხოლო 40 ცხ.ძ. სიმძლავრის 2 ელექტროძრავა — უკანა ბორბლებს. კარბონისგან დამზადებული ძარას წყალობით, კონცეპტუალური მოდელი ძალზე მსუბუქი გამოვიდა და 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,2 წმ-ში ავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი — 250 კმ/სთ-ია.



C-Metisse

Ferrari იაფფასიან მანქანას გამოუშვებს

Ferrari სრულიად ახალი ავტომობილის შექმნას შეუდგა. ეს იქნება შედარებით იაფფასიანი სპორტული ავტომობილი, რომელმაც Porsche 991-ს უნდა გაუწიოს კონკურენცია. გაგრძელებული ინფორმაციის თანახმად, ამ მანქანის პრეზენტაცია

შესაძლებელია, 2008 ან 2009 წელს შედგეს. ახალი Ferrari-ს ფორმაზე სადიზაინერო სტუდია Pininfarina იმუშავებს. ახალი ავტომობილის საფუძვლად იქცა პლატფორმა, რომელიც Maserati Coupe-ს მომავალი თაობისგანაა აღებული. მისი პრეზენ-

ტაცია 2007 წლისთვისაა დაგეგმილი. ამ მანქანისგან Ferrari-ს ახალი მოდელისთვის, V8 ტიპის 4-ლიტრიანი ბენზინის ძრავა აიღეს, რომლის სიმძლავრეც, 400-450 ცხ.ძ-ს აღწევს. არც ისაა გამორიცხული, რომ Ferrari-ს ახალი მოდელი Maserati-ს მოდერნი-



ზებულ ქარხანაში ააწყონ, რომელიც ქალაქ მოდენაში მდებარეობს. ზოგიერთი საინფორმაციო წყაროს თანახმად, ახალ მანქანას Ferrari Dino ერქმევა — საშუალო-მოტორიანი კუპეს „პატივსაცემად“, რომელსაც იტალიური კომპანია 1968-1976 წლებში უშვებდა. V6 ძრავათი აღჭურვილი ავტომობილი 8 წლის განმავლობაში 4000 ეგზემპლარად გაიყიდა. ამჯერად Ferrari უკვე წელიწადში 4000 ასეთი მანქანის გამოშვებას გეგმავს. ხოლო სიახლის ძირითად ბაზრად ჩრდილო ამერიკა უნდა იქცეს.

იალქანი თუ ფლიუგერი?

ზოგიერთები თავს საკუთარი ბედ-იღბლის ბატონ-პატრონად მიიჩნევენ და ამბობენ ამით. ზოგიერთები კი აღიარებენ, რომ ცვალებადი ფორტუნის ხელში სათამაშოსავით გრძნობენ თავს. როგორი პოზიცია გაქვთ თქვენ თავად? ქვემოთ მოყვანილი ტესტის ყოველ შეკითხვაზე, შემოთავაზებული ვარიანტებიდან, თქვენთვის ყველაზე მისაღები პასუხი შეარჩიეთ.

1. დაჯილდოებული ხართ თუ არა ისეთი ღირსებებით, რომელთა წყალობითაც, სხვებთან შედარებით აშკარა უპირატესობას გრძნობთ?

- ა) ვგონებ, რომ არა;
- ბ) დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს ასეა;
- გ) რა თქმა უნდა, დაჯილდოებული ვარ ამგვარი ღირსებებით.

2. სპორტულ შეჯიბრებაში ოდესმე თუ გაგიმარჯვიათ?

- ა) არასოდეს;
- ბ) დიას, ოღონდ საკმაოდ მოკრძალებული რანგის შეჯიბრებაში;
- გ) ჩემს ანგარიშზეა ისეთი რანგის გამარჯვებები, რომელთა გახსენების დროსაც სიამაყის გრძნობა მეუფლება.

3. შეგიძლიათ თუ არა შეეკამათოთ, შეეპასუხოთ ან წინ აღუდგეთ თქვენი უფროსის ნება-სურვილს?

- ა) უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით, ვამჯობინებ, რომ ასე არ მოვიქცე;
- ბ) ზოგჯერ ასე მოქცევა დასაშვებია, მაგრამ ამ მეთოდის პრაქტიკაში დამკვიდრება და მისი ბოროტად გამოყენება, სასურველი ნამდვილად არ გახლავთ;
- გ) ასე, საკმაოდ ხშირად ვიქცევი.

4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ შეგძლოთ ამ ცხოვრებაში ბევრად უფრო დიდი წარმატებების მოპოვება?

- ა) ჩემთვის უფრო ხელსაყრელი გარემოებები რომ შექმნილიყო, ვგონებ, რომ შემიძლო;
- ბ) უფრო მეტი ძალისხმევა რომ გამომეველინა, შესაძლოა, ასეც მომხდარიყო.
- გ) ვფიქრობ, ამ ცხოვრებაში ისედაც საკმაოდ ბევრს მივაღწიე.

5. როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუკი რესტორანში ცუდ-

ად მოგემსახურებიან?

- ა) სკანდალის თავიდან აცილების მიზნით, თვალს დავხუჭავ ამაზე;
- ბ) შურს იმით ვიძიებ, რომ ოფიცინტს ფულს არ ვაჩუქებ და ხურდას ბოლო თეთრამდე გამოვართმევ;
- გ) საკუთარი პრეტენზიებით მეტრდოტელს მივმართავ.

6. წარმოიდგინეთ, რომ თქვენი შვილი გამოგიტყდათ იმაში, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ან მსახიობობას აპირებს, ან მსაჯურობას. ქვემოთ მოყვანილი ვარიანტებიდან რა რჩევას მისცემდით თქვენს შვილს?

- ა) დაივიწყე ეგ ყველაფერი! ამ სფეროებში წარმატების მოპოვება, პრაქტიკულად შეუძლებელია. მაგას სჯობს, უფრო საიმედო სპეციალობას დაეუფლოს;
- ბ) უმჯობესია, თავდაპირველად სხვა ინსტიტუტში ჩააბარო, რათა რაიმე სერიოზულ სპეციალობას დაეუფლოს, ხოლო თუკი შემდგომში მაინც ამავე აზრზე დარჩები, საკუთარი თავი შეგიძლია ხელოვნებაშიც გამოცადო.
- გ) ცხოვრებაში ახალგაზრდა მხოლოდ ერთხელ ხარ! შენ თუ ამ შანსს ხელიდან გაუშვებ, შემდეგ შესაძლოა, მთელი ცხოვრე-

ბა ინანო განუხორციელებელი ოცნების თაობაზე.

7. თქვენ დასვენებას ისეთ ადგილას აპირებთ, სადაც ჯერ არასდროს ყოფილხართ. რას ამჯობინებდით:

- ა) ტურისტულ ჯგუფთან ერთად გავემგზავრებოდი, სადაც ყველაფერი გარანტირებულია, წინასწარ არის დაგეგმილი და დაჯავშნილი;
- ბ) ავირჩიედი განსაზღვრულ მარშრუტს, სადაც იმის შესაძლებლობა მექნებოდა, რომ გართობის სახეობა და ექსკურსიები საკუთარი გემოვნებით შემეჩრია;
- გ) მკაცრად განსაზღვრული გეგმისა და მარშრუტის გარეშე გავემგზავრებოდი, მიუხედავად იმისა, რომ ამას შესაძლოა გარკვეული რისკიც ახლდეს თან.

8. რა აზრის ხართ ლატარეების გათამაშებაზე?

- ა) აქტიურად ვმონაწილეობ და ყოველთვის მაქვს იმის იმედი, რომ მოვიგებ;
- ბ) ნებისმიერი სახის ლატარიას საკმაოდ გულგრილად ვუყურებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ მოგების შანსი მინიმალურია;
- გ) ასეთი შემოსავლიანი საქმიანობის წამოწყება თავადაც მსურს.

პასუხების ყოველ „ა“ ვარიანტში დაინერეთ 1 ქულა; „ბ“ ვარიანტში — 3 ქულა; „გ“ ვარიანტში — 5 ქულა.



ტასტის შედეგები

8-12 ქულა: დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებულად შეფასება არ გჩვევიათ; საკუთარ ცხოვრებას თითქმის ყოველთვის თქვენ გარშემო შექმნილი გარემოებებისდა მისხედვით გეგმავთ. ცხოვრების გზაზე წარმოქმნილ სიძნელებებს საკმაოდ მედგრად უმკლავდებით, მაგრამ მათ დაძლევის ყოველთვის ვერ ახერხებთ. გირჩევთ, უფრო მეტი თავდაჯერებულობა და ინიცია-

ტივა გამოავლინოთ, ასე ხომ ბევრად გაგიადვილდებათ საკუთარი მიზნის მიღწევა.
13-24 ქულა: საღად მოაზროვნე ადამიანი ბრძანდებით და თქვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საკუთარ მომავალს მტკიცე ხელით თავადავე წარმართავთ და ნაკლებად უნევთ ანგარიშს შექმნილ გარემოებებს. სწორი ცხოვრებისეული პოზიციითა და უცდომელი თვითშეფასების უნარით გამოირჩევით — ეს კი წარმატების

საწინდარია.
24 ქულაზე მეტი: თქვენ აქტიური და ენერგიული ადამიანი ბრძანდებით და საკუთარი მიზნის მისაღწევად, არც რისკზე წასვლაზე ამბობთ უარს. უბრძოლველად ბედს არასოდეს ემორჩილებით და ცხოვრების დარტყმების მოგერიებას ენერგიულად ცდილობთ. იქნებ, უფრო მეტი მოქნილობა გამოგეჩინათ, ეს ხომ საკუთარი ამოცანების გადაჭრას მხოლოდ და მხოლოდ გაგიიოლებდათ.

		1 მძიმე მრუწკალობის დარგი		2 ამერიკის შტატი		3 ღუმბადის მოთხრობა	4 არგენტინელი მწერსი	5 თეთრი ლატ თვალის გუზაზე
								6 კოსმოდრომი ყაზახეთში
			7 მწერლობა				8 პატარა ტანის	
9 ესპანური ავიაკომპანია		10 სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში				11 ლატვიის დელაქალაქი		12 კონტინენტი
				13 სატანგრაფი-ში ბაღე	14 ქალაქის ტიპის დასახლება		15 მშატკარი ... ჯგაფრბე	
						16 პუნების ბელადი		
17 მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ჩანჩქერი		18 პოლონელი კინორეჟისორი				19 ეპილეფსიას წინ უსწრებს		20 ზღვის ღმერთი რომ. მით.
				21 ისტ. მხარე საქართველოში				
22 ჰუკის სათამაშო დისკო	23 ცხენოსანი ჯარი							24 საყანედ გააფუფული ტყე
		25 ჯოჯოხეთის მრბანებელი	26 სომხის გამსმრი ღერი ფთილე			27 ფესვის ამოღების ნიშანი	28 მუსლიმთა სულეური წინამძღვარი	29 მოზამბიკის დელაქალაქი
		30 ომის ღმერთი ბერძნ. მით.	31 ქვეყანა აზხამი		32 კახაკთა ბანდის მეთაური	33 იჯარა		
		34 ტრაპიკული ხილი						35 თოფის სამიზნე
								36 იფიევა რაც ცმევა
								37 სისხლის სამართლის დანაშაული
38 ჩინეთის ფულის ერთეული		39 წყალქვეშა კლდე			40 იმერული სახლი		41 კატარის დელაქალაქი	
42 იფიევა რაც როდინი		43 საეკლესიო კრება						
				44 ქართული სადაზღვევო კომპანია				

წინა ნომრის სკანსორის პასუხები
 1. ჯულაშვილი; 2. ლადარი; 3. ბაგირი; 4. პინა; 5. პითონი; 6. რადიო; 7. ონი; 8. იდიოტი; 9. პარალიზი; 10. ევა; 11. დანა; 12. გინესი; 13. უროლოგი; 14. ხიდი; 15. ჯგარი; 16. ატოლი; 17. პიუგო; 18. რინგი; 19. პონი; 20. პლატონი; 21. რიონი; 22. რიალი; 23. ჭერამი; 24. ჭიგო; 25. ორგია; 26. ნაოჭი; 27. ილიადა; 28. იანკი; 29. ბოგირი; 30. სურინამი; 31. სეატი; 32. კრიჭა; 33. დოჰა; 34. დარი; 35. იგრიკა; 36. სელი; 37. სეიმი; 38. კიპი; 39. ლიტანია; 40. სინოდი; 41. ატამი; 42. პოკეი; 43; სიმი; 44. ისლამაბადი; 45. აჟანი; 46. ალჟირი.
სურათზე: ჯორჯ პარისონი; რინგო სტარი.

105 წლის ჩინელი მამაკაცი საცოლეს ეძებს

105 წლის ჩინელმა გუნ დუჟომ გაზეთში — „მარტოსული გულები“ განცხადება გამოაქვეყნა. ხევის პროვინციის ქალაქ ჩენდუში 1901 წელს დაბადებული სასიძო მასზე ორჯერ უმცროს საცოლეს ეძებს. ჯერ ერთი, კარგი იქნებოდა, რომ ჩემს ცოლს საექიმო პრაქტიკა ჰქონდეს ან ლიტერატურას შეისწავლიდეს, რადგან სამედიცინო წიგნს ვწერ და დამხმარე მესაჭიროება, მეორეც — ქალის ასაკი 50 წელს არ უნდა აღემატებოდეს, რათა ჩემი მოვლაც შეძლოს“, — ამბობს მსცოვანი სასიძო, რომელსაც სრული მორალური უფლება აქვს, განათლებული საცოლე ეძიოს, რადგან თავად ორი სამედიცინო ხარისხის მფლობელია. გუნ დუჟომ 1940



წელს ამერიკული უნივერსიტეტი დაამთავრა, 2000 წელს კი — დასავლეთ ჩინეთის უნივერსიტეტი. უზუცუესი ბერბიჭა ნათესავებთან ერთად ცხოვრობს, მაგრამ ცხოვრების თანამგზავრის პოვნის იმედს არ კარგავს. „თითოეულ ადამიანს მიზანი უნდა ჰქონდეს. მიზნის გარეშე ადამიანები ადრე კვდებიან. ამიტომაცაა, რომ მეცნიერები, როგორც წესი, დიდხანს ცოცხლობენ. მაგალითად, აინშტაინი. რადგან მათ ცხოვრებას ყოველთვის მიზანი ასაზრდოებს“.

ესპანელი მაგი ცოცხლად დაიმარხება

ცნობილი ესპანელი მაგი — კარლოს სანტილიანა ექსპერიმენტის მიზნით კუბოში ჩაწვება და 5 დღეს მიწის ქვეშ, საჭმელ-სასმლისა და ჰაერის გარეშე გაატარებს. ამის შესახებ ქალაქ ტრუხილიოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა: „კუბოს, რომელშიც მაგი იწვეება, ტრუხილიოს მთავარ მოედანზე გათხრილ იმპროვიზებულ საფლავში დამარხავთ. სანტილიანას ორგანიზმის მდგომარეობას აპარატურის მეშვეობით ექიმთა ჯგუფი გააკონტროლებს, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში, მაგს დახმარებას აღმოუჩენს. ამ ჯგუფს ლიბანელი კარდიოლოგი ნადერ განამი უხელმძღვანელებს“. ექსპერიმენტს წინ ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძლოდა, რომელსაც დოქტორი განამი ხელმძღვანელობდა. კონცენტრაციისა და თვითჰიპნოზის საშუალებით, მაგმა გულისცემის წუთში 35 პულსაციამდე შემცირება ისწავლა, რაც ექსპერიმენტის დროს ჟანგბადის მოხმარების მნიშვნელოვანი შემცირების საშუალებას იძლევა. ბოლო კვირების განმავლობაში, სანტილიანა მხოლოდ სითხეს იღებდა. კუბოში ჩაწვლის წინ, მაგს კუჭ-ნაწლავს გამოურეცხავენ. ექსპერიმენტის დასრულების შემდგომ, მას სასწრაფო სამედიცინო დახმარებას აღმოუჩენენ, რადგან კუბოში გაუძირველად წოლამ შესაძლოა, კრუნჩხვა და გულის წასვლა გამოიწვიოს“, — ამბობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. მკითხველისთვის საინტერესო იქნება იმის შეტყობა, რომ ეს ის კარლოს სანტილიანაა, რომელმაც 2004 წელს საშობაო ლატარიის გათამაშებაზე მრავალმილიონიანი მომგებიანი ბილეთის ნომერი წინასწარ გამოიციწინა, 2005 წელს კი ესპანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე ასტურის პრინცის პირველი შვილის სქესი და დაბადების თარიღი ინფანტა ლეონორის დაბადებამდე 8 თვით ადრე იწინასწარმეტყველა.

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

ინა ნომრის სუდოკუს პასუხები

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომაგების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრეტში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამოჩნდეს. სწორად ამოხსნილი სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

1	7	9	4	8	6	2	3	5
3	2	8	1	7	5	6	4	9
5	6	4	9	3	2	7	8	1
9	1	6	8	5	3	4	2	7
8	3	7	2	9	4	1	5	6
4	5	2	7	6	1	3	9	8
2	4	5	6	1	8	9	7	3
6	9	3	5	2	7	8	1	4
7	8	1	3	4	9	5	6	2

7	8	2	4	1	5	3	9	6
5	1	9	6	3	8	2	7	4
6	3	4	2	7	9	5	8	1
8	2	1	9	6	3	7	4	5
4	6	7	8	5	2	9	1	3
9	5	3	1	4	7	6	2	8
1	4	5	7	2	6	8	3	9
3	7	8	5	9	4	1	6	2
2	9	6	3	8	1	4	5	7

5	8	1	3	6	9	7	4	2
9	7	3	4	1	2	6	5	8
2	4	6	5	7	8	3	1	9
6	3	5	9	2	4	1	8	7
7	9	8	1	5	6	2	3	4
4	1	2	8	3	7	5	9	6
1	6	4	7	9	3	8	2	5
8	5	7	2	4	1	9	6	3
3	2	9	6	8	5	4	7	1

* მარტივი

	9			1				4
	2			5				7 3
3		4	6		9	5		
	6			5			1	9
	7		4					2
	3	8	2	9				5
		3	7		5	4		9
8	4				6			3
	5				3			8



* * საშუალო


	6			5			9	2
1			2				4	
	2				8	6		
9					7			4
8			5		6			3
5				2				8
		1	3				5	
	7				9			6
9	3			8			7	

* * * რთული

		7			5			1
	8							5
		6			4			
1				2				5
	4							2
	7		8					3
				1			8	
6								4
	3		7				9	

ფოტოკუჩიონები





TB STARS

პიჩაიანი ელიტური სახლი ბუჩაქიშვილზე

ბ 14 / 42

**საუბედობრომ
ფასდაკლება
15 ოქტომბრამდე**

**ბინები
400\$-დან**



ლხმალდე

ბუჩაქიშვილი



**ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით**

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

**☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00**

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

**ბინები 57 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო პარკი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დასვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ფართობი 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი**